

74K 9349  
3

პეტრ მიხაილოვისი

მგელი და აზალი

ქართული მაირობა

საღა ამბად

განმარტებითა.

XII და XIII ს. ს.

წიგნი 1

1. ბოანე შავოელი.
2. გრიგოლ ჩახრუხაძე.
3. შოთა რუსთველი.

შეირთხა შირვენადევ  
სიძრძნისა ერთი დარგი,  
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი,  
მსმენელთათვის დიდი მარგი.  
შოთა რუსთველი



# ქველი და აზალი

## ქართული შაირობა

სტა აშავად

განმარტებითა.

XII და XIII ს. ს.

წიგნი 1

ა. ა. გ. 319  
3

1. იოანე შავთელი.
2. გრიგოლ ჩახრუხაძე.
3. შოთა რუსთველი.

შაირობა შირვეჭალვე  
სიბრძნისა ერთი დარგი,  
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი,  
შემენელთათვის დიდი მარგი.

შოთა რუსთველი



სოამის შეცდომილება

სტრ.	საღ?	არის	უნდა იყვეს
33.	8	ქვ.	ოება
12	13	ზემ.	ისი
14	15	ქვ.	თვი
—	—	—	თვით
34	1	—	ვრ.
14	13	ზემ.	მახესა
45	18	—	და
52	12	—	თუ
66	1	—	შავი
—	7	—	ვეცენთი
68	4	ქვ.	მოსახველად
76	15	—	სიყვარული
78	1	ზემ.	ჩატი
—	6	—	მონცვალე
81	11	ქვ.	სიყვარელი
83	21	—	ძლევა
—	5	—	დამემართებაო
86	10	—	დასაგვანიხა
—	7	—	ხვევი
—	1	—	კა
87	4	ზემ.	სოფლათ
—	12	—	ხელჭმნილ
89	2	—	სემსრე
91	5	—	ვინ
93	12	—	მავალ
—	—	ქვ.	შუნი
95	3	ზემ.	39
—	17	ქვ.	ტინი
—	16	—	ეწოდნენ
97	10	—	40
98	—	ზემ.	სრული მდიდარი
99	15	ქვ.	ესოდნენ
—	4	—	ღინკა
—	3	—	აქებდენ
—	2	—	პენებოლეს
101	14	—	42
—	2	—	ეაჭრულად
102	3	ზემ.	43
—	14	—	44
103	13	—	45
104	—	ქვ.	46
			47

105	2	ზემ.	ხამარე	სამარე
106	18	—	სულ კლდეს	სალ კლდეს
—	22	ქვ.	იმქენ	იქმენ
107	10	—	ღმერთსა	ღმერთსა
—	3	—	47	48
108	—	—	48	49
109	21	—	49	50
110	13	ზემ.	ყწლის	წყლის
111	4	—	50	51
112	3	—	51	52
115	2	—	თვალის	თვლის
134	8	ქვ.	თვისთ	თვისი
137	11	—	ბრჭობელი	მბრჭობელი
—	9	—	ახანაგრძლივებს	ახანგრძლივებს
138	4	ზემ.	ხორცეულს	ხორციელს
—	13	—	სიმგვრლეს	სიმგრგვლეს
—	4	ქვ.	მისაწდობელი	მისაწდომელი
139	9	—	დააშორებენ	დააშორობენ
—	5	—	შეემზნენ	შეემნენ
141	17	—	მომკლავს	მომკლავ
146	10	ზემ.	შთამამავლებსა	შთამომავლებსა
—	—	ქვ.	შინაარსისა	ფორმისა
148	17	—	დასთმისბია	დასათმობია
150	11	ზემ.	გაწყობილებისა	გაწყობილობისა
151	12	—	ყალყუში	ყარყუში
—	2	ქვ.	ფოლადი	ფოლადის

## ჭ 0 6 1 - ს 0 ტ ჟ ვ ა ღ ა

როგორც თვით სითაური გვიჩვენებს, ამ წიგნშია სადა ამბად განმარტებითა ძველი და ახალი შაირბა, ორმედიც იწყება თანე შავთველით \*) და თავდგბა რაფაელ ერისთავითა. სადა ამბად შემოტანილია ზოგიერთი პოემა, ხოლო განმარტებულია უმთავრესი შიტივები, რაც განახასათებს ამა, თუ იმ შეჯექსის შაირბას.

შესალა შემუშავებულია ზოგიერთი ადგილის გამოტოვებით, როგორც სრულიად შეუფერებელისა, ზოგიერთის კი შეკვთვებით, რომ სხვა და სხვა რჯუ-ლის ქართველთა სარწმუნოებრივი კრძნიბისთვის სასილარო არალერი იუგეს.

3. 8.

# იოანე შეგთველი

(XII საუკ.)

## I

დავით აღმაშენებლის მეფობის სხიონნობა არ დამცხხალა დიდე ბული მეფის სიკვდილთან ერთად. მისი მარჯვენით არაბთა ულლისგან თავისუფალ ქმნილი და გაერთიანებული საქართველოს ძლიერება, რომ მელიც ისე საგრძნობელი შეიქმნა შინაც, გარეთაც, რომელიც, ვით გაზაფხულის მკრთოლვარე მზე, ცხრველ მყოფლად მოპფენოდა ქართლს და მის ერსა, კეთილ ნაყოფად მოჰყევა ჯერ კიდევ X საუკუნითგანვე დავით კურაპალატის, ბაგრატ მესაშის, ბაგრატ მეოთხის და სხვა მოჭირნახულე ქართველთ მადლიან მოღვაწეობასა.

ქართლის აღმაშენებლის დიდებულ შეფობას ყოველი ქართველი შეშხაროდა მაღლობის გრძნობითა, სულით მაღალი, სარწმუნოებით ძლიერი, სწავლით განათლებული. მაგრამ საჭირო იყო ერის ოდრიაცებული სიხარულის გრძნობის გამოთქმა. საჭირო იყო მეფობის სიმტკიცის პოვნა. ამას მოითხოვდა ქვეყნის და მისი ერის ღირსება. კი დაცუ გამოსჩნდა კაცი, რომელმაც ის ღირსება გამოსთქვა, რომელს მაც შეაქო გისი მიზეზი დავით აღმაშენებელი. იგი იყო იოანე შავთელი.

სახელმიწანი მეფეს, რომელსაც მეხოტე პოეტი კეისარს უწოდებს, საბუთი არ სჭიროდა თავისი მეფობის სიმართლისთვის, მაგრამ ბიზანტიურ ქრისტიანობრივად იღზრდილი პოეტი ისე არ უცქეროდა საქმეთა. თუ ბიზანტიის კეისრები მეფობდნენ ღვთის წყალობით და როგორც მისნი ცხებულნი, დავით აღმაშენებელი უმეტეს უნდა ყოფილიყო ცხებული ღვთისა, ხოლო მისი მეფობა ღვთივ გაბრძნობილი. როგორც ბაგრატუნიანი; დავით იყო იუდას თესლისაგან იესეიან, დავითიან, ხოლომონიანი ისე, ვით იყსრ და დედა მისი მარიამ, მაშასალამე იყო ამათი ნათესავიცა. მეფობის ღვთაებრივი საგართლოს იუდას საქართველოში ორ წილად მაღლიანი ნიაღაგი დაპხვდა ისე, რომ იოანე შავთელის შემდეგაც თამარიანისა და ცეცხის-ტყაოსნის დამწერთ იგივე იდეა. თუ არ მეტად, არა ნაკლებ განუმარტებიათ.

ითანებული გათქმული იყო აგრეთვე, როგორც მათემატიკუსი ქართული ქორონიკონის გამოკვლევითა, ძიდულ შესია არაბული სახელია ხოტბისა, რომელიც შავთელს დავით აღმაშენებლის ქრისტიანული და ითარგმნება შესინის მონად.

## II

პოეტს თავისი თავი მწირი, ხოლო თავისი ბაგე ბრვენილი ეგონი. ამის გამო მოწიწებით აღსძრა ენა, ლმერთი თღიდა და სიხოვა სწავლა მიეცა მისთვის დავითის ქარის დავითის საქებრად და სიბრძნის კარი გველო, სულელთ საცნობლად.

დავითს ვერ აქებდენ, თავს კი გიორგიავდენ ის ბერძენ-რომაელნი ბრძენი, რომელთაც სოკრატისებრ შეწავლულად მოჰკონდათ თავი, დარსკვლავთ მრიცხველნიც სხვა ბრძენთ ჰკიცხავდნენ.

დავითისებრ აღმიშვილი არსად იპოვებოდა, ქვეყნის არც ერთ კუთხესა ზესკნელ-ქვესკნელ-გარესკნელითა. თვით ლვითისაგან იყო მონიკებული, ლვითისადმი ჰემობდა, ვით იადონი. თვით რიტორ-ბრძენი, ხოლო სიტყვა მისი ერთათვის წყარო იყო სამოთხის ცხოველი წყალი. ცოდვის ბიწისაგან ჯგუფბანილი სამარადისოდ გაუხრწნელი სჩანლა. ჰზრილიდა მონება და ანთებდა, ვით იყლისის მზე ადიდებდა ტომი: და ერთ, ყრდა და მღვდელი. მისი შევრცომილი იყო მხეცი, მთა, ბორცვი, მდინარე და ველი.

ლვითის ეშინოდა, ერთგულთ იხსნიდა, დავრდომირლის შეიწყნარებდა. უმწიდესობი იყო, ან დაბატის უმტკიცესი. პური იყო მადლისა, საღვური სიბრძნისა და მხედარი ლვითის. სკეტი იყო სჯულისა, ზღუდე სულისა. მისი სამართალი ხმელ ხეს გაანედლებდა და გოლებრ მწოდლვარე იყო, ამის გამო ლირისი იყო ნეტარებისა. რისხევა არ მოჰწონდა, ჩვეულ იყო ნაშლევილ მოწყალებას. მოსივი, სათნო, მორწმუნე და მოყვარული იყო.

მადლოთა ტალანტი შეეკრიფა და ჰქველმოქმედებდა იდუმალ ასე; რომ ზეცის უსხეულო ძილი მისთვის მხიარულებლენენ. სულელი კაცი სიბრძნეს ვერ მიუხვდებოდა. მეუე თვით ჰჭმებდა და ჰსურნელიაბდა. ლვითის მადლის მომტემელი. პურობილთ ათვისებულებდა. ბრძებდი იყო სიწმინდისა. არსება აღზევებულს გულის წილი, ვითა მზე, უკრთლიდა. უკვდავება იყო. სწავლა და სიბრძნე გარშემოეკრიფა. მრავალ მოღვაწეს შევენოდა სიძმოვნება. ფუტკარი იყო მადლოთა, რძისა და გოლეული თაფლის უტყებესი, კერპთა დამამხობელი. და სათნოების რჩული კურცელი. გული ჰქონდა ქვეყნის მპყრობელსა ციერთ უსალესი. მართლმსაჯული და მეწლე იყო მართლის სიტყვისა, პირიანი, უიგაუტეხელი, გონება ვრცელი, ცნობა გრძელი და მოთმინება იობიანი. ლვითის შეტყველთვათვის საღმრთო ბანაკი იყო. მემიებელნი პრო-

კლეს და დიადოხოს უხშობდნენ, სიბრძნის ზღვის ვერ ეთავსდებოდნენ, ფილოსოფოსინი მეცნეს უწოდებდნენ. მოძღვარი იყო სწავლისა, ლვარი შვებისა და ცხოვრების თვალი სიწმინდისა, ფილოსოფოსებრ მხედველი იყო და ყრმათა ექმნა დიდ მდინარედ, რომელიც განპანდა ემბაზის შეტლებსა. იყო წმინდათა მემწყობრე და ზეცის ძალთა მოდასე, ებგური სწავლისა, საღვარი უცხოთა და სიბრძნის უფსკრული ენა რიცორთა.

მეულლეობა მისი ისეთივე იყო, როგორც გვრიტისა. არავინ განწირულა, რათგანაც დაგით იყო შათოვის მხედ უფლობისა, შაგრილობლიც პაპანაქებისა. თვალი იყო ბრმათა, მხრდელი ყრმათა, პური მშიურთა, სართული უსახლოთა, მამა ობოლთა, მსაჯული ქრიფთა, სამოსელი შიშველთა და სიმტკიცის ყიდარჯენი მოხუცებულთათვის. სიბრძნეს მიაფენდა და წერილთა სილჩებს განმარტებდა მადლთი თხრობითა. ზეცით მონამული მანანა იყო.

თვალი მარგალიტით ხავსე საუანძურითგან მრავლად იცოდა ტკბილის გულით ბოძება თავისი ერისთვის. იესოს მიერ რომით მონიჭებული და კარგი იგავის მოქმედი იყო, ისეთი გულის ხმიერის, როგორც ჰშვენოდა ზირაქსა. ეკადრებოდა, ყამუოფ სახლიად ზეცა ჰქონდა განჩინებული. ლარი იყო სჯულისა, საუნჯე ქვეყნისა ფრიად გამდიდრებული. უწყოდა ყოველი უამი და წელი, ნივთების შეყინვა.

საყვარელი იყო ხალხისა. პატიკინი გვდა, ვით თუალი სოფლისა გრნება ვრცელი და ყოველგან მხედველი ჰქონდა. მესიისთვის ოტლისა ჰლვრიდა. ნიკიერი იყო, გამჭრიასი და მადლით უფრო სპეციალი, ვიდრე ნათელი, ვინც ყოველ ნივთს ისე მხედვდა, როგორც უფალი. წესტვი იყო ცნობისა, ფიცარი სჯულისა, ბარძიში მადლთი ერის გასაწმენდად. დაუვალი მხე ჩყო და სული წმინდა ჰქონდა სამყაროს გასანათლებლიდა.. ზენა მადლის ცვარს გადმოუცელენდა. საუნჯედ მონიჭებული საქებარი იყო ყრმათა და ბერთვან. სიწმინდის ბაზმად და ნათლის ემბაზად იყო დადგენილი. ყოველ სულთა უაღრეს ზეცის ძალი განუშორებლივ ახლონენ. სახლი იყო წავლისა და შისი ენი მიმენელთათვის სასურველი. ბიწ უპოვარი სჯულის და მართლ მსაჯულებეს ძეგლი იყო, მოვვთა და ქურუმთა სწავლის. და მართლ მსაჯულებეს ძეგლი იყო, მოვვთა და ქურუმთა სწავლის. მცველმეტყველებით წარმართს ერს მოაქცევდა. საღუკეველო, ფარისეველო და ნაზარეველო ყველის პირი დაუყო ისევე, როგორც მაკედონიოზი, საბელიოზი და სხვა მწვალებლებს. ემართლებოდა კიდეც, რათგანაც სომეხთ მეფენი, რომელნიც მტერთა სისხლს ჰლვრიდნენ, როგორც მწვალებელნი, ღმიერობა ულირსად იცნა მეფობისა.

მოყვარე იყო უცხოთა, შოწყალე გლახაკთა, მსჯელი მსჯავრის და სამართლისა. შვიდი მსოფლიო კრების დადგენილების დამბეჭდველი იყო უარჩყო არიოზ და ევნომიოზ მწვალებელნი. როცა უფალი

დასჯდებოდა ყოველთა სულთა გასასამართლებლად, მაშინ დავითს აღნენდა და დამკვიდრებდა დაუსრულებელი შვების ადგილია. მუდამ ნათელი ედემი პირველადვე მისთვის აგებულიყო სახლად, ხოლო სასუფელი დაარსებულიყო მის საფუფუნებლად, გამზადებულიყო მის საკუთრებად. წრფელ სახიერი იყო. ყოველი ბიწიერება მისგან წარმონილიყო. მისებრ კევა მხედველობა არავის ჰქონდა და სათნაების მკელეული ღვაწლით მოემკო. ვაზი იყო სიბრძნისა, ემბაზი ნაოლისა, ქნარი სულისა და მხილველი ღვთისა, მაღალი, ქცევა მდაბალი. მისი ენა იყო ვითა წყაროს წყალი, ბორცვების და ველების მრწყველი. ხოლო თვით იყო ხალი რომი, სანატრელი გელათი, ის ელლადი, სადაც უნდა დაეკრძალათ მისი წმინდა სხეული.

### III

როგორც დავით უფლისმიერ სიტყვა მტკიცედ იჯდა საყდარსა, ისე ეს დავით მისი ნათესავი კურთხევით უფლებდა ძალთა შემწედ. ზეთ ცხებული იყო. ჰმთავრობდა უფალთა. სწორი იყო მზისა ასე, რომ არარატის მთა ვერ ჰსწორავდა. ისეს თესლისაგან იშვა მარიამ ქხლწულის წილხდომილი საქართველოს მფედ. როგორც მხედაპუარა სხვა გარსკვლავებსა, ისე აბნელებდა დავით ქვეყნი მპყრობელსა. კეისარი იყო! დიდ ხელმწიფეთა კვერთი ეპურა. მეფედ იჯდა სუეტ მტკიცე.

### IV

დავითის დროს დასკრა და გაცუდდა უგლიმთ ბორგვა და თავზარ დაცუმა. უფლებდა და ჰმთავრობდა ურჩითა შემწველად. როცა ლომ დავით მრისხანებდა, მარჩხანები და მათი ჯარი სინანულს იწყებდნენ. დავით იყო პატრონი ჯარისა. უფლად დაესახათ ზღვისა და ხმელეთისა. აღმოსავლეთი და დასავლეთი, მთანი და ბორცვი ბატონიდ სოვლიდნენ. შესაფერიც იყო მისთვის ფლობა უჯდროდ მზრახულს მაშინვე დაამშვიდებდა. მრავალი საქმის გასაკეთებლად ფიცხლივ დაიარებოდა. მისი დარგული ვენახი კარგად იყო გასხლული და სორქეს ისხამდა. იღბორგვება, აღშფოთება და ძმაცვა შეუძლებელი იყო მის დროსა.

### V

ქვეყნის მპყრობელი დავით ორგულთ განვიგმერდა, ქვესკნელად დაამხობდა მტერთა. კაცისთვის მისი რისხვა სიკვდილს ანჯველი იყო. მტერს და ორგულს ისე აცდებდა, როგორც ცეცხლის სახმილი. იყო აგარიანტ ცეცხლით დამწველი. ხალიდასაგან მონების ნიშად ფული მოგრომეოდა. სპასპეტების და ქლაქეტების უფალსა მრავლად მოე-

პოებოდა აშენებული გოდოლი, საითვანაც მტერს უწყალოდ ჰმუსრავ-  
და მშვილდითა. ბარბაროსთა მსრველი, სარკინოზთ მძლეველი იყო.

ვისაც უგმირეს, იმისთვის ჰგმირობდა უფრო, ვიდრე ყოველი თვით  
მცყრობელი. ჰგმირობდა ლვთისთვის, ვინცა ჰგიებს ეთერთა, სამყაროთა  
და ლრუბელთა შორის. ტაიჭე მჯდომარე, როგორც მეხი; ჩაერეო-  
და მტრის რაზმებში და სულს აფრთხობინებდა. დაცვარილი ვარდის  
ფერი ჰქონდა, როცა ნავარდს ჰშვრებოდა და მტერთა სამუსრად მკლა-  
ვებს ჰხმარობდა. როცა რაზმში იყო, გორგასლიან დავითიან დროშას  
იახლებდა. იმდენი ბრძოლა და ომი სხვას არვის შეეძლო. შეიარაღე-  
ბული აბჯარ ხმლითა, როგორც ვეფხვი მკრჩხალით, ეცემოდა ულმრ-  
თოებს და აოტებდა, რისთვისაც მისი თხემი ღირხი იყო ნელსაცხებლისა.  
საღიფებელი იყო მისი ბრძენი ხელი, რომ მათ ანიშნა თავისი ძალა:  
მათი მახვილი, როგორც ცვილი, ისე გამხდარიყო. სხვა ვერვინ ეკვე-  
თებოდა. პირიქით მისი ჯაჭვი და საჭურველი სარკინოზთ ეკვეთებოდა.  
ალესილი ხმალი და მხნე სული მიუძლოდა შესამუსრად ბარბაროსთა,  
რომელთაც რისხვით მოუქნევდა ძლიერ მკლავებსა. უფლის მიერ ძლე-  
ვა მიენიჭა ურიცხვ რაზმებზე. ნიჭთა ნაჩეული რჩეული ჯარი მისი ხე-  
ლის შემწყუბი იყო. ს-მხნით თავი მოჰქონდა ძალუმად მორკინალსა.

იყო შეუმუსრველი კლდე და ლოდი მტერთა დაბრკოლებისა. როცა  
განძვინებული და ცნობა ენებული იყო, მტერს მეხივით თავს დაატ-  
ყდებოდა მისი ძლიერი მკლავი. მისი რისხვა კაცს სიარულს გაუძნე-  
ლებდა. ვისაც ეცემოდა, გულში შიში განეწონებოდა. დროშა ხელთ  
იგდო, მტერი გასწყვიტა, ბუკ ტაბლაკის ცემით მედგრად იბრძოდა.  
გაცბუნებულ გაწბილებულებს აღონებდა აბჯრის ახლითა. მესის შედა-  
რი იყო. ტყორცნა ისრისა საკვირველი ჰქონდა, მერკვილისებური.

## VI

დავით პირად მშვენიერი და ახოვანი იყო, ტანადი, როგორც ალ-  
ვის ხე და უსწორო ანაგები. მჭევრ ტანსა ეცვა სტავრა და ზეზი. სამ-  
კაულიად ჰხმარობდა ოქრო-ნემსულ შესამოსელსა. გვირგვინი, სკიპტრია,  
ბისონი, მღტრა, პორფირი და ღიაღიმა ძვირფასი თვლებით მოოჭვილი  
ჰქონდა. გვირგვინოსან პორფიროსანს უხდებოდა. ხელში კერია სკიპტ-  
რისა. მხატვარნი მის სახეს ვერ დაჭხატავდენ, უქმად დგომის წასვლის  
ამჯობინებდენ. ისე ბისთვის სიტურფე წაერთმია. ყოველი მცყრობა-  
ლის ნათელი შემოეკრიბა, რა შოზრდილიყო. მეფედ იჯდა ლალი, შვე-  
ბული და მხიარულ-დიდებული, არეს ანათებდა ცისკრის ქებული.

## VII

მეფის ბალში თვალთათვის სამო ხენი და აფაზნები იყო დაშიგ გა-  
ლავნით შემკობილი სრა. კედელყურე ფიქლით შეძერწილი და ძვირფა-

სი თვლებით მოჭიქული ჰქონდა. მის კარს ამშვენებდა სცეტები, ჯარის სიმრავლე, სარბიელის სივრცე. შინ სახმარად ლანკან პინაკები სულ ბალახშით შემკული ჰქონდა. მეფის საჯდომელ ტახტს კამკამი გაჰქონდა სარდიონით შემკულსა, ხოლო მისაყრდნობელი მისი ძყო ნაძვისა. ძვირფასი თვალი ურიცხვი მოეპოებოდა, თვლების მრთლად რიყე იყო, სადაც წყალი, როგორც ალი, ისე ენთებოდა. მარგალიტები ბურთის ოდენი, მათვის. კიდევ ზარდახები იყო. ჯამები იაგუნდის, ლალფირუზისა, უცხო ფერი ჭურჭელი მრავალი იყო. ოქროს ზოდები გორად ეწყო. ისმოდა მგოსანთა ხმა ებნის და წინწილისა. დიდებულნი და დიდიგვარიშვილნი თავადნი მრავლად ჰყვანდნენ ამალად.

### VIII

მაგრამ მეფის გაყრას პოეტისთვის უნდა შეემოკლებინა დღეთა უამი. სული, გვამი და ძვლები ქარქვეტებრ გადაეჭცია მის ძალასა. გული, ყოფა და სული გლახ ექმნა პოეტსა, როცა იხილა მეფის მძინარე სხეული მომწყდრად მდებარე. უსიტყველი სულთქმა მოერია და მისგამო ვერაფერი სთქვა, ვერ გაუძლო ენა დაბმულმა ძნელად სათქმელ გრძელ ქებას, რომელსაც ხელი მიჰყო უგუნურებით. ამისგამო სოხოვდა, რომ ის შესხმა მუსიკობა, რომელიც შესაფერად ვერ უძღვნა, ისე შეეწირა, როგორც წვლილი.

## გრიგოლ ჩახრუხაძე

(XIII სუკ.)

### I

თამარ მეფის სიკვდილით ჩაესვენა მზე ქართლის დიდებისაო, ძველთ უთქვამთ, ახალნიც დასძენენ. მართალია მათი ბრძანება. შარავანდეფი და სხიოსნობა თამარ მეფის დიდებისა, რომელსაც საფუძველი ძალზე შერყეული უნდა ჰქონდა, დაშურებული კრთომის გამო, ოვალის დამყენებელი, გონების დამანილებელი იყო ასე, რომ ფიქრად აღარავის მოსდიოდა, თუ ის დიდება ნაყოფი იყო წინა საუკუნეთა დაუცხრომელი მოღვაწეობისა, თუ მის შესაქმნელად გარჯილიყვნენ სახელოვანი ქართველები, როგორც თამარის წინაპრები, ისე სხვა მოღვაწეებიცა. თამარის სახელმა სჩანთქა ყველაფერი და თუ დღესაც ჩვენს ერს ყველაფერი მისი ნამოქმედარი, მისი ღროინდელი ჰგონია, იმას პნიშნავს, რომ დიდების დაღუპვის სიმწვავე ჯერაც არ განელებულა, დღე-

საც გულ მოკლული ერი უშჩერს მის აოხრებულ ნაშთებსა და სულით რომ სრულიად არ წასწყმდეს და არ ჰდაღონდეს, იგონებს თამარის დროსა.

თამარის დედა ბურდუხან დედოფალი, ოსთა მეფის ქალი ისეს თი რძალი იყო, რომ მატიანის თქმით ქართლს უკეთესი მანამდის არ უნახავს, მაგრამ შეილიშვილები გიორგი ლაშა და რუსუდან დედოფალი კარგი ვერ გამოუვიდა. გულის აცოლამ გზათა კვალი დააკარგვინა ერთსაც, მეორესაც. სახელმწიფო განსაკუდელში ჩავარდა ასე, რომ შემოსულ მულალებს ვედარ გაუმკლავდა და შათი მოხარკე შეიქმნა. იმ დღითგან იწყება ქართლის დაქვეითებაც.

განა გიორგი ლაშას და რუსუდან დედოფლის უვარვისობა მათი დედის ბრძალი იყო? არა! თამარ მამამისმა გიორგი მესამემ სისხლში მოსცრილ ტახტზე აიყვანა! თამარის ბიძაშვილის, ტახტის მემკვიდრის დემნას და მის მომხრეთა სისხლი პლალადებდა გიორგი მესამის ძალ მომრეობასა. თამარის პირველი ქმრის გიორგი რუსის და მეორე ქმრის დავით სოსლანის ბრძოლამ, შანქორ ბოლოსტიკის ომებმა და ქართველ ლაშქართა ზოგჯერ ბედის საცდელადაც იერიშებმა კიდევ ერი მოჰქანცა, ხოლო თავადაზნაურობა გაალალა. მაგრამ თამარმა განგებით თავისი მამის და სხვების ცოდვა გამოისყიდა თავისი მაღალი სათნოებითა და უცელაფერი დავიწყებულ იქმნა. სათონ დედის მეფობაში სიკვდილის სასჯელი თითქმის არ ყოფილია, იტყვიან მეისტორიენი.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ლაშას და მის დას რუსუდან დედოფალს საკმაო დრო ჰქონდათ, თვითონაც წამხდარიყვნენ, ქვეყანაც წაეხდინათ. საკმაო დრო ჰქონდა თვით მოწინავე წოდებასაც, რომელსაც მტრებზე გამარჯვების შემდეგ, ნაღავლით გამდიღრებულს ფუფუნება-განცხრომის მეტი აღარაფერი ახსოვდა, ბოლო მოელო ქვეყნის და სახელმწიფოს ძლიერებისთვის, შეუგნებლად შეერყია საფუძველი ერის სიმტკიცისა, რომელიც მისი და მისი წინაპრების ნაჭირნახულევი იყო.

## II

თამარ მეფის სადიდებლად შაშინდელ პოეტებს იღარ სჭიროდათ ახალი სამწერლო ფორმა. იოანე შავთელის აბდულ მესია ნიმუშად ჰქონდათ. მხოლოდ საჭირო იყო ნიჭიერი მწერალი, რომ ლირსეფულად შეექრა თამარ გულისხმიერი. გრ. ჩახრუხაძემ თავს იდო ის ძნელი საჭმე და დასწერია თამარის ქებად თამარიანი. დიდებული მეფის უკვდავ ყოფით ავტორმა თავისი უკვდავებაც მოიპოვა. გრ. ჩახრუხაძე შოთა რუსთველიც რომ ყოფილიყვეს, როგორც მ. ჯანაშვილი და ნ. მარი ჰვიტრობენ, ის მაინც ცხადი იქმნება, რომ ვეფხის ტუაოსნის მთქმელი აღარ ყოფილა მომხრე ბიზანტიურ-ქრისტიანობრივი ხორბის წერისა, დაუგმია და მიჰკედლებია არაბულ სპარსულ მიმართულებას, რომელსაც

ვისრამიანის სახელოვანი მთარგმნელი და მისებრი საერო მწერლები უნდა სდგომოდენ სათავეში.

### III

თამარ სჯულის დამცველი, მართლმსაჯული და ღვთის სახიერი იყო, ხასიათად ლმობიერი და სიტყვით შკურნალი. გულუხვი გმირობით სჯობდა ყოველ შხენ მამასა. იყო მაღალ გონიერი, სწორ უპოვარ წყალ ჯავარიანი, ლალი და მწყაზარი, სახე-დაულამებელი, ტკბილი და მდაბლუად და ღრმად მრწყალე, სიბრძნით სავსე და ორ გულთან მოუთავსებელი. მის სულს მახვილი არ მოჰქონდრია. წყნარი და მოკრძალული იყო და მოყმეთა მამხნევებელი, ბრძანა თვალის ამხელი. მისი ავი არავის უნახავს და გაუგონია. მისი ლამაზი მეტყველების სიბრძნე უებრო და ღვთაებრივი იყო. არა ვის ჰქონდა მისებრი ქცევა და წრფელი სული. მის დროს ბერთა საჩენობა, ჭაბუკო ლხენა და ძმათა შვება. არ აკლდათ. შიში ღვთისა, გულს. რომ ეთესა, დაუვიწყებელი ჰქონდა. მაღალს, დიდს, უკლებს და უცრულს უზაკველობა ისეთი ჰქონდა, რომ საცნობელი იყო. მოწყალე და გულ აუშფოთებელი იყო. მისი სიკეთე ყველას აკვირვებდა. არავინ იყო, ავი სიტყვა ეკადრებინა მისთვის.

### IV

ზენით მოჰქედა უფალმა თამარსა. ხელმწიფობა, კვერთი და ბედნიერება მიანიჭა. ლმერთთან დაახლოვებული იყო, როგორც მოწესე. მისგანვე ჰქონდა დავალებული სჯულის გამტკიცება. იყო იქსეს ძირი, აბრაჟამის ასულად საცნობი, ზენად ცხებული და მოვლინებული შემწედ აღნათქვამის მესიისა. სული ღვთისაგან მონაბერი ჰქონდა და ლმერთი იყო მისი მცველი. თუმც მიწიერი ნაყოფი იყო, მაგრამ ეტლთა ასულიყო თვისი სისრულითა. ღვთად საგონებელი იყო. ღვთის მცნება იყო მისი წადილი. ღვთისაგან იყო მეფედ დამყარებული. მეფე იყო თავართა და სოფლის მშვენება. მისი მოქმედება ცის ნებით იყო. სი-

ოება ჰქონდა მინიჭებული სულისაგან წმინდისა. წმინდად დასახული, ქედ ღვთისად საწოდებელი იყო. სულდგმულს უნდა ესმინა, ხოლო სპარსელს უნდა ერწმუნებინა, რომ თამარ ღვთად საცნობელი იყო. ერთმა სრულმა ლმერთმა ინება სამთბოვანება თვისი ბუნებისა, რათა თამარ ყოფილიყო მისი ცხებული, მისი ძლევა მოსეს სჯულის ფიცარზე ეწერა. დავით მისთვის როგორდა, სოლომონ ასულს უწოდებდა. ცნობილი იყო ღვთის ცხებულად, როგორც მოწყალე და მშვიდ წრფელი. ყოველი ალსძრა მისდა მორჩილებად.

## V

თამარ მეფეს ნამოქმედარი საქებარი ჰქონდა. იყო მძლეთა მძლეველი და გამირჯვებით გათქმული. კაცნი ჰმონებდნენ და იპატრონებდნენ ვეფხნი კლდისანი და ლომნი შამბისანი. ეტლივით მდგომარე იყო აგარის ტომთა გულის მოსაშხამად. დაუზარებელი იყო, მათვის გადაეხლევინებინა, რაც ეკადრებოდათ. ურჩებს სისხლს უზღავდა, ცუდად არ დაპლორიდა. მათ გულთ ასობდა მაცვილსა. ტროელ-ელენთა, ივლითის და სამსონ და დალილასი, თვით დებორას საქმენი მასთან მოსატანი არ იყო. შიშის ზარი დასცა ზარკის მძლეველთა. ლხინთა დამთმობი ისართ მთლელი იყო. მისი ძლევამოსილება სამუდამო ეგონა ყოველ მნახველსა. ვახტანგის სწორი იყო მეომრობითა და დავითის ხმლით. შემარცხეველი. მბრძოლნი დაპხარკა და მათგან ოქრო იძლვნა. გმირთ ახოვნებას ჰმატებთა, ორგულთ დაპნთქავდა მისი ძლიერება, გულს დაუდალავდა.

ბედ დიდი იყო, დიდ დავლიანი, უფლება ჰქონდა პონტოს ზღვისითგან. ყველანი მას ემონებოდნენ. ერთა მძლეველი, ანის მოყმეთა მზეებრ დამმარცხებელი იყო. ლომებრ შემძახებელი და სხვადასხვა ჭვეყნის და მთვევართა დამპყრობელი იყო სისი დავით დიდის დახმარებითა. მბრძოლთა სისხლით ხმელეთს ჰლებავდა. თურქთა შემრისხველი, ლაშქართ სიუხვით მათოვლებელი იყო. ურჩს აუტირებდა ცით მოვლენილი დავით, რომელიც მეფეთა ძედ წოდებულ იყო. აგარიანთ ცეცხლი მოსდო, ვინც იარაღთა მამსხვრეველი და აქილევდა მძლეველი იყო. შეუწყვეტელის ომით თურქები განასხა მამულითგან. ათაბეგს სჯული დაუდო მცნებად, მელიქი აიძულა თვალთა ფერებად.

თათბირის დროს ვაზირთ ძალას აძლევდა და დიდ მნედრობას ჰშძლვანობდა დიდებით გასულტნებული. მისი გულითადი დავით მოწოდებული იყო წარჩინებულ მეომრად. ისართ მტყორცნელი იყო, ხმალში ბადრი, უშიშ უკადრი და მტერთა გასაულეტად თავგამოდებული. ზღვები დაიმორჩილა. მძლავრი. მტრის გამოჩენაზე სპასა და მთავრებს დარიგებდა, მხნეებს გაამხნევებდა ასე, რომ თავს არ იზოგავდნენ, ოღონდ წამებულიყვნენ მისი სჯულისთვის. მათი წინამძლოლი დავით ლომგული იყო. მტერმა რა ჰნახა, ივაგლახა და გაიბნა. ტყვე და ლარ პირუტყვი იმდენი შექვედათ, რომ არ დარჩენილა უშოგარი კაცი. მისი გაბედნიერებული ერი იტყოდა, ვიდრე ქვეყანა იყვეს, ლმერთმა ამყოფოს იგინი ძითურთ დლეგრძელიო.

## VI

თამარ სახედ იყო ტურფა ჯავარი და დაწვ თეთრ მწითური. წალკოტივით ჰყვაოდა და ელვარება ციურს უგავდა. მთვარეს ნათელს უკარგავდა. ლაპარაკის დროს მოხედვა ისეთი ჰქონდა, როგორც ცის-

კარს ელვარება. ბროლ ვარდის ყელს მოიღერებდა. წამწამთა ზრა ისე-  
თი ჰქონდა, ცრა ათასჯერ ატირებდა სხვასა. მზე დაუვალი და შუქ  
მფინარო იყო. არსთაგან მზედ შოდებულს ამკობდნენ შვილი ფარსკვ-  
ვლავნი. დაუსაბამო ნათელი იყო, რომელიც ღამეს დღე ჰყოფდა. მის  
ბრწყინვალებას და კამპამებას კაცი ვერ განიცდიდა. ურჩი მცვრეტელი  
გაშლილი ვარდიც რომ ყოფილიყო, თუ განიცდიდა, დრამის მსგავ-  
საღ შეიქმდა. მის შეგავსს ვერ ჰპოვებდენ ვერც ცხადად, ვერც მოგო-  
ნებით. ცისქროვნება მიენიჭებინა მისთვის თვით ზეცის დამარსებელსა, ზევ-  
სი კი არა, თვით იგი იყო მნათი, სხვა მნათობთ მკვდოვნება ჰმართებდათ.

მისი ასულტანობისაგან სულტანს სამარე გაეთხარა და ხა-  
ლიფა გაიკიცხა. ბევრნი ცუდად გაჭრილან ღამეთა საოევად. მრავალ  
მიჯნურთ თავგადასავალი უიმისოდ არაფერი იყო. მრავალ მათგანს  
დაანატრულა თავისი ზავი. შუბლი უელავდა, მაგრა თმა ტეჭრობდა.  
სულთანით ჰნატრობდა მის ნახვას ის, ვინც განაძო სასიკვდილოდ.  
ღაწვთა მიღამოს მელნის ტბანი ედგნენ მორევად. ვერცერთი ბრძენი  
და მოშაირე ვერ გამოდგებოდენ მისი მსგავსების. ნამდვილ და მიხვედ-  
რილ დამსახველად. პოეტა, ბრძენთა, გმირ ქალვაუთათვის ქების და  
ოცნების საგანი იყო. არავის ჰქონდა მისებრი მშენიერი ნაქვეი.

## VII

პოეტი ჰგრძნობდა, არ შეეძლო თამარის ქების წაღილი აესრუ-  
ლებინა, ბრძენიც რომ ყოფილიყო, ამისგამო . საქებრად ფილოსოფო-  
სებს მოუწოდებდა, თუმცა ვერც უმიროს, ვერც ჰლატონ, ვერც არი-  
სტოტელი ვერ იტყოდენ შესაფერსა. სწადდა ძრობა და ვრცლად თქმა  
სამუსიკო ხოტბისა, მავრამ თავისი ქება შაინც არ ეგონა ისეთი, რო-  
გორიც ეკადრებოდა ჰლატონსა. ელიადის ფილოსოფოსთ ენა მხეობა  
და ფსალმუნთ ათ ძალი შესაფერად, ვერ შეიაძლებდა. რათგანაც პოეტს  
არ შეეძლო ქება, თავის აღვირი აისხა დასაფუშებლად. რიტორებრ ენა  
მეტყველთაც ვერ შეექოთ, ხელქმნილი პოეტი როგორ უნდა გამომ-  
დგარიყო მის მგოსნად? არისტოტელი, რომელიც მაძრებელი იყო, თვით  
შეიქნა საძიებელი. პოეტს მის დანახვაზე ეგონა, სამოთხის ხესთან იყო,  
ღონე იღონა, მაგრამ თვალი ვერ შეადგა და მის შუქს მოგრიდა. მისი  
გული თავისად ეგონა, მაგრამ მიუახლოვდებოდა თუ არა, თაგზარი  
დაცემოდა, რისგამო სიცოდუს გასცუდებოდა-

# შოთა რუსთველი

(XIII სუკუნე)

## I.

შვიდას წელიწადზე მეტი იქმნება, რაც ქართლს დაჰკაშკაშებს ობოლი ვარსკლავი. ის ვარსკლავია ქართლისვე გენია, რომელიც ვეფხის ტყაოსნის უცხო და იშვიათ ქმნილებად ცხად ჰყო უკვდავმა შოთა რუსთველმა.

თამარ მეფის დიდება ნაყოფი იყო მრთელი სამი საუკუნის ქართლის ღვაწლ მოსილ მეფეთა და ქვეყნის მოჭირნახულე ქართველთ დაუცხრომელის შრომისა პოლიტიკის მხრით კი არა მარტო, არამედ კულტურის, კერძოდ პოეზიის განვითარების საქმეშიაც.

ჯერ კიდევ თვით შოთა რუსთველმა მოიგონა მოსე ხონელთან ერთად თავის უწინარესი ორი მწერალი შავთელი და სარგის თმოგველი. ითანე შავთელი აღდულ მესის მთქმელი, რომლისთვისაც ლექი უქიათ, მეხოტე მგოსანია, მაშასადამე შოთას ფარდად ვერ გამოდგება, სარგის თმოგველი კი, რომელსაც დილაზგეთი უქია; ენა დაუშრომელი ყოფილა თანამედროვეთა თვალში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იგი უნდა ყოფილიყო მოშაირე და არა მეამბე, და იმ ჯურის პოეტი, როგორც თვით შოთა რუსთველია, ესე იგი შემძლებრძელი ამბის თქმის, გალექსივისა. ავრეთვე უნდა ყოფილიყო, თუ არ მეტად, არა ნაკლებ სიტყვა ხელოვანი მოშაირე, ვიღრე ტარიელისთვის ცრემლი შეუშრობლად მტირალი რუსთველი. ამის მაგალითს წარმოადას გენს დაკარგული დილარიანის ერთი ადგილი, ლექსად თქმული, რომელიც ამბის, პროზის სახედ მოუსცევია პეტრე ლარაძეს თავის, უნდა ვსთქვათ, უშნოდ აღდგენილ დილარიანში. ის რას და როგორ პგალობს ნუშრევან თავის სატრატოს როადამის გამო:

რამცა მისთვის ჭირი ჭჭნასე, უველა ჭხინად შემიცვალა,  
უფლი სენი, გულს ნაქონი, კანშაშორა, კანშილალა.

ბროლ სადაფს შეხვეულნი დაჭნი არდა კანშისალა,

ეფებისა გამდის გამდა, ვითა მსურდა, არ მიშალა (გვ. 178)

ეს ამონაწერი, რომელიც უცილოდ ნაწყვეტია სარგის თმოგველის დილარგეთისა, კარგად პმოწმობს ენა დაუშრომელის ავტორის პოეზიის და სტილის ღირსებასა.

ვეფხის ტყაოსანმა თავისი სიკეთით შურის და მტრობის გრძნობა აუშალა, როგორც ზოგიერთ საერთ მწერალს, ისე სასულიერო წოდე-

ბასა. ამბობენ, დასაწვავადაც კი გაიმეტესო. მაგრამ არც ერთ მტერს არ უთქვამს, უნიჭო თხზულება არისო, პირ იქით სიბრძნის ტბად მიაჩნდათ. ასეთი იყო ანტონ პირველი კათალიკოსი.

სიბრძნე ვეფხის. ტყაოსნისა შეიცავს მრავალ ნაირ ცოდნასა, რომლის რიგრიგად დაწყობით განმარტება დიდად საჭიროა, კაცმა რომ აღვილად გაიგოს.

მხოლოდ შოთა რუსთველმა გვიანდერდა ოსტატური განმარტება შიორობის, ანუ პოეზიის თეორიისა. რა კი პოეზიის წყარო იყო სიტურფე, ის მადლი, რომელსაც ლვთაება, როგორც თვის ნიჭის, დაულოცავს ხოლმე ზოგიერთ თვის ქმნილებას, ამისგამო სიტურფისათვის შიორობის ხელოვნება სიბრძნედ მიაჩნდათ ჩვენს წინაპრებს, ხოლო მოშაირე, ანუ პოეტი მათის აზრით უნდა ყოფილიყო ბრძენი.

აი რა თვალით უცქერის ავტორი მოშაირობასა.

შიორობა, მელექსეობა პირველადვე სიბრძნის ერთი ნაწილია, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი და მსმენელთათვის დიდად მარგებელი. შიორი ამად არის კარგი, რომ გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის.

შიორის გამოთქმას უნდა უნა, გული და ხელოვნება. როგორც ცხენს გრძელი შარა და დიდი ჭენება გამოსცდის, მობურთალსა მოედანი, ხელმარჯვედ ცემა და ქნევა ჩოგნისა, ეგრევე მელექსეს გრძელი ლექსების თქმა და გაწყობა. მელექსეს თუ სიტყვა გაუძნელდა და ლექსმა ლევა დაუწყო; ქართულს ვეღარ მიმხვდარა. ქართული არ უნდა შეამოკლოს, სიტყვა მცირობა. არა ჰქემნას, პირიქით ჩოგანს მარჯვედ უნდა სცემდეს და დიდი გმირობა იხმაროს.

ლექსი ტკბილი, წყობილი მარგალიტი და გულის გასაგმირალი უნდა იყვეს.

მოშაირე არა ჰქვია, ვინც გრძლად ვერ იტყვის ლექსსა, კარგ მელექსეთა სწორი როდია მოშაირე, თუ საღმე ერთი, ორი ლექსი სთქვა.

ზოგჯერ, თუ სთქვა ერთი, ორი უმსგავსი და შიორი შიორი ლექსი, ასეთი მოშაირე მაინც იტყვის, ჩემი სჯობსო, და ჯორივით უცოლობლობს.

მოშაირეთა მცირეოდენი ნაწილი ეწყობა ერთ ლექსსა. გულმოსაზვედრი სიტყვების თქმა არ შეუძლია და ჩამოჰგავს მონაცირე ყმაწვალების ცუდ მშვილდსა დიდს ვერ მოჰკვლენ და ხელობად. პატარ პატარა ნადირის ხოცვა აქვსთ.

კარგია და საამო აგრეთვე ლექსი, თუ ნათლად უთქვამსთ, სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალალბოდ და ამხანაგთა სასიამოვნოდ.

მელექსე თვის ნაჭირნახულევ ლექსს ცუდად არ უნდა. ჰხარჯავდეს. სამიჯნურო ერთი უნდა უჩნდეს, ერთ ვისამე აშიკობდეს, ყველაფერს მისთვის ჰხელოვნებდეს, მას აქებდეს, ამკობდეს, მის მეტი არავინ უნდოდეს, ენა მისთვის ჰმუსიკობდეს.

II

ჰასაკში შესული კაცის გულს იზიდავს საყვარელი სახე. როგორც  
ტყვე-ქმნილს, აკვნესებს და უკარგავს ნებასა. მოყვარე შეყვარებული  
ვაპხლება.

ვეფხის ტყაოსნამდე სარომანო ელემენტი ქართულ მწერლობაში  
შემოიტანა სახელოვანმა მწერალმა გიორგი მურჩულმა (VIII—IX) ტაო-  
კლარჯეთის მოღვაწის წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. შემოტა-  
ნილი აქვს ავტორს ორი სარომანო ამბავი არტანუჯელ ბაგრატულით  
აღარნასე და აშოტ კურაპალატის ცხოვრებისა.

აღარნასე კურაპალატმა თავისი მეუღლე, ბივრილა ლელოფალი,  
ხასის ჩაგონებით დაუბრუნა მის მშობლებს აფხაზეთში. აღარნასე მძი-  
მე აჯადმყოფი შეიქმნა. ეგონა, ცოდვამ უწია. მოციქულის პირით თა-  
ვის მეუღლეს სთხოვდა, აღარ დაეწყევლა. დედოფალი კი, რომელიც  
ანასტასიას სახელით მოლოზნად შემდგარ იყო და ეწეოდა უკანასკნელ  
შრომას შონასტრის სხვა დედებთან ერთად, არა თუ არ სწყევლიდა  
აღარნასეს, არამედ სრულებითაც პატია შეცოდება და მაცხოვარს  
ევედრებოდა მისი სულისა და ხორცის განკურნებასა.

აშოტ კურაპალატმა არტანუჯში თავის მეუღლეს აუშენა დიდე-  
ბული ციხე დარბაზი, ზაგრამ შემდეგ მოიყვანა ხასად მეძავი დედაკაცი,  
რომელთანაც სცოდავდა. წმ. გრ. ხანძთელმა რიცა შეიტყო აშოტ კუ-  
რაპალატის. ისეთი უზნეო საქციელის ამბავი, ადგა, წავიდა და ჩუმად  
ვაპარა აშოტის ხასა მერეს დელათ მონასტერში, რომლის წინამძღვრა-  
დაც იყო დედა ფეხრონია. შაშინ კურაპალატმა თავი დაიმცირა და  
გასწია დედა ფეხრონიასთან. სთხოვდა, პატარა ხანს გამოეშვა ის ქალი,  
რომელსაც, როგორც ვითომ მათი სახლის გამგეს, ანგარიში უნდა  
ჩაებარებინა, მერმე კი დაბრუნებულ იყო ისევ. მაგრამ დედა წინა-  
მძღვარმა გაბედული უარი მოახსენა კურაპალატსა. აშოტ გულდაწყვე-  
ტილი აღვა და წამოვიდა.

რა საკვირველია ამ ამბის მოხსენება საჭირო შეიქმნა აგიოგრაფის-  
თვის იმიდ, რომ ალემალლებინა ზნეობა და გავლენა წმ. გრ. ხანძთე-  
ლისა. და მნიშვნელობა სასულიერო წოდებისა, რომელიც მაშინ თავის  
თავს მეფეზე დამოუკიდებლად სთვლიდა. რამდენად დასაგმობი იყო  
უკანასკნელი ამბავი, იმდენად მოსაწონი იყო სულგრძელობა ბივრილა  
დედოფლისა, რომელიც ღამამცირებელ და ცოდვილ ქმარს სრულ პა-  
ტიებას უთვლიდა.

მთავარ დიდებულთ ცხოვრებაში აღარნასე და აშოტ კურაპალა-  
ტები მრავლად იყვნენ. მათი ცხოვრებისთანაც სართულა ელემენტი ნ.  
მარის თქმით შემდეგ განვითარებულა ცალკე სამწყრლო ფორმად, რო-

მელსაც ნასახები შეჰმატებია სპარსული რომანტიკისაგან \*). ამას გარდა მარჯორი უორდროპის ვეფხის ტყაოსნის ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა ცხად ჰყოფს, რომ შოთა რუსთველს, როგორც ქრისტიანე ავტორს, თავის ქმნილებაში შეუტანია დაბადების მრავალი ციტატი და სახელი, რაც ადგილობრივ ქართულ მწერლობაში უნდა ეპოვნა. ყურ დასაგდებია კიდევ შემდევი გარემოება. ქართულ საერო პოეზიაში სიყვარული ერთგვარი საიდუმლოებაა. ხალხს უთქვამს, სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარევსა, თუ გამოჩნდა, ვლოვა უნდა, ვითა ძმასა საყვარელსაო. სიყვარულს წმინდასა ჰყოფს გვირგვინი, როგორიც ზეციონ მოდის. და ჩალაბულაში გასარევი არ არის. მაშასაღამე სიყვარული წმინდა და საღვთოა სწორედ ისევე, როგორც შოთა რუსთველს ესმის. იმავ პოეზიაში შექებულია სილამაზე, როგორც ქალის, ისე ვაჟისა. მაგ. ბროლის ციხეში მყოფს ეთერს ამშვენებს ბრტყელი შუბლი, წვრილი წარბი, მწყაზარი ყელსაფეთქელი, ცხვირი სოთი, კბილი მძივი, ბაგე ხახვის ფურცელი. საზოგადოდ ქალია წმინდა ცა ვარსკვლავებიანი, მზე დაფენილი დილით, უკვდავების წყარო, ოქროს მილით ნადენი, შობით იას უშვია, ქებით ვარდს გაუზრდია, ნარგიზს ძუძუ უწოვებია, სუნნელებით შეუშვინ. ჭაბუკს კი ყოველთვის ამშვენებს ბროლივით თეთრი კბილები, რაც შოთა რუსთველსაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ორთავ სქესის გმირთა სილამაზისთვის. მტრის მოკლულ გმირს ხალხი დასტირის, ვინა მოგტეხა კბილები თეთრები ბროლიფითაო. აბესალომ ცათა სწორია, ხოლო ამირან ცით სვეტად ჩამოსული, ღვინის ფერი, მშვენიერი, დილის მზე, კრთომით ამომზევებული, თუმცა მრისხანების დროს ჰგვანდა საავდროდ გამზადებულ შავ ლოუბელსა.

სარომანო ამბავი მთავარდიდებულთ ცხოვრებისა და საერო ლირიკა რაკი საკმაო არ იყო, საჭირო გაჭხდა განმარტება მისი თუ, როგორი უნდა ყოფილიყო მაინც ქართულად რო ვსთქვათ, მოყვარე, ანუ შეყვარებული. ის გარემოება, რომ ვეფხისტყაოსანში მუსულმანთა საზოგადოება არის გამოყვანილი და ქართული ტერმინების მაკიერ ნამარის არაბული ტერმინები მიჯნური და შმაგი, შესაძლებელია, შეხდულება ამ საგანზე, მართლა შეფარდებულ იყვეს აგრეთვე სპარსული რომანტიკის სხვა და სხვა ლონესთან. ნ. მარის აზრით ნეოპლატონიზმს გაუადვილებია ქართველთათვის დაახლოვება. მუსულმანთ ქვეყანასთან და გავლენა ჰქონია საქართველოში ქალის გაიდეალიზებული სიყვარულის განვითარებაზე \*\*). მაშასაღამე ვეფხის ტყაოსანი უნდა წარმოად-

\*). იხ. Георгий Мерчулъ. Житіе св. Григорія Хандзтійского, введеніе, издавіе и переводъ Н. Марръ. СПБ. 1911 г.

\*\*). იხ. Н. Марръ. Вступительныя и заключительныя строки Ватязы въ барсовой кожѣ Шоты изъ Рустава. СПБ. 1911 г.).

შიჯნური შმაგია, რათგანაც ჰშმაგობს ვერ შეხვედრის გამო გულნაჯუენი. ზოგს საღმრთო სიახლოვე აქვს, ღმაურენით იჯერებს თავსა, ზოგს კი ბანებადა არის კეკლუკვეზე ფრენა.

კაცი არ უნდა იუერებდეს საყვარლის სიყვარულსა. ვინც უყვარს, არ უნდა აყივნებდეს მისთვის მკვდარსა, მისთვის გულ-დაწყლულებულსა. თუ არ უყვარს, უნდა სძულდეს. არ უნდა აყივნებდეს, რაც სძულსა.

თუ მოყვარე სტირის მოყვრისთვის, სამართლიანად სტირის. სის რული, მარტოობა ჰშვენის და გაჭრად ჩაეთვლება. მოყვრისგან ვერ უნდა მოიცალოს. მისოვის სიკვდილი თავის ლხინად იქმაროს, დღე და ღამ საგონებლად ის ჰყავდეს. მიჯნური მტერსაც შეებრძლება, ხელქმნილია, სულთა დგმისთვის ვერ გაუძლია.. მოყვრისგან შორის შეივარება ლხენა-ჟვებას არ უნდა აჰყვეს ცხელის ცეცხლის და ბევრის სულთქმისაგან დამწვარი. სიუვარულისთვის ხელ-ქმნილმა მინდვრად უნ-

და იაროს: საყვარლის ღიმილის ვერ ჭვრეტას ვერ უნდა უძლებდეს. მიჯნურმა სხვა თავისებრ მიჯნური უნდა შეიყვაროს. საყვარელი, სატრფო უნდა იყვეს მისი იმედი, სიცოცხლე, გონება, სული და გული.

ცუდუბრალო ბნედა და სიკვდილი მიჯნურობა როდია. მიჯნურმა საყვარელს საგმირო საქმეები უნდა უჩვენოს. მისთვის ღამე უნდა ერჩიოს, სწადდეს არ გათენება ღამისა. საყვარლის პირის-პირ ჭვრეტის, მასთან ახლო ყოფნას არაფერი სჯობია სიამითა. მისი ჭვრეტის მოვონება მიჯნურს უნდა აღსხენდეს ისევე, როგორც მისი კვლავ შეყრა. საყვარლისგან შუქი უნდა ეფინებოდეს, ძილშიაც ჰნახულობდეს, უმიმდ სიცოცხლე მოსწყინდეს. მისი დაკარგვა დღე იყვეს მისთვის სულთა მხდომელი, გულს სევდა შემოაწვეს, ჭირთა მოპოება დაიწყოს.

რა ერთმანერთი ჰნახონ, არ შეხედვა ვერ უნდა დასთმონ. სატრფოს უნასაობისგან შმაგი უფრო უნდა გაშმაგდეს.

საწუთრო და ქვეყნად ყოფი, აგრეთვე კაცი, ვით ნადირს, ისე უნდა მიაჩნდეს. ხელ-ქმნილი მარტო მხეცოან უნდა დადიოდეს.

მოყვარემ მოყვრისთვის თავი არ უნდა მოარიდოს ჭირსა, გული მისცეს გულისთვის, ხოლო სიყვარული გზად და ხიდად.

მიჯნურს მიჯნურის ჭირი დიდ ჭირად უნდა მიაჩნდეს, უნდა ჰერლიდეს სიყვარულს, სატრფოსგან დანერგულსა. უნდა შეინახოს მოყვრის მტკიცე სიყვარული, იცოდეს ძებნა მისი წამლისა, რა დროსაც უისაც შეეყრება. კაცს მიჯნურობა ატირებს და აგულჩვილებს. მოყვრის მოშორება მისთვის ბინდია და არა დილა. გონებით საყვარელს უნდა ახლავდეს. სიცოცხლეს უნდა გაუძლოს, სატრფოსთვის თავის დადება ერჩიოს. მისგან ცეცხლის დება არ დაიმჩნიოს, რათვანაც მიჯნურობის გამოცხადება არ მოუხდება. მოყვრობის ნიშანია უპირველეს სიახლოვის ნდობა, სიშორის ვერ მოთმენა, მიცემა და უშურველობა, ჩუქების არ მოწყენა, გავლენა და მოხმარება, აგრეთვე მისი გულისთვის ველთა რბენა. გაჭრა ხელობა არის მიჯნურისა. მოყვრისთვის სიკვდილი თავაშაუ და მღერად უნდა მიაჩნდეს. ბრძენი კაცი ვერ გასწირავს მოყვარულ მოყვარესა, არც არგებს. მოყვრის არ დავიწყება აროდეს უზაშს ზიანსა. საყვარლის ვერ ჭვრეტი ჭირს გაუახლებს. სჯობს სიყვარულს დაუძაბუნდეს. სიახლოვეს ვერ უნდა გაუძლოს, სიშორე კი ინანოს. ვინც მოყვარეს არ ეძებს, თავის მტერია.

საქაოს გაყრილნი მიჯნურნი საიქიოს შეიყრებიან, ერთმანერთს ჸნახვენ, კვლავ გაიხარებენ. ღვთისთვის სავედრებლიად გაუხდიათ, წუთი სოფლის ტანჯვას, ცეცხლს, წყალს, მიწას და ჰაერთან ძრწოლას მორჩენ, ფრთები მიეცესთ და აფრინდენ, თავის ნდომის ეწივნენ, დღისით და ღამით მზის ელვათა კრთმას ჸხედვიდენ. უამათოდ მზე ვერ იქმნება, რათვანაც მისი ნაწილარნი არიან, რისგამოც ეახლებიან, როგორც მისი ეტლნი, არა თუ გაწმილებულნი, იქ ჸნახონ ერთმანერთი, მასვე

თავი დარონ, გაუნათლონ ერამანერთს დაჩრდილული გული. თუ სიცოცხლე მწარე ჰქონდათ, სიკვდილი მაინც ტკბილი ჰქონდესთ. რა კი სული ერთმანერთისთვის შეუვეღლებიათ, სიკვდილი აღარ უმძიმთ.

მიჯნური უფათერაკოდ ისევე ვერ შოპრჩება, როგორც ვარდი უკლოდ არ მოიწყვიტება. საწუთროს დაანარვლებს, მაგრამ ბოლოს ლხინს მისცემს, ვინც პირველ ჭირს გაუძლებს. თუ სიყვარული არ მოჰყეს, თვით უნდა მიჰყეს, რაც სწავლია, ბოლოს ყოველი დაფარული. საქმე მისთვის ცხადი შეიქმნეს.

მოშორება და მოყვრის გაყრა კაცის მკვლელია ისევე, როგორც სურვილი და ვერ ნახვა. მოყვარე მტერი ყოველ მტერზე უფრო მტერია. თუ კაცი მეცნიერია, გულით არ მიენდობა.

არ ვარგა მეტის მეტი მოყვრის. შიში, კრძალვა და რიდი, განუწყვეტლივ კუშტობა და ჯავრიანობა. თუ გულის მოყვარეა, მოყვარესთან ახლო უნდა იყვეს, თუ არა და თვის თვისად ცალცალკე ყოფნა უნდა ერჩიოთ, რათგანაც ბოლოს მაინც უნდა შეიყარნენ, სიშორე არ უნდა მოსწონდეთ.

მიჯნურობა ზენა გვართა ნატამალია, ენით ძნელია სათქმელ გამოსაცნობი საქმეა, აღმაფრენის მიმუემი. ვინც ეცდება, მრავალი წყენის ატანაც შეპხვდება, სიძვის დასადარი როდია. იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა დიდი მზღვარი უზის. მიჯნურობა გასწავლულს გააშმაგებს, უსწავლელს გაასწავლებს.

სიყვარული საბრალოა, კაცს გულ მოკლულია გაპხდის, რყვე შექმნელია კაცის გულისა და საყვარლის მოშორება. მოყვარეს ლაზოდ გადაექცევა, სიყვარულის არ თქმა და ჭირთა. მალვა შეუძლებელია. სიყვარული სიყვარულის უნდა შეეცალოს და შეეწონოს. უნდა იყვეს სიყვარული უხვის და უშურველის მოყვრისა. სიყვარული კაცს ამალებს, მისი წახდომა საბოლოოდ შეუძლებელია. მისი დამბადებელია შიში.

ვეფხის ტყაოსანში ორი ამბავია, ერთი ავთანდილის და თინათინის, ხოლო მეორე ტარიელის და ნესტან დარეჯანის მიჯნურობისა. პირველი ამბავია არაბეთის, მეორე კი ინდოეთისა. პირველით გამოიხსნება ნასკვი მეორისა. ამბის ენა და განვითარება, აგრეთვე სიბრძნე, რომელიც შიგ იპოვება, სასწაულ მოქმედია: მისი კითხვა მუდამ ეხალისება აღამიანსა. თვით ამბავი ვეფხის ტყაოსნისა ასეთია.

1. ინდოეთს იჯდა შვიდი მეფე. ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა. თვითვე იყო მპყრობელი, ბატონობით კი შვიდსავე მეფეს ჰბატონობდა. იყო უხვი, მდიდარი, წყენა-უკატრი, ტანაც ლომი და პირაც მზე, ომაც მძლე და რაზმთა მწყობელი.

სარიდან მეშვიდე იჯდა და იყო მებრძოლი შემზარავი მეფე. წყენას ვერვინ ჰკადრებდა, ვერც ცხადლივ, ვერც მიპარვითა, პნალირობდა

და იშვებდა საწუთო-გაუმწარებელი. მტერთათვის წაერთმია სანაპირო ქვეყნები, ყოველგნით გაეყარა და ზეიმი და ზარი ჰქონდა მორჭმულსა.

მაგრამ მარტოობა, მოპეტრობა, გულჯავრიანად შეიქმნა და პბრძანა, წავალ და ფარსადან მეფეს შევეწყნარებიო. ადგა და მოციქულის პირით შეუთვალა, მწალია თქვენს წინაშე მეც ვიცნო ძალი და სახელი დაპრჩეს ჩემი ერთგულობისაო.

ეს ამბავი რა შეიტყო, ფარსადანმა მაღლობა შესწირა ღმერთსა. ზეიმი შეჰქმნა და შემოუთვალა სარიღანსა, რათგანაც ეგა ჰქმენ, ეხლა მოდი, ასე პატივი გცე, ვითა შეცფერის ძმას და მშობელსაო. უბოძა ერთი სამეფო საკარგყმოდ და ამირბარობა. თვით ამირბარს ინდოეთში ჰქონდა ამირსპასალარობაც. მეფედ დასჯდა სარიღან. სხვაფრივ პატ-რონი იყო, მხოლოდ არ ჰქონდა კეისრობა. ფარსადანმა თავის სწორად დაიჭირა და სთქვა, ნაძლევი ვიქმნები, თუ ჩემისთანა ამირბარი სხვას ვისმე ეყოლებაო. ლაშქრობდა და ნადირობდა. მტრები აძლევდნენ ზავსა.

შეფეხა და დედოფალს ეს არ ჰყანდათ. სწუხლნენ. აღგნენ და იშვილეს ტარიელ, ეს სარიღან მეფისა. ფარსადანმა სთქვა, შეილად გავჰზრდი, თვით ჩემივე გვარი არისო. ჰზრდიდნენ ტარიელს ლაშქრის და ქვეყნის საპატრონოდ. სახელმწიფო ყოფაქცევის სასწავლებლად მისცეს ბრძენთა, მოიწიფა. თვალად მხეს და ნაკვთად ლომს დაემ-გზავსა.

ხუთი წლის იყო ტარიელ, რა დაორსულდა დედოფალი. დაებადა ასული. ნესტან დარეჯან დაარქვეს. მაშინვე მზეს ჰგვანდა, ძეობას. რა მოპრჩინენ, ზრდა დაუწყეს ტარიელს და ქალსა. მეფეს და დედოფალს ერთიც, მეორეც უყვარდათ და სწორად მიაჩნდათ.

ნესტან დარეჯან შვიდი წლის შეიქმნა წყნარი და ცნობილი ქა-ლი. ამ დროს, ტარიელს მეომრობა შეეძლო. მეფე თავის ქალს სამე-ფოდ ჰზრდიდა და ტარიელ ხელთ მისცა მამასვე. ბურთაობდა და თა-მაშობდა, ლომს ჰხოცდა კატასავით.

ქალის სამყოფად მეფემ სახლი ააგო. ქვად უსხდა დათლილი ია-გუნდ-ლალი. პირს ბალჩა და საბანაოდ ვარდის წყლის შადრევნები ჰქონდა.

იქ იყო ნესტან დარეჯან, ვისგანაც ალის სახმილი მოსდებოდა ტა-რიელსა. დღე და ღამ კეთილ სუნელება ეკმეოდა. ზოგჯერ კოშკში ჯდა, ზოგჯერ ბალჩაში ჩამოვიდოდა, რა მიადგებოდა ჩრდილი.

დავარ იყო დაი მეფისა, ქვრივი, გათხოვილი ქაჯეთსა. მეფეს იძისთვის მიეკა ქალი სიბრძნის სასწავლებლად. სრადარბაზი ედგა ოქ-სინო-შალით მოფარდაგებული. ვერვინ ჰქედავდა. ასმაუ და ორი მონა ახლოენენ. ნარცს თამაშობდა.

ტარიელ თხუთმეტი წლის იყო. მეფე შვილსავით ჰზრდიდა. სრო-

ლასა და ასპარეზობას უქმდლნენ. მინდორში ჰხოცდა მხეც-ნადირსა. რა შემოპატრუნდებოდა, ნადიმად დასჯდებოდა.

მამა მოუკვდა. ფარსადანს მოეშალა მხიარულება. მტრებს გაუხარ-  
დათ. საწუთრო-გაცუდებული ტარიელ ერთ წლამდის ბნელში იჯდა.  
დღისით და ღამით ჰვეგბლა. ვერვინ უკეთებდა გულსა. გამოსაყვანად  
ხასნი მოვიდნენ და უთხრეს მეფის ბრძანება, შვილო ტარიელ, შავებ-  
ში ნუ ხარ, უფრო გულს გვატკენს ჩვენი თავის სწორის დაკლებაო-  
რა უბობა ასი საჭურჭლე და ყოველი გასაგებელი, უბრძანა, შენ გქონ-  
დეს ამირბარობა და მასვე რიგს მისცემდეო.

ტარიელ აენთო. მამის სიკვდილის სახმილმა დასწვა. გამოიყვანეს.  
ზეიში შეკემნეს ინდოეთის მეფე-დედოფალმა. შორს მოეგებნენ და, ვითა  
მშობელნი, პატივით მოეხვივნენ. საჯდომად ახლოს დაჭსვეს, ვაჟის და-  
რად პატივს სცემდნენ. ორთავ დაავალეს ამირბარობის ხელობა. ჯერ  
ეურჩა ტარიელ, ბოლოს რა კი არ მოეშვნენ, დაპმორჩილდა და თაყ-  
ვანი სცა, როგორც ამირბარმა.

2. ერთ დღეს ტარიელ და ფარსადან მწფე მოდიოდნენ, რა ენადირ-  
ნათ. მეფემ ხელი ხელში დაუჭირა და უბრძანა, ქალი ვწნახოთო. ბალჩა  
იყო მშვენიერი ასე, რომ ყოველ სალხინოს სჯობდა. შიგ მფრინველ-  
თა ხმა ისმოდა სირინოზის უამესი. მრავლად იყო ვარდის წყლის შად-  
რევნები საბანაოდ. კარს ჰეთავდა თქსინოს ფარდაგები. მეფემ უთხრა,  
აიღე დურაჯები და მიუტანე ქალსაო. ტარიელმა ჩამოართვა და წავიდ-  
ნენ. მაშინ დაიწყო ტარიელმა საწუთროს ვალის გადახდა, რა გაიფიქრა

ალმასისა ჭხაში ლახვარი ლახვრად გულისა საჭისა.

იცოდა, მეფეს არ ჰეთავდა ვისგანმე მისი ნახვა და გარეთ დაჭვა. შეფემ  
შეკვლო კარის ფარდაგი. ტარიელ ვერას ჰეთავდა, მარტო ოდენ ესმოდა  
საუბრის ხმა. მეფემ ასმათს უბრძანა, დურაჯები ჩამოერთმია ამირბა-  
რისთვის. ასმათმა ფარდაგს აპირდა, ტარიელ ფარდაგის გარეთ იდგა.  
ქალს შექხედა, ლახვარი ეცა ცნობასა და გულში. მოვიდა ასმათ, დუ-  
რაჯები მასცა. ცეცხლი მოედო სახმილისაგან, დაეცა, დაპნდა. ჭაბუ-  
კი და ასმათ სტიროლნენ ასე, რომ არე ბანს აძლევდა, სთქვეს, გაცუ-  
დებული გმირთ მემუქარე მკლავებიო. ასმათმა წყალი დაასხა. ტარიამ  
სული მორთქვა. დიდხანს ვერა სთქვა რა, სევდას გული შეეკრა. და-  
სჯდა და მწარედ მოსთქვამდა, მისი ხსენება, ვაიმე, რა საზარელი გამ-  
ხდომია,

შიმდომი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან ჭრჩებიან,

იშვებენ, მაგრამ უმჯხოვდოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან.

ვაქებ. იმ ბრძენს, ვინც ეურჩებაო.

იმდროს გარშემოსდგომოდნენ ჯალამნი, თითქოს ნავთა ჩამსხდომ-  
ნი ყოფილიყვნენ. ტარიელ დიდ დარბაზში იწვა მშვენიერ ქვეშაგებში.

ცარემლ უშრობლივ დასტიროდნენ მეფენი, პირს იხოკდნენ ხელითა. მუყრები მოასხეს და სთქვეს, სენი სჭირს ბეჭზებულ ეშმაკისგანო. რა ტარიელ თვალ-ახელილი ჰნახა, მეფე ყელზე მოხვია და თვალ-ცრემლიანმა უთხრა, შვილო, სიტყვა სთქვი, თუ ცოცხალი ხარო. ტარიელმა პასუხი ვერ გასცა, შმაგივით შეპროთა. კვლავ დაბნედილი დაეცა, გულზე სისხლი გარდეთხია. მუყრები და მულიმები გარშემო ეხვივნენ, ხელთ ჰქონდათ მუსაფი და უკითხავდნენ. მტერ-დაცემული ევონათ, სამადლემდის იყო უსულო, უშრეტი ცეცხლი სწვავდა. ექიმებსაც უკვირდათ, ეს სენი რა გვარია, სამკურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე მოსწოლიათ. ზოგჯერ შმაგად წამოიჭრებოდა ტარიელ, მცდარი სიტუყვა წამოერეოდა. დედოფალმა რო ცრემლი დაპლვარა, ზღვეს შეიქმდა: სამ დღეს დარბაზს იყო ტარიელ ცოცხალ-მკვდარი. მერმე ცნობა მოუკვიდა. მიპარებდა რასმე მიუმხვდარი და თმობა სთხოვა შემოჭედსა, აქ ყოფნა გამამულავნებს და ჩემს სახლში დამაწვინეო. შემოქმედმანვე ჰქმნა და რა მოსჯობდა, ტარიელმა დაწყლულებული გული გაარკინა. წაშოსჯდა...

მეფისგან კაცი მოვიდა. ახარეს, წამოსჯდაო: დედოფალი გამოსვარდა. მეფე თავ-შიშველი გამოპრბოდა, არ იცოდა, რას იქმოდა. იგი ღმერთს ადიდებდა, სხვა ყველა უჩუმდა. იქით და აქათ მოუსხლნენ, სახვრეტელი ახვრიტეს. მეფეს მოასხენა ტარიელმა, პატრიონო, გული ეხლა უფრო მრთელი მაქვსო. ცხენზე შეჯღომა მოუნდა, ენახა: წყალი და ველი. ცხენი მოპგვარეს, შესჯდა, მეფეც მასთან ერთად წამსვლელი იყო.

გამოვიდნენ, მოედანი და წყლის პირი მოიარეს. ტარიელ მეფეს შინაშედე მოჰყვა: მერმე დაპბრუნდა სახლში, უარესად გაპხდა, ჭირზე სხვა ჭირი დაერთო. მის საწოლში მეგარე შემოგვა, მოლარე გაიყვანა. ჭაბუკმა სთქვა თუ, რა ამბავი იცის ნეტა ან იმან, ან იმანაო. მონააო ასმათისა, მოახსენა. ტმრიელმა უთხრა, ჰკითხე, რა იცისო, შემოვიდა სააშიკ წიგნი მოსცა. წაიკითხა. გაუკვირდა, სით უყვარვარ, ან ვით მკადრებს თხრობასა, მიუყოლობა არ ვარგა, უჩრახობას დამწარებს, ვრობას დამიწყებსო და დასწერა, რაც პასუხად შეეფერებოდა აშიკობახა.

დღე რამდენიც გადიოდა, ალი გულს უფრო და უფრო უწვავდა. ჰელარ უმზერდა მინდორში თამამად მავალ ჟაშქარსა. სრა-დარბაზში ვეღარ წავიდა. მკურნალმა მრავალმა დაიწყო მახთან მოსვლა. მრგრამ ვერა არვეს. ბნელის ბინდი დასცემოდა გულზე, სხვამ ვერავინ შეატყოცხელი ცეცხლის დება. სისხლი დასწამეს. მეფემ ხელის გახსნევინება ჰპრძანა. ტარიელმა გაიხსნა, რა კი სწადდა დაეფარა უეჭველი სატანჯველი. ხელ-გახსნილი, სევდინი, საწოლში იყო თავის. წინ. მისი მონა შემოვიდა, მოახსენა, მონააო ასმათისა. უთხრა შინ შემოყვანა:

მონამ წიგნი მოართვა. წაიკითხა. შეატყო, მოსვლის მოსწრაფებას ჰლა-მოდა. ტარიელ პასუხად სწერდა, ღროა, მოხვალ, თუ მიხმობ, ნუ ჰეთიქრობ, მოსვლის დაგზარდეთ. თავის გულს უთხრა, ეგ ლახვარი ვით დაგაღონებს? ამირბარი ვარ, ბელმწიფე, ყველა ინდოელები. მმონებენ, აზრს აღდებენ, საჭმეს ათასჯერ შეაწონებენ და თუ გაიგეს, თავიანთ ქვეყანაში იღარ გამატარებენო. მეფის კაცი მოვიდა, თურმე სწადდა ამბის შეტყობა. ტარიელმა კაცი შემოაყვანინა. ებრძანებინა ხელის გახსნა. შეუთვალი მეფეს, ხელი გავიხსენ, მოჯობინება დამიშუო და თქვენს წინაშე მოვალო.

დარბაზში მივიდა. მეფემ უბრძანა, ამის მეტს ნურას იქმო. ცხენ-ზე შეჰსვა უკაპარჭო და წელთ არაფერი შეაბა, თვითონაც შესჯდა. ქო-რები მოუტია, დურაჯები დაინაბა. მშვილდოსნები ნიშანში ისროლნენ. შაბა-შაბას იძახდნენ. იმ დღეს მინდორი მოიარეს და შინ დასხდნენ ნადიმად. მომლერალ-მუტრიბნი სულ-დაღებულნი არ იყვნენ. მეფემ მრავალი ლალი გასცა ასე, რომ იმ დღეს, ვინც მათ ახლდა, არ დარ-ჩენილია არცერთი აუვსებელი. ტარიელს არ ჰქონდა მოცლა, თავი დაეკრძალა სევდისაგან. იგონებდა, ცეცხლი უფრო ედებოდა. აჭა და თავისი ტოლები წაიყვანა. დასჯდა თავისის: შეჰსინა ნადიმობა სატან-ჯველთა და ჭირთა დასამალად. შინაურმა მოლარემ ყურში უთხრა, ქალი ვინმეა, ზეწრით მოუბურავს ბრძენთა საქებარი. პირი და იკით-ხავს, თუ ინახვის ამირბარიო. ტარიელმა უთხრა, საწოლში წაიყვანე, მე ვიხმეო. ადგა. მაშინ მსხდომნიც დაემზადნენ ნადიმის მოშლისა, მაგრამ ტარიელმა უთხრა, მოილხინეთ, ნუ ადგებით, ხან დაუზმელად მოვალო. გამოყიდა და საწოლში შევიდა. მონა კარში მცველად დად-გა. შედგა ტარიელ თუ არა კარში, ქალი წინ მოეგება, თაყვანი სცა, რა უთხრა, კურთხეულ არს, რამც ლირს მყო მოსვლად თქვენს წი-ნაშეო. ვაჯს გაუკვირდა სატრიფოსაგან მიჯნურის თაყვანება და სთქვა, არ იცის აშიკობა, თორემ წყნარად შინ იქმნებოდათ. ქალმა უთხრა, ეგ დღე სირცვილის ალად მედება, რათგანაც სრულიად არ მოვსულ-ვარ მაგისთვის, მაგრამ გულს იმედი მომეცა, რომ შენ ცდას ისწრა-ფიო. ადგა და უთხრა კიდევ, ჩემი პატრიონის ბრძანებას სუკვიდ ნუ ჩამომართმევ, რათგანაც ასეთი გაბედულობა მისი გულის წადილი უმ და ამ წიგნმა გაგაგონოს, ვის რაც უთქმევინებია ჩემთვისო.

3. ტარიელმა წიგნი ჩამოართვა. პნახა, შისი რყო, ვისი ცეცხლიც გულს უდაგავდა. მზისებრ შშუქარს მოეწერა, წყლულს ნუ დაიჩნევ, მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდებიო, ცუდი ბნედა მძულს და ეხლა ასმათ მოგახ-სენებს სუკვილაფერ ჩემს ნათქვამსაო.

ჟედითი ძნედა, ზოგვდილი რა შიჯნურობა გგონა?

სჯობს, სავარეფსა უჩვენე საჭენი საგმირონია.

ეხლა ჯავრი ამოიყარე ხატაეთისა, სადაც უველა მყოფნი ჩვენი სახარაჯო არიანო. წინადაც ვიყავ მღომი შენი ქმრობისა, მაგრამ აქამდი საუბრად დრო არ შემხვედრია. ხელ-ქმნილს კუბოში მჯდომი გიჭვრეტლი და უველაფერი მსმენია, რაც თავს გარდაგხდომია. წა, შეები ხატაელებს, თავი კარგად მიჩვენე, ცუდად ნუღარ სტირი, მზემ მეტი რალა გიყოს, აპა, ბნელი გამითენებია შენთვისაო.

4. ნესტან დარეჯანის მონაწერი უსტარი ტარიელმა თვალთა დაიღო. და პასუხად სწერდა, ღმერთმა ნუ მომცეს, რაც შენი საკადრისი და შესაფერი არ იყვესო. ასმათსაც დავალა, მოქსენებინა მისთვის, მკვდარი ეხლა შენგან ცოცხალვარ და შენს სამსახურს არ დავერილებიო. ასმათმა მოახსენა, მე მიბრძანა, სჯობია, ესე ვპქმნათ. ვინც გნახოს, ჩემგან ვერ სცნობდეს მის საუბარსა. ჩემ სანახავად მოვიდოდეს, შენ ვითამც გაშიკობდესო და დამავედრა, ამირბარს უთხარ, ასე ნამუსობდესო.

ეს თათბირი ეკეთა, ვითა სიბრძნე მისი გულისა, მისი, ვის ნახვასაც მზე ერიდებოდა; ვის შუქთაგანაც დღის სინათლე ჰგვანდა უკუნსა. ასმათს მიართვა რჩეული თვალი ოქროს ჯამითა. ასმათმა მხოლოდ ერთი ბეჭედი იღო, მეტი არ ინდომა, რათგანაც სავსე იყო სხვა ხელის შესაბამითა. ჭალი აღგა, წამოვიდა. ტარიელს ლახვარი მოჰშორდა გულსა. ლხინმა ბნელი გაუნათლა, მწველი ცეცხლი დაუქრა. შევიდა, ნადიმადვე დასჯდა, სადაც მისი ტოლები ილხენდნენ. მხიარულმა საბოძვარი გასცა, ზარი და ზეიმი. გაადიდეს.

5. ტარიელმა კაცი გაპეგზავნა ხატაეთს წიგნითა. სწერდა ხატაელთ მეფესა, ინდოთ მეფე. ღვთისებან ძლიერია, მათი ერთგული ყოველი შშიერი სული გასძლება; ხოლო ვინც ეურჩება, თავის არ მაღლიერი იქმნებაო; ჩვენო ძმაო და პატრონო, რა პნახოთ ეს ბრძანება, აქ მოლით; თქვენ თუ არ მოჰშვალთ, ჩვენ მოვალთ ასე, რომ სჯობს გვნახო, თავის სისხლს ნუ ეწიარებიო.

ტარიელს უფრო მიეცა ლხენა გულისა, დარბაზში იშვებდა. მაშინ წუთი სოფელი უხვად აძლევდა, რაც პნებავდა. პირველად გაჭრას აპირებდა, მერმე ცნობა დაუწყნარდა. ტოლ-ამხანაგნი არ იშლიდნენ მასთან ნადიმობასა. მაგრამ მოლხენას უშლიდა სურვილთა დრადობა. ზოგჯერ სევდაც მოერეოდა ასე, რომ ჰფიქრობდა საწუთროს გმობასა.

ერთ დღეს საწოლში შემოვიდა მეფის სრადარბაზით წამოსული. იჯდა და ნესტანსავე იგონებდა, თვალთ არ მოსდიოდა რული. საიმედო წიგნი ჰქონდა, მხიარულადაც მის გამო იყო. მცველმა მონა მოიხმო კარსა და უთხრა ტარიელს ფარულად, ასმათის მონა არისო. ტარიელმა უთხრა საწოლში შემოყვანა.. ასმათს მოეწერა, გიბრძანებსო. მაშინ ლხინმა ბნელი გაუნათლა ტარიელს, აუფოფხვა ჯაჭვთა მანა და შევიდა, თანვე მონაც გაიყოლა.

ბაღჩა შეჰვლო. ხმის გამცემი კაცი არ დაპირდრია. წინ მოეგობა მხიარული, შოცინარი ქალი და უთხრა, მოდი, ჰასე შენი უფრჩქვნილი და დაუმჭენარი ვარდიო. ქალმა თავისი ძალია აუგდო მძიმე ფარდა-გი, სადაც იდგა ბაღახშ-ლალით შემჯული კუბო. შიგ იჯდა ნესტან დარეჯან მზისებრ ელვა მკრთალის პირითა. ტარიელს ლამაზად უცქე-როდა თვალითა, რომელიც მელნის ტბას მიუგავდა. დიდხანს იდგა ტარიელ, სიტყვა არ უთქვამს ქალსა, მხოლოდ ტკბილად უცქეროდა შინაურსავით. ასმათ მოიხმო. მოილაპარაკეს. ქალი მოდგა, ყურში უთ-ხრა ტარიელს, აწ წადი, ვერას გეტყვისო. ტარიელ კვლავ შეიპყრო დარდმა.

ასმათ გამოპყვა. ტარიელ წამოვიდა, რა გამოიარა ფარდაგი. სთქვა, საწუთრო, ცისაც წელან გული გაშიმრთელე, მაშინ მოგვეცა იმედი, ლხინი რად გამიზიარე. დაშორების სიძნელე გულმა კვლავ უფრო მაგრძნობინაო. ასმათ უქადებდა ლხინსა. ბაღი ჩაიარეს. უთხრა ტარიელს, ეგრე წამოსვლისთვის გულს არ დაიჩნიო დალი. სიხარულს მიეც თავი. საუბრის ჰრცხვენია, მერმე ლალი არიდებს თავსაო. ტა-რიელმა უთხრა, გიცქერი გულის წამალსავით, წიგნი არ გასწყვიტო ჩემ-თან და დაუმალავად მომწერე, რასაც სცნობდეო.

შესჯდა, წამოვიდა. ცრემლთა მილის ნაკადი. სდიოდა. საწოლში შემოვიდა, ხელ-ქმნილს არ ჰქონდა ღონე ძილისა, ბროლ-ლალისებრი. შეიქმნა უფრო ლურჯი, ვიდრე ლილი. ღამე ერჩია, დილის არ გათე-ნება ეწადა.

6. რამაზ ხატაელთ მეფეს ლალი და უკადრისი პასუხი შემოეთვა-ლა, არც ჩენ ვართ ჯაბანნი, არც უმაგრო ციხე გვაქვს, თქვენი ხელ-მწიფე ვინ არის, ჩემზე რა პატრონია. როგორ თუ მანდ გეახლო ბევ-რი ერის პატრონი, ამის მეტი აღარ ვჰნახო შენი წიგნიო.

მაშინ ტარიელმა უბრძანა მოწვევა ლაშქრისა. მარზაპინი გაპგზავ-ნა. ინდოთ სპა ფიცხლავ შემოპკრბა ვარსკვლავთ ურიცხვი ასე, რომ მინდორ-ველი და კლდე-ღრე ერთობ აივსო ლაშქრითა. აღლუმი ჰნახა ტარიელმა. მოეწონა, როგორც მოკაზმულობა, სიჩაუქე, სიკეთე და კეკ-ლუცად დარაზმულობა ლაშქრისა, ისევე მათ ტაიჭთა სიმალე და აბ-ჯრის ხვარაზმულობა. ამართა მეფის ღროშა წითელ-შავის ალმიქა და პბრძანა ღილას უთვალავის ჯარით წასვლა. თავს სტიროდა ბედშავი, ჩემი პირ-მზე თუ არ ვჰნახე, როგორ ვიაროო.

შინ მივიდა. მოწყვენილ გულზე სევდა შემოაწვა. თვალთავან სა-გუბარივით გადმოსჩქვდა ცხელი ცრემლი. სთქვა, ჩემი უბედური ბეჭ-ჯრეთაც ვერ გამეფებულია!

სეჭმინ ვარდი. რად ისეჭთა, რათვან ასე ვერ მოჭკრეფდა! შემოდგა მონა. ასმათის წიგნი მოართვა მეტად შეჭირვებულსა. სურ-

და, შენი პირ-მზე გიხმობს. მისთვის მოსურვებულსა, შანდ ტირილს სჯობს, მოჰქვიდეო. ტარიელს გაუხარდა. შეღამდა თუ არა, წფიდა.. ბალის კარი შეიარა. საღაც ასმათ პირველად ენახა, იქვე სჩნდა. მდგომარე. სიცილით უთხრა, შოდი, მოგელის მთვარე ლომსაო. შეპვლო ტარიელმა სახლი ბანის-ბანით კეკლუცად ნაგები. ნესტან გამოხჩიდა, ვით მთვარე გარე შუქმონავანის ნათლითა, ფარდაგის შიგნით იჯდა მწვანედ მოსილი და ოვალ-ტანად საკრძალავი და უცხო იყო. შევიდა ტარიელ, წადგა ნოხთა პირსა. გულის ცეცხლმა შრეტა დაუწყო, ბნელი გაუნათლა და ლხინი სვეტად დაადგა. ნესტანს ბალიში შემოეგდო, ტარიელისგან პირს იფარვიდა, ერთ წამს გამოიხედავდა საცეკრლად. ასმათს უბრძანა, მოახსენე ამირბარს; დასჯდესო. ასმათმა ბალიში ნესტანის პირდაპირ დასჭვა, ზედ ტარიელ დასჯდა და უხარიოდა გულის რომელიც მანაშედე საწუთროს ჰერობდა. უბრძანა, გეწყინა, პირველად უუბარი გამოგისტუმრე, ვითა მზემ ბარის ყვავილი დაგაჭინე, ცრემლის დენა დაყსჯიდა, მავრამ სირცხვილი და რიდი მმართებს ამირბარისა.

თუშტა ქმართებს დედაკაცსა მამაკაცის დიდი კრძალვა,  
მაგრა შეტი ფარეა არა თქმა და ჭირთა მაღვა.

ასე, რომ თუ ზეპირ მიცინია, ქვექვე იღუმალ მივაგლახნია, რაც ორთავ ერთმანერთი ვიცით, ეხლაც საშენოდ მიგაჩნდე ეგრევე პირ-მტკიცე. თუ გეცრუო, ლმერთმა მიწა მემნას. წა, ხატაელთ შეები, ილაშქრე და ინაპირე. ლმერთმა ჰქმნას, გამარჯვებულ-მორჭმული მოსულიყვე ჩემთან. მავრამ რა ვჰქმნა, ვიდრე კვლავ გნახავდე. გული მომეც გაუყრელად, ჩემი გული კი შენთვის დაიჭირე. ეხლა რასაც მე მაღირსებ, ხორციელი არ იქმნება, მისი ღირსი.

შეწუალება იჩქმთა ღვთისა, აშად არა შეგირსა!

შენმა შუქმა ბნელი გული გამინათლოს, შენი ვიზვე, ვიღრე მიწა პირს დამიყოფდესო. საფიცარ წიგნზე შეპტიცა. ჸაბუკმაც შემოპტიცა, თუ ვისიმე მოწონება შენს გარეთ გულში გავიტარო, ლმერთმა მომკლასო.

ტარიელმა ხანი დაჲყო ნესტანთან, ტკბილად ილაპარაკეს. შეამეს სამური ხილი. მერმე ადგა ტარიელ წამისასვლელად ტირილით და ცლემლთა დენითა. ნესტანის შუქთა მშვენება გულზე ნათლად ადგა. მისი სიშორე ეძნელებოდა. სოფელი განუახლდა, ილხენდა და თავისად უჩნდა იგი სინათლე, რომელიც ეთერით მზედ სჩანდა.

დილას შესჯდა. უბრძანა, ჸკარით ბუქსა და ნობასაო. სრულიად მოემზადა სპა შესასხლომაც. ვითა ლომმა, მიჰმართა ხატაეთს. მხდლობას ვერ ვინ უზრახავდა. ინდოთ სამზღვარი დააგდო. ბაშტა ხანი იარა და რამაზ, ხატაეთის ხანის ქაცი შემოპტედა. გულის მოსაფხანი მოციქულობა უთხრა, ჩვენ მგელთაც დასჭამენ. თქვენი ინდოთ თხანიო. რა-მაზისგან ძლვნად საშინელი საჭურჭლე მოუვიდა. უთხრეს, გკადრებს,

არ ამოგვწყვიტო, დაგვიფიცე, შით ყელზე წნელი გვაბია; მოურბევ-ლად მოვასხათ თქვენ წინაშე თავი, შვილები, საქონელი. რაც შეგ-ცოდეთ, შეგვინდეთ, თვით ჩვენვე შეგვინანია. თუ ლვთით შეგვიწყა-ლებდეთ, სპა აქ ნუ მოვა, ქვეყანა არ აოხრდეს, რისხვით ცა არ და-გვატყდეს. მოგვყვნენ ცოტა ყმები და მოგცეთ შენ ციხე-ქალაქია.

ტარიელმა გვერდს დაისხა ვეზირები. ილაპარაკეს და ითაბირებს. უხხრეს თუ, ბრძენი გკადრებთ გლას-ენით, შენა ხარ ყმაშვილი, ხა-ტაელები მეტად მუხთლები არიან, ერთხელ კიდეც გვინახავს. ფრთხია ლად, არ მოგკლან ლალატით, არ ვავაგლახოთო ჩვენ ამას ვარჩევთ, წივიდეთ კარგ შამაცო ხლებითა, ლაშქარი ახლოს ვიყოლით, გულ მართლად იყვნენ, მინდობით, ხოლო თუ არ ჭაგვმორჩილდენ, ცის რისხვა მოვაწიოთ მათ თავსაო.

ვეზირთ ნავაზირები თათბირი იგი ეკეთა ტარიელსა. აღგა და შეუ-თვალა, რამაზ მეფეო, შენი დანაპირები ვსუან, სიკვდილს სიკოცხლე გიჯობს, სიმაგრედ ქვითკირები არ დაგვიდგამს, ლაშქარს დაფჰური და ცოტათი წამოვალო.

იმ ლაშქრის სამასი კარგი და ქველი ვაჟკაცი თან წამოჭყვნენ და წავიდა, რა დაპყარა სპა. დაავედრა, სადაც მე ვივლი, ივივე ველი გა-მოიარეთ, ახლოს მომდევდით, მიშველეთ და მოგიხმობთ, თუ დამჭირ-და შევლაო.

სამი დღე იარა. შემოჭხვდა სხვა კაცი იმავ ხანისა. კვლავ უძლვნა უცხო და უცხო ტანისამოსი. რამაზ ხანს ებრძანებინა, მწარია, ვჭნახო სიახლე შენი, ლალის და ძალლონიერისა, რა შეგხვდე, მაშინ სცნა ასეთ ასეთის ძლვნობაო. კვლავ ჭოქვა, მე თვით წინ მოგეგებვი, შენი ნახვა მესწრაფებაო. ტარიელმა იმ კაცს დააბარა, მოეხსენებინა ხანისოვის, ტებილად გვენახოს ერთმანერთი და შამა-შვილობით ყოფილვიყვნეთო.

იქითგან წასული ტარიელ ჩამოჭხდა ტევრის რამ კიდესა. კიდევ მოვიდნენ მოციქულები და სალამი მოახსენეს. საუცხოო ტაიჭები მოჭ-ყვანდათ. უხხრეს, შენს ნახვას მეფენი მართლა პნატრულობენო. რა-მაზ მეფეს შემოეთვალა, მეც შენკენ მოვდივარ და სახლით წამოსული ხვალ ადრე შეგხვდებიო. მოციქულები დააყენა ტარიელმა, რა დასდ-გა ხარგა. მეტად კარგად უაღერსა. მაყრებივით ერთგან დაწვნენ.

კარგი საქმე ქაცის ზედა აზომ თურმე არ წაჭხდების.

ერთი კაცი რა მოჭმორდა, მოდგა და მალვით უხხრა ტარიელს, დიდი მაძვეს თქვენი ვალი ასე, რომ ჩემგან შენი გაწირვა და ლავიწყება-ჭრ იქმნებაო. მამითქვენისაგან ცოტათი განაზარდი ვარ, მესმა თქვენი სალალიატო და საცნობად გამოვვარდი. მიმძიმე მკვდარი სანახავად თქვენი მცევრი ტანი და ვარდი პირი, ყველაფერს სოგახსენებ, გამიგონე და დამიწყნარდი, ცუდად არ მოპლორდე, ის კაცი გლალატობენ, ერთ-გან შენთვის დამალული სპა ასჯერ ათასობს, კვლავ სხვაგან გიდგია.

ერთი სამაც ბევრი, ასე ფიცხად მით გიხმობენ. თუ თავს არ ეშვევი, ფათერაკს შეგამოხვევენ. მეფე ცოტად მოგეგებვის, მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, ლაშქარი კვამლს შეჰქმნის და ყოველგნით მოგეხვევიან და რა ერთს ათასი გცემს, ეგრეც მოგერევიანო. იმ კაცს ტარიელ ელაპარაკა სია-მოვნებით და მაღლობა ვადაუხადა; რა უთხრა, თუ არ მოვჭიდლი, შე-მოგზლავ, ამას ინატრიდე. წადი, ამხანაგებმა არ შეგიტყონო. არვის გაენდო სულდგმულსა, ჭორივით დაპმალა, სთქვა,

რაცა იქმნების, იქმნების, ყოვლი თათბირი სწორია-დ  
და სპისკენ გაპეზავნა კაცები, რა შეუთვალა, ფიცხლა წამოდით,  
მთა და გორი მოპგრაგნეთო. ღილას მოციქულთ ტკბილი სიტყვა შე-  
უთვალა, რამაზს ჰყადრეთ, მოგეგებვი, მოლი, მეც მალე მოვალო. ნა-  
ხევარი დღე სხვა იარა, ჭირს თავი არ აკრძალა, სთქვა,

განგებაა, დდესმცა მომკლავს, ქვემცა სადა დავემალე!

ქედს რასმე გადაადგა. მინდორში მტკერი ჭაინახა. სთქვა თუ, რამაზ  
მეფე მოდის. თუმც მახე დაუფგამს ჩემთვის, მათ ხორცს ჩემი ბასრი  
ხმალ-შუბი გაპკვეთსო. ჟაშინ თავის სპას უთხრა, ძმებო, ის კაცნი და-  
ლატს გვიპირებენ, მკლავთ სიმაგრე არ მოგეშალოს.

გინცა მოჰკვდებ შეფეხათვის, სულნი მათნი ზეცას ჭრიან.

ხატაელებს შევებმნეთ. ბმალი ცუდად არ გვარტყიაო. აბჯრის ჩაცმა  
უბრძანა ლალმა ხაფის სიტყვითა. დაეკაზმნენ საომრად ჭაჭ-ჯავშან-  
ქაფითა. რაზმი დააწყო. მიჰმართა. სწრაფად წავიდა.

იმ დღეს მისი მებრძოლი მისმავე ხმალმა დაჭვლითა. მიეთხლნენ.  
შეატყეს მათ ტანთა აბჯარცმულობა. კაცი მოვიდა, მეფის მოციქუ-  
ლობა მოართვა ტარიელს; ეთქვა თუ, აბჯრით გხედავთ, ეხლა ამად;  
ვართ თქვენზე გულ-ნაკლულადაო. ტარიელმა შეუთვალა თუ, მეც ვი-  
ცი, რაც ჩემთვის დაგიპირებიათ, თქვენ რასაც პთათბირობდით, არ იქ-  
მნები, პბრძანეთ, მოდით, შემებენით, ვითა წესი და რიგია, მეც თქვენ  
დასახოცად ხელი ხმალზე მაქვსო. რა მივიდა მოციქული, ლაშქართა-  
თვის კვამლი შეჰქმნეს, დამალული გამეღლავნეს, სამალავითგან გამო-  
ვიდნენ, თავნი ორგნით აქარავნეს, მრავალკეცი რაზმი შეჰქმნეს, თუმ-  
ცა ტარიელს ვერა ავნეს რა.

შუბი სთხოვა, ხელი ჩაჲყო მუზარადის. დასახურად. საომრად  
ატეხილიყო მათდა გამტეხად. ერთს უტევაშს წასწვდა, წაგრ-  
ძელდა და გრძლოდ წავიდა. იმათ ურიცხვი რაზმი ეწყოთ, წყნა-  
რად და აუშლელად იდგნენ. ახლოს მივიდა. შემოპხედეს, სთქვე-  
თუ, შმაგიაო. მკლავ-ჭარმა მიჰმართა იქ, სადაც უფრო იდგნენ  
ჯარი. კაცს შუბი ჰკრა, ცხენი დასცა, ორნივე მიჰსლნენ მზესა.  
შუბი გასტყდა, ხელი ჩაჲყო, ხმალს გამლესავს უქებდა. შიგ ასრე გაე-  
რია, ვითა ქორი გნოლის ჯოგში, კაცი კაცს შემოსტყორცა, ცხენკა-  
ცის გორა დასდგა. მისი განატყორცი კაცი, ტანაჯორივით პბრუნავდა.

ჭინა კერძი ორი რაზმი სრულებით ამოსწყვიტა. ერთობლივ მოეხვიკნენ, ირგვლივ გარშემო დიდი ომი გაიმართა. რასაც ჰქონდა, ვერ დაუდგებოდა, მჩქეფრად სისხლს აღმოჰლერიდა, გაკვეთილ კაცს ცხენზე მანდიკურად გადაჰკიდებდა, სითაც იყო, გაურბოდნენ, პირს არიდებდნენ. საღამო უამს ქედით დაიზანს. მათმა დარაჯამ, ნულარ დგეხართ, წავედით, ცამ კვლავ რისხვით მოგვხედაო. საშინელი მტვერი მოდიოდა, ამად ჰშიშობდნენ, ნუ თუ უთვალავმა ბევრმა სპამ სრულებით ამოგვწყვიტოს. ის მტვერი იყო ტარიელის ლაშქარი, რომელიც არ წამოეყვანა. რა შეეტყოთ, წამოსულიყვნენ, ლამე წამორთვით ევლოთ. მინდორი ვერ დაიტევდა და მთა-მთა ჰმგზავრობდნენ. გამოსჩინდნენ, ტაბლაკს სცემდნენ, ბუკმა ხმა გააზეარა. რამაზ მეფე ჰნახეს, გასაქცევად გაემართნენ. შეჰკივლეს. მათი ნაომარი ველი ომითვე გადაიარეს. მეფე ჩამოაგდო ტარიელმა, ერთმანერთს გაეხმალნენ. მისი სპა ყველანივე დაპყრეს, არ დაუხოცნიათ. უკანა ლაშქარიც წამოეწია გაქცეუებს. დაუწყეს-დაპყრობა, ჩამოყრა შეშინებულ ძლეულებსა. ძილ-მჯრთალ, ლამე-თეულებს. ძილის ნაცვალი ერგოთ. მრთელ ტყვეებსაც არ აკლდა კვნესა ისე, როგორც სწეულებსა.

ნაომარ ადგილზე ჩამოჰქმდნენ დასასვენებლად. ტარიელ ხმლით ხელში დაკოდილიყო, წყლულად აჩნდა. მისი სპა მოდიოდა სანახავად და მის საქებლად. ვერ ეთქვათ, ვერ მიმხვდარიყვნენ თუ, როგორ მოეხსენებინათ ქება. ერთ კაცს ეყოფოდა, რაც დიდება სჭირდა ტარიელსა. ზოგნი შორით ჰლოცავდნენ, ზოგნი ხვევნას უბირებდნენ. ვისი გაზრდილიც იყო, ის დიდებული აუტირდნენ. ხოლო როცა მისი ხმლით განაკვეთი ჰნახეს, მეტად გაუკვირდათ. გაჰგზავნა ყველგან ლაშქარი, ალაფი აალებინა. ერთობ სავსენი მოვიდნენ, თავი გაალალებინა, მის მძებნელთა სისხლს მინდორი შეალებინა, არ უბრძოლნია, ქალაქთა კარი უომრად აალებინა.

რამაზს უთხრა ტარიელმა, თავი იმართლე, ვითა სამუხტლოს ჩამდენმა, და სიმაგრენი ყველა მე ჩამაბარეო. რამაზმა სოხოვა, ერთი ჩემი დიდებული მომეც, ზედ მაპატრონე, ციხოვანთ გაუგზავნო, ბოლოს კი ყველაფერს მოგცემ, ხელთ გაქონებო. ტარიელმა მისცა ერთი დიდებული, თან ყმები გააყოლა. ციხოვნები ერთობლივ თავის წინ მოიყვანა. ხელთ მისცეს სიმაგრენი ასე, რომ ომი შეანანა. საჭურჭლე აუარებელი იყო. მაშინდა შევიდა ხატაეთს, მოჰკლო და მოითვალა. საჭურჭლეთა კლიტენი დაუმალავად მოართვეს. ქვეყანა ჩასხა, უბრძანა, უკრძალავად იყვენით, იცოდეთ, არ დაგწვით, გაუგვალავად დაგყარეთო. საჭურჭლენი დაათვალიერა. დაჰშვრებოდა, თუ მოსთვლიდა უცხო ფერ საჭურჭლეთა. ერთგან ჰნახა საკირველი ყაბაჩა და ერთი რიდე. თუმც ენახა კაცსა, სახელის ცნობასაც ინატრიდა. ტარიელმაც, ერ შეიგნო, რა იყო, ანუ რაულად ნაქმარი. ვისაც უჩვენა, უკვირდა

ლვთის სასწაულიდ იტყოდა. ორც ლარულად ჰეგბოტა ქსელი, ორც ორხოულად. სიმტკიცე უფავდა ნაჭელსა. ცეცხლში შენართაულადა. სთქვა. ყაბაჩა და რიდე იგი საძღვნოდ გადასდო მისთვის, ვისი შუქიც უნათებდა. მეფისთვის საარმალნოდ დაარჩია, რაც სჯობდა, ჯორ-აქ-ლემი ათჯერ ასი—უველა წვივ-მაგრი დატვირთული გაუგზავნა.

7. წიგნი დასწერა ინდოთ მეფესთან. სეიანობით მოიკითხა. აც ნობა ამბავი ხატაელთ მუხთლობისა, მათვისვე ზიანით რო დასრულდა, ისიც შეუთვალა, წიგნის დაგვიანების მიზეზი ეს იყო, მეფე შევიპყარო და ალაფიან ტყვიანად მოგიჭალო.

რა უველაფერი იზრუნა, გამოემგზავრა ხატაეთით. საჭურჭლენ, ჭამოილო, რა აკლო სახელწიფო. აქლემები რომ არ ეყო, ხარები დაიხმარა. რაც სწადდა, აგრე პყო. ხატაეთის ხელმწიფე შეპყრობილი მოჰყვანდა. ინდოეთს მოვიდა. საუცხოო კარვები იდგა მოედანზე. ტი რიელის საუბარსა და მხერას მოწადინჭბული მეფე იქ ჩამომხდარიყო და იმ დღეს ნადიმი გაემართა. მოეგება მისი, ტკბილი გამზრდელი. რა ქება არ უთხრა! ხელი გაუხსნა, რბილი სახვევი შეაკრა: უალერსეგბდა, უმზერდა ახლო მჯდარ ტარიელსა. იმ ღამითაც ნადიმად ისხდნენ და სამოდ მხიარულებდნენ.

დილას ქალაქში შევიდნენ, მოედნით რა აიყარნენ. მეფემ პბრძნა, ლაშქარი შემოსჯარეთ, დღეს ხატაელნი მიჩვენეთ, ტყვენიც მოგვარეთო. ტარიელმა რამაზ მეფე მის წინ შეპყრობილი მოიყვანა. ხელმწიფემ ტკბილად მოიკითხა, აკენის შვილივით. მამაცი ტარიელი მეტის მეტმა გულადობამ ორგული და მოლალატე ნამსახურს დააგვანა.

ხატაელ მეფეს უმასპინძლა, უალერსა, ხანდახან მთ შესაფერ საუბარსაც უბრძანებდა.

ცისკრად მოიხმეს ტარიელ და სალმობიერო სიტყვა უბრძანეს აქამდის რო გვმტრობდა, ხატაელს შეუნდობო. ტარიელმა ჰეკადრა ვინათვან ღმჭროთ შეცოდებულს შეუნდობს, ოქვენც უყავით წყალობაო. მაშინ რამაზს უბრძანა მეფემ, იცოდე, შეწყალებულს გაგგზავნი მაგრამ არ გნახოთ კვლავ ჩვენს წინ გაწმილებულიო. ხარაჯა დასდვეს ასჯერ ასი დრაპკანი შეპკვეთეს, კვლავ ხატაური ათასი, სხვა სტაცრა სხვა ატლასი. მერმე ყველა დაპმოსა როგორც იგი, ისევე მისი მხლე-ბელი. ხატაელმა დაუმაღლა, დასდრკა, მდაბლად თაყვანისცა. მოახსენა, თქვენი ორგულობა ღმერთმა შემანანა, ხოლო თუ კიდევ ოდესმე შეგცოდო, შაშინ მომკალო. წავიდა და თავისიანი სუყველა თან გაიკულა.

8. მეფის კაცი მოუვიდა ტარიელსა. ის იყო, ცისკრობდა. ებრძანებინა, მას აქეთ სამი თვეა, ჩაც შენ დაგშორებივარ, მინდორში მოკლული ნიდირი არ მიჰამია და თუ არ დამაშვრალხარ, წამოჭიო. ტარიელ შეეკაშშა, დარბაზს მივიდა. დაპერდა ავაზის ჯარი. დარბაზის არე მთლიან საესე იყო ქორ-შავარდნითა. შეკაზმული მეფე სჯდა, მშვენებით მზეს ემზგავსებოდა. გაუხარდათ მისვლა ტარიელისა.

მეფე იღუმალ ცოლს ელაპარაკა, ომით მოსული ტარიელ სანახავად სასურველია ასე, რომ მნახველთ გულს გაანათლებს, რაც უნდა ბნელ იყვეს. რაც დაგვედრო საქმნელად, ჰქენენ, ნუ ჰზოზმანობ და სკან, რაც გამცნო. რათგანაც ქალია სამეფო, ჩვენგანვე წოდებული, ვინც ჰნაბავს, ეხლა ჰნახოს, უვერდას დაისვი, სრას დამხვდით ორნივე, მეც მოვალ სიხარულითაც.

მოინადირეს მინდორი, მთის და გორის ძირი. ადრე დაპბრუნდნენ ასე, რომ ეჯი არ გაევლოთ შორი გზისა. ოლარ იბურთავეს, ორი თამაშობა დაიშალეს. ტარიელის მნახველთ მოეცვათ. ქალაქი, შუქა და ბანი. ენიანი კაბა უხდებოდა ომ გადაჭდილსა. თვითონაც ფერ-მიხდილ გვარად ჰშვენოდა ვარდივით ცრემლით ნაბანი. ვინც უმზერდა, ჰბნდებოდა. რიდე რომ ეშოვნა ტარიელს ხატაელთა ქალაქში, ის ეხვია. ჰშვენოდა გულის გასახელებლად: მეფე ჩამოჰდა. შევიდნენ ტარიელის გამზრდელთა დარბაზში. რა შეპხედა ნესტანის მზეებრ ნათელ ღაწვთა ელვასა, ტარიელ დაპკრთა. იმ პირ-მზეს ტანთ ეცვა ჯუბა ნარინჯის ფერი. ზურგით ედგა ხადუმთა ჯარი, დას-დასად, უბან-უბან და მისი პირის სინათლეს აევსო მრთლად სახლი. ვარდს შუა ჰშვენოდა ტყუბი-ძოწ-მარგალიტები.

ნომიარ დაკოდილ ტარიელს ხელი ცელზე ჩამოება. დედოფალი საჯდომთაგან ადგა, წინ მოეგება. შეილივით გადაჰკოცნა და უთხრა, ნუ ეჭვ ამას იქით, მტერი შეეგებასო. ახლოს დაისვეს ადგილზე, სადაც იამებოდა. პირის-პირ უჯდა ის პირ-მზე, ვისთვისაც გული უკვდებოდა. მალვით უჰკვრეტდა, ქალიც უჰკვრეტდა, სხვას არაფერს ეუბნებოდა. თვალნი მოსწყვიტნა, სიცოცხლე ეარმებოდა.

პურის ჭამა გაიმართა მათი ძალის მზგავსი ასე, რომ სხვაფრივ გახარება ასეთი ჯერ თვალს არ ენახა. ყოველი ჯამი და ჭიქა ფირუზ-ლალის იყო. მეფემ ჰბრძანა, არავინ გაეშვათ, არც მთვრალი. იქ მყოფი ტარიელ მიეცა მეტის-მეტ შვებასა. რა ნესტან შემოჰედავდა, ესეც შეპხედავდა. მაშინ ცეცხლი უწყებდა შრეტასა, გაშმაგებულ-გარეტებულ გულს აწვევდა კაცთა კრძალვასა.

აა უამეა შირისპირ საუფარელია ჭერეტას!

მუტრიბთ დააგდეს მღერა. ჰსულეო, თავსა ჰხრიდნენ. უბრძანეს, შვილო ტარიელ, გასახარელ სანატრელად აგვინიხართ მით, რომ ჩვენი მებრძოლნი ავაგლახე, შენ მნახველთაც ტყუილად არ ჰყევხართ სა-

კვეხნელად. თუმცა შენი შემოსვა გვმართებს მორჭმულ მოვლენილისა, არ შეგმოსთ, მაგ კაბას არ აგნდით, გშვენის. ეხლა გქონდეს ასი სა-ჭურჭლე. რაცა გწადს, თვით შეიკერე, ჩვენი ნულარ გრუხვენიათ. კვლა-ვაც მხიარული დასჯდა. მოლხენა მოიმატა. გაგრძელდა ნაღიმობა, ბარბითი და ქლერა ჩანგთა. რა დღეს მწუხრი მოერია, დედოფალნი წამოვიდნენ. ძიღ პირამდის სიხარულს სიხარული ვერ ჰგვანდა. სხვე-ბიც, აიყარნენ.

ტარიელ საწოლში რა შემოვიდა, ცნობა რეტსავით შეექმნა. ძალ-ლონე არ ჰქონდა ტყვე ქმნილს ცყცხლის საშორეტად. აგონდებოდა, ალხენდა მისგან ჭირეტის ფიქრი. მონა მოვიდა და მართალი ამბავი-უამბო, აჯილოსანი ქალი იკითხავს. თქვენს ამბავსო. მაშინვე სცნა. აიჭრა გულგამკრთალი. მოვიდა, ასმათ ჰნახა, მასთან მომავალი. ასმა თის ნახვა იამა იმისთვის, ვისთვისაც ჰკვდებოდა. აღარ მიუშვა, მოეხ-ვია, თაყვანი ეცა. ხელი მოჰკიდა, თავის ტახტის ახლო დასვა, ჰკით-ხა, ნეტა თუ მოსულა შენსას მორჩი ალვის ხე, მისი ამბავი მიამბე, სხვას ნურას მეუბნებიო. ასმათმა უთხრა თუ, მართალს გყადრებ, არ მოგეფერები, დღეს ერთმანერთი გინახავთ და მოგწონებია, ეხლა კი-დევ უბრძანებია ჩემთვის, გაცნობო მისი ამბავიო.

9. ტარიელმა წიგნი ჩაშოართვა. ჩაჰედა, ეწერა, შენი წყალჯა-ვარის სიტურფე ვჰნახე, ჰშვენოდი ომ გადახდილი, ცხენ ნაჟენები. ჩემი ცრემლთა დენიხ მიზეზად ამჩენიხარ. თუ მოვჰკვდი, ხომ ვეღარ დავსძრავ ენასა, ღმერთს რომ მოუცია ჩემთვის შენდა საქებრად. შენს მზეს ვჰფიცავ, ჩემი თავი შენს გარდა არვის დაეკუთვნება. თუმ-ცა ცრემლსა ჰლვრი, მაგრამ არ ცუდად. ამას იქით ნულარ სტირი, თავი არიდე ჭირსა. წელან რო მოხდენით გქონდა შემოხვეული, ის რიდე მომეც. რა მნახო, შენც გიამოს, ხოლო მე შენეულით ვჰმშვე-ნობდე. ეს სამკლავე შეიბი, თუ ჩემი ხათრი ვაქვს, ერთი ასეთი სხვა ლამე ცოცხალს არ გაგთენებოდესო.

ტარიელს იამა ასმათის ნახვა. მისანდოდ უჩნდა, ვითა დაი. მკლა-ვის საბამი მაშინვე მკლავზე შეიბა. მერმე მოიხსნა თავისი რიდე, შა-ვი რამ ტკიცე და სალცხოო ქსოვილი და გადასცა ასმათსა, ყაბაჩაც მასთანვე.

10. ტარიელ სწერდა, მზეთ, შენგან მონაფენი შუქი გულში მეცა-სიმარჯვე და სილალე მომეზალა. ხელ ქმნილმა შენი სილამაზე ვანვი-ცადე. სიცოცხლე რო შემარჩინე, მის ნაცვლად რა სამსახური გადავი-ხალო? ეხლაც ჩემთვის ეს უამი იმ უამს დავადარე. დაბნედილს ნუ და-მაგდებ. შო, მიშველე, რამ მარგე. ამ სოფლად სხვას ვის უნდა შე-ვჰხვდე, თუ არ შენ.

ასმათ ქალი ადგა და წავიდა. ტარიელ დაწვა. საამოდ დაეძინა, მაგრამ შეჰქრთა. საყვარელი სიზმარში ჰნახა. გაეღვიძა, აღარ ჰყვანდა. სულდგმულობა მოპბეზრდა. ღამე ასრე გაათენა.

დილას ადრე სრა-დარბაზში მიიხმეს. ადგა. იმ წამსვე წავიდა. ჰნახა, ორნივე ერთგან ისხდნენ სახე მხიარულნი. რა მივიდა, დაჯდომა უოხრეს. ტარიელ წინ დასჯდა სკამითა. უბრძანეს თუ, ღმერთმა ასე დაგვაბერა, ვაუი არ მოგვცა, ქალი გვყავს. მისთვის ქმარი გვინდა, სად მოვპნახოთ, რომ ჩვენი ტახტი მივსცეთ, სამეფოს ვაპატრონოთ, არ ამოვსწყდეთ, მტრებს ხმალი ჩვენთვის არ ვალესვინოთო. ტარიელმა ჰქადრა, თქვენი ძის არ ყოლა გულ დასაჩენვია, მაგრამ იმედად გვეყოფა, ვინც მზეს დაედარება. ვისაც სთხოვთ შვილს სასიძოდ, დიდად გაუხარდება. სხვა რალა გკადროთ? თვით იცით, მაგ საქმეს რა მოეგვარებაო.

დაიწყეს საქმის რჩევა. გული უძლებდა ტარიელს, თუმცა უწუხდა. სთქვა, ამის დაშლა ჩემგან არ ითქმის, არ იქნებაო. მეფემ ჰბრძანა, ხვარაზმშაპ, ხვარაზმელი ხელმწიფე თუ მოგვცემს შვილს საჩვენოდ, მისთანა სხვა არვინ არისო. ეტყობოლათ, წინასწარ დაესკვნათ. ერთ-მანერთს უცქეროდნენ, მორიტებით მოლაპარაკენი. ამისგამო დაშლა ველარ ჰკადრა ტარიელმა. დაპირიშდა, დაპნაცრდა, გული უკრთებოლდა. დედოფალმა სთქვა, ხვარაზმშაპ მორჭმით მჯდომელი მეფეა, მათ შვილს სასიძოდ ჩვენთვის სხვა რომელი უნდა ჯობდესო. ტარიელმა შეცილებაც ვერ ჰკადრა, რათგანაც თვით დედოფალი მოწალინებული იყო. ამის გამო უმოწმა და მისი სულთა მხლომელი დღეც დაინიშნა.

გაპგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინაშე შვილის სათხოვნელად. შეუთვალეს, ჩვენი ყოველი სამეფო უმკვიდრო გაპხდა, ერთი ქალი გვყავს საძეო, არა სხვაგან გასათხოვარი და თუ მოგვცემ შვილს სამისოდ, შევას ნულარას მოელიო. კაცი მოვიდა. ჯუბაჩა-რიდით აევსო, ხვარაზმშას დიდი სიხარულით გაპხარებოდა, ებრძანებინა, ღმერთმა ნატვრა აგვისრულაო. კვლავ გაპგზავნეს სხვა კაცები სასიძოს მოსაყვანად, დაავედრეს, ნუ აყოვნებთ, მოლით, ვითა გვიბრძანებიაო.

ტარიელ მაშვრალი, ნაბურთალი საწოლში შევიდა მოსასვენებლად. გულზე სევდა შემოაწვა, იწყო ჭირთა მოპოვნება. მეტის მეტმა სევდამ მისწურა გულში დანის დასაცემად. იმ დროს ასმათის მონა შემოვიდა, წიგნი მოართვა, ეწერა, ვისაც ტანი ალვას მიგიგავს, ადრე მოლი ასე, რომ არ დააყოვნო ხანიო.

შესჯდა, წავიდა. ბალჩასთან მივიდა. ბალჩა შეპვლო, კოშკი დაჰქვდა. ასმათ ჰნახა, ძირს იდგა. ჰნახა, ნატირები იყო, ცრემლი აჩნდა, ღაწვთა დასდენოდა. დაუმძიმდა, არა ჰკითხა რა. სურვილით მოელოდა მის მისვლასა. მოწყენილი ჰნახა, ეს უფრო დაუმძიმდა. როგორც უწინ შემოსცინებდა, ეგრე აღარ გაულიმდა. სიტყვაც არ მოუგია,

მხოლოდ ცრემლი წვიმად სდიოდა. ამით უფრო დაწყლულა, არა თუ მისი წყლულისთვის რამ ეწამლებინა. რაც იყო მისი საგონებელი, მეტად შორს დაუყენა. შინ კოშკში შეიყვანა, ფარდასაც აუზიდა. ტარიელ შევიდა, პნახა ის მთვარე. ჭირი ყველა მოჰქონდა, გულზე შუკი შემოადგა. მანათობელი ქალი ბნელში იყო ფარდას იქით. პირ ოქრო მოშლით ებურა, რიცე, რომელიც ტარიელს მიეცა. მითვე მწვანით მოსილი უებრო იჯდა მიწოლით ტახტზე. ელვის მკრთომელი მისი პირი ცრემლის ლვარს მოეცვა. მიწოლილიყო, როგორც პირგამენტული ვეფხვი კლდის ნაპირსა, არც მზე ჰგვანდა, არც მთვარე, არც თუ ედემს რგული ალვის ხე. ასმათმა შორს დაჰსვა გულ დალაზერული ტარიელ. მერმე ნესტან წამოსჯდა წარბ შეჭმუხნით გამწყრალ განრისნებული.

უბრძანა, მიკვირს, პირის შემშლელი რად მოჰსველ, შენ გამწირავ-მუხთალი და ფიცის გამტეხელი, მაგრამ ნაცვალ პასუხს ზენარა მოგცემსო.

ტარიელმა მოახსენა, პასუხს ვერას გკადრებ, თუ არ ვსცნობ შართალსა. რა შეგუოდე, რა მიქმნია უცნობოს და ფერნამკრთალსაო?

ქალმა კვლევ უთხრა, რა გითხრა მტყუანს და მუხთალსა? აღს დაუწვივარ ამად' თუ, რად მოჰქონდი დიაცურად, განა არ იცი ჩემ საქმროდ ხვარაზმშას მოყვანის ამბავი?! შენ მჯდარხარ სავაზიროდ, შენ დაგირთავს ნება, შენ გასტეხე ჩემი ფიცი, სიმტკიცე და მცნება იგი. ღმერთმა ჰქმნას და შენი ხელოვნება ცუდად დაგაჩნიო! გახსოვს, როცა შენი ცრემლი მიღამოს ჰბანდა, როცა მკურნალ დასტაქრებს წამალი მოჰქონდათ შენთვის?! მამაკაცის სიცრუისთანა სხვა რა უნდა იყვეს! რათგანაც დამომე, მეც დაგომობ. ვჰაბოთ, ვინ უფრო დაზიანდეს. ამას დპბრძანებ, ვინც უნდა ეპატრონოს ინდოეთს უგზოდ, თუ გზიანად, მეც მაქვს პატრონობა. ეგ ეგრე არ იქმნება, წა, მომცდარხარ. შენი აზრები შენვე გვავს მტყუანს და შენ აგეთსა. ცოცხალ ვიყვე შენ ინდოეთს ვერ დაჰყო ხანი, ღმერთმანი. თუ დაყოფას ვცალო, შენს თავს სული გააყრევინო. სხვა ჩემებრივ ვერ ჰპოო, კიდეც ხელი ასწიო ზეცამდეო.

ტარიელმა შექხდა, პნახა სასთუნალზე. მუსაფი გაშლით მდებარე იყო. აიღო, ადგა, აქო ჯერ ღმერთი და მერმე ქალი და მოახსენა, ერთი პასუხი უნდა გკადრო და თუ ცუდად ნალიქნი იყვეს, ცამ მრისხოს. თუ მაღირსებ განკითხვას, ავი არაფერი მიქმნიან. რაც იცი, სთქვიო, თავის დაქნევით უბრძანა. კიდევ ჰქადრა, მე თუ, მზეო, ფიცი გამეტებოს შენთვის, ღმერთმან ეხლავე ჩემთვის დაამეხოს თავისი რისხვა. მე მიმიხმეს მეფეთა დარბაზში, დიდი ვაზირობა. შექმნეს, წინასწარვე დაესკვნათ, რომ ის ჭაბუკი ყოფილიყო შენი ქმარი. დამეშალა, ვერ დავჰშლილი, უმეცრობა მომივიღოდა. მაშინ თავს უთხარ მე,

შიემოწმე, დრომდის გიჯობს გულმაგრობა მეთქი. ვერ მიმხვდარიყო, რომ ინდოეთი არ არის უპატრონო. ერთი მე ვარ პატრონ მემაშულე, სხვას ხელი არა აქვს. არც თუ ვისმე მივსცე შენი თვის.

მაშინ ნესტან დარეჯანის მარგალიტს ძოწი ბშვენივრად გარს მოე-  
ვლო და უბრძანა თუ, ეგ საჭმე მეც მართალი მგონია. არ დავიჯერებ  
მე შენს ღალატს, ორგულობას, ღვთის გმობასა. იაჯლი ჩემს თავს და  
მორჭით ფლობას ინდოეთში, მე და შენ დავჭიხდეთ ხელმწიფელ, ყვე-  
ლას სიძე-სძლობას სჯობსო.

ტარიელს ლმობიერად დაუტკბა გამწყრალი. ახლოს დაისვა მა-  
ნამდის არ ღირსებული და ეუბნებოდა, ცუცხლი უნდა დამივსო ამით  
აგზნებულიო. უბრძანა თუ,

გთხიერი, ჰქამის, ართდეს არ აჩქარდეს,

რაცა სულმდეს, მთაგვაროს, საწეროსა დაუწენანდეს.

თუ სასიძო არ მოუშვი, ვაი, თუ მეფე გაგიწყრეს, შენ და ის წაიკიდ-  
ნეთ, ინდოეთი გაპქარწყლდეს. ხოლო თუ სიძე შემოუშვა, მაშინ უნდა  
მე შემირთოს, ერთმანერთს გავეყარნეთ, ძოწეული გაგვიფლასდეს, მათ  
მორჭმულთ მოივლინონ, ჩვენ კი სატანჯველი გაგვიახლდეს. ეგე ამბად  
არ მოპხდება, რომ სპარსი გაგვიბატონდენო.

ტარიელმა ჰკადრი, ლმერთმან აშოროს იმ ჭიბუქს შენი ქმრობა.  
რა შემოვიდენ ინდოეთს, მე უჩვენო ჩემი ძალგული და ჩემი მეომრო-  
ბა. ასრე დავპხოცო, აღარაფრის სახმარობა შეეძლოთო.

ნესტანმა უბრძანა თუ, ღიაცი უნდა იყვეს ღიაცურად, საქმე  
დედლად. ღიდ სისხლს ვერ შეგაქნევ, შუა კედლად ვერ ვიქმნები. რა  
მოვიდეს სიძე, მოპქალ ასე, რომ სპა არ გაუწყვიტო.

ქმნა შართლისა საშართლისა ხესა შეიქმის ხმელსა ნედლად.

ასრე ჰქმენ, ჩემო ლომო და ყოველ გმირთა მჯობო, მიპარვით მოპქალ  
სასიძო, ლაშქარს ნუ მოიშველებ, ნურც მის სპას დაპხოც, როგორც  
ზროხებს და ვირებსა.

დაადი სისხლი ჟბრალო ჰაცმანცა ვით იტვირთალ.

რა მოპქლო, უთხარ ჩემს პატრონს, მამასა. ჰკადრე თუ, ვერა ვიქმ ინ-  
დოეთის ჭამას სპარსთა მიერ, სამკვიდრო მამული ჩემია, დრამასაც არ  
მივსცემ, თუ არ დამეხსნები, ჭალაქს ტრამასავით გაგიხდითქო. ჩემი  
სიყვარული და ნდობა სულ ნურად ვინდა, ამით უფრო მოეწევი სა-  
მართალსა. მაშინ მეფე ყელმოტებით შემოგეხვეწოს, შემოგაკვდეს, ხო-  
ლო მე ხელთ მოგცე ჩემი თავი, ერთგან სხდომა შეგვფეროდესო.

ტარიელს დიდად მოეწონა ნესტანის თათბირი და გამორჩევა.  
თავის მტრებს დააქადა ხმლის ქნევა დასახოცად. მერმე ადგა წამოსა-  
სვლელად, ქალმა ქვექვე წვევა დაუწყო. ტარიელს სწადდა, მაგრამ  
შემოჭდომა, შემოხვევა ვერ გაუბედა. ხანი დაპყო, მოპშორდა, გაგრამ  
ხელქმნილივით გაპხდა. ასმათ წინ წამოუძლვა. ტარიელს ცხელი ცრემ-

ლი ჩამოსდიოდა. ჭირი ბევრჯელ ადთასა, ლხინი აერთხელა. მერმე  
წასვლა აღარ ეწადა დაუყოვნებლივ.

კაცი მოვიდა, ახარა, სასიძო მოვაო, მაგრამ არ იცოდა, გლახ,  
თუ, ლმერთი რას უზამდა. მეფეს ესიამოვნა, სიტყვა არ ივაგუ  
ლახა რა. ახლოს მიისივა ტარიელ, რა თავით ანიშნა, მოდიო. უბრძანა,  
ჩემთვის ეს დღე ლხინი და სიხარულია. საჭიროა, დასაბოლოებლად  
ქორწილი გადავიხადოთ. კაცი გავჰგზავნოთ, ყოველგნით მოვილოთ  
სრულად საჭურჭლე,

უხვად გავსცემდეთ, ვაჭსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია.

მაშინევ ტარიელმა ყოველგნით კაცები დაპერზავნა საჭურჭლის მოხა-  
ზიდველად. სასიძოც მოუვიდათ, ხანი არ დაუზმიათ. შიგნით მათგანნი გაე-  
გებნენ, გარეთ ხვარაზმელები მოდგნენ. ერთგან მყოფს მათ ლაშეარს  
მინდორ-ველიც ვერ იტევდა. მეფემ უბრძანა ტარიელს, მოედანი კარ-  
ვით მოკაზმეთ, სიძემ გამოისვენოს, ცოტა ხანი დაჰყოს. მისდა ნახვად  
სხვა სპა უშენოდ გავიდეს, შენ აქ პნახე, ნუ წახვალ, შენგან ესეც  
კმარაო.

ტარიელმა მოედანზე დასდგა წითელი ატლასის კარვები. სიძე მო-  
კიდა, ჩამომხდა. დღე არ ჰვევანდა აღსებისას. შეიქმნა გასვლა დარბა-  
ზით, ჯარიც იჭ იყო ხასისა. ლაშეართ დაიწყეს დგომა თემ-თემად,  
დას-დასად.

ტარიელ დაპერზე, ვითა წესი იყო საურავ გადახდილი კაცისა. მაშერალი წამოვიდა შინ, ძილი მოპნდომოდა. მონა მოვიდა, ტკბილი  
ასმათის წიგნი მოართვა, ადრე მოდი, გიბრძანებს. ზრდილი ალვის  
მზგავსიო.

ჯერ არ ჩამომხდარიყო, წავიდა, ფიცხლავ რა დაპორჩილდა. ას-  
მათ ქალი დაპერვდა ნატირები. პკითხა, ცრემლს რას პლვრიდიო. უთხრა,  
შენს მნახველს ტირილი ვით ამცილდეს, გაუწყვეტლივ ვით გამართლო,  
ვით გამოვესარჩილოო.

შევიდნენ. პნახეს, ნესტან ბალიშეგდ წარბ შეჭმუნით იჯდა. მას  
რო არე-მარე გაენათებინა, მზე მის მეტს ველარას იქმდა. ტარიელ  
წადგა. უბრძანა, რას უდგიხარ, საომარი დღე გაქვს წინა. თუ ვამწი-  
რე, შიტყუე და კიდევ მოიმუდომარეო?

ტარიელს ეწყინა. აღარა სთქვა რა. ფიცხლავ გარშემობრუნდა.  
უკუ ჰყივლა, აწ გამოსჩნდეს, თუ არ მე, სხვას ვის უნდოდეს. ქალი  
ომს როგორ მაწვევს, აგრე როგორ დავძაბუნდიო. შინ მოვიდა, და-  
პირა ხვარაზმუს მოკვლა. არ დამცხარალა. ას მონას უბრძანა, საომრად  
დაექმადენითო.

შესხდნენ. ქალაქი გაჰვლეს. არვის გაეცხადნენ. ტარიელ შევიდა  
კარავში. მისი ჩახლართული კალთა ჩასჭრა, ჩააკარაბაკა. ჭაბუკს ფეხთ  
მოეკიდა, თავი სვეტს შეუტაკა. წინამწოდოთ დაიძახეს, საარაკე გლო-

ვის დღე დაუდგათო. ტარიელ ცხენზე შესჯდა. საკურტაკე ჯაჭვი ეცვა. ხმა გაუვარდა. ზაბილი შეჰქმნეს, როგორმე დასწეოდენ. ტარიელ წამოვიდა, წევნა დაუწყეს. მდევრები დაპირუა. მაგარი და მტრებისგან ლაუძლეველი ქალაქი ჰქონდა. შიგ შევიდა მშვიდობით. კაცი გაჰგზავნა, ყველგან ყველა ლაშქარს აცნობა, აქ მომმართეთ, ვინც ჩემს შველას დააპირებდეთო. არ შეწყვეტილა მდევართ მოსვლა. ტიახ ბნელ ლამეში. ცისკრალ, რა ღამე დილად გათენდა, ტარიელ ადგა, შეიარაღდა. პნახა სამი დიდებული მეფეს გამოეგზავნა. ებრძანებინა თუ, ღმერთმან იცის, შვილივით გამოზრდილი მყევხარ, ჩემი სიხარული სიმიმილად ასრე რად შესცვალე. ხვარაზმშას უბრალო სისხლი რად ღამადებინე სახლად, თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არ გამაეგბინე. მე შენს მოამავე გამზრდელს სიცოცხლე მაარმებინე და არ მაახლებინე სიკვდილამდი შენი თავით.

ტარიელმა შეუთვალი, მეფეო, რვალის უშაგრესი ვარ, ამაღ არ ვეპუები სიკვდილის ცეკვლსა. მაგრამ, ვით იცით,

სეჭმწიფე ჭავაშის მქმნელი სამართალისა,

თქვენმა მზემ მაშოროს თქვენი ქალის ნდომა, იცი, ინდოთ სამეფო რა ზომ სრა საჯდომია. მეტყვიდრე ერთილა მე ვარ. ყველა თქვენ გრგებია. ყველა მათი ამომწყდარა, თქვენ დაგრჩომია მამული. სამართლით ტახტი თუ არ მე, სხვას არვის ეკუთვნის. ვერ გელიქნები, ეგ მართალი როდია. ღმერთმა ვაჟი არ მოგცა, ერთი ქალი გიჩის, ხვარაზმშაპ რო დაპირა ხელმწიფედ, რა ნაცვალი დაპრჩება? სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთში, მე ჩემი ხმალი უნდა მერტყას მაშინ? შენი ქალი არ მინდა, გაათხოვე, გამარიდე. ინდოეთი ჩემია, არ ვის მივსცემ, თუ არ ჩემს თავს. ვინც ჩემსას დამეცილება, ალმოვჭფხვრი. სხვა მეშველი, მომკალ, თუ ვინატროო.

11. ტარიელმა როცა სასიძო მოჰკლა და ხმა ფაუვარდა, მეფემ გაიგო, აიჭრა, თითქოს რამ სატკივარი გასჩენოდეს. დაუძახა, მიხმეო. გახმამყივარდა. სძებნეს, მაგრამ ვერ ჰპოეს. მის გამო მეფე მოჰკვა ჩივილსა. ჰკადრეს, აქ აღარ არის, კარები გაუვლიაო. მეფემ ჰბრძანა, ვიცი, ვიცი, მეტად კარგა შემიტყვია. მას უყვარდა ჩემი ქალი, სისხლი დაუთხევია. როცა კი ერთმანერთს პნახავდნენ, ვერ სთმობდნენ არ შეხედვასა. ჩემს თავს ვპფიცავ, მას მოვჰქმდავ, იმ ჩემს დასა. მე ღვთის უთხარ, მას კი ეშმაკის ბაღვში გაუბამს. იმ ბოზკუროთ ასეთი რა მისცეს, რას დაპირდნენ? თუ დავარჩინო, ღმერთი ვპგმო, მის სასჯელად ეს დამიმზადებიაო. იმ მეფის წესი იყო, თავის თავს ძვირად ჰფიცავდა და თუ დაიფიცავდა, არ გასტეხდა, იმ წამსვე დაამტკიცებდა. ეს წყრომა მეფისა ვინც შეიტყო, ვინც იცოდა, იმ ღვთის მტერმა უამბო მეფის დის დავარ ქაჯსა, ვინც გრძნებით ცის ამბავიც კი იცო-

და, შენმა ძმაშ თავი დაიფიცა, ცოცხალის არ დაგარჩენს, ერმა იცისო. დავარმა სთქვა, უბრიალია ვარ, იცის საბიცრმა ღმერთმა. ვისგან მოვჰკვდე, ვისთვის მოვჰკვდე, ისიც ერმა იცოდესო. დავარ მოსთვილიდა, ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალი, შენც არ გელხინება. როსკიპო, ბოზო დიაცო, რად მოაკვლევინე ქმარი, ან მისი სისხლით რად მოაზღვევინე ჩემი სისხლი? ჩემი ძმა არ ცუდად მომკლავს, რა გიყავი, რა გაქმნევინე. მაგრამ, ღვთით, ვერ შეჰვდე იმას, ვისაც ეს ქორწილი ჩაშლევინეო. ხელი მიჰყო, წამოპშილა, გრძელი თმა დაუფუშა. დაალებდაალურჯა, მედგრად პირი მოიქუშა. ნესტანმა პასუხი ვერ გასცა, მხოლოდ სულთქმა და ოხვრა აღმოუტევა. შეგმა ქალმა ვერა არგო რა, ვერც წყლული დაუშუშა. დავარ რა გასძრა მისი ცემა-დალურჯებითა, ორი მონა წამოდგა, პირად ქაჯთა მზგავსი. მათ მოიღეს კიდობანი. წვეწნით არ დაჰლაპარაკვბიან, ის შეე შიგ ჩაჰსვეს ნადარაჯევად. ზღვისკენ განპვლეს სარკმლები. კიდობანი მაშინვე გაუჩინარდა. მაშინ დავარმა სთქვა, ამის მქნელი ვინ არ დამქოლოს. ვიდრე მომკლევდეს, მოვჰკვდები სიცოცხლე გამწარებულიო. დანა დაიკა და მოჰკვდა, რა დაეცა გასისხლიანებული.

12. ტარიელმა კაცები დაჰგზავნა. გონება გაშემგებული იყო. ამას უფრო დაედაგა, რომ ნესტანის ამბავი ვერ შეეტყო. ზღუდეს გადაადგა, მინდორ-ველისკენ რომ აეგო. ორი ქვეითი გამოსჩნდა. ტარიელწინ მიეგება. ერთ მონას ქალი ჰყეანდა. გაიგო, თავგადაგლეჯილი და პირ სისხლ ჩამომდინარე ასმათ მოდიოდა. ლიმილით აღარ უყივლა ქალმა, არც თუ გაუცინა. ტარიელ დაიბნა. შორით დაუძახა, რა ამბავია, ან ცეცხლმა რად დაგვდაგო. საპრალოდ შემოსტირა ასმათმა, სიტყვები ძლივს გამოსთქვა. უთხრა, ღმერთმა ცის სიმრგვლე ჩენენობის რისხვით წამოპგრავნათ. ტარიელ ახლოს მივადა, კიდევ ჰქითხა, რა ამბავია, მართლი სთქვიო. ქალმა დიდხანს სიტყვა შერ უთხრა, რაც გაჭირვები ადგე, მისი ნათოალი. ღაწვთა ჩამონაწვეთი სისხლი მკერდს წითლად ულებდედა. მერმე უთხრა, მოგანსენებ, რად უნდა დაგიმალო. ჭაგრამ ჩოგორუ მე გავახარო, შენც ეგრე უნდა შემიწყალო. ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემიხვეწე, შემიბრალე. ჩემს საწუთროს დამსენ, შენს ღმერთს მიავალეო და უამბო. რა დაასრულო, სთქვა, ეხლა რად არ გივეიოს, რომ ცოცხალო ვარ და ლახვარ დაუსობელი. რაც მეკუთხნოდეს ამის მახარობელს, ის მიყავ. სულთა დგმა დაუგმობელი დამიხსენ სიცოცხლისაგანო, საბრალოდ ჰლვრიდა ასმათ შეუწყვეტელ ცრუმელს.

ტარიელმა უთხრა, დაო, რად მოგქლა, ან რა შენი ბრალია? მე ვპჰენ ნაცვლად, თვით რო მისი ჩემზე ვალი იყო; ეხლა თავს გადავსლებ მის საძებნად, იქაც კი, სადაც კლდე და წყალი იქმნებათ, სთქვა

და მრთლად გაჰქივეუდა, გული, ვითა სალი კლდე, შეექმნა. შეტმა ზარ-მა გააშმაგა, ცხრო და თრთოლა მოუვიდა. თავის თავს უთხრა, ნუ მოჰქვეუდები, ცუდი წოლა არას გარგებს. გიჯობს, გაიჭრა მის საძებნად, გაჰქარდე და ველთა ჰრბოდე, აი ეამი, ვისაც უნდა ჩემი თან წამო-ყოლაო.

შევიდა, ფიცხლავ შეიარალდა და ცხენზე შესჯდა. წამოჰყვნენ ას სამოცნი კარგნი ვაჟეაცნი, მასთან რო ხანი დაეყოთ, და წავიდნენ, კართა გარეთ დარაზმულები. ზღვის პირს მივიდა. ნავი ლაპხვდა. მენავემ ჩაკ-მული ჰნახა. ნავში ჩასუჯდა, ზღვაში შევიდა, შიგა და შიგ გაალაგდა. მომავალი ნავი არ დაუგდია არსით უნახავად. მოელოდა, არაფერი სმენია. შმაგი უფრო გაშმაგდა. თურმე ასე ვსძავდი ღმერთს, რო სრულიად მომიძულაო, სთქვა. გაუოცდა, წელიწადი რო დაჰყო, მაგ-რამ მისი მნახავი კაცი სიჩმრალაც არ უნახავს. თანამყოლი ყველა ამოუწყდა. სთქვა თუ, ღმერთს ვერას ვჰკადრებ, ეგრე ვჰყო, რაც იმას სწალდესო. ზღვა-ზღვა ცურვა მოეწყინა, ზღვის პირს გამოვიდა. გული სრულიად გაჰმხეცებოდა, ვაზირსაც არ უსმენდა. ყველა შემოჰყანტოდა, რაც ჭირში დაჰპრიმოდა, მაგრამ სთქვა,

კაცია დმუშთი არ გასწიონავს, ასევე მისგან განაწირსა.

ერთი ასმათ და ორი მონა შექრენიდა, ვინც გულს უკეთებდა და შეაგონებდა. ნესტანის ამბავი დრამის წონაც ვერ შეეტყო. ტირილი ლხინად უჩნდა და ცრემლი ფონად სდიოდა.

13. გულის შაროს ჭალაჭმი წესაც იყო, ნავროზობა დღეს ვაჭრი არცა ვინ ვაჭრობდა, არცა ვინ გამგზავრდებოდა. ყველა თანასწორად კაზმა-ლამაზობას იწყებდა, მეფენი კი დიდ პურობასდარბაზობას იხ-დილნენ. დიდ-ვაჭრებს პმართებდათ დარბაზში ძღვნის მიტანა, ხოლო მათ საბოძერის ბოძება, მათისავე მზგავსისა. ათ დღემდის გაისმოდა ყველგან წინწლა-ებნის ხმა, მოედანზე მღერა, ბურთაობა და ცხენთა ჰენების დგრიალი. ფატმანის ქმარი უსენ დიდ ვაჭრებს წაუძლვებოდა, მათ ცოლებს ფატმან წაასხამდა ასე, რომ მაწვეველი არ სჭირდებოდა. ლელოფალს უძლვნილნენ ძღვენსა მდიდარი, თუ გლახა, ვინც იყო. დარბაზში იმიარულებდნენ და შინ მხიარულნი დაჰპრუნდებოდნენ.

ნავროზობა დღე გათენდა. ფატმანმა და ვაჭრის ცოლებმა ძღვენი მიართვეს დედოფალსა. მიართვეს, მათ უბოძეს, აავსეს; აივნენ. დრო-ზე თავის ნებით წამოვიდნენ ნასიმმოვნები კვლავ დაჰსხდნენ და ჰმიარულებდნენ. სალამო ეამს ფატმან ბალში გავიდა სათამაშოდ. ხა-თუნები გაიყოლა, ვინც მისი სარჩენ შესანახი იყო. მომღერალნი მიჰ-ყვებოდნენ, ტკბილ ხშას იტყოდნენ. იმღერდა და ყმაწვილობდა, რიდე-თმას იცვლიდა.

ბალში საუცხოოდ ნაშენი სახლები იღეა, მაღალი, ყოველგნით

მხედველი და ზღვაზედ გამცქირალი. იქ შეასხა ხათუნები, ვინც ახლა. იქაც კიდევ ნაღიმი გაპრართეს და დასხდნენ გამხიარულებულნი. ვაჭრის ცოლებს, ვითა დამ, მხარერულად უმასპინძლი ფატმანშა. შექცევის დროს უმიზეზოდ გაჭხდა რამ უგემურად. როგორც კი შეატყეს, აი შალნენ, ვინც პურის ჭამად მსხდარიყვნენ.

მარტო დაპრჩა ფატმან. სევდა რამ შემოაწვა გულზე. გამოაღო სარაკელი და პირი ზღვას შეაქცია. იხედებოდა, იქარვებდა კაეშანსა. შორს აჩნდა ცოტა რამ. ზღვაში მოსცურავდა. მფრინვლად სიქვა, ანუ მხეცად, სხვას ვერაფერს ამზავსა. შორითგან ვერ იცნო. მოუახლოვდა. ნავი იყო. ორ კაცს. ტანად შავს, თვით პირიც შავი ჰქონდათ. იქით აქეთ მოსდებომოდნენ ახლოს, ოდენ თავი უჩნდათ. გამოვიდნენ. ის უცხო სანახავი გაუკვირდა ფატმანსა. ნავი გამოპზიდეს, გამოიღეს ბარის წინ. მიიჩედ-მოიხედეს, ვინ გვიპვრეტს, სად ვინ არისო. სულიერი ვერა ჰნახეს, ვერც რამ შეაშინა. ფატმან იღუმალ იხედებოდა, სულ განაბული იყო თავისთვის შინ. ნავის კიდობანს აპხადეს, ტანად უცხო ქალი გადმოპზდა, თავს შავრიდიანი, ქვეშეთ მწვანით მოსილი. მხეს სიტურფედ ეყოფოდა, მისი მგვანი რომ ყოფილიყო. რა მობრუნდა ქალი ფატმანისკენ, მისი სხივი კიდეს შემოადგა. მის ღაწვთა, ელვარება მოსდებოდა ხმელეთს და ზე სკნელსა. თვალი ვერ გაუმართა ისე, ვით მზესა. კარი გამოპზურა თავისკენ; მათი ცეკრა ვერ შესძლო. მოიხმო თხი მონა, მის წინ რომ იდგნენ. უჩვენა, ჰქედავთ, რომ მშექარა ტყვედა ჰყავსთ ინდოთა? ჩაეპარენით, ჩადით წყნარად, არ აჩქარდეთ. მოგყიდონ, ფასი მიეცით, რაც ინდომონ. თუ არ მოგცეს, ნულარ მისკემთ, წაჭვარეთ, დაპხოცეთ, ის ტყვე მოიყვანეთ, კარგად ჰქმენით, ეცადენითო. მონები ჩაეპარენ, თითქო ჩაფრენილიყვნენ. დაევაჭრნენ, არ მოპყიდეს. შავ კაცთ მეტად ეწყინათ. ფატმან სარკმელში გადადგა, რა გაიგო, არ მიპყიდეს. შეუძხებ, დაპხოცენითო. შეიპყრეს, თავი მოსჭრეს. და ზღვაში შეისროლეს. ქალს შემოადგნენ და სცვიდნენ.

ფატმან გაეგება, გამოპგვარა, გული აერთგულა იმისთვის, ხვევნით თავი მოაძულა. შერმე თავის ტახტზე დაპსვა და შეპფრფინვიდა. ჰყადრა, მითხარ, ვინ ხარ, ანუ შვილი ვისი ტომის? ამ ზანგებს სით მოპყვანდიო? პასუხი არა უთხრა რა, ცრემლი კი ას ნაკეც წყაროდ სდიოდა. რა გაუჭირა საქმე კითხვით, მეტის საუბრითა, გულ ამოჯრომით წყნარად ატირდა ტყვე ქალი. მისმა შეხედვამ დასწვა, გული მოუკლა ფატმანსა. უთხრა, დედის უჯობესი დედა ხარ შენ ჩემთვისა, რას აქნევ ჩემს ამბავს, ყბედის ზღაპარია. ვინმე ყარიბი ვარ უბედობედის შემსწრობი. თუ რაც მკითხო, არსთა მხედის ძალიმც გიგმიაო. ფათმანშა სთქვა, უდროოდ ურიგოა მოყვანა და მისი ხმობა, მომყვანელი გაშმაგდება და ცნობა ერთობ წაერთმევა. ხმობა უნდა დროზე,

თხრობა ყოველ სააჯოსა. რად არ ვიცი იმ ტურფა ქალის საუბრის უცროობაო! აიყვანა მაშინვე ის პირ-მჩე. ძლივს დაპმალა მისი შუქი. ჩამოჰბურა მრავილ კეცი მძიმე სტავრა, ის კი ცრემლს ჰსეტყვიდა. შინ მოაყვანა თავისას. ერთი ხახლი მოუკაზმა, შიგ დაპსვა ფარულია. არ ვის უთხრა სულიერსა; ფარვა-კრძალვით შეინახა. ერთი ზანგი ამსახურა თვით შედიოდა, მარტო პნახულობდა ყოფა-ქცევა საკვირველი ჰქონდა იმ პირმზეს. დღე და ღამ გაუწყვეტლივ სტიროდა და ცრემლს აფრქვევდა. ფატმან შეეხვეწებოდა თუ არა, გაჩუმდიო, ერთ წამს მისი ხათრი ჰქონდა. როცა კი შევიდოდა, ცრემლის გუბე ედგა წინ. ამად დრო ვეღარ ჰპოვა კითხვისა, კიდეც რო ეკითხა, უინა ხარ; ეგრე გასული რისგანაო, სისხლის ცრემლის ნაკადი მჩქეფრად სდიოდა ასე, რომ ხორციელი ვერ გასძლებდა სხვა, გარდა ქვისა. არ უნდოდა საბურავი, არც ქვეშაგებში წოლა. მუდამ რიცე ებურა და ყაბახა ეცვა. მკლავს სასთუნლად მიიღებდა და მიწვებოდა. ათასი ხვეწნით ძლივს აჭმევდა ცოტა რასმე.

იმ ტურფამ ფატმანის სახლში ევრე დიდი ხანი დაპყო. ვერ გაანდო ფატმანშა თავის ქმარს უსენსა, შესმენის რიცი. ჰქონდა: სთქვა თუ, უამბობ, ვიცი, დარბაზში გამამელავნებს ის ფლიდონ, ეს გაუხდა საგონებლად, შედიოდა და გამოლიოდა. სთქვა, თუ არ უთხრა, რა უყო; ჩემგან რა მოეგვარება, არცარა ვიცი, რა ვისგან მოეხმარება. ქმარი რა შემიტყობს, მომკლავს, ვეღარაფერი დამიფარავს, როგორ დავშმალო ნათელი, მზის დასაღარი. მე გლის მარტომ რა უყო? მო და გავენდო, ნუ შევალ უსენის ცოდვაში, ვაფრცო, არ გამამელავნეს, აუ მომცემს იმედსა, სულს ვერ წაიწყმელს, ფიცს ვერ გააცუდებსო:

მარტო მივიდა. ელალობა და ელაციცა თავის ქმარსა. მერმე უთორა ერთ რასმე გიამბობ; მაგრამ ჯერ შემომფიცე, სულიერს არვის უთხრა, მტკიცე საფიცარი მომეცო. საშინელი ფიცი დასდო, კლდეს თავი ვახალო, რაც მიაშპო, სიკვდილამდის სულიერს არავის უთხრა, არც მოხუცს, არც აზალგაზრას, არც მოყვარეს, არც მტერსაო. მერმე ფატმანმა ყველაფერი უამბო უსენს, ლმობიერ კაცსა, მოდი, აქ მომყევ, მზის დასაღარს გიჩვენებო.

ადგა, წამოჰყა. სრადარბაზის კარები შეიარეს. უსენ გაპკვირდა, გაპკრთა, რა პნახა ის ტურფა. სთქვა, რა მიჩვენე, რაა ნეტო რისა, თუ ხორციელი იყვეს, ლვთის თვალმა მრისხსოსო. ფატმანშა სთქვა თუ, მეც არაფერი ვიცი ამ ხორციელის. რაც გითხარ, მის მეტი ცოდნა არა მაქვს. მე და შენ ვპკითხოთ, ვინ არის, ვისგან სჭირს ის ხელქმნილობა, ნუ თუ რაძ გვითხრას, შეეხვეწნეთ, წყალობა გვიყოსო. მივიღნენ, ორთავ ჰქონდათ მისი კრძალვა. ჰქალრეს თუ, გვითხარ; რაა შენი შუქნამკრთალობის წამალი, ზაფრანად რას შეუქმნისარო? რაც ჰქითხეს, არ იცოდნენ, გაიგონა, თუ არ ისმენდა. პირმოკუმული იყო,

კბილებს არ აჩენდა და წარბები მოშლით მოეცეცა. პნელს მოეცეცა, თითქოს ვეშაპისგან ჩაყლაპული მზე ყოფილიყვეს. თავიანთი საუბრით პასუხი ვერა ათქმევინდა. ტურთა პირქუშად იჯდა. წყრომა ვერ შეუტყვეს. კიდევ აწყენინდა. ატარდა, მიმიშვით, არ ვიციო, მხოლოდ ეს უთხრა. დაპისძნენ და რაც ეთქვათ, შეინანდა. ძლივს დაძირუმდეს, დაამდეს. ხილი მიართება, მაგრამ ვერ ვაჭამეს. უსენმა სთქვა, ბევრათასი ჭირი ამიხოცა ამან და იმის დაწვებს, რომელიც მზისად კრარა, კაცი როგორ უნდა შეეხოს. მართალია, თუ ვერ მხედველმა სატანჯველი გაიასკეცა. შვილები თუ მერჩიოს, ღმერთმა დამიხოცოს. დიდიხანი უკვეირეს და სულთემა-ოხვრით წამოვიდნენ. შეხვედრა მისი სასიხარულოდ უჩნდათ, დაშორება დიდად აწუხებდათ. რა მოიცლიდნენ ვაჭრობის საქმისაგან, ჰანახულობდნენ. ასე დაეტყვევებინა მათი გული იმ ჭირმზის შეხესა.

ხანი რამ გავიდა ღამე-დღეთა გაყოლებითა. უსენმა უთხრა ფატმანსა, იმ დღეს აქეთ ჩევნი მეფე არ მინახევს, თუ მირჩევ, წავალ, ვჰნახავ, უდარბაზო, ძლვენი მივართვაო. ფატმანმა მოახსენა, კარგი, როგორც პბრძანებთო. უსენმა ტაბაკზე დაძუყო თვალ-მარგალიტი. ფატმანი შეეხვეწა, დარჩაზში მთვრალი დაგხვდება დარბაზის ერი. იმ ქალის ამბავს თუ არ მოერიდები, მომკლიო. უსენმა კიდევ შეპფიცა არ ვიტყვი, ხმალიც მეცეს თავშიო. მიფიდა. ხელმწიფე ნალიმად მჯდომ მელი დაპიხდა. უსენ მეფის არიფი იყო და მეფე მისი მსურველი. თავის წინ მიისვა, ძლვენი ჩამოართვა. მაშინ გამოსჩნდა მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, გაუწაფელი და მსწრობელი.

მეფემ უსენის წინაშე მრავალი დოსტაქანი გამოსცალა. კიდევ დაპლიეს და სხვა და სხვა ფარჩი-ჭიქები იივსეს. უსენს ის ფიცი დაავიწყდა. რა მუსაფი, რა მაქი მართლა თქმულა,

არა ქმართებს უვაჭსა ვარდი, ვინსა რქანი.

დიდმა ხელმწიფემ უთხრა უკუკუო მთვრალ უსენსა, მიკვირს, საძლვნოდ ჩემთვის სით მოგიტანია ეს თვალი, ღიღროვანი მარგალიტი, უებროლი საღ გიპოვაა? ჩემმა მზემ, შენი ძლვნის ნაათალსაც ვერ ვაღაგიჩ-დიო. უსენმა თაყვანი სცა, ჰკალრა, მაღალო ხელმწიფერ, ზეცით შუქთა მომფენელო; არსთა მარჩენელო მზეო! რაც სხვა მაქვს, ვისია? ოქრო, გინდა საჭურჭლე, დედის მუცლითგან რა გამომყვა? უველიფერი თქვენ-გან შბოძებია. ამას გყალრებ, ოქვენმა მზემ, ძლვნისთვის მაღლობა არ გვართებს. სხვა მყავს სასძლო თქვენი, ოქვენი ვაჟის საცოლოდ. უცი-ლოდ დამიმაღლებთ, რომ ჰნახოთ, მაშინ მეტად გაამრავლებთ ნეტ-რების ბრძანებასათ, სთქვა და კიდეც გასტეხა

ჭეფი, სიმტკაცე სჭუჭისა,

უამბო ქალის პოვნა. მეფეს მეტად იამა და გულის ლხენა მიეცა. უბრა-დანა დარბაზში მოყვანა ქალის და სრულ ქმნა უსენის თქმულისა.

ფატმან სახლში იჯდა სიამოვნებით. კარში შემოლდა მჯუს მონათ უსუცესი. თან ჰყვანდა სამოცი მონა, ვითა წელმწითელ წესი არის.. მოვიდნენ - ფატმანს გაუკვირდა, სთქვა, ჸესი რამ საჭმეაო. მიესალმნენ. უთხრეს, მზის სწორის ბრძანებაა, დღეს რომ უტენდა ქალი უძლვნა, ებრავ მომგვარე, წავიყვანოო. ამის გაგონებაზე, ფატმანს თავს ზეცა დაპტყდა, რისხვით გორა გორას ეცა. კიდევ ჰეითხა გაკვირვებით, რა ქალი გინდათ, რომელიო. მათ უთხრეს, უსენბა რომ შემოსძლვნა პირ-ელფა მკრთომელიო. არას არგებდა, დაესკვნა მისი სულთა მხლომელი დღე. ფატმან ასთრთოლდა. ვეღარ ადგა, ვერც სჯდებოდა. შევიდა, ჰნახა ის ტურფა მტირალი. ჰკადრა, მზეო, ჰნედავ, ზავმა ბეჭმა მიმუხთლა, ცა რისხვით მობრუნდა ჩემკენ. და სულ მრთლად ამიკლო. შემასმინეს, მეფე გითხოვს, ამისგანა ვარ გულმოკლულიო. ტურფამ უთხრა, დაო, ნუ გიკვირს,

ბედა უბედდ ჩემზედა მაწყივ ავისა მქმნედა;

კარგი რამ შეიძლეს, გიკვირდეს; ავი რა საკვირვედა, სთქვა და ხშირი ცრემლი მარგალიტივით გადმოჰყარა. ვულუშიშრად ადგა, თითქოს ვეფხი, ანუ ვმირი ყოფილიყვეს. როგორც ლხინი ლხინად არად უჩნდა, აგრევე ჭირი ჭირად. სთხოვა დი აჯილით მოიბურა ტანი და პირი. ფატმან საჭურჭლეში შევიდა, ფასი არ დაედებოდა. რაც აელებოდა, აიღო თვალ-მარგალიტი ისეთი, თვითო და თვითო თვითო ქალაქად ჰლირდა. მივიდა, შეარტყა წელსა და უთხრა, ჩემო, ეგებ საღმე გამოგადგესო. მერმე მონებს ხელთ მისცა.

მეფემ შეიტყო და მოეგება. ტაბლაკა ჰკრეს, ზარი გაპხდა. ქალი მიდიოდა თავმოღრეკით წყნარად და ჩუმად. მნახველი მოასკდა იმდენი, რომ სარანგები ვეღარ იქრდნენ, ვერ აწყნარებდნენ. მეფემ რა ჰნახა საროს მზგავსი, გაკრთომით ჰკითხა, მზეო, აქ როგორ მოიგვარებიო. ჰბრძანა, ნახული გაშხადა უნახველად. ლვთის გარდა ამის მზგავსი კაცი სხვა ვინ უნდა იყვეს. ამის მიჯნურს ჰმართებს, ხელ ქმნილი. ჰრბოდეს ველადო. გვერდზე დაისვა, ტკბილად ემუსაიფა, მითხარ, ვინ ხარ, ვისი ხარ, ვისი გვარით მოსულიო. ქალმა ჰასუხი არა გასცა რა და თავდასრით მოწყენით იჯდა. ცნობა დაწყნარებული. მეფისას არ ის-მენდა, რაც უნდა ებრძანებინა. მისი გული სხვაგან იყო, სხვა რამე ეფიქრებოდა. მნახველს უკვირდა. ვინ რას იაზრებდა. მეფემ ჰბრძანა, რა მოვაგვაროთ, ჩვენი გული რით ისნება. აზრი არა იქმნება ამ ორის გარდა. ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი აგონდება, მას გარდა არვისთვის სცალია, არც არავის ელაპარაკება, ან ვინმე მარალი და მაღლა მხედი ბრძენია. როგორც ზლაპარი, ასე ესმის ყბედობა, თუნდ ბედი. სხვაგან არის, სხვაგან ჰფრინავს, მტრედივით ფიქრი აქვს. ლმერთმა ჰქმნეს; ჩემი ძე შინ მოვიდეს გამარჯვებული, მე დავახვედრო ის ტურფა, ნუ თუ რამ ათქმევინოს, ჩვენც შევიტყოთ ნამდვილიო.

ხელმწიფის შვილი იყო კარგი გულოვანი ჭაბუკი, მხნედ და თვალიად უეპრო, პირად და ტანად მშვენიერი. მაშინ ლაშქარს წასულიყო, დიდ ხანს დაპირჩებოდა. მამა იმისთვის ამზადებდა იმ ტურფა ქალსა. მოიღეს, ტანს ჩაცვეს ქალის ჩასაცმელი, მნათობი თვალის შუქი მრავალი აჩნდა. თავს ერთობილი ლალის გვირგვინი დააღეს. მეფემ პბრძანა, მოპკაზმეთ უფლის წულის საწოლიო. წითელი მაღრიბული ოქროს ტახტი დაუღეს. ადგა თვით დიდი ხელმწიფე სრულიად სრადარბაზის პატრონი, ზედ დაპირა ის ტურფა და ცხრა ხალუმს უბრძანა კარის მცველად დადგომა: ხელმწიფე ნადიმად დასჯდა, როგორც მათ გვარს შეეფერებოდა. უსენს უზომო უბომა ნაცვლად ტურფა ქალისა. ბუკა და ტაბლაკა ჰკრეს ზარის მოსამატებლად, ნადიმობა გააგრძელეს. პურის ჭამა მფტად გრძელი შეიქმნა. იმავ დროს პირმზე ქალი ბედს ეტყოდა; რა მკვლელი ბედი მქონია, სადაური სად მოვსულვარ, ვის შეკვედები ვისთვის ხელქმნილი. რა ვჰქმნა, რა ვჰყო, რა მერგება, მეტად გამძნელებია სიცოცხლე. ნუ დავაჭინობ ვარდისფერ მშვენებასა. ვეცალო რასმე, ნუ თუ ლმერთმა ჩემს მტერს მომარიდოს,

სიკვდილაშდის ვის მოუკლავს თავი ქაცსა მეცნიერსა.

რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გთხობანი გთნიერსა!

მოიხმო ხალუმები. უბრძანა, ისმინდთ, ცნობას მოდით. მოლორებულ-ზართ, დამცდარხართ ჩემს პატრონობაში. დამცდარა თქვენი პატრონიც, თუ ჩემს სძლობას ჰლამის, ჩემთვის ცულად იცემს ნობას, ბუკა და ტაბლაკა. თქვენ დედოფლად არ ვვარგვარ, გზა სხვა მიძევს. ლმერთმა გაშოროს მამაცი, პირად მზე საროსტანი. სხვა რა საქმეს მნუკავთ, ჩემი საქმე სხვაა, ჩემი სიცოცხლე თქვენთან ჩემი შესაგვანი არ არის. უცილოდ თავს მოვიკლავ, გულში დანას ლავიცემ, თქვენ დაგხოცთ თქვენი პატრონი, სოფლად ვერ დაპყოფთ ხანსა. ესა სჯობს, საჭურვლე მოგცეო, ტანს მძიმე მარტყია, მე გამაპარეთ, გამიშვით, თორემ დაიწყებთ ნანვასა. სთქვა და შემოიხსნა მარგალიტი, რაც თვალი შემოერტყა. გამჭვირვალი ლალის გვირგვინიც მოიხადა, მისცა, რა უთხრა, გამომილეთ, გულმხურვალედ გეხვეწებით.. მე გამიშვით, თქვენს ლმერთს დიდი ვალი მიავალეთ.

მხევლებს სიხარბე მოერიათ ძვირფასი საჭურვლისა, დაივიწყეს მეფის შიში, ვითა ერთი გზირისა, და დაასკვნეს გამოპარება პირმზე ქალისა. პნახე თუ, რასა იქმს

თქრო, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!

რა თქრო მისთა მოუვასთა არ თდეს მისცემს ლხენასა,

დღედ სიკვდილაშდის სისარბე შეაქნევს კბილთა ღრეულნასა:

შესდის და გასდის, აკლა, ემდურვის ეტლთა რბენასა:

კვლავ აქა სულსა დაბამს, დაუმლის აღმაფრენასა.

ხალუმებმა რა აუსრულეს საწადელი. საქმე, ერთმა ტანთ გაიხადა, მისცა, პირმზეს თავისი ჩასაცმელი და სხვა კარებით გამოპარეს. დარ-

ბაზმი მსმელი იჯარებოდა. ბაღრი მთვარე გველისაგან ჩაუყლა-  
პავი დაპრჩა. ხალუმებიც გადაიხვეწნენ, იმასთან ერთად გაიპარნენ.

ქალმა კარს დაურეკა ფატმანსა. მისი ფატმანობა ჰბრძანა. გავიდა,  
იცნო, მოეხვია, განა, მასაც გაუკვირდა. შინ არ შემოჰყვა, შეანანა,  
რად მაწვეო? უთხრა, შენი მოცემული განძით თავი ვიყიდე. სამაგიერო  
დამერთმა შემოგზლოს ზენა მოწყალებითა. ველარ დამმალავ, გამიშვი,  
ცხენით გამგზავნე ფიცხლავ, ვიდრე ხელმწიფე სკნობდეს, რბენით კა-  
ცებს მომწევდესო.

საჩეაროდ შევიდა ფატმან საჯინიბოში, საუკეთესო ცხენი ახსნა.  
შეუკაზმა, ზედ შესხვა მხიარული, მზგავსად მისა, თითქოს მზე ლომზე  
შემჯდარიყვეს. ფატმანს ჭირნახული წაუხდა. ვერ მოიმკო, რაც სოესა.

დღე მიიყარა. ხმა გაპვარდა. პირმზის მდევარი მოვიდა. მოცვეს  
ქალაქი, შერქმნა მოსაწევარი. ფატმანს ჰკითხეს. უთხრა, თუ ჰპოოთ  
სახლში, სადაც მე ვარ, მეფეთა შემცოდე და მათი სისხლის მზღვევა-  
რი ვიყვეო. მოჰნახეს. ვერას გაპხდნენ. დაწბილებულნი გაბრუნდნენ.  
მას აქეთ ხელმწიფე და მისი ყოველი ხლებული იგლოვდნენ. დარბაზის  
ერთ იისფრით მოსილი შედიოდა.

14. ფა, საწუთოთ, სიცრუით თავი სატანას ადარე,  
შენი ვერავინ ვერა სცნას, შენი სიმუხთლე სად არე.  
ზირი შზისებრ სჩინო სად უჩინო ჭყაფ; სად არე?

მით ვჭხედავ, ბოლოდ სთველსა, თხრად სჩანს უოღლი სად ა რე!

ერთ დღეს, საღამო უამს, როცა მზე ჩასვლაზე იყო, ფატმან წად-  
გა დარჯაგთა წინ, ხანაგის კარი უჩინდა. იმ პირმზეს იგონებდა, მისი  
სევდა ჰკლავდა, სთქვა, კრულია ყოველი მამა კაცის ფიციო.

იმ დროს სითხე მოვიდა ყარიბი მონა სამის მოყვესითა. მონა მო-  
ნურად იყო მოსილი, სხვები კი ხამით მგზავრულებ. სასმელ-საჭმელი  
შოილეს, ქალაქში ნაყიდი ჰსვამდნენ, სჭამდნენ და მუსაიფობდნენ,  
მხიარულნი ისხდნენ.

ფატმან უყურებდა, უკვრეტდა. სთქვეს, სამურად გაფმხიარულ-  
დით, მაგრამ აქ შევჰყრილვართ უცხო მოყვასი, არც რა ვიცით, ვინ  
ვინ არის, ან სით მოვსულვართ. ერთმანერთს ჩვენი ამბავიც უნდა  
უთხრათო. მათ სხვათა სთქვეს თავიანთი ამბავი, ვითა მგზავრთა წესია.  
მონამ უთხრა, ღვთით,

მე შარგალიტსა მოგიძევ, თქვენ ქვრიმა დაგითესთა.

ჩემი ამბავი თქვენს ამბავს სჯობია. მე ვარ მონა ქაჯთა მფლობლის  
მაღალი მეფისა. დამამხობელი სენი შეუდგათ. ქვრივის შემწე, ობლის  
შემწენარებელი მოგვიკვდა. ეხლა მის შვილებს ჰზრდას მისი დაი,  
მშობლის უკეთესი. დულარდუსტ დიაცია, მაგრამ ვითა კლდე, ლოდი  
არის. ვისაც არ დაჭკოდს, მისი ყმა ჯერ ვერავის დაუკოდია. წვრილი

ძმისწულები ჰყვანან როსან და როდია. ეხლა ქაჯეთს ხელმწიფედ ჰქის მორქმული. ამბავი მოგვესმა, ზღვათ იქით სიკვდილი მათი დისა. ვეზირნი შესწუხდნენ, დაპშალეს ხალვათი, როგორ ვჰკატროთ ხმელეთის მნათი პირის დავსებაო. როშაქ მონაა, ბევრათასი მონის თავადი. პბრძანა, ვინმემ კიდეც მოკლას, მე ტირილს არ დავესწრები, მინდვრად წავალ, ვიმეკობრებ, ავივსები ალაფით. მერმე შოებული შინ მოვალ. მეფე როცა წავა დის დასატირებლად, მეც წავპყვებიო.

თავის ხელქვეითგბს გვითხრა, წავალ, თან წამომყევითო. ასი მონა წაგვიყოლა, ყველა მისგან არჩეული. დღისით მზისით ვჰმეკობრობდით, ლამეებსაც ვათევდით. მრავალი ქარავანი დავჭლეწეთ, ლარი ჩვენკენ გადმოვსდევით.

მინდორ-მინდორ მოვდიოდით დიახ ბნელ ლამეში.. ლიდი რამ სინათლე გამოვგიჩნდა შუა ველში. ვსთქვით, ნუ თუ ხმელეთზე ზეცით ჩამოჭრილი მზეა. დაბნეულნი მივეცენით სჯასა. ზოგმა სთქვა, ცისკარია, ზოგმა სთქვა, მთვარე პრისო. შორს მოუარეთ, მივგდოთ, გარს შემოვადექით. იმ სინათლითგან ჩვენი მოუბარი ხმა გამოპხდა. გვითხრა, ვინ ჰართ, ცხენოსანნო, თქვენი სახელი სთქვით. გულანშაროთ მოციქული ქაჯეთს მივდივარ! მერიდენით! ესე გვესმა. მაშინვე მოვადექით, ალყად გარშემოვერტყენით. პირმშე რამ ცხენოსანი ჩვენი თვალით განვიცადეთ. უცკირეთ მნათობ პირსა. მისი ციმციმი, ვითა მზე, ველს ეფინებოდა.. ძვირძვირად გვეუბნებოდა დაწყნარებით რამ სიტუაციასა. მისი კბილების შუქი შავ წამწმებზე ჰკრთოდა. კიდევ ველაპარაკენით ტკბილად. მონა არ იყო, სტუცოდა, გავიგეთ. როშაქმა ქალობა შეატყო, ცხენით წაუდგა გვერდზე. ალარ გაუშვით, ვჰკადრეთ ჩვენი ხელით დაჭერა. ვჰკითხეთ კიდევ, გვითხარ მართალი შენი საქმე, ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ? არა გვითხრა რამ არც არა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი. არა, არ გვითხრა, ვინ იყო, ან ვისგან ნამუხთლევი, ქვეშ-ქვეშად გვეუბნებოდა კუშტად თავის მოკრძალებით, ვითა თავისი თვალით მჭერეტელთ გამლალავი ასპიტი. როშაქმა გვიბრძანა, ნუ ჰკითხავთ, უთუოდ არ ეთქმება, იმისი საქმე უცხო, საამბობლადაც ძნელი არის. ჩვენი მეფის ბედს სულდგმულნი უნდა შენატრიდენ. იმად, რომ ლმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია. ეს მოუცია ჩვენთვის ლმერთს მისდა მისაგვერელიდ. მივართვათ არმალიანად, დიდად დაგვიმადლებს. თუ დავჭმალავთ, დავჭმულავნდებით, ჩვენი მეფე ამაყი პბრძანდება. მათი შეცოდება. ლიდი აუგი არისო. მივამოშმეთ, ვითათბირეთ. დავჭბრუნდით, ქაჯეთს მივჭმართეთ. არცა რა ვჰკადრეთ ხელდახელ, არც თუ წავეკიდენით. ის სტიროდა, ლაწვე გულ მდულრად ჩატრეცხდა ცრემლის დენითა. მე როშაქს ვჰკადრე, გამიშვი, კვლავ ადრე თქვენი მხლებელი, ეხლა გულანშაროს ქალაქს.

საქმე მაქვს მეთქი. მან გამომიშვა. აქ სადმე ლარი მაქვს წასაღები, თან გავიყოლებ და წავალ მათი ზედა მსწრებელიო.

იმ კაცთ დიდად იამათ ამბავი მონისა. ფატმანმა გაიგონა, ცრემლი შეაშრა. ენიშნა. თავისი ლონის ყოველი ნიშანი იცნო. ცოტა ლხენა მოეცა. მონა იგი შინ მოიყვანა, ახლო დაისვა თავის წინ. ჰკითხა, მითხარ, რას ამბობდი, მეც მინდა გაგონებაო. მონამ იგივ უამბო, რაც ჰსმენოლა. იმ ამბავმა ფატმან გააცოცხლა, სულთ მობრძავი აღარ მოჰკლა. ორი შავი, გრძნებით სავსე მონა ჰყვანდა. უჩინოდ მიღია მოდიოდნენ თავიანთი ხელოვნებითა. ისინი მოასხა, ქაჯეთს გაპეზავნა, რა უთხრა, ნუ დასდგებით, თქვენის მოქმედებით მაცნობეთ იმისი ამბავიო. სამ დღეში მოვიდნენ, უამბეს, ფიცხლავ ევლოთ, მიუგვრიათ მეფისთვის ზღვას იქით წამავალისა, ვერვის გაუსწორებია მისთვის თვალები ისე, როგორც მზისთვის, და საკოლედ დაუწინდავს როსან უმცროსი ვაჟისთვის. დუღარდუხტ მეფეს უბრძანებია, როსანს შევჭროთთ. ჯერ ქორწინებისთვის არა მცალია, გულ ცეცხლ მოდებული ვარ და რა დავპირუნდები, რძლად ავიყვანო. ციხე დარბაზში დაუსვამს და ერთი ზადუმი უახლებია. ყოველი მცოდნე გრძნებისა თან წაუყვანია, რათვანაც გზა საძნელოა და მტერნი საომრად მზად არიან. ქვე დაუყრია მოყმები, ვინც უფრო გულადია. დაუვვიანდება. ჯერ ცოტა ხანი გასულა. ქაჯთა ქალაქი აჭამდის მტერთაგან უბრძოლველი არის. ქალაქში მაგარი კლდე მაღალი და გრძელია, კლდეში ასარომ ხერელად გვირაბია. იქ არის მარტო ის პირმზე. გვირაბის კარს ნიადაგ არ ავპირა მოყმენი იცვენ. ათი ათასი ქაბუკი დგას სუ ყველა ხასი. ქალაქის სამთავ კართა სამიათას სამიათასიაო. რა დაასრულეს მონებმა, ფატმანმა სთქვა, გულო, წუთი სოფელმა გაგსაჯა, არ ვიცი და გლახ რას. ებიო!

15. ღამით ნამგზავრი ტარიელ ზღვის პირს მოვიდა. ბალები სჩანდა. ქალაქი უნდა ყოფილიყო. მიუახლოვდნენ. ცალკე ეყარა კლდის ნალეწები. კაცის ნახვა არ ესიამოვნებოდა ტარიელსა, გულზე დაღი რამ აჯდა. იქ ჩამოჰქმდა მოსასვენებლად. ლალი ხეები დაპევდა. ხეების ძირში მიიძინა. მონებმა პური სჭამეს. მერმე ტარიელ აღვა სევდიანი. მური ულამებდა გულსა. ნესტანის ვერ შეეტყო ეგზომ გრძლად ვერც ჭორი, ვერც მართალი. თვალთაგან მონაწური მისი ცრემლი. გარემოს ასველებდა. ძახილი მოესმა. შეპხედა, ამაყად ჰყიოდა ქაბუკი ვინმე, ზღვის პირპირ შემოირბევდა, თურმე წყლული სტკიოდა. ხმლის ნატეხი დასვრილი ჰქონდა, სისხლი ჩამოსდიოდა. მტრებს ექადებოდა, სწყრებოდა, იგინებოდა, სჩიოდა. შავ ტაიჭე იჯდა. ქარივით მოჰქროდა.

გამწყრალ გაფიცხებული. მონა დააწია ტარიელმა. მოწადინე იყო მისი შეხვეულრისა. შეუთვალია, დადექ, მიჩვენე, ვინ არ გაწყენინა ლომსაო. კაბუქშა არა უთხრა რა მონასა, არც სიტყვა მოუსმინა. მაშინ ტარიელ ფიცხლავ შესჯდა, ჩაეგება, ჩაუსწრო, წინ ჩავიდა. უთხრა, დადექ, გამიგონე, შენი საქმე მინდა მეც მეკითხებოდესო. შემოჰედა, მოეწონა, სიარული დაიმინა. გაიცადა, ღმერთს ჰყადრა, შენ ასეთი ხეები ვით გიქმნიაო. მერმე ტარიელს უთხრა, მოგახსენებ, სიტყვა რო მკითხეო. აქამდის რომ თხებივით მიჩნდნენ, ის მტრები ეხლა გამილომდნენ, უიარალოს მიღალატეს, საჭურველი ვერ ავისხიო.

ტარიელმან უთხრა, დადექ, დასწყინარდი, ხეების ძირში ჩამოვ-  
ჰედეთ.

არ შეუდრეკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა.

ჭაბუკი თან წამოჲყვა, მამა-შვილის უტკბესნი წავიდნენ. ერთი მონა. დასტაქარი ჰყავანდა ტარიელს. ისრის პირი ამოულო ჭაბუკა ასე, რომ დაჭოდილი არ ატკინა და წყლული შეუხვია. მერმე ტარიელმა ჰყითხა, ვინ ხარ, ან ვისგან ივნო შენმა მკლავმაო- ჭაბუკი საამბობლად მოემ-ზადა, მოჲყვა ჩივილსა. ჯერ უთხრა, არ ვიცი, რა ხარ, ან რას გამ-ზგავსო. ან ეგრე რამ დაგლია, ან პირველად ვინ გაგავსო. მოყვითა-ნოდ რამ გაგიხადა ეგ ვარდ გიშერიო. მერმე განაგრძო. მულდა-ზანზარის ქალაქი ახლოს მაქვს და იქ ვჰივარ მეფედ. სახელად ნუ-რადინ ფრიდონ მევია. საღაც ჩამომხდარხართ, ეს სამზღვირი ჩემია. ცოტა, მაგრამ ყველგან სიკეთე მოუწდომელი მაქვს. როცა პაპა ჩემმა გაჰყარა მამის ძმა და მამა ჩემი, ზღვაში კუნძულია, ჩემ წილად იმას იტყოდნენ, მაგრამ ბიძაჩემს შეჰვდა, ვისმა შვილებმაც ეხლა დამკოდეს. მოთკენ დაპრის სანადირო, არ ვაძლევდი, წინააღმიდგნენ. დღეს სანა-დიროდ გამოველ, ზღვის პირად ვინადირე. იქ მინდოდა გასვლა. ნა-დირთ მრეკელს აღარ უშატე. სპას უთხარ, მომიცატეთ, ვიდრე მოვი-დოდე მეთქი. სუთიოდე ბაზიერის მეტი არ დავიჭირე. ნავით გაველ, ზღვისგან შტო რამ გამოვიდოდა. არ შევჰკრიფე განაყოფნი, ვსოქვი, ჩემიანებს რად უნდა მოვერიდო მეთქი. დამიძაბუნდნენ, მათი სიმრავ-ლე არად მიჩნდა. ვპნადირობდი და ვიძახდი, ხმას ვერ ვაწვდენდი. მართლა იჯავრეს, ჩვენი წუნობა ეგრე როგორ შეიძლებაო. ლაშქარი გამომაპარეს, ნავით გზები შემიკრეს, თვით ჩემნი ბიძაძენი შეჰსდნენ, გაუხტნენ ჩემს ლაშქარს საომრად თავიანთი მკლავითა. მომესმა მათი ზახილი, დავინახე ხმალთა ელვა. მენავეებს ნავი ვსთხოვე. ერთხელ ვიყივლე ვა, ზღვაში შეველ. მეომარი როგორც დელვა მომევება. სწადდა, მაგრამ ვეღარ მოახერხეს ჩემი ზედწამოქელვა. სხვა კიდევ დი-დი ლაშქარი უკან მომეწია. იქით და აქეთ მომიხტნენ. ერთგნით ვერ მძლევდნენ, როცა ზურგით მესროლნენ, წინანი არ მიახლოვდებოდ-ნენ. ხმალს მივენდევი, გამიტყდა. ისრები დამელია. მომეჯარნენ, ვე-

ლარა მოვახდებე რა, ცხენი ნავით გაღვიხტუნე, ზღვა-ზღვა წამოუველ  
ცურვითა, გავაცბუნე, ვინც მიმჩერდა. თანამყოლი ყველა დამიხოცეს,  
დამრჩა იქვე. ვინც მდევდა, ვერ შემომხვდა, მიუბრუნდა, მივაბრუნე.  
ებლა ის იქმნას, რაც ენებოს ლვთის წადილსა. ვეჭვ, ჩემი სისხლი არ  
შეჰრჩეს, ქიდილს ძალი შემწევდეს. ოხრად გაუხდი ყოფას მათ დილა  
საღამოს, ყვავ-ყორნებს უხმობ, მათზე მოვალხენინებო.

ფრიდონ მოეწონა ტარიელსა. გული მისკენ მიუბრუნდა. მოახსე-  
ნა, აჩქარება სულ არ გმართებს. შეც თან წამოგყვები, რომ იქვე დაი-  
ხოცნენ. ჩვენ ორთა მეომართ რა უნდა გვაშინებდესო. ესეც უთხრა,  
ჩემი ამბავი გაგონილი არ გექმნება, უფრო წვრილად გიამბობ, თუ  
დრო დაგვირჩაო. ფრიდონმა უთხრა, სალხინოდ ჩემდა მაგას რა შეე-  
წონება, სიკვდილამდი ჩემი სიცოცხლე შენ დაგემონებაო.

მივიღნენ მის მშვენიერ, მაგრამ პატარი ქალაქში. ლაშქარი გა-  
შოეგება. ფრიდონისთვის თავს იყრიდნენ ნაცარსა, იხოკიდნენ პირსა,  
ნახოკს ნაფოტსავით გაჰყრიდნენ, ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ მის ხმალს  
და სალტეკოტასა. კვლავ მოეწონა ტარიელ ფრიდონსა. ქებას შეა-  
ხმიდნენ, მზეო, შენ იდარებ ჩვენთვისო. პნახეს მშვენიერი და მდიდარი  
ქალაქი. ტანთ ყველას განაზიდარი ზარქაში ემოსა..

16. ფრიდონ მოსჯობდა. ომი და ცხენ-აბჯრის ხმარება შეეძლო.  
დაპკაზმეს ნავი, კატარლა და სპათა ჯარის რიცხვი. ტარიელმა გაიგო,  
ფრიდონის ბიძა-ძენი, ჩაბალახთა ჩამობურვას ემზადებოდნენ საომრად.  
წინ მოუგება რვა ნავი. ფიცხლავ შეეჯახა. საამურად ცურვა დაიწყეს.  
ქუსლი ჰკრა და დაუქცია. დიაცურად დაიძახეს ვაიო. მიუხდა კიდევ  
სხვასა, ხელი მოჰკიდა ნავის ბაგესა, ზღვაში დაანთქა, დაპხოურა. სხვე-  
ბი გაექცნენ, თავთავიანთ საქულბაქეს მიჰმართეს. ვინც უმზერდა ტა-  
რიელს, ყველას უკირდა და აქებდნენ. ზღვა გაიარეს, გავიდნენ, ცხენი  
შემოუტიეს. კვლავ შეიბნენ, შეიქმნა ომის სიმარცხე. ტარიელს მოეწო-  
ნა ფრიდონის სიქველე და სიუიცხე. იბრძოდა ლომგული და პირად  
მზე, იგი ალვის ხე. თვით ორნივე თავისი ბიძა-ძენი ხმლით ჩამოჰყარა,  
ხელები წმინდად გარდეკვეთათ, ასე ასაპყარა. მხარ დაკრულები მოი-  
ყვანა. მათი ლაშქარი გაექცათ. ეცნენ და გაპფანტეს, ფიცხლავ წაარ-  
თვეს ქალაქი, ქვით დაპლეწეს წვივები ასე, რომ დაარბილეს. ლარი  
არ დაილეოდა არც აკიდებით, არც ტენით. ფრიდონმა პნახა, სად რაც  
საპურჭლე იყო და თავისი ბეჭდები დააკრა. ორნივე ბიძა-ძენი დაპ-  
ყრობილი წამოასხა. თავის ნაცვლად მათი სისხლი მოჰლვარა და ველთ  
შეასხა.

მივიღნენ. მოქალაქეთა ზარი იყო. ტარიელს და ფრიდონს ყველა  
ქებას ეუბნებოდა, ელაპარაკებოდნენ, თქვენი მკლავების მიზეზით ჯერ  
კიდევ სისხლი სდითო. ლაშქარი ფრიდონს მეფედ, ხოლო ტარიელს

მეფეთ მეფობით იხსენებდა, თავიანთ თავს მონად და ტარიელისას სე-  
ფობით. მაგრამ ტარიელ დაღრუჯით იყო. მისი ამბავი არ იცდნენ;

17. ერთ ღლეს ტარიელ და ფრიდონ შეფე სანადიროდ გამოვიდნენ. გადაადგნენ ზღვაზე წაწურვილ რამ ქედსა. ფრიდონმა უთხრა, რასმე გითხრობ, ვსთამაშობდით, ცხენზე ვისხედით, ამ ქედით ერთი რამე საკვირველი ვჰნახეო. ტარიელმა ჰკითხა, ფრიდონ მოუყვა ამბავსა. ერთ ღლეს ნაღირობა მწადდა. ჩემს ცხენზე შევსჯექ — ზღვაში იხს ჰგვანდა, ხმელეთზე შევარდენსა — აქ ვიდექ და ოვალს უგდებდი იქით განაფრენს ქორსა. ზოგჯერ ზღვას გავჭყრებდი, მაგრაზე გადამდგრი. თუმცა შორს, ცოტა რამე დავინახე ზღვაში. ეგრე ფიცხლავ სია-  
რული მის სწორს არა რას შეეძლო. ვერ გამოვიცან. ორმა ფიქრშა ამაღ გამაკვირა. ვსთქვი, რა არის, რას ვამზგავსო, მფრინველი, თუ მხეცია მეთქი. ნავი იყო, მრავალკეცი სამოსელი ეფარა გარსა. წინა კაცი ეზიდებოდა. თვალები დავაცხცე, კიდობანში თვალიდ მთვა-  
რე უჯდა, მეშვიდე ცის ფლობის ლირსი. ორი მონა ამოსხრა, ფისი-  
ვით შავი. ქალი გადმოჰსვეს, მისი თმის სისხონი ვჰნახე. მას რომ ელ-  
ვა ჰკროებოდა, არაფერი არ ჰგვანდა, ქვეყნის გამნათებელი, შზის  
შუქთა გამცულებელი იყო. სიხარულმა ამაჩქარა, ამათროოლა და დამლეწა. შემიყვარდა ვარდი იგი. შეტევა დავაპირე, ვსთქვი, წმვიდე მათქენ  
მეთქი. სულიერი რამ როგორ გაექცეოდა ჩემს შავსა? ცხენი გავჭქუსლე. შაბბი ხმას და სრიალს იქმოდა. ველარ მიუსწარ, თუმცა ცხენს ვსცემ-  
დი დეზსა. მიველ ზღვის პირსა, შევჭხედე, სჩნდა ოდენ ჩამავალი მზის  
შუქზე. გამშორებოდნენ, წამსვლოდნენ. ამის გამო ვიყავ ცუცხლ მოუ-  
დებულიო.

ეს რა ესმა ფრიდონისგან ტარიელი, ცეცხლთა სიცხე მოემატა. ცხენისგან გადაიჭრა, თავი სრულიდ გაიკიცხა. თავის ლაწვთა დანადე-  
ნი თავისივე სისხლი იცხო და სთქვა, მომკალ, თუ უჩემოს ენახოს ვისმე იგიო. ფრიდონს გაუკვირდა ტარიელისგან, მეტად ეუცხოვა, მაგრამ მეტად შეიბრალა, ტირილით დაუტება. ვითა შვილი დაადუმა, ეშუდარა, შეეპოვა, თვალთაგან ცხელი ცრემლი გადმოსთოვა მარგალი-  
ტივით და უთხრა, ვაგლის მე, რა გიამბე, ფათერაკად შცდარმა შმა-  
გდო. ტარიელმა მოახსენა, ნუ ინალვლი, ის მთვარე ჩემი იყო, მით  
ცეცხლი მედების, ეხლი გიამბობ, რათგანაც ჩემ ამხანაგად გინდა თა-  
ვიო. ფრიდონს უთხრა ყველაფერი, რაც თავს გადაპხდომოდა. მან  
უთხრა თუ, მოცდომილ გაბასრული რას ვიტყოდი. ჩემსას მოსულხარ  
შენ მაღალი ინდოთ მეფე, შენ გეკუთვნის სრულიდ სახელმწიფო საჯ-  
ლომი და სრა დარბაზიო. კიდევ უთხრა,

გისცა დმერთი სარს მორჩისა ტანად უხების,

მას დახვარსა მრაშორებს, თუცა შირველ გუდს უხების.

იგი მოგვცემს წეალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს,  
ჭირსა და ინად გაგვიცალებს, არად თდეს შეგვაწუხებს.

ნატირებნი წამოვიდნენ, სრა-დარბაზში დასხლნენ პირის პირ  
ფრიდონს უთხრა ტარიელმა, ჩემი შემწე შენს გარდა არავინ არისო.  
რათგანაც ღმერთს შენი მზგავსი სოფლად არ მოუვლენია და გამიცან,  
ამის მეტი რად მინდა რამ. შენი ენა და გონება მახმარე ამის გამო-  
სარჩევად, რა მოვაგვარო, რა მიჯობს ჩემ და მის სალხენად? თუ ვე-  
რაფერს ვარგებ, წამსაც ვერ გავსძლდო.

ფრიდონმა უთხრა, ამას რომელი ბედი რა მიჯობს ღვთისაგან,  
ჩემ წყალობად მოსულხარ ინდოეთს მჯდომელი მეფე. რა უნდა მქონ-  
დეს დასამადლებელი. ერთი ვარ მონა და თქვენს წინაშე ვდგევარ,  
რათა გმონობდე. ეს ქალაქი ყოველგნით მავალ ნავთა გზა არის, მრავ-  
ლად უცხო რამ ამბის შემომკრეფელია. აქ დაგვედება, შენ რო დაუ-  
წვიხარ, იმ ცეცხლის წამალი. მენავენი გავჰგზავნოთ, ვისაც კვლავ  
უვლია, მოგვინახონ ის მოვარე, ვისთვისაც არ გვაკლია ჭირი. მანამ-  
დის მოითმინე, საგონებელს გაუძელ,

უფლა ჭირი არ ეგების, თუცა და ინად დასძლია.

ტარიელმა კაცები მოიხმო იმ წამსვე. უბრძანეს თუ, ნავებით წა-  
ლით, ზღვა-ზღვა მოიცურვეთ და მოგვინახეთ, რა თავს ჭირი უათასოთო.  
კაცებს მიუჩინა ადგილი, სადაც კი ნაგებადგური იყო, რა უბრძანა,  
საქმეთ უველგან, რაც კი ვის მისი გსმენოდესო.

ფრიდონმა საჯდომი დაუდგა საბატონო ადგილზე, უთხრა თუ,  
ვსცდებოდი აქნობამდე, ვერ მიმხდარვიყავ. შენ ხარ ინდოთ დიდი  
მეფე, ვინ რა როგორ უნდა მოგაწონოს, ვინ არის კაცი, თავი არ  
დაგამონოსო.

ამბის მძებნელნი ყოველგნით მოვიდნენ, რა ცუდს ადგილებში  
ცუდად დამაშვრალიყვნენ. ვერა რა შეეტყოთ, ვერა რა ამბავი გაეგოთ.  
ტარიელს სლილდა შეუშრობლივ ცრუმლი თვალთაგან და უთხრა ფრი-  
დონსა, ღმერთი მყავს მოწმად, ეს ლლე ისე საზარელია ჩემთვის, რომ  
ვვრ მითქვამს, უშენოდ მყოფს დლეც კი მესალამოება, ყოველი ლხინი  
მომკლებია, მით გული ჭირს დაპირია. მაშ, რათგანაც მის ამბავს ილა-  
რას მოველი, ველარ დავპრჩები და ფირმანის მთხოვნელი ვარ, გამი-  
შვაო. ფრიდონმა რა გაიგონა, ატირდა, მიღამო სისხლით მოერწყო  
და უთხრა ტარიელს თუ, ძმაო, დღეითგან ყოველი ლხინი გამცუ-  
დებიაო.

თუმც სცდილობდნენ, ტარიელ ვერ დაიმაგრეს. ფრიდონის სპა  
მუხლ მოყრით ეხვეოდა; ჰკოცნიდა, სტიროდა და ტარიელსაც იტი-  
რებდა, ნუ წახვალ, სიცოცხლე გავიწამოთ შენთვისო. ტარიელმა უთ-  
ხრა, თქვენი მოშორება მეც დიახ მეძნელება, მაგრამ ლხინი უმისოდ

ჩემთვის ძნელი ასატანია. ჩემს ტყვეს ვერ გავსწირავ, თქვენც დიახ გებრალებათ, ნუვინ მიშლით; არ დავდგებია.

მერმე ფრიდონმა მოიყვანა ცხენი და უძლვნა, რა უთხრა, ჰედავ, თქვენი, საროსტანის, არის ეგ ცხენი, ვიცი მეტი ძლვენი არ გუირია; თვით ამანვე მოგაწონოს თავისი სახედნობა და სიუიცხვეო.

ფრიდონ გამოჰყვა. წავიდნენ ორნივ ცრემლ დანადინარნი. ერთ-მანერთს შოეცვივნენ და ზახილით გიყარნენ. ლაშქარი გულით სტიროდა. ისე ჰგვანდა, თითქოს გაზრდილ-გამზრდელნი დაშორებულია ყვნენ.

ფრიდონისით წამოსული წავიდა საძებნად. კვლავ იარა ასე. რომ არა დაპრატა რა ხმელეთზე და ზღვათა გარეშე, მაგრამ მის მნახავს ვერა კაცს შეჰვდა. გული მრთლად გაუშმაგდა ასე, რომ თავი მხეცს ჭაადარა. სთქვა თუ, სიარული აღარ შმართებს, ცუდი ცურვა, ნუ თუ მხეცთა სიახლოებები გამიქარვოს გულის დარღიო და მონებს და ასმათს უთხრა, ვიცი, რომ დამირჯიხართ, ჩემი მდურვა დიახ გმართებთ. ეხლა თქვენ წადით და მე დამაგდეთ, თქვენს თავს უპატრონეთ, ნულარ უცქერით ჩემ თვალთა მონადენ ცრემლსაო. რა მოისმინეს ტარიელის საუბარი, უთხრეს, რას ჰბრძანებ, მაგას ნუ გააგონებ ჩენს ყურსა. თუ არ ჟენ, სხვა ნუმც გვენახოს ნურც პატრონი, ნურც უფალი. ლმერთ-მა ნუ მოგვაშოროს თქვენი ცხენის ნატერფალსა, თქვენ გიმზერდეთ მშვენიერ და საუცხოო სანახავსა და:

თურმე ბედი მოადაფლებს კაცს ეგზომ არ დაფალსა.

რა მონათა სიტყვა მოისმინა, ტარიელმა ვეღარ გაჰვზავნა, მაგრამ დაჰყარა დასახლებული ქვეყნების არენი. სახლად თხების და ირმების ადგილ საყოფი მიაჩნდა. გაიჭრა, ქვე მინდორ ველი და ზე მთანი სრულად დასტკეპნა.

18. არაბეთს იჯუა როსტევან მეფე სვებედნიერად. ყმა და ლაშქარი მრავალი ჰყვანდა, ხოლო თვეთ იყო გონება მაღალი, გულუხვი და თავმდაბალი, მოსამართლე და მოწყალე, მორწმულ განვებიანი; უბადრო მეომარი და პირწყლიანი მოუბარი.

სხვა შვილი არ გააჩნდა ერთი ასულის მეტი. მისი სილამაზისგან ყოველ მის მნახველს გული, გონება და სული წაპრომეოდა ასე, რომ მის საქებრად საჭირო იყო ბრძენი და მჰევრმეტყველი ენა. მისი სახელი იყო თინათინ. რა გაიზარდა. და გაიგო, მზე მასთან საწუნარი სჩანდა.

მეფემ მოიხმო ვეზირები. თვით ლალი და წყნარი დასჯდა. გვერდს მოისვა და დაუწყო ტკბილად საუბარი. უბრძანა, უნდა გკითხოთ ერთი რამ საქმისა,

რა გადაშეს შისი უფავილი გაახმოს, დამშენარეს,

იგი წაყა და სხვა მოვა ტურივასა საბაღნარეს.

შე ჩაგისვენდა, ბნელს, უმოვარო ღამეს შეკუჭერით. მე მცირს სი-  
ბერე, ყოველ ჭირზე უფრო ძნელი. დღეს არა, ხვალ მოვკვდები, წუ-  
თი სოფელი ამას სჩადის.

რადა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბეჭია?

ჩემი ქალი დავკსვათ ხელმწიფედ, ვისგანაც მზე დასაწუნარია.

ვეზირებმა პკალრეს, შეფერ, რად პბრძანეთ თქვენი ბერობა?

ვარდი თუ გაჭხამ, ეგრეცა გვმართებს რაზომცა ჯერობა,

შისივე ჭმეტობს უფელსა სული და ტურფა ფერობა.

შთვარესა შცხრალსა ვარსკვდაშან ვითამცა ჭებადა მტერობა!

მაგას ნუ პბრძანებო, მეფეონ, ვარდი ჯერ არ დაგჭინობია, თქვენი  
თათბირი ავიც კი სხვის კარგსა სჯობს. განა საჭირო იყო თქმა თქვენი  
გულის ტკივილისა? სჯობს, მეფობა მისცეთ იმას, ვისაც მზე ჩაუნთქავს.

თუცა ქალია სელმწიფედ, მასთ დვოისა დანაბადია.

არ მოგეფერებით, მეფობა იცის, კვლავც გვითქვამს. როგორც მისი  
შუქი, ისევე მისი საქმე მზეებრ ნათელია.

დევგი ჭომისა სწორია, მე იყოს, თუნდა ხეადია.

თინათინის მშვენება ჰკლავდა, ავთანდილ სპასპეტისა. ავთანდილ  
იყო ე ამირსპასალარისა. ჯერ კიდევ უწვერული ტანად საროს სჯობ-  
და, ხოლო თვალიად მზეს და მთვარეს ედარებოდა. თინათინის მიჯნუ-  
რობა გულში დამალულიდ ჰქონდა. მისი მოშორება ფერ მკრთალს  
ჰყოფდა, ხოლო რა პნახვდა, ცეცხლი უახლდებოდა და წყლული  
უფრო უწყლულდებოდა.

საბოლოო სიეგარული, ქაცსა შეიქმნი გულმოკლულად!

რა მეფემ პბრძანა მეფედ დასმა თავის ქალისა, ავთანდილს იამა  
და სთქვა, ზედიზედ მომიხდება მისი ნახვა და ნუ თუ ვჰპოო წამალი  
ჩემი ფერგამქრალობისაო.

არაბთ დიღმა მფულობელმა არაბეთს გასცა ბრძანება თინათინის  
გახელმწიფებისა. და მოიწვია მის სანახავად ყოველი შემამკობელი.  
არაბნი სრულად მოვიდნენ, მრავლად ხასის ჯარიცა. მათ შორის იყ-  
ვნენ ავთანდილ, სპასპეტი ბევრათასი ლაშერისა და ხოგრატ ვეზირი.  
მეფის დასთა დასის მხლეებელი. მათ რო საჯდომი დახდგეს, სთქვეს,  
ფასუთქმელიაო.

თინათინ მიიყვანა მამამ პირნათელი, დაპსევა და თაფს გვირგვინი  
დაადგა თჯის ხელითა, მისცა სკიპტრა და მეფეთა სამოსლით შევმოსა.  
ქალი, ვითა მზე, უმზერდა ყველას ზემხედველის ცნობითა. ჩამოდგნენ  
და თაყვანი სცეს მეფემ და მისმა სპამ. დაპლოცეს და მეფედ დაპსევს,  
სხვებმა კიდევ ქება უთხრეს. ჰკრეს ბუკსა და წინწილები შეეწყო  
ტკბილ ხმებსა. ქალი სტიროლა ლაწვთა ცრემლ დანაზღინარი და პხრი-

და შავ წამჭმებსა. მამის ტახტზე საჯდომად თავი ღირსად არ მიაჩნდა. მეფე სწვრთნიდა თავის ქალსა. უბრძანა, ნუ სტირი, შვილო, ისმინე, რაც გითხრა. დღეს შენა ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ წოდებული, დღეითგან სამეფო შენთვის მომინდვია. საქმე ბრძნად აკეთე და წყნარ და ცნობილ იყავ.

გარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების, დიდთა და წვრილთა წეალობა შენმცა ნუ მოგეწყინების. უხვი ასსინდსა დააბამს, იგი თვათ ების, ვინ ების. უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების. მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალგა რგულა. უხვსა ჭმოთჩილობს უთველი, იგორა, ვინ არგულია; სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა საფარგულა, რასაცა გასცემ შენია, რაც არა—დაქარგულია.

მამის სწავლის თინათინ ბრძნად ყურს უგდებდა, მისი წვრთნისა-გან არ მოიწყენდა. თავისი სიტუაციით მზეს სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა.

მეფე პურის ჭამასა და მლერაში, დიდ მოლხენაში იყო. მოიხმო მისი ერთგული ჯამზრდელი და უბრძანა, მისი ნაუფლისწულევი საჭურჭლე ყველა მოერთმიათ. მოართვეს და გასცა უანგარიშო, რაც ვაუკაცობის დროს მოფებული ჰქონდა. ასე, რომ სრულად ამოაგო მცირე და დიდებული. მერმე კიდევ ჰბრძანა, წასულიყვნენ, ვაეხსნათ, რაც სად საჭურჭლე იყო. ამილახორსაც დაავალი, მოესხა რემა, ჯოგი და ცხენი. მოილეს, უწყალობა უზომო. სიუხვე არ მოსწყენია. ლაშ-ქარნი ისე, როგორც მეკობრენი, ჰქვეტლნენ ლარსა. მის საჭურჭლეს არაბულ ქვენაბამ-ნასუქ ტაიკს ალაფობდნენ, როგორც ნაოურქალსა ასე, რომ სიუხვით თითქოს ზეცით ნაბუქრი ყოფალიყვეს. არ დაარჩინა ცალიერი არც ვაუი, არც ქალი.

19. ერთი დღის შემდეგ კიდევ პურის ჭამა ჰქონდა მეფესა. ლაშქართ დიდი შემოყრილობა იყო და ნადიმად ისხლნენ. მეფემ თავი ჩაპირიდა და მოიწყინა. იყითხეს, ნეტა რა უშძიმს, რა სჭირსო. თავს იჯდა ავთანდილ მხედველთაგან მოსანდომი, ვით ვეფხვი და ლომი, ჩაუქი სპასპეტი, ბერი სოგრატ ვეზირი მასთანვე. სთევეს თუ, რა უშძიმს მეფეს, ან ფერი რად ჰქონოდია. რა კი დარწმუნდნენ, მეფე ცუდ საგონებელში ჩავარდნილიყო, ავთანდილმა უთხრა სოგრატსა, ვპკითხოთ, გვიოხრას, თუ რამ შეგვეცილა, ვპკადროთ რამ სალალობო თუ, რისთვის გაგვაწბოლი. ადგნენ სოგრატ და ავთანდილ, თვითო ჭიქები აივსეს, მივიღნენ წყნარის ქცევით და წინ მიუსხდნენ მუხლ მოყრით და მოცინარის პირითა. ვეზირმა ლალად და პირწყლიანად ჰკადრა, მოგიწყენია მეფე, პირი აღარ გიცინის, მართალ ხარ, მძიშე და ძვირი საჭურჭლე წაგიხდათ.

ყველას გასცემს თქვენი ასული; სულ ნუ დაპირიშობით მეფედ, ჭირი რად უგდეთ თავსაო.

რა. მეფემ მოისმინა, გაცინებით შემოჰედა, გაუკვირდა, ჭით მკარიაო, ან სიტყვა ყრთ გაპებედაო. დაუმაღლა, კარგა ჰქმენო და უბრძანა, სტყუის, ვინც დაიყბედა ძრახვა ჩემი სიძუნწისა. ვეზირო ეგ არ მიძიმს, ესაა, რომ მწყენია: სიბერე მახლავს, სიყმაწვილის დღენი დავჭლიე, კაცი არ მეგულება ჩვენს საბრძანებელში, რომ ჩემგან ესწავლოს სამამაცო ზნეობა. ერთი ქალი მიზის, სათუთობით ნაზარდი, ღმერთში ვაჟი არ მომცა, მშვილდოსნობით, ან ბურთაობით ჩემი მზგავსი ყოფილიყო. ჩემი განაზარდი ავთანდილ კი ცოტას შემწევსო.

ლალი ავთანდილ წყნარად მოისმენდა მეფის ბრძანებასა და თავ მდაბლად გაიღიმა. გაცინება მოუხდა, თეთრი კბილების გამომკრთალ შუქს გარემოს მოჰყენდა. მეფემ ჰკითხა, რას იცინიო? ავთანდილმა ფირმანი მოსთხოვა, რაც გადროო, არ გეწყინოს, არ გაპრისხდე; კადნიერად არ ჩამაგდო და არ ამიკლოო.

მეფემ უბრძანა, შენგან არაფერი მწყენიაო და დაუფიცა მზე თინათინისა. მაშინ ავთანდილმა მოახსენა, მშვილდოსნობას ნუ იკვენიო. მშვილდოსნობას დაეცილა, სანაძლეო დაფსდვათ, მოწმად თქვენივე ყმები მოვასხაო და ვინც უკეთესი მოასპარეზე იქმნება, იმას გადასწყვეტს ბურთი ფა მოედანიო.

მეფემ უქხრა, მე არ შეგარჩენ მაგის დაცილებას, ჰპრძანე, ვისროლოთ, ნუ შეუდრკებიო. კარგი კაცები ვიახლოთ მოწმად და მერმე გამოსჩდება მოედანზე თუ, ვის ქებას იტყვიანო.

ავთანდილიც ღამორჩილდა. საუბარი შესწყვეტეს. იცინოდნენ, ყმაწველობდნენ. სანაძლევო გააჩინეს, რა დაასკენეს ეს პირობა, ვინც უარესი იყვეს, თავშიშველმა სამი დღე იაროსო. კიდევ ჰპრძანა მეფემ, თორმეტი მონა შევსხათ ჩვენ თანა მეზავრად, თორმეტი ჩვენთვის ისრის მომრთმევლად და მოსახმარებლად, — ერთია შენი შერმადინ, მათი დასადარი — ნასროლ ნაკრავი დასთვალონ უტყუვრადო. მონადირებს უბრძანა, მინდორი მოიარეთ, მრავალი ჯოგი დასცევითო. ლაშერი სამზოდ მოიხმეს, მოღით და მოიჯარენითო. ნადიმსაც მოპრინენ. ღილას ადრე მოვიდა ავთანდილ ძოწეული ემოსა, პირს ოქროს რიდე ეხვია ქარქაშოსანი ჰშვენოდა. მეფე უნდა გაიწვია. როსტევან გამოეწყო, შესჯდა და სანადიროდ გამოვიდნენ. მინდორს შემოადგნენ, ალყად გარს შემოერტყნენ. ზეიმი და ზარი იყო. სპას მინდორ-ველი დაეფარა. უბრძანა, თორმეტი მონა მოსულიყვნენ და მათთან ევლოთ, ფიცხელი მშვილდი მიეცათ, ისარი მიერთმიათ, ნაკრავი შეედარებინათ, ნასროლი დაეთვალით.

ნადირ ჯოგის მოსვლა დაიწყო ყოველ მხრივ. ანგარიშ მიუწვდო-

მელი მოვიდა ირემი, თხა და კანჯარი და მაღლა მხტომელი ქურციკი-  
მეფე და ავთანდილ გაუხტნენ. მათი ცხენების ნატერფალისაგან მზეს  
შექი წაპრომეოდა. მიჰეოცლნენ და მიისროდნენ, მინდორს მიასხმიდნენ  
ნადირთ სისხლსა და მათგან თვით ისარნიც სისხლს შეისხმიდნენ. რა  
ისრები დაელეოდათ, მონები მიართმევდენ. ავთანდილის შემხედველნი  
იტყოდნენ, ლოვის, ელემის ხეს ჰგავხო.

ის მინდორი გაირბინეს. მინდორს იქით წყალი სდიოდა და წყლის  
პირს კლდეები იყო. ნადირთ შეასწრეს ტყეში, სადაც ცხენი ვერ გა-  
პრობოდა. პატრონ — ყმანი ორივე დალულულიყვნენ, თუმცა მხნედ იყვნენ. ერთმანეთს სიცილით უუბნებოდნენ თუ, მე გჯობო, ამხანაგობდნენ და  
ჰლალობდნენ. მერმე მოვიდნენ მონები, რომელნიც უკან ჰყებოდნენ. უბრძანა, მართალი სთქვით, ნუ მოგვეუერებითო. მონებმა ჰკადრეს,  
მართალი მოგასსენოთ, ვერ დაგადარებ ავთანდილსა, იმის ნაკრაჭი მსე-  
ცები გვინახავს, წალმა ველარ დალიოდნენ. ორთავ ერთგან მოკლული  
ყველა ასჯერ ოცია, მაგრამ ავთანდილს ოცით მეტი დაუხოცია, თქვე-  
ნი კი მრავალი მიწით დასვრილი ისარი დაგვიწმენდიაო. მეფემ ეს ამბა-  
ვი, როგორც ნარდის თამაში, ისე მიიჩნია, უხაროდა თავისი განაზარ-  
დის სიკეთე, — სიცილით ჰლალობდა და გულს დარდი გადაეყარა. ორნი-  
ვე საგრილად გადაპხტნენ ხის ძირში. ლაშქართ მოდენა იწყეს, ბზის  
უმრავლესი მოსდგა. პატრონ ყმას ახლო უდგა თორმეტი მონა, სხვა  
მხნეთა უმხნესი. ჰთამაშობდნენ და წყალს და ხევის პირს უმშერდნენ.

20. პნახეს, უცხო ჭაბუკი ვინმე მტირალი იჯდა წყლის პირსა-  
ლომგმირს სადავით ეჭირა. შავი ცხენი, რომელსაც ლაგამ აბჯარ ჟნა-  
გირი მარგალიტით შემკული ედგა. უცხო ჭაბუკს ლოყები ცრემლით  
დათრთვილული, ხოლო გული მდუღრად ანატირი ჰქონდა. ტანთ კაბა  
ემოსა, გარეთ კი ვეფხის ტყავის ბეწვეული, ვეფხის ტყავის ქუდივე  
ჰქონდა თავსახურად; ხელთ ეჭირა მკლავის უმსხოსი მათრახი. უცხო  
სანახავის ნახვა მოუნდათ.

მონა წავიდა, გამოჰლაპარაკებოდა იმ ჭაბუკსა. ახლოს მივიდა, მაგ-  
რომ ვერა ჰკადრა რა. დიღხანს უკვერეტდა გაკვირვებით, თუმცა გულ  
მაგრად იყო. ბოლოს მოახსენა, გიბრძანებსო. ახლოს მისდგა, დაუწყ-  
ნარდა. ჭაბუკი კიდევ სტიროდა და არა ესმოდა რა, ლაშქართ ზახილს  
ვერა ჰგრძნობდა, ცეცხლ მოდებული გული ამოსკვნოდა ასე, რომ  
ცრემლს სისხლი ერეოდა, ნაგუბარივით სდიოდა და სხვაგან ჰქონდა  
მისი გონება.

მონამ ერთხელ კიდევ ჰკადრა მეფის ბრძანება, მაგრამ ჭაბუკმა  
არც ეხლა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა. რა კი პასუხი არ  
გაჲცა, მონა გამობრუნდა და როსტენ მეფეს ჰკადრა, ეს შევიტყე,  
თქვენი არაფერი უნდაო. თვალები დამირეტდა, გული მეტად შემი-

ძრწუნდა და ვერაფერი შეესმინეო. მეფებ გაუკვირდა და გასწყრა. თორმეტ მონას უბრძანა, ხელთ აიღეთ საომარი აბჯარი, მიღით და პოიყვანეთ, ვინც არის იქ მჯდომარეო. მონები მივიღნენ. აბჯრის ჩხარაჩხური შეიქნა. მაშინ მხოლოდ შეჰქრთა ის ჭაბუკი და ერთხელ სოქვა, ვაიმეო, სხვა არა უთქვაშს რა. თვალთ ხელები უკუ ივლო, ცხელი ცრემლი მოიწურა, ხმალ კაპარში მოიმაგრა, მკლავები გაიმამამაცურა, ცხენზე შესჯდა და სხვა მხარეს გაემართა ასე, რომ მონების ლაპარაკს ყური არ დაუგდო.

მონებმა ხელი გამოიღეს იმ ჭაბუკის დასაჭერად, მაგრამ ასე დაპხადა, მტერსაც შეეცოდებოდა, ერთმანერთს ჰკრა, დაპხოცა, ზოგი მათრახის გადაკვრით შეკრდამდის გააპო. მეფე გასწყრა, მონებს დაუძახა. ჭაბუკმა არ დაპხედა და მდევარი ვინც კი შეიწია, ყველა მკვდრებს დაამგვანა, კაცი კაცს შემოსტყორცა. რასტენ ამის გამო დაპლონდა:

მეფე და ავთანდილ შესხდნენ და იმ ჭაბუკს დაედევნენ. ის კი ლალი და უკადრი მიღიოდა ტანის რხევითა. ტაიჭი მერანს მიუგავდა. მზე ველად მიეფინებოდა. შეიტყო, მეფე მოსდევდა. რა სუნა, მეფე მოვიდაო, თავის ცხენს მათრახი ჰკრა, იმ წამსვე დაიკარგა, თოქოს ქეცეკნელში ჩამდრალიყვეს, ან ზეცაში აფრენილიყვეს. მისი კვალი სძებნეს და უკვირდათ ნაკვალევის ვერ პოვნა, კვალ წმინდად გაქრობა კაცის, ვითა მდევისა. ლაშქარი მკვდრებს სტიროდა სწრაფად. წყლულს უხვევდნენ დაჭრილებსა.

ის ამბავი მეფეს შეექნა მიზეზად ლხინთა ლევისა. ჰემი შვება ღმერთს მოეწყინა და სიამე სიმწარით დამინალვლა, სიკედილამზის დამაწყლული ასე, რომ ჩემი განკურნება არავის შეუძლია, მაგრამ მასვე მაღლი, ეს იყო მისი წება და წადილოთ. ესე სოქვა მეფემ და მოწყენილი წამოვიდა.

ყველაფერი მოიშალა, ვაი-უი გაიხშირა. ზოგთა სოქვეს თუ, მართალია, ზოგი ამბობდა, ღმერთო. სევდა მორეული მეფე საწოლში შევიდა. არვინ შეჰყოლია ავთანდილის მეტი, რომელიც შვილივით მიჩნეული ჰყავდა. ჯალაბის ფეხის ხმაც მისწყდა. სიხარული და ტკბილი ჩალანა-- ჩანგი გაბედითებულიყო.

21. თინათინმა გაიგო მამის მოწყენილობის ამბავი. ადგა და მამის კარს მივიდა, მოლარე მოიხმო და უბრძანა, სძინავს, თუ ჰელვი-ძავს მეფესაო. მოახსენა, მარტო ავთანდილ წინ უზის ჟკამითა და მოწყენით არის, რათგანაც უცხო ჭაბუკი ვინმე უნახავსო. თინათინმა უდროოდ ჰპოვა შესვლა მამის საწოლში და წასკოისას დაიბარა, თუ მიკითხოს, ჟკადრე, აქ ერთის წამით იყო თქო.

პატარა ხანს უკან მეფემ იკითხა ამბავი თავის ქალისა, ნეტა რასა

იქმს ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლის წყალიო. მოლარემ ჰკალრა, მოვიდა ფერნამკრთალი და რაკი თქვენი მოწყენა შეიტყო გაბრუნდაო. მეფემ უბრძანა, წალი, მოახსენე, რად დაპირული, მოდი, ჰმუნვა გამიქარწყლე, ჩემს დიწყლულებულ გულს რამც უწამლე, მეც გიამბობ ჩემი დალონების ამბავს თქო. თინათინ ადგა მივიდა, მამის ნებას მიჰყვა. პირის სინათლე უგავდა გაბადრული მთვარისას. მამამ გვერდს დიისვა და აკოცა. ქალმა მამის მოწყენა სამძიმოდ მიიჩნია, მაგრამ ურჩია,

ქაცმა საქმე მთაგვაროს, გეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს!

მამამ უბრძანა, შვილო, თუმც სავაგლახო საქმე მჭირს, შენი ცქერა და სიცოცხლე ლხინად დამისახავს. ვპფიქრობ; რა კი შეიტყობ ჩემი მოწყენის მიზეზსა, შენც გამამართლებო და მოუყვა ვეფხის ტყაოსნის ამბავსა.

ქალმა დანაყბედად მოახსენა მამასა, მეფეო, რად ემდურები ანუ ღმერთს, ანუ ბელსა

რად დასწამებ სიმწარეს უთველთათვის ტკბილად მხედსა?

ბოროტიცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!

თუ ის ჭაბუკი ხორციელი კუთხილა და ქვეყნად მოარული, ვინმე სხვაც ჰნახავდა, გამოსჩნდებოდა მასწავლელი, თუ არა და ეშმაკი გჩვენებია შენი ლხინის ჩასაშლელად და სევდისაგან მოიცალეო. ბოლოს ურჩია, გაპგზავნე კაცი ყოველგან მისი ამბის შემტყობი და ადრე სცნობ, ის ჭაბუკი შობილი იყო, თუ უშობელიო.

კაცნი დაიბარეს, დაპგზავნეს ცის ოთხ თავ კიდეთა, რა უბრძანეს, ტანჯვის თავ დაურიდებლად სძებნეთ მოპნახეთ ის ჭაბუკი, სხვა რისთვისმე არ მოიცალოთ, მისწერეთ წიგნი, სადაც ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთო. კაცნი წავილნენ, ერთი წელიწალი იარეს. თუმცა სძებნეს და იკითხეს ბევრი იმ ჭაბუკის ამბავი, მაგრამ ვერც თუ მნახველი იპოვეს ლვთის დანაბადი. ცუდად დამაშვრალნი მოვიდნენ ასე, რომ გულშივე ზადი ჰქონდათ და მოახსენეს მეფეს, ჩვენ ხმელეთი მოვიარეთ; მაგრამ ის ჭაბუკი ვერ ვპპოეთ, მის მნახველ სულდემულ კაცს ვერ შევპხვდით, ჩვენ ვერა გარგეთ და სხვა რამ საქმე მოიგვარეთო.

მეფემ ჰბრძანა ჩემი ასული თინათინ მართალი იყო, რაც ვპნახე, ის იყო ეშმაკის რამ სიცუდე და სიბილწე, ზეცით ჩემდაჟმტრად გადმოკრილი და მოწყენა მომიშლიაო. საჭვა და სიხარულით ადიადა თამხ-შობა. სად რაც მგოსანი და ჯამბაზი ჰპოეს, დაიბარეს, დიახ გასცა საბოძვარი და ყველა დარბაზს შეიწვია მან, ვისი მსგავსი სიუხვითა ლვთის დანაბადი სხვა არვინ იყო.

22. ავთანდილ იჯდა მარტო საწოლში, ეცვა მხოლოდ ჰერანგი. იმდერდა და იხარებდა, წინ ედგა ერთი ჩანგი. შევიდა თინათინის

ზანგი მონა და მოახსენა, გიბრძანებს. ავთანდილ დანატრულებულიყო  
ისეთი ამბის მოსმენას. აღვა და კაბა ჩაიცვა, ყოველ ჭრელში გამორ-  
ჩეული. უხაროდა შეხვედრა თავის ვარდისა.

ამთა ჭვრეტა ტურფისა, სიხლე საეგარელისა.

ავთანდილ ლალი და უკადრი მივიღა დაურცხვენელად. ვნახა, ვისგამო  
ცრემლი მრავალჯერ სდენოდა. უებრო თინაოთინ მოწყენით ჯდა,  
ჰშვენოდა ელვის მსგავსად ასე, რომ მთვარეს მისი შუქისგან უკუნი  
გადაჭივენოდა. გაძრცვილ ტანსა უსაპირო ყარუუმი ემოსა, ფას უთქმე-  
ლი ძოშეული რიდე მოშლით ებურა, უხდებოდა გულის გასაგმირალი  
შავი წამწმები და თეთრ ყელზე შემოეხვია გრძლად ხშირი თმა. ავ-  
თანდილს უთხრა, დამჯდარიყო წყნარად, მშვიდის ცნობითა. მონამ  
სელი დაულგა, ავთანდილ დაჯდა კრძალვითა. პირის პირ უმზერდა  
დიდად მოხარული. ჰკადრა, მათვე ებრძანებინათ, რის გამოც მოწყე-  
ნილიყო. ქალმა უთხრა კეკლუცად, თუმცა აქნობამდე შორს მყავდია  
მიკვირს, საქმე საეჭვოდ რად გაგიხდია, მაგრამ მე გიამბობ თავითგან,  
რაც გაჭირვება მაღგია. გახსოვს, როცა შენ და როსტენს ნადირობის  
დროს გენახათ მტირალი უცხო ჭაბუკი, იმ დღითგან იმ ჭაბუკის ფიქრს  
წაულივარ, ამისთვის გენუკვი მის მონახვას, კიდით კიდე მოჰველო. მე  
შემიტყვია, შორით გიყვარვარ, გაუწყვეტლივ მტირალი შეუპყრიხარ  
სიყვარულს, შენი გულიც დაუტყვევებია. ასრე ვითხრა, ჩემი სამსახუ-  
რი ორად გმართებს, ჯერ ჭაბუკი ხარ, ხორციელთა შორის უსწორო,  
მერმე ჩემი მიჯნური ხარ. წარი, ის ჭაბუკი სძებნე, ახლო იყოს, თუნ-  
და შორს. ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამტკიცე, რომ ჭირს მომარ-  
ჩინო, ბილწი ეშმაკი შეიპყარ. ჩემს გულს აგრე საიმედო ია მოპრე,  
ვარდი მოკთინე, მერმე მოდი, ლომო, მზეს შეგხვდები, შემიხვედრე.  
სამს წელიწადს სძებნე, პპოო, გამარჯვებით მოდი. ვერა პპოებ, დაეი-  
ჯერებ, თურმე უჩინარი იყო. ვარდი დაგხვდე კოკობი და დაუმცკნარი  
ფიცით გეტყვი, შენს გარდა სხვა ქმარი არ შევირთო, ის ხორციელი  
მზეც შემხვდეს, ჩემთვის ჭკაცად დანაბადი, სულ მრთლად მოვსწყდე  
სამოთხეს, ქვესკნელში დავინთქა, შენი მკლავდეს სიყვარული, თუ არა,  
გულში დამეც დანაო.

ვაჟმა მოახსენა, მზეო, სხვა პასუხი რა გყადრო? მე სიკვდილს  
მოველოდი, შენ დამარჩინე. ვითა მონა შენი სამსახურისთვის გავიტან-  
ჯები, რათგანაც ლმერთმა მზედ დაგბადა, იშის გულისთვეს გმორჩი-  
ლობს ზეციერი მნათობი, რაც სად არის. მე რო თქვენგან წყალობა  
მოვისმინე, მედიადა, ჩემი ვარდი არ დასჭინება, რა კი შენი შუქი  
უხვად ადგაო.

კიდევ შეჭფიცეს ერთმანერთსა, რა დაასკვნეს ეს პირობა. გასალდ-  
ნენ და სიტყვა ხშირი საუბარი იწყეს. გაადვილდა, რაც გაჭირვება  
გამოევლო აქნობამდე. ერთგან დასხდნენ და ილალობეს. ვაჟმა უთხრა,

შენს მხედველს ხელ ქმნილობა ერთი ასაღ სჭირს და ჩემი გული შენს ცეცხლს დაუდაგია.

23. ჭაბუკი წავიდა, თუმც თინათინის. სიშორეს ვერ უძლებდა, უკანვე იხედებოდა თვალებ გაშტერებული.

გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა აფალებდა.

სთქვა, მზეო, შენი სიშორე ვარდს დამაჩნდა ასე, რომ ბროლ ლალი ქარავის უყვითლესი გამხდარებარ. მაშინ რალა ვჰქმნა, თუ შენი ვერ ნახვა უფრო საღიძხნოდ მომიხდა, მაგრამ

ჭაბუკის შოუკრისათვის სიჯვდილი,

ეს წესად დამიღვია ჩემი თავისთვისაო, სთქვა.

საწოლში დაწვა, სტიროლი ასე, რომ ცრემლი ძნელად ეხოცებოდა. ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხეოლდა და იკეცებოდა. რა ჩასთვლებდა, საყვარლის სიახლოე ესიზმრებოდა, შეპკროტებოდა, დაიძახებდა, ტანჯვა უშრავლდებოდა. საყვარლის მოშორება, ლაზოდ გადაჭრებოდა.

რა გათენდა, შეიარალდა, შესჯდა ცხენზე და გაემართა. რა მივიდა საღარბაზოდ, ეჯიბის პიროთ შეუთვალი მეფეს, წავალ, მოვივლი, ვილაშქრებ და ვინაპირებ, თინათინის ხელმწიფობით მათ მტრებს გულს გაუხეთქ; მორჩილს გავახარებ, ურჩს უველას ავატირებ, ძლვენს ზედიზედ გვადრებ, სალამს არ დაგიძვირებო. მეფეს მაღლობა გადაეხადა, ებრძანებინა, ლომგულო, შენ არ უფრთხი ომსა და შენი თათბირი შენივე ქველობის მზგავსია, წადი, მაგრამ რალა ვჰქმნა, თუ სიშორის გრძელობა განვიცადეო. ავთანდილ შევიდა, თაყვანი. სცა, მაღლობა მოახსენა, ხელმწიფეო, მიკვირს, რად იკადრეთ ჩემი ქება, მაგრამ იმედი მაქვს, ღმერთმა სიშორის ბნელი გამითენოს და ლირს მყოს, თქვენი მხიარული პირი კვლავ მენახოს მხიარულსაო. მეფე ყელზედ მოეხვია, ვითა შვილი, გადაჭკოცნა. ვაუი ადგა და წამ-უვიდა. როსტენს ცრემლი მოერია.

ავთანდილ, მხედველი ჭაბუკი გამოემართა. ოცი დღე იარა, ლამეს, ზედ დაურთო მრავალი დღე. მაგრამ მისი საგონებელი იყო თინათინ, ვის განაც ალი სწვავდა, ვინც იყო მისთვის ლხინი სოფლისა. რა მოვიდა სამეფოში, დიდებულნი მოეგებნენ და ძლვენს უძლვნიდნენ. პირად მზე იგი არ მომცდარა სწრაფად სიარულსა დი მის წინაშე მყოფთ შეექმნათ საღაფო სიხარული. ქალაქი მაგარი ჰქონდა სანაპიროს, მტერთათვის ზარსახდომელი. გარშემო ქლდე იყო ზღუდე, უქვითკირო. ავთანდილმა იქ დაჰყო სამი დღე საამურ ნალირობაში. სავაზიროდ დაისვა თავისი გაზრდილი შერმადინ, ვინც იყო მისი ერთგული და თავდადებული. მანამდის არ იცოდა შერმადინმა თუ, იმ ჭაბუკს რა ცეცხლი მოსდებოდა. ეხლა განუცხადა ავთანდილმა, შერმადინ, ამად მრცხვევნია შენი, რომ ყოველი ჩემი საქმე გცოდნია, მაგრამ არ ცი აქამ.

დის, რა ცრემლი მიღვრია. ვისგანაც სატანჯველი მაღვა; მასვე მოულა  
ხენივარ. აქამდის ვერ გაჩენდი ჩემს დაფარულ ჭირსა, ეხლა საიმედო  
მიბრძანა და დამავალა, იმ დაკარგული ჭაბუკის ამბავი შემიტყე, მოპ-  
ხვიდე, შენი გულის წალილი აგისრულო, თუ არ შენ, სხვა ქმარი არ  
მინდაო. ჯერ ყმა ფარ, პატრონის სამსახურად მინდა წასკლა,

ჭეამს მეფეთა ერთგულობა, უთვა გვმართებს უმასა უმურად.

მერმე ცეცხლი დაუვსია, გულს აღარა მწვავს,

ჭეამს თუ, კაცა არ შეჭრეკეს, ჭირს მთებდეს მაშაცჭრად.

მე და შენ ყოველ პატრონ-ყმითა უმოყვრესი ვართ. ამისთვის გამიგო-  
ნე, რაც გითხრა. ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად და თავადად სხვა  
ლაშქრისა, სხვას ამ საქმეს ვერაფის მდვანლობ. ლაშქარ დიდებულთ არ  
მოუშალო ლაშქრობა, უპატრონე, დარბაზს კაცი გაპეზავნე, მათი ამ-  
ბის შესატყობად, ჩემ მაგიერ წიგნი მისწერე, უფასო ძლვენი მიუძღვენ  
და ჩემი არ ყოფა მათ არ იგრძნობინო. ლაშქრობით და ნატირო-  
ბით იყავ ჩემი მზგავსი, სამ წელს მოიცადე, ხვაჭიადი შეინახე, ხოლო  
თუ არ მოვიდე, ჩემი თავი იგლოვე, იტიორ და ივაგლახე. მაშინ მოახ-  
სენე მეფეს ამბავი ჩემი სიკვდილისა, რომელიც ყოველი კაცის თავს  
გადუვალია, და გლოხაკთ მიეც საჭურელე, ოქრო-ვერცხლი და თვალი  
თქო. არ დამივიწყო, ჩემი სული შევედრე და ჩემი ამაგი მოიგონეო. შე-  
რმადინს გაუკვირდა და შეეზარა ისეთი დაფალება, თვალთაგან, ვითა  
მარგალიტი, ცხელი ცრემლები გაღმოპარა, მოახსენა, უშენოდ გუ-  
ლით ვერ გავიხარებ, მაგრამ ვიცი, არ დალგები, ამაღ არ გიშლი. შე-  
შენებრ პატრონობას ვერ გავსწევ, მარტოობა კი ჩემთვის სიკვდილი  
იქმნება. სჯობს, ორნივე გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიყვანეო. ჭაბუკ-  
მა უთხრა. მიჯნური მარტო უნდა გაიჭრას, უფიქრელად, უსასყიდლოდ  
არვის შეპხვდება მარგალიტი,

კაცი ცრუ და მთდალატე, ჭეამს ჭახვრათა დასაჭრელად.

შენს მეტი სხვა არვინ მეგულება უკეთესი, პატრონობა მივანდო, სა-  
ნაპირო გაამაგრე, მტერმა ახლოს ვერ დაიბანაკოს, კიდევ დავპიბრუნ-  
დები, თუ ღმერთმა სულ არ დამკარგა.

ფათერავი სწორედ მჟყვდაზეს, ერთი იუნს, თუნდა ასი.

მარტოობა ვერას მიზამს, თუ ზეცა მცველადა მყავს. თუ სამ წელს არ  
მოვიდე, მაშინ მიგლოვე. წიგნს მოგცემ, გმორჩილებდენ, ვინც იყოს  
ჩემი წასიო.

24. ავთანდილ იმ წიგნით ამცნებდა თავის ერთგულ და სანდო  
ყმებსა, რამე საქმე აღმიჩნდა და ცოტა ხანს უნდა გადვიხვეწო საღ-  
მეო. ამისთვის ემუდარებოდა, სამეფო მტერთაგან დაულეწელი დამა-  
ხვედრეთ და პატრონად ჩემ წილ იცანით შერმადინ. საღამდისაც  
სკნობდეს ჩემს სიკვდილ სიცოცხლესა, ყველას მზეებრ მოგეფინებათ,

მაგრამ შემცოდეს ვითა ცვილს დაადნობდეს, ვითა ძმა და შვილი, ისე გამიზრდია, ჰმორჩილებდით, არის ვითამც ავთანდილ. ბუკა იქრას, ყოველი საქმე აქმნევინეთ, რასაც მე ვჰშვრებოდი, ხოლო თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებთო.

წიგნი რა დაასრულა, წელთ ოქტო შემოირტყა და სამგზავროდ გამოეწყო. ჰბრძანა, მინდორს შევსჯდებიო, ლაშქარიც დაერაზმა. იმწამსვე წამოვიდა, ხანი ამ დაუყვია შინ. ყველა გაისტუმრა, მომხრედ არვინ ინება, მონებიც მოიშორა, თავი გაითავისწინა, მარტო შემობრუნდა, შამბი გაირბინა. და მიწყივ საგონებლად თავისი მკვლელი თინათინ ჰყანდა. ლაშქართაგან ასე გამარტოვდა, ვერა სულიერმა ვერ ჰნახა, ვერც გაეკიდა, მახვილი ვერას ავნებდა.

რა ლაშქართ ინადირეს და პატრონი მოსძებნეს, პირად მზე იგი ვეღარ იპოვეს, მაშინ ფერი ეცვალათ და დიდი სიხარული მწუხარებად გადაეჭირა. ვინც უცხენმალეს იყო, ყველგან დაპრბოლენენ საძებრად, სხვაგნით სხვა მოამბეებს მოასწმილნენ. მისი საქმის ვეღარაფერი სცნეს მისმა ლაშქარმა, რომელიც გულმოკლულ იყო და ცხელ ცრემლს გაღმოჰყიდა. მაშინ შერმაღინმა ერთგან შეპყარა ხასი და დიდებულები, უჩვენდი ის წიგნი, მისი თქმული ამბავი. რა მოისმინეს, ყველა გულ დაწყვეტილი დაპრჩა, თავში იცემდნენ ასე, რომ გული არ დარჩენილა იყო უცრემლო, ყველამ ჰყადრეს, თუმც ყოფა უავთანლილოდ გვეარება, საჯდომი და ტახტი თუ არ შენ, სხვისთვის არავისთვის არ უნდა მიეცა ავთანდილსა, ჩვენ დაგემორჩილებით, ვის რაც უნდა გვიბრძანო. ყველამ გაიპატრონეს შერმადინ და თაყვანი სცეს.

25. ავთანდილმა ის მინდორი ოთხ ახმით გაღიარა. არაბთ სამზღვარი დააგდო და სხვათა სამზღვრები მოჰყლო, მაგრამ თავისი პირმზის დაშორებამ სიცოცხლე გაუნახევრა ასე, რომ ზოგჯერ მოუნდებოდა გულში დაცუმა და დანას მიქმართავდა. თავის თავს ატყობდა, უფრო და უფრო სჭირდებოდა, მაგრამ გულს ეუბნებოდა თუ, დასთმეო და უცხო უცხო ადგილებში მგზავრობის დროს მგზავრებს ეკითხებოდა ამბავს და უმეგობრდებოდა. ქვეყანა უჩნდა ტახტად და მკლავი თავის სადებლად, მაგრამ იტყოდა, საყვარელო შენთვის სიკვდლი თავის ლხინად შეყოფა.

ქვეყნის პირი სრულად შემოიარა ასე, რომ ცასქვეშეთი არ დაჭრჩენია შემოუვლელი. მაგრამ იმ ამბის მსმენელს ვერავის შეპხვდა და იმასობაში სამი წელიწადი სამს თვედ მიიყარა. მივიდა ერთს უგემურ, მეტად ქვის ქვეყანაში. ერთ თვეს კაცი არ შეპხვედრია აღამის შეილი ის გაჭირვება ვისს და რამინსაც არ უნახავს. დღე და ღამი საყვარელი იგონებდა. ბოლოს სადგურად შეპხვდა ერთი მაღალი დიდი მთის წვერი. იქათგან შვიდი დღის საფალი მინდორი გამოჩნდა. მთის ძირში წყალი ჩაუდიოდა, ხილის არად სანდომი და მისი ნაპირი ორგნითვე

ტყეს შეეკრა. ზედ წააღგა, შეექცეოდა, დროსა და დღეს ანგარიშობდა-  
ორი თვე დაპრჩენოდა; ამად სწუხდა, ვაი, თუ საქმე გამიმულავნდესო,  
ჰშიშობდა, იტყოდა,

აგსა კარგად გერგინ შესცვლის, თავს ახლად ვერგინ იშობს.

ჩატვარდა საგონებელში, თუ დავპტბრუნდე, რა მოვახსენო ჩემს მნათობსა,  
თუ არ დავპტბრუნდე და უცხო ჭაბუკის საძებრალ კიდევ სხვა დრო  
დავპყო, დრო გადაუწყდება შერმაღინს, მივა მეფესთან და უამბობს  
ჩემს სიკვდილსა, მე კი მერმე ცოცხალი მივალო. იტყოდა, ღმერთო,  
შენი სამართალი ჩემთვის რად გაამრუდე, ამდენი სხარული რად გამი-  
ცუდე, გულში სიხარული ამომიგდე, ჭირი დამიბუდე, ჩემი დღენი  
მოვტირიო. მაგრამ იტყოდა მაინც, დათმობა სჯობსო, ულმრთოდ ვე-  
რაფერს გავპხდები, ცრემლი ცუდად დამედინება,

განგებას ვერგინ შესცვლის, არ საქმეელი არ იქმნების.

რა კი ცას ქვეშეთი შემოევლო და იმ კაცის საქმე ვერ გაეგო, გაიფიქ-  
რა, უთუოდ მართალ იყვნენ, ვინც ის ჭაბუკი ქაჯად ჩასთვალესო.  
სთქვა, ტირილი აღარ მარგებსო და მობრუნება დააპირა.

იმ მინდვრისკენ დაემართა, თვალით გამოჰსახა გზა.. ერთს თვეს  
არსად ენახა სულიერი კუკი, საშინელ მხეცებს წააწყდა, მაგრამ არ შეა-  
უძახა, თუმცა თვით მხეც ქმნილი გულ ამოსკვნით იყო. ჭამა მოუნდა, ვი-  
თა ადამიანსა. როსტომის მკლავ უგრძესის ისრით მოჰკლა ნადირი, გა-  
დაპტელა შამბის პირსა და კვებით დაანთო. ცეცხლი. საძოვარი მისცა-  
ცხენსა, ვიღრე მწვადი შეიწოდა. ექვსი ცხენოსანი ვნახა, მისკენ მოდი-  
ოდნენ. მეკობრენი ეგონა. ხელთ ჰქონდა მშვილდ — ისარი, მათკენ გას-  
წია სიხარულითა. ორ ცხენოსანს უწვერული ვაჟ-კაცი მოჰკვანდათ. თა-  
ვში იყო დაკრული, სისხლს გული შეებინდა ასე, რომ სული ცოტა-  
და ედგა. სტიროდნენ. ავთანდილმა უყივლა თუ, ძმანო, ვინ სართო.  
იმათ სთხოვეს, გვიშველე და სატირალი მოვიტირეთ. ავთანდილ მი-  
ვიდა, ამბავი გამოჰკითხა. უთხრეს, ძმანი ვართ სამნივე და ციხე ჭალაქი  
ხატაეთისკენ გვაქვსო. სამნივე სანადიროდ წავედით. ლაშქარი უთვალა-  
ში გვყავდა. წყლის პირს გადავპტით, სანადირო მოგვეწონი ასე, რომ  
ერთს თვეს არ წავსულვართ. აუარებელი მხეცი დავპტხოცეთ მინდვრით,  
მთით, თუ ქედით. ვინც კი მსროლნი იყვნენ ჩვენთან ერთად, ყველა  
დავპტბილეთ, სამნივე კიდევ ერთმანერთს დავეცილენით, მე უკეთ მოვპკლავ,  
მე გჯობო. ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩელეთ და ვითაკილეთ. ერთ  
დღეს ლაშქარი ავპყარეთ, სავსე ირმის ტყავითა, რაოგანაც გვსურდა,  
შართალი გაგვეჩინა, ვინ ვის სჯობდა. თავისი მკლავითა და ნადირი მო-  
გვეკლა, რასაც კი თვით დავინახავდით და არა სხვის ნაჩვენები. სამი  
მეაბჯრე ვიახელით და ლაშქარს წასვლა უბრძანეთ. ის მინდორი, ტყე  
და ლრე მოვინადირეთ, დავპხოცეთ. მხეცი, მფრინველი არც ზე გადავუ-  
რენია. მაგრამ ანაზდად პირგამქუშავი ჭაბუკი გამოსჩნდა, შავს ტაიპ-

ზე იჯდა — მერანი რამ შეეი იყო. — თავსა და ტანსა ემოსა გარე თმა ვეფხბის ტყავი. მის ელვათა შუქი ძლივს განვიცადეთ. მისი შეპყრობა მოგვინდა. მე უფროსმა უმცროსს კაცი დავთხოვე, ჩემმა შემდეგმა იმს ტაიჭი უქო, ამან გვთხოვა, მარტო შეპბმოდა და ნებას დავჭყევით. მი-ვჰმართეთ, ის ისევე წყნარიდ და მოხდენით მიღიოდა. შაგრამ ტკბილი გონება ჩვენთვის მეტად გაიმედიდურა და მისი მკვახედ მოუბარნი შა-თრახით შეგვამწიფა. უმცროს ძმას ვეცენთი, უფროსს დავეზიდენით. ხე-ლი მოჰკიდა, დადეგო, ესეც ჰყადრა. ხმალს ხელი არ მიჰყო, თავსა გადაჰკრა მათრახი ასე, რომ სისხლი დააღინა. თავი გადაუფრიშა, მკვ-დარს დაამგვანა და დაამიშა, ვინც რამე ჰყადრა. თვალ წინ წაგვივიდა ლალი და ამაყი. ოდარ დიბრუნებულია. წყნარად და აუჩქარებლივ წავი-და. აგერ მიღისო, ჰნახეო, შორს უჩვენებდნენ ავთანდილს მტირალნი. ძლივს, თუ სჩანდა შავი ტაიჭი, რომელზედაც იჯდა პირად მზე ივი. ავ-თანდილმა რა მოისმინა ეს ამბავი, გაუხარდა, რათგანაც ცუდად არ წა-უხდა იმდენი გარეთ ყოფნა.

კაცსა მიშვედეს საწადელი, — რას ჟძებდეს, უნდა პოვნა, —  
მაშინ მისგან ადარა ჰსამს გარდასრულთა ჭირთა ხსფენა.

უთხრა თუ, მე ვინმე ყარიბი ვარ იმ ჭაბუკის საძებრად წამოსული. ეხ-ლა როგორც მე შოვეწიე ჩემი გულის წადილსა, ეგრე ღმერთმა ნუ ინებოს თქვენი ვნებაო და უჩვენა სადგომი, მოდით ნება ნება, ჩრდილ-ში გადასვით, დამაშვრალნი ხართ, მოისვენეთო.

26. ავთანდილმა გაჰქუსლა დეზითა. როგორც გავაზი, ისე გაჰ-ფრინდა. მიეწურა. იმის ფიქრში იყო, როგორ მოვახერხო ახლო შე-ხვედრა.

საუბარშა უმეცაოშა შმაგი უფრო გააშმაგოს!  
ჭიამს თუ, კაცია გონიერმა ძნელი საქშე გამოაგოს,  
არ სიწენარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს.

რათგანაც ის ჭაბუკი კაცს არ მიუშვებს საუბრად და საცეკვლიად, მით ვეწევი, შევიყრებით ერთმანერთის საცემ საფლეტად, ანუ მომკლივს, ანუ მოვჰკლავ. რაც იყო, თუ არ იყო, არ შეიძლება, ბინა არ ჰქონოდა, ამისთვის ღონე უნდა ვსძებნო მხრალოდ იქითგანო. წინა უკან იარეს ორი დღე და ღამე ასე, რომ მაშვრალთ შეჭამალიც არ უჭამიათ. არსად ხანი არ დაუყვიათ, ერთი თვალის წამიც კი. ასე სტიროლნენ, მათი თვალების ცრემლი მინდორს მოჰკლამავდა. დღისით იმგზავრეს და დიდი კლდე გამოუჩნდათ, საღაც ქვაბი იყო. პირს წყალი ჩაუდიოდა, წყლის პირად, არ ითქმოდა თუ, შამბი რავდენი იყო, დიდრონი, თვალ-უწვდომი და მაღალი, კლდემდის ანაყრდენი ხე მრავლიად იყო.

იშ უცხო ჭაბუკმა მიჰმართა ქვაბსა, რა წყალი და კლდე გაჰვლო. ჩაშინ ავთანდილ ჩამოჰედა, დიდი ხე მოჰნახა, ძირს ცხენი დააბა. და თვით ხეზე გავიდა საჭვრეტად. იქითგან უჭვრეტდა თუ, როგორ მივიდა ცრემლ მონადენი ვინმე ჭაბუკი, რომელსაც ვეფხის ტყავი ემოსა. ქვაბის კარს გამოდგა შავ ჯუბიანი ქალი, მაღლა ატირდა ასე, რომ მისი ცრემლი ზღვასაც შეერთოდა. ჭაბუკი ჩამოჰედა და მკლავით ყელს მოეჭდო ქალსა. ჭაბუკი ქალს და ქალი ჭაბუკს ეხვეოდა. მათ ძახილს და მოთქმას კლდენი ბანს გრძელდნენ. ავთანდილ გაკვირვებით უჭვრეტდა მათ ეგრე ქცევა-ზმასა. ქალმა სული დაიღო, გულის წყლულობა დასთმო, ქვაბში შეიყვანა ტაიჭი, მოქმედა აკაზმულობა. რაც ზედა აბჯარი ქრტყა ჭაბუკსა, შეჭხსნა და შეიტანა. ბოლოს თვით შევიღნენ.

ავთანდილს უკვირდა, თავის თავს ეკითხებოდა, რითი შევიტყო ის პშბავიო. გათენდა, ქალი გამოდგა, იმ ფრაძვე მოსილი. შავს აუდვა ლაგამი, რიდის წვერით რა გასწმინდა, შეჰქაზმა. აბჯარი გამოიტანა წყნარად, არა რამ ჩხერითა. ქალი სტიროდა და მკერდში იცემდა, ხშირ თბას იწერდა. ერთმანერთს მოეხვივნენ. ჭაბუკი ცხენზე შესჯდა. აგრე შეწუხებული ქალი ეხლა უფრო შესწუხდა. ავთანდილმა ძხლოს კვლავ ჰნახა. იმ კაცისვე სახე, ულვაშ აშლილი უწვერული და სთქვა, ნუ თუ ცის მზეალ. ასე უჩნდა ლომის მოკვლია, ვითა ლომს ვაკისა.

ჭაბუკი იმ გზასვე დაადგა, გუშინ რო გაევლო. შამბი გაჰვლო, გაეშორა, თავი გააგარა მინდონსა. ავთანდილ უჭვრეტდა გაკვირვებით, მაღვით ხეს მოეფარა, სთქვა თუ, ლმერთმა ეს საქმე მეტად კარგად მომიგვარაო. ჩამოვიდა, ცხენი ახსნა, ხეზე გამობმული, ზედ შესჯდა და გაემართა. გამოქვაბული კარ ლია იყო. ქალი გამოიჭრა გულ-მღულარე, ეგონა თუ, დაპბრუნდაო. სახე ვერ იცნო, არ ჰყვანდა იმ ჭაბუკის სახესა. ფიცხლავ გაიქცა, კლდეს და ხეს მიჰმართა ძახილითა. ავთანდილ ჩამოჰეტა, დააბა, კაკაბივით, მახეში. ქალის ერთნაირ ძახილს კლდენი ბანს ეტყოდნენ. თავი არ ჩაუგდო ხელთ, სანახავადაც კი ეზიზლებოდა. ვითა არწივ ჰკვეშ კაკაბი, მიღამო ჰკროებოდა. შემწედ ტარიელს ვისმეუძახდა, თუმცა ვერ ჰშველიდა. ავთანდილ მუხლთ უყრიდა, თითით ეხვეწებოდა, მისი რამ ეთქვა, ვინ იყო, და ანუგეშებდა, სხვას არას გიზამ, ნუ ჰყივი ეგრე ხმიანიო. ქალი ტირილით ეტყოდა ავთანდილს; დამეტესენ, თუ შმაგი არა ხარ, ცნობას მოდი, თუ შმაგი ხარ. მენუკვი მეტად ძნელი საქმის აღვილად თხრობასა, ცუდად ნუ მოსცდები, იმ ამბის მბობას ჩემგან ნუ ელი. ვაჟო, რა გინდა, რას მენუკვი. ეგ ამბავთ არც კალმით დაიწერება, შენ ერთხელ მეტყვი, მითხარო, მეასჯერ გითხრობ ვერასა, როგორც ტირილს სიცილი, ისე მღერას ვაგლახი მიჯობსო.

ავთანდილ დიდის ხნითგან ეძებდა იშ ჭაბუკის აშბავს, ბევრი გაჭირვება აეტანა. ამისთვის სთხოვდა, მიამბე, ნულარ გრცვენია, ვერ

დაგეხსნებით. ქალმა კიდევ გადაჭრით უთხრა, ვერ გიამბობ, რაც გინდა, ჰქმენო. კიდევ უთხრა ვაჟმა, ღმერთი იწამეო, და მუხლნი მოუყარა წინ, მაგრამ ვერას გაპხდა. მუდარობა მოეწყინა, გაგულისდა, თვალთ სის სხლი შოედინა, ადგა, თმით წამოპზიდა, ყელში დანა დააბჯინა. დაემუქრა, გიჯობს, მითხრა, თუ არა და მოგკლაო. ქალმა უთხრა, ეგ მეტად ავი ღონე მოიგონე, თუ არ მომკლავ, არ მოვპკვდები, რად რა გითხრა, ხოლო თუ მომკლავ, სულ ველარას გიამბობ. ჩემი სიკვდილი ჩემი, სასჯელი ნუ გგონია.

ჩალად მჩანს უფელი სოფელი, მისთვისვე შემიწონია.

მაგრამ ვაჟმა თვითვე სთქვა, არ ივარებს, სხვა საქმის გამორჩევა სჯობსო, და გაუშვა. ცალკე დასჯდა, სტიროდა ცრემლთა ფრქვევითა. ქალს უთხრა, გაგარისხე, ეხლა არ ვიცი, როგორ დავპრჩეო. ქალი დაუჯდა კუშტ გვარად, ჯერ არ დამტკბარიყო. ავთანდილ აღარას ამბობდა. ქალი კიდევ იქით ატირდა, ვაეისთვის გული შესტკიოდა, მტირალი ეცოდებოდა, მაგრამ უცხოს უცხო უჯდა და ჩუმად იყო. მაშინ ავთანდილ მიჰხვდა, ჩემთვის დასწყნარდაო, ადგა და რა მუხლნი მოუყარა, ტირილით უთხრა, გაგარისხე, ღარიბად და ობლად დაგრჩომივარ და შემინდე ესეც გაიგონე, მიჯნურს შებრალება უნდა. სხვაფრივ უდონო ვარ, არ ვინ არის ჩემი ღონე, სულს მოგცემ გულისთვის, რა გიყო მეტიო.

რა შეიტყო ქალმა ავთანდილისაგან მისი მიჯნურობა, გულ ამოხვინჩით დაიწყო ასკეც ცრემლთა ფრქვევა, კვლავ გაამაღლა ძახილით ტირილი. ავთანდილს ღმერთმა გულის წადილი აუსრულა და ულხინა. იფიქრა, ვისთვისმე ხელ ქმნილი სტირისო და კვლავ მოაგონა, მიჯნური მტერთაც შეებრალება, სიკვდილს თვით ეძებს, არ ერიდება. ჩემი პირ-შზის გამოგზავნილი ვარ სწორედ იმ ჭაბუკის საძებრად, ეხლა შენი გული მიპოვნია ერთად ერთ იმედად, ორის გან ერთი მიყავ, ტყვე მქენ, ანუ მააზატე, ან მაცოცხლე, ანუ მომკალი, ჭირი ჭირზე მომიმატეო. ქალმან უთხრა უფრო საამური სიტყვა, ვიდრე თვი დაი, უფრო მოყვარული დაი გიპოვნივარ, თუ გამიგონებ, რასაც ეძებ, შეპხვდები, არ ასცილდები, თუ არ მომისმენ, ვერ პპოებო, რაც უნდა იტიროო. მაშინ ავთანდილმა მიუგო, ეგ საქმე ამას ჰევსო.

ორნი კაცნი მოდიოდეს, სადაური სადმე გზასა.

უკანამან წინა ჭინა ჩაჭარდნილი შიგან ჭასა.

ზედ მიადგა, ჩაჭეიოდა, სტირს, იძახას ვაგლას — ვასა.

ეგრე უთხრა, ამხანაგო, იუვ მანდა, მომზადიდე,

წავალ თოვთა მლსახვმელად, მწადსო, თუცა ამოგზიდე.

მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუკვირდა მეტად კიდე,

შემოჭეუივლა, არ გელოდე, სად გაგებოე, სად წავიდე.

ეხლა დაო, შენ ხელთ არის ჩემი ყელის საბელი, უშენოდ არაფერი

მეშველება, რასაც მიზამ, შენ იცი, ჩემთ ხელის წამალო, თორემ ვის შეუკრავს გორლით მრთელი თივაო. ქალმა უთხრა, შენი ნაუბარი მომეწონა, უცილოდ კარგი ვინმე ხარ, ბრძენთა საქებარი ჭაბუკი. ვინათვან აქნამდის კირი დაგითმია, რაც გითხარი, მომისმინე, გიპოვნია საძებარი. იმ ხელ-ქნილი ჭაბუკის სახელი ტარიელ არის, ხოლო მე ასმათ მქვიან. იგი მინდორს არონინებს მჭევრ ტანსა, მე გლას ვსჭამ მისი ნანადირევის ხორცია, არ ვიცი, ეხლავ მოვა, თუ დიდ ხანს დაჰყოფს, გთხოვ, მოიცადო; რა მოვიდეს, ერთმანერთს გაგაცნოთ, შენი თავი შევაყვარო, მერჩე კი თვით ჭაბუკმა გიამბოს თავისი საქმეო. ავთანდილმა მოუსმინა ქალსა და დაჰჭორჩილდა.

27. იმ დროს ხევით ჩხაპუნება მოესმათ. მოხედებს, პნახეს, ტარიელ, ვითა მთვარე, წყალში გამოვიდა, თანვე შუქთა მოაფენდა. მაშინვე ქალმან ავთანდილ ქვაბში დაჭმალა. ტარიელ ჩამოჭხდა, კაპარჭ ხმალი უხდებოდა. ასმათ შაოსანი და იგი ატირდნენ მაღლა ცრემლითა. ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა იღუმალის ჭვრეტითა. ასმათმა შეჭხსნა, აბჯარი შეიღო და ცხენი შეიყვანი. ქვეშ დაუგო ვეფხის ტყავის ნატი. ტარიელ ზედ დასჯდა, ჰირ-მონამატი ითქვამდა სულსა. ქალმა კვესით ცეცხლი დაანთო. ეგონა, ტარიელ სჭამდა შემწვარ ხორცია; მიართვა. ერთი ახლიჩა, მაგრამ ძალა არ ჰქონდა და უცოხნელი გამოჰყარა. ცოტა ხანს მიწვა, მიიძინა. ძილში შექრთა, დიდი დაიძახა, რეტივით წამოვარდა, იძახდა და წამ-წამ გულში ლოდსა, თავში კეტს იცემდა. ქალი კიდევ ცალკე იჯდა და პირს იხოკდა. ჰკითხა დაბრუნების მიზეზი. ტარიელმა უთხრა, გაღმევიდა ვინმე მონადირე მეფე, უთვალავი ლაშქარი ახლდა და პნადირობდა. კაცთა ნახვამ სევდა ამიშალა, შეხვედრის მოვერიდე და მათგან დამკრთალი შემოვპრუნდი. რა ტყეში დავიმალე, მეგონა თუ, რა გათენდებოდა, ისევ წავიდოდიო. მაშინ ას-კეცი ცრემლი გადმოსცვივდა ქალსა. უთხრა ტარიელს, ტყე-ტყე დადიხარ მარტო, ქვეყნის ყოველი პირი მოგივლია და საუბრად არ იახლებ კაცსა. როგორ დაგელია ერთი კაცი, შემაქცევრად გიახლოს და არ გაშმაგდე, შენ მოჰკვდე და ის წაპხდეს, შენთვის რა მაღლი იქმნებაო. ვაჟმა მიუღო, დაო, ეგ შენი გულის მზგავსია, მაგრამ არ მგონია, თუ ვისმე შეეძლოს პოვნა ისეთის კაცისა ასე, რომ სიკვდილი ლხინად მიჩნს. სიახლე და საუბარი თუმცა მწაღია, ჩემს ბედზე ღმერთს ისეთი კაცი არ გაუჩენია. შენს გარდა სხვა ხორციელი არავინ მყავს არსადაო. ქალმა ჰქადრა, არ გამიშურე, რათვანაც ღმერთს შენი ვეზირობა ჩემზე მოუგდია, არათერს დავჭმალავ, რაც საქმე გამიცდია;

არა ჭარგა უსაზომო,

ზომას გადასულხარო. ვაჟმა მიუგო, უღმრთოდ როგორ დაჰჭადო

კაცი ჩემი სამსახურისთვის, ხოლო თუ ღმერთს უბედობა უნდა, მე რას გავჭიდე ცდითაო. ქალმა კიდევ ჰყადრა, მეტის შეგონებით გაგსაჯე, მაგრამ თუ კაცი მოგვიარო, თავისი ნებით მოგვეს, ილხენდე მისი რჩევით, დაიფიცე, არ მოჰკლაო. ტარიელმა უბრძანა, თუ მიჩვენებ, გავიხარებ, ვპოვიცავ ჩემი ხელ-მქნელის სიყვარულსა, უგემურს არას უზამ, არასოდეს გავამწარებ და რაც ჩემგან იამება, ვაამებ და შევიყვარებო.

ქალი ადგა და წავიდა იმ ჭაბუკის მოსაყვანად. ხელი მოჰკიდა, ამოჰკყვანდა. ტარიელ გამოეგება ავთანდილს და ხელი ხელში მოჰკიდა. ერთგან დასხდნენ და დიდხანს იტირეს. ასმათ სულს ულებდა, თავებს ნუ დაიხოკო, თქვენის ბნელით მზეს ნუ დააბნელებთო. ტარიელმა უთხრა ავთანდილსა, მესწრაფება შენი ამბის გაგება, ვინ ხარ, სით მოსულხარ და სადაური ხარ, მე სიკვდილს აღარ ვახსოვარ, მისგან გაწირული ვარო. მაშინ ავთანდილმა უამბო თავისი ამბავი. ტარიელსაც მოაგონდა მათი მაშინდელი ომი და განუცხადა, ვპნახე, შენი პატრონიც დამედევნა ბოლოს, მაგრამ ხელმწიფობით შემებრალა, მის გამო ხელი აღარ შევახე. ახლა მიამა შენი პირის ნახვა, მაგრამ გარჯილხარ, გაჭირვება გამოგივლიაო. ავთანდილმა უთხრა, იმდენი ცრემლის დენის სასჯელივე შეგცვლის, ჩემი ბელი მომინდვია შენი სურვილისთვის და შენ გრახლები სიკვდილამდისო. ტარიელს შეეცოდა ავთანდილ, ვითა მიჯნურს მიჯნური, მაგრამ დადუმდა, რათგანაც, თუ უამბობდა თავის ამბავსა, ცეცხლი დასწვავდა. ასმათს უბრძანა, რად არ იცი, ჩემი გულის წყლულს არაფერი ეწამლება, ზედ მეტად კიდევ ეს მტირალი ჭაბუკი მწვავსო. მერმე ავთანდილს უთხრა,

ვინცა კაცმან ძმა, ანუ თუ დაცა იდოს,,

ჭხამსო, მისთვის სიკვდილსა და ჭირს თავი არ დაჭრიდოს!

დმერთმან ერთი რად აცხონის, თუ მეორე არ ჭასწემიდოს?

უური დაუგდე, გიამბობ, რაც უნდა დამემართოსო. ასმათს წყალი მოატანინა, თუ ვინიცობა იყო, დაიბნიდებოდა, ეპკურებინა. მოისვა გვერდსა, თითონაც ლილ ჩახსნილი დასჯდა საამბობლად. ვერ დასძრა ენა სასაუბროდ, მერმე კი სული მოითქვა, დაიძახა და ცხელი ცრემლი რა გადმოჰკარა, მოთქმით მოუყვა, რაც თავს გადაჭიდომოდა;

28. რა მოიგონა ამბავი საყვარლისგან სამკლავის მიღებისა, მისი ვეღრებისა, რომ ნაცვლად თავისი რიდე გაეგზავნა მისთვის, ტარიელ მხეც იქმნა. სტიროდა, კირი გათასებოდა. სთქვა, მე მაქვს სამხრე, მას რომ უწინ ჰქონდა მკლავზეო შეიხსნა, მოილო, თვალით არ დაიფასებოდა. პირზე დაიდო და დაბნედილი დაეცა ასე, რომ მკვდარს დაემზადესა. გულში დაკრული მჯილის ლები ორგნით უჩნდა. ასმათს დაწვთაგან სისხლის ლვარი სდიოდა, კვლავ წყალს ასხამდა, ჸუველიდა. წანწკარის ხმა ისმოდა.

ავთანდილსაც მწარე სულთქმა ჰქონდა. დაბნედილ ტარიელს შემოჰედა ასმათმა, ვაება გაამრავლა ისე, რომ მისმა ცრემლმა ქვა გაჰქიმდა. მერჩე სული მოაბრუნებინა ტარიელსა, ცეცხლი დაუშრიტა წყლითა. ზე წამოსჯდა ტარიელ, ფერი დაჭკარგოდა, თვალებს რეტად აყოლებდა ასე, რომ ვარდი, ვითა ზაფრანა და სპეტი, გაჰქიმოდა. დიდ ხანს ვერ ჰლაპარაკობდა, ვერც იცქირებოდა. დარჩონა და სიცოცხლე მეტის მეტად უმძიმდა. ავთანდილს უთხრა, ლხინად მიჩნს შეხვედრა მოყვრისა და მიკვირს, რომ ცოცხალი და მრთელი დაპვრჩიო.

კიდევ ასტირდა და დიდი სულთქმა ჰყო, რა დაასრულა მისი ამბავი თუ, საყვარელმა პირველად როგორ დასწამა ფიცის გატეხა, ბოლოს კი დაუტკბა, ჩემებრ სხვას ვერსად შეჰქვდებით. რა ეს გავიგონეო უთხრა ავთანდილს, მეტის მეტად მეიმედა. კვლავ თვალთა ძალი ვიგრძენ იმ ნათლის საჭრეტად, ეხლა კი დაჭკარგვია. ვა, უხანო სოფელო, რად დამჯდარხარ ჩემი სისხლის სასმელადო, სთქვა და სულბალოს ქვაბში დაბინავებისა უთხრა ავთანდილსა, ეს უკაცური ქვაბი ვჰპო, მდევებს გამოეკვეთათ. შევები და ამოვსწყვიტე. ვერ დამძლიერს, მაგრამ მონები დამიხოცეს. ძმაო, მაშინდღითგან აქა ვარ და აქ ვჰკვდები. ხელქმნილი მინდვრად გავიჭრები, ზოგჯერ ვსტირი და ზოგჯერ ვჰბნდები. ასმათიც არ მშორდება, ესეც მისთვისვეა ცეცხლ-მოდებული. სიკვდილის მეტი სხვა ღონე არა დამრჩნია საცდელად. მშვენიერი ვეფხვი მის სახედ დამისახავს, ამად მიუვარს მისი ტყავი, კაბად ჩემთვის გამიკეთებია. ეს ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულთქმაცა იქვს. იმ დაჭკარგულს ვიგონებ, მას აქეთ ნადირთა ვახლავ, სიკვდილის მთხოვნელი ვარ, სხვა არაფერი მინდა ღვთისაგანაო. სთქვა და თავჭირში იცა კიდევ, დაწვი გაიხეთქა, ვარდი გაიკაწრა, ლოყა ქარვად გადიქცია, ბროლი დაილეწა სრულიად. ავთანდილსაც ცრემლი გაღმოუვიდა წამწამთაგან. მერჩე ასმათმა დაადუმა ტარიელ, რა მუხლ მოყრით შეგხვეწა. დადუმებულმა ტარიელმა უთხრა ავთანდილსა, შენ ყველაფერი გაამე, ჩემს თავს კი ვერაფერი. სიცოცხლე გაარმებულმა ჩემი ამბავი გიამბე, ეხლა წადი, შენი მზე ჰნახეო. ავთანდილმა უთხრა, მე შენს მოშორებას ვერ მოვითმენ, თუ მოგშორდები, თვალთაგან ცრემლი დამედინება, მართალს გეტყვი, ნუ გეწყინება, შენი სიკვდილით იმას არა ელხინება რაო.

რა აქიმი დასწეულდეს, რაზომ გინდა საქებარი.

მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტერებარი.

მან უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი,

სხვისა სხვმან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

რაც გითხარი, გამიგონე: გაგონება ასი გმართებს. ეგრე გულ-ფიცხელი კაცი ვერისფერს გაჰქიმდება. ეხლა მწარი მისი ნახვა, ვის ცხელ ცეცხლსაც დაუწვივარ. უნდა ვჰნახო, მისი სიყვარული ჩემთვის დავამტკიცო,

მოვახსენო, რაც შემიტყვია. შენ გენუკვი, შემიჯერო, ღმერთი ილვთო, ერთმანერთი არ გავსწიროთ, მაფიცო და შემოგფიცო. შენ არ წახვი-დე აქეთგან, მეც არ გაგწირო, კვლავ მოვიდე შენს სანახავად, შენთვის მოვჰკვდე და არ გატირო მისთვის, ვისთვისაც შენ ჰკვდებიო.

ტარიელმა მიუგო, უცხოს უცხო ეგრე როგორ შეგიყვარდი, და საშორებლად გეძნელები, ვითა ვარდი იაღონსა. როგორ უნდა დაგივიწყო. ღმერთმა ჰქმნას, კვლავაც გნახო. თუ გიტყუო, მოგალორო, ღმერთმა რისხვით გამიკითხოს.

ამაზედ შეიფიცნენ ბრძნულად მოლაპარაკე და ცნობა გაშმა-გებული მეგობრები. ტარიელთან ერთად ავთანდილიც სტიროდა და ცრემლს ჰლვრიდა.

იმ ღამეს იქ დაჰყო ავთანდილმა. რა გათენდა, გამოეთხოვა და წამოვიდა. ვერ მიმხვდარიყო ტარიელ თუ, როგორ ეწყინა, რა ექ-მნა. ავთანდილმაც შაშბი ტირილით ჩაიარა. ასმათ ჩამოჰყება, ზენარს ეფიცებოდა, მუხლო უყრიდა სტიროდა; თითით ეხვეწებოდა, აღრე მოსვლას ევედრე ბოდა. ავთანდილმა უთხრა, თუ არ თქვენ, დაო, სხვა რა უნდა მაგონდებოდეს. აღრე მოვალ, არ გაგწირავ, შინ არ დავ-ჰყოფ ხანსა, ოლონდ სხვაგან არ წავიდეს ტარიელ, თუ ორ თვეში არ მოვიდე, დაუგვანი საქმე მომივა, მაშინ სცანით, გაჭირვება თავს და-მტყდომიაო.

29. ტარიელს რა დაჰშორდა, ავთანდილ სევდისაგან ჰირს იხოკდა, ვარდს იპობდა. დადენილ სისხლს მხეცებს ალოკვინებდა.. ფიცხლავ სი-ირულით გრძელი შარა შეამოკლა. მივიდა იქ, სადაც სპა დაეყარა. ჰნახეს, იცნეს. ევრე გაუხარდათ, როგორათაც შეეფერებოდათ, შერ-მაღინსაც ფიცხლავ კაცნი გაუგზავნეს, ახარეს მოვიდა, ვისთვისაც აქამდის ლხინი ჩამწარებული ჟექონდაო. შერმაღინ გაეგება, მოე-ხვია, ხელზე აკოცა, სიხარულით ცრემლს ჰლვრიდა. ესე სთქვა თუ, ღმერთო, ცხადს ვჰქედავ, თუ ბნელსა, არ ვჰლირსვარ, ჩემი თვალები გჰევრეტდესო. ავთანდილმა მდაბლად მოიკითხა, ჰირში აკოცა, უბრ-ძანა თუ, ღმერთს ვჰმადლობ, თუ რამ გაჭირვება არ გქონიაო. დი-დებულთ თაყვანი სცეს. ეხვეოდა, ვინც ღირსი იყო. ზარს სცემდნენ. ღიღსა და ჰატარის უხაროდათ.

მოვიდნენ, სადაც სამყოფად სახლი იდგა. იმ ქალაქის კრებული სრულად თავ-მოყრილიყო სანახავად. მორქმული, ლალი და შვებული მაშინვე ნადიმად დასჯდა ასე, რომ ენა იმ დღის შეებას სრულად ვერ იტყოდა. შერმაღინს უაშბო ყველაფერი, რაც ენახა, ან როგორ ჰპო-ის ჭაბუკი. ცრემლი უშლიდა ხელსა, ქმაპარაკობდა, თვალების ხუჭვით,

სთქვა რა ბოლოს, უმისოდ შეკიფს დარბაზი და ხულა სწორიდ მიჩნსო. შერმაღინმა შინაური ამბავი ყველა მოახსენა, შენი წასვლა არვინ იცის, ეგრე ვჰქმენ, რაც მითხარო: იმ დღეს ავთანდილ იქ დაპრატა, მოისვენა. ცისკრად, დღე რა მზემ გაათენა, შესჯდა და გაემართა,

შერმაღინ მათი მისვლის მახარობლად წავიდა ფიცხლავ ასე, რომ ათი დღის სავალი სამს დღეში გაიარა. ავთანდილ ლომ-გულს უხაროდა იმ მზის მოკამაზის ნახვა. შეუთეალა როსტევან მეფეს, მორჭ-მულო და დიდო მეფეო, ამ საქმეს შიშით და კრძალვით გკადრებთ, იმ ჭაბუკის ვერაფრის მცნობი ჩემ თავს უწოდებდი ფლიდსა, ეხლა გამიგრა და ყველაფერს გაცნობებთ, შეებით და მშვიდობით მოვდივარო. შერმაღინმა მოახსენა როსტევან მეფესა, ავთანდილ მოღის იმ ჭაბუკის მპოველიო, ხოლო ულამო ნათელს თინათინს ჰკადრა, ავთანდილ მოღის და სამო ამბავს გკადრებსო. თინათინ მზისაც უფრო თამამ ელვას აკრთობდა. შერმაღინს უბოძა საბოძვარი და დაპროსა მისიანი ყველა.

მეფე შესჯდა და მომავალ ავთანდილს გაეკება გულ მხურვალე. ჭაბუკი მიეგება მხიარულად. დიდებული ზოგი მოვრალს ჰგვენდა სიხა-რულისაგან. რა მიუახლოვდა, ჩამოჰედა. ჭაბუკმა მეფეს თაყვანი სცა. როსტევან მოეხვია. გულმხიარულნი შვეიდნენ სეფე დარბაზსა. ყოველ მეკრეფეს უხაროდა მისვლა ავთანდილისა. ლომთა ლომმა თაყ-ვანი სცა თინათინს, მზეთა მზესა. მისი ბროლი და ვარდ-ჭიშერი მისვე სინაზეს ელამაზებოდა. მისი ჰირი უნათლეს იყო ზესთა ზესი სინათ-ლისა. სახლ სამყოფ დარბაზად ზეცა ეკადრებოდათ.

იმ დღეს დასხლნენ ნადიმად. პურის ჭამა გაამრავლეს. მეფე ისე უცქეროდა ჭაბუკსა, როგორც ტკბილი მამა შვილსა. ჰშვენოდნენ ორ-ნივე ისე, როგორც ახალ დაფიფქული თოვლი, ან დანაშული ვარდი. წყალობად მარგალიტი ისე უხვად გასცეს, ვითა დრამა.

პურის ჭამა რა დასრულდა, მოლხენილნი თავთავიანთსა წავიდნენ. დიდებულნი არ გაუშვეს. ავთანდილ ახლოს დაისვეს. მეფემ ჰკითხა, ჭაბუკმა მოახსენა, რაც გაჭირვება ენახა, ან რაც ჰკმენოდა. ნუ გი-პირს, მას გახსენებდე გულის წუხილით. მზე თუ იქმნება მზგავსი მისი, ან მისი სახისა, კაცთა მნახის გონებას უნახავ ჰკმნის.

რა ჰირი კაცსა სოფელმან მოუთმოს მოუთმინამან,

ჭაცე ლენწამიან, ზაფრანა იშტგავსოს ფერად მინამან.

შდეეთათვის ომით წაურთმევია გამოქვაბული სახლად, თავისივე საყვარლის ქალი ჰკავს ნაახლებად, ვუფხვის ტყავი აცვია, სტავრა ნახლებისგან აბეზარ ქმნილა და სოფლის უნახველს ახალ ახალი ცეცხლის ალი სწვავსო. მეფეს იამა, რა მოისმინა ავთანდილისგან ამბავი მისი გაჭირვების და ნათელი მზის ნახვისა და უქო მძლე ხელი და მხნეობა. იმ ამბის მოსმენის გამხიარულდა აგრეთვე თინათინ. იმ დღეს

პურის ჭამა ჰქონდა სამხიარულო და მოუწყინარი.

30. კვლავ საწოლში დაჭხვდა მონა ავთანდილსა და მისვლა უბრძანა. იმა ასე, რომ ენით არ ითქმოდა. მხიარული და ლმობიერი წავიდა თინათინთან. ლომი მინდვრად ლომებთან ნასიარულევი და ფერ ნამკრთალი, სოფლის ხასიათით ჯავარი და სრული ლალი იყო, მაგრამ გულისთვის გული გულში ჰქონდა განაცვალი. უკადრი მზე ტახტზედ იჯდა მორჭმითა. ედემს რგული მცვერი ალვა ეფრატს უხვად მოერწყო და გიშერი თმა და ტევრი წარბი ბროლ ბადახში უმშვენებდა ასე, რომ მის საქებრად საჭირო იყო მრავალ ათინელ ბრძენთა ენა.

მხიარული აფთანდილ წინ დაჭხვა სკამითა. ორთავ შესატყვისი ლხინით სავსენი ისხდნენ და ლალად, ტკბილად და ენაწყლიანად. მოუბარობდნენ, ჰპოე თუ არა, ვისი ძებნითაც გარჯა ჰნახეო. ჰკადრა.

რა კაცს სოფელში მისცეს წადილი გულისა,

ხსოვნა არა ჭიათის ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა.

ვჰპოე ხე, სოფლის წყალთა რწყული ალვის ტანი, მაგრამ ეხლა ფერ-ნაკლული ვარდის მზგავსი პირი. მით დამწვარვარ, რათგანაც ჩემებრვე მოუთმინები ცეცხლი სწვავსო. მერმე მოუყვა ამბავსა, რაც მისგან მოესმინა. მოსთვალა გაჭირვება, რაც ენახა მის საძებნად მგზავრობის დროსა და ისიც თუ, ღმერთმა როგორ აღირსა საწადლის პოვნა, უთხრა, საწუთრო და სოფელს ყოფა და კაცი უჩნს, ვითა ნადირსა, მხოლოდ ხელუმნილი მხეცებთან მინდვრად დაიარება და სტირს. ნუ მკითხავ, ქება რა გკადროთ. ასეთია, რომ მის მნახავს სხვა აღარაფერი მოეწონება, მხედველს თვალები ისევე დაულონდება, ვითა მზეს ციაგისაგანო. წვრილად ჰკადრა, რაც იცოდა, ენახა და ჰსმენოდა. როგორც ვეფხს, წავარნა და ქვაბი აქვს სახლად. ქალი ახლავს, ვინც არის მისი სულის დგმა და ჭირში მანუგეშებელი, მაგრამ ვაი, რომ სოფელს სოფლად მყოფი დაუსვამს ცრემლის სალვრელადო.

ქალმა რა მოისმინა ამბავი, თითქოს გულის წადილი ასრულებოდეს, პირი გაუნათლდა, ვითა ნათლად დავანებულ მთვარესა და ჰკითხა, მისი წყლულის განსაკურნებლად რა წამალი არისო. ვაჟმა უთხრა, მან დასჭვა ჩემთვის დაწვა თავისა, მეც მოვალე ვარ, მივიდე იმსხოთან, მითქვამს მისთვის დადება თავისა, ჩემი თავის მზე შემიფიცავს,

ჭიათის მოუგრისათვის თავი ჭირისა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სივერული გზად და ხიდად.

მიჯნურსაც აგრევე დიდ ჭირად უნდა უჩნდეს მიჯნურის ჭირი, მეც უმისოდ ლხინი არმად, თავი ფლიდად დამისახავსო.

ქალმა უთხრა, ყოველი ჩემი გულის წადილი ამისრულდა, ჯერ. რომ შენ მშვიდობით მოხველ, დაკარგულის მპოვნელი, მერმე ზრდა გაქვს ჩემგან დანერგულის სიყვირულისა.

საწუთრო კაცს გოგელსა, ვითა ტართი, უხდების;

ზოგჯერ შზეა და დღესმე ცა რისხვით მოუქუსდების.  
მეც რაც ჭირი მინხავს, ეხლა ლხინად შემცვლია.

რათგან შეეძა აქვს სოფელისა, თვით რად ვინ შეუწუსდების.  
შენ გცოლია ზენარი ფიცის შენახვა.

ჭხამს გასრულება მოუვრისა სიუფარულისა მტკიცისა,  
ძებნა წამლისა მისისა ცდნა, ჭხამს, უი იცისა.

მაგრამ ჩემიც უნდა სთქვა. მე რა ვპერნა უძლურმა, როცა მზე  
მიმეფაროსო.

ჭაბუკმა ჰყადრა, სიახლით ჭირზე განვიტადე.

ცუდი არის დამზრულისა გასათბობად წელისა ბერვა,

ცუდი არის სიუფარული, ქვეით კოცნა, მზისა წერვა.

თუ შენი ხლება ერთი ვაი, მოშორება ათასი ვაი არის. თუ გავი-  
წრე, ალი გლაბ დამწვავს, გული მქუცვია ისრის საკრავ საგნად, ხო-  
ლო სიცოცხლის დრო ნასამაღად. მწადია სატანჯველო ფარვა, მაგრამ  
დრო გადამსვლია სატანჯველო მაღვისა, თქვენი ნაუბარი მოვისმინე-  
და რაც ჰბრძანეთ, გავიგონე.

ვარდისა ჭაცვი მთაპოვეს, ეპალთამცა რად ვეფხანე!

მაგრამ რა კი ჩემთვის შენი თავი მზეს დაგვენე, სიცოცხლის  
საიმედო რამ ნიშანი წამატანეო, ტკბილად უთხრა ვაემა. ჭალმა მარგა-  
ლიტი მისცა, გულის წალილი აუსრულა.

რა სჭობს, რა კაცმან გიშერი ბრთლ დაფსა თანა ახის,  
ანუ ბაღის ალვა სართვა ახლოს ჭრდის, მთერწერის, ახის  
მისა მწერეტელის აფხინოს, ვერ მშვირეოს ავაგლახდის,  
ვაი, მოუვრისა გაურიცას, ახის, ეკოს, ახის!

31. ავთანდილ გულ რეტი დაპშორდა საყვარელსა. სტოროდა ზლვის  
უმეტესის ცრემლითა და იტყოდა, ვერ გასძლა სოფელი ჩემი სისხლის სმითამ.  
სევდა მოპრეოდა, მკერდში იცემდა, ამად ილურჯებდა, რომ კაცს მი-  
ჯნურობა ატირებს და აგულჩვილებს. ლრუბელი რა მიეფარება, მზე  
დააჩრდილებს ხმელეთსა, ისევე მოყვრის მოშორება კვლავ აბინდებდა  
ჭაბუკსა. სისხლსა და ცრემლსა გარევით ღაწვი დაელარა მისთვის.  
იტყოდა, მზე ალარ კმარა ჩემი თავის დასადებლად. მიკვირს თუ, ალ-  
მასი გული რად დაუდალავს ჩემთვის შავ წამწამსა? ვიდრე ვპნახვოდე,  
წუთისოფელო, სალხინოდ ალარ მინდიხარ. ედემს ნაზარდი ალვა  
დღეს საწუთორომ ლახვარს მიმცა, დანას მახია, ეხლა უსკან,

საქმე სოფელისა ზღაპარია და ჩმახია.

ამას მოსთქვამდა, ცრემლს აფრქვევდა, აორთოლებდა და აწანწა-  
რებდა. გულ ამოსკვნით, ოხვრა სულთქმით მიშერიდა ტანსა.

საყვარლისა სიახლესა მოშორება გამწარებს,

ფა, საწუთო, ბოლო თავსა ასუდარებს, აზეწარებს.

ჭაბუკი დაპბრუნდა, საწოლში დასჯდა, ზოგჯერ სტიროდა და-

ზოგჯერ ჰბნდებოდა, მაგრამ ფიქრით საყვარელს ახლავდა. მწვანილსა-ვით თრთვილისაგან პირს ფერი დაჰკლებოდა. უსაყვარლობა ისევე დასჩნეოდა, როგორათაც ვარდს უშეობა.

გული კრულია გაცისა სარბი და გაუძღვმელი,  
გული კამ ჟამად უოველთა ჭირთა მთმო, ჭინთა მდომელი.  
გული ბრმა, ურნი ხედვისა, თვით გერას ვერ გამზომელი,  
ვერცა ჭირონობს სიკვდილი, ვერცა მეფეა რომელი!

რა გულს უთხრა გულის საგულისო, მოილო თავისი პირმზისეული; მის მკლავზე ნაბაში მარგალიტი, კბილებს რო ჰგვანდა და რა აკოცა და პირზე დაიდო, ბისონივით, ცრემლი სდიოდა.

გათენდა თუ არა, მოკითხავი კაცი მოვიდა, დარბაზს ჰემობილობდნენ. ავთანდილ წავიდა ლალი, ნაზი და ძილ ნაკრთობი. მნახველთა ჯარი იდგა ისე, ვინ ვინ ასწრებდა, ერთმანერთს ეჯარებოდნენ. მეფე მინდორში გასასვლელად იკაზმებოდა, დაბდაბ-ნობი მოემზადებინა. მეფე შესჯდა. დიდი ზარი იდგა. ქოს-დაბდაბთა ცუმისგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა. ქორები აბნელებდნენ მზესა, ძალები მიმოჰოდნენ. იმ დღეს დანალვარი სისხლი ნაღირთა მინდორ-ველს ესხმოდა. ინაღირებს. მხიარულნი დაჰბრუნდნენ. დიდებული თავადები და სპა სრულად მოჰყვნენ. საჯდომები და სრა-დარბაზი მორთული დაჰხვდა მეფესა. დასჯდა. ჩანგი ჩალანას აძლევდა ხმასა და მომლერლები სულ მრთლად იყვნენ. ავთანდილ ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხავდა, ელაპარაკებოდა. ბაგეთა ბროლ ლალი გასჭვირდა, კბილთა ელვა ჰკრთებოდა. ლირსი ახლოს ისხდნენ, ისმენდნენ; შორს ჯარი ირეოდა. უტარიელო ხსენების არვინ ჰკადრულობდა.

კაბუკი დაჰბრუნდა შინ გულ მოკლული, ცრემლს აფრქვევდა. მიუდამოს, სიყვარული თვალ წინ უტრიიალებდა. ზოგჯერ ადგებოდა, ზოგჯერ დაწვებოდა, ხელქმნილს არ ეძინებოდა.

რაცა აჯა დათმიშისა გულმან ვისმცა მოუსმინა?

იწვა, იტყოდა მოთქმითა, გულს სალხინო რაღა დაუსახო?: ედემს ნაზარდო ლერწამ ტანო, მოგშორდი შენ, ვინცა ხარ მხედველთ სალხინო, ვერ მხედველთათვის საფაგლახო. ცხადლივ შენს ნახვას არ ვლი რსვარ, ნეტა სიზმრივ გნახო. კიდევ ეტყოდა გულსა.

დათმიბა ჰკვანდეს სიბრძნის წერთა.

არ დავსთმოთ, რა ვჰქმნათ, მითხარი, სევდას რა მოუგვაროთ.

თუ ლხინი გვინდა დვთისაგან, ჭირნიცა შევიწენართა.

გულო, რაზდენცა გვაჭეს. სიკვდილისა წადება,

სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება.

დაჰმალე, არ დაიმჩნიერ ცეცხლის დება ამაღ, რომ

აფაზ შეჭირობს შიჯნურს მიჯნურობისა ცხადება!

31. რა გათენდა, შეიარაღდა ავთანდილ და გამოვიდა გარეთ თქ-

მითა, ნეტა მიჯნურობა არ დამაჩნდესო. მერმე შესჯდა ცხენზე და ვეზირის სახლში წავიდა. ვეზირმა იცნო, სთქვა, ჩემსას მზე ამოსულა, თურმე ამის სიხარულში ვიყავ დღესაო. მასპინძელი მიეგება, თაყვანი სცა და ქება ჰკადრა,

ჰქამის სტუმარი სასურველი, მასპინძელი შხიარული.

მერმე გადაპისვა, ფეხთა ქვეშ ხატაური დაუგეს. ჭაბუკმა სახლი გაანათა, ვითა მზის შუქმა სამყარო. ასე სთქვეს, ვარდის კეთილ სურნელება მოვგვერა ქარმაო. ჭაბუკი დასჯდა. მის შემხედველთ მისთვის ბნედა სასახელოდ მიაჩნდათ, არა თუ ერთხელ, ათასჯერაც ჰქონდათ სულთქმა მისთვის. მერმე დაიშალნენ და ჯალაბობა შეთხელდა. ჯალაბიც რა დაიშალა, ჭაბუკმა უთხრა ვეზირსა, შენი დამალული არაფერი იქმნება დარბაზში, რის ქმნასაც კი მოიწადინებ, მეფე ჰბრძანებს, ამად ჩემი გავირვება გაიგონე და რამე მიწამლე. იქ; ჭაბუკის ცეცხლი მედება, მისი სურვილი და ვერ ნახვა მკლავს, მას ჩემთვის სული არა ჰშურს, სამაგიეროს გადახდა უნდა,

ჰქამის სიყვარული მოუწისა უხვისა, უშურველისა.

მისი ნახვა, მისთვისვე დათმობა გულში ჩამსახვია. მერმე ასმათ დად მიმიჩნევია. როცა წამოველ, შევპუიცე, კიდევ გნახავ-მეთქი. ჩემი წას-ვლის დროა. ყველაფერს მართლად და არ საკვეხნად მოგახსენებ, მი-მელის და ვერ მივსულვარ, ზენაარს ვერ გაუტეხ, ვერც გავსწირავ,

რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გაშტეხელსა!

რაც გითხარ, ჰკადრე როსტენს ჩემ მაგიერ, რა მიხვიდე. სრა დარბაზსა. წავალ. რისთვის უნდა დამიჭიროს? მიშველე რამ. ჰკადრე მეფეს, ყოველი პირმეტყველისაგან საქებარსა თუ, რა შიშს განვიცდი- მაგრამ იმ ჭაბუკმა დამწვა, გული წამსვე წამართვა, უმისოდ, მეფეო, ვერ გავსძლებ, ხელ ქმნილვარ მისგან. თუ რასმე ვარგებ, ჯერ თქვენ- თვის იქმნება სასახელო, თუ ვერას ვარებ, გულს დავსდებ, ჩემი ფიცი არ გატყდება. ჩემი წასვლა არ გეწყინოს. რაც ღმერთს უნდოდეს, ის იქმნას ჩემს თავსა. მანვე ჰქმნას და გაგიმარჯვდეს, თქვენი დაგიბ- რუნდეს თქვენვე. თუ არ მოვპბრუნდე, თქვენმცა ჰსუფევთ, თქვენი მტერი დაძაბუნდესთქო. პირად მზემ კიდევ უთხრა ვეზირსა, მე სიტ- ყვა შემიწყვეტია და ეს ჰკადრე მეფესო, ვიდრე სხვა ვინმე შევიდოდეს, გამოსთხოვე ჩემი მშვიდობით გაშვება, გმირობა. ჰყავ და ასი ათასი წი- თელი შენთვის ქრთამად მომირთმევიაო.

ვეზირმა სიცილით უთხრა, ქრთამი შენვე გქონდეს, არ ითქმის, ვერც ვეტყვი, ვინც რა ძვირი უნდა სთქვას ჩემთვისო. მიშინვე მომ- კლავს, ან ამიკლებს, ეგ სიტყვა როგორ სთქვიო. მე ვჰფიქრობ, სიკვ- დილს, ან აკლებას სიცოცხლე სჯობს. თუ მეფე გაგიშვებს, ლაშქარი რად მოპლორდეს. რად გაგიშვან, მზეს რად მოპშორდენ? შენ თუ წახვალ, მტერი გაგვითამამდება, გაგვისწორდება. ეგ ასე არ იქმნება,

ვითა ჩატი ქორად ვერ იქცევაო.

ეფთანდილს ცრემლი მოერია. უთხრა ვეზირსა, გულში დანა უნდა დავიკრა. გეტულბა, სიყვარულის არა გცოდნია, ან არ გინახავს სხვა მოყვრობა, არც ფიცი. თუ გინახავს, როგორ იმტკიცებ, უმისობა ჩემთვის ლხინი იყვეს! მაგ პირობას, ვეზირო, კრული გული ვერ დაგუვება, მაშინ ჩემი მონცვალე რეინა უნდა გაცვილდეს. მარტო ცრემლთა ფრჩვევით, ჯეონადაც რომ გასკდეს, ვურ გადვიხდი მის ცრემლსა, მომენტარე. თუ არ გამიშვებს, გავიპარვი, ვიცი, ჩემთვის არას გიზამს, თუ გასაძევებლად უნდიხარ. სთქვი, რაც გინდა დაგემართოს, ზავი დასდევ საწამებლად.

ვეზირმა უთხრა, შენი ცეცხლი მეც ცეცხლად მდებია. ველარ უცქერი შენს ცრემლსა, სოფელიმც გაჰქარდება.

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების ვიტყვი, არ დავსდევ, თუ მოვჭკვდებიო.

ვეზირმა რა უთხრა ეს, ადგა და დარჩაზს წავიდა. მეფე შეკაზ-მული დაპევდა. პირი მზეებრ გაუხდა, შეუკრთა. ვეზირმა საწყენლის მოხსენება ვერ გაუტედა, ისე იდგა და იგონებდა არ საომარ საქმესა.

მეფემ პნახა, ვეზირი მოწყენით გაჩუმებულიყო. უბრძანა, რა ამ-ბავია, რად მოხველ ეგრე შეკირვებულიო. მან ჰკადრა, არა ვიცი რა, მაგრამ მომკლავთ, როცა გაიგონებთ საკვირველს ამბავსა. მეშინიან, თუმც არ უნდა ვჰშიშობდე. ავთანლდილ უნდა დაგეთხოოს, ამად მოაჯეობს, უმისყინოდ წუთისოფელს ჰგმობსო. რაც იცოდა, ყველაფერი ჰკადრა მოშიშრად. კიდევ მოახსენა, როგორ უნდა სცნო თუ, რა ყოფაში, რა ცრემლ დანადინარი მინახავს. გემართლებათ ჩემთვის გულის წყრომათ.

მეფემ რა მოისმინა, გაგულისდა, გაუკენობდა, ფერი შეუკრთა და გასაშიშრდა, შემხედველს შეაშთობდა. შეუძახა ვეზირს, რისთვის შმა-გობ, მაგას სხვა ვერვინ მეტყოდა.

ავსა კაცსა უჩჩევნია, ავსამცა რას ადრე სცნობდა!

სასიხარულო საქმის თხრობა კი არა, ეგ მოგსვლია გაუტანლობით. მაგის მეტი ვინ რა უნდა მიყოს, ეგ იმასა ჰგავს, ვინმემ მუხთლობით ნაადრევად მომკლას. შმაგო, ენა როგორ იხმარე მაგის სათქმელად. ეგრე შმაგი არად ვარგხარ არც ვეზირად, არც სხვად რადმე. განა შეიძლება კაცი არ მოერიდოს ჰატრონის საწყინარსა, რა უმეცრული სიტყვა უმეცრად დაიყბედოს. მაგის მოსმენამდე ყურები რად არ დამი-დგა. შენ თუ მოგვლა, შენი სისხლი ჩემს კისერზედ იყვესო. კიდევ უბრძანა, თუ მისგან მოგზავნილი არა ხარ, ჩემმა მზემ, თავს მოგკვეო, ცილობა არ უნდა. წა, უკუ სდექ! აი შმაგი, უმეცარი და შლეგი.

შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქშე, მისგან ქმნილი!

მერმე დასდრკა, სკამები შემოსტყორცა, კვლელს ჰქრა, შეალეწა. დააცდუნა, მაგრამ მისთვის აალმისა, როგორ მითხარ წასკლო ალვის-ტანისაო? ცხელმა ცრემლმა თეთრი ლოყები აუცრიცა ვეზირსა. ვეღა-რას გაჰქდა, შიშ ნაჭამი ჩუმად გამოვიდა, დაწყლულებულ გულს მოიმ-ტკივნებდა. შეის ხასობდა, გაის ქუშობდა, ენამ ასე მოაყივნა,

მტერი მტერს ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა იფნებს.

სოქვა, ჩემი ცოდვის მზგავსი ლმერთმა მეტი რა უნდა მიჩენოს, რად მოვჰლორდი, რად დავჰბნელდი, ნერა ვინდა გამოთენოს. ვინც სხვა რამ კადნიერად მოახსენოს პატრონსა, ჩემი დღე იმასაც დაადგეს, რაც უნდა განსვენებაში იყვესო.

გაწბილებული ვეზირი მივიღა ავთანდილთან. ბედშავად შესჩივლა მოწყენით და პირქუშად, თავი დავჰქარგე, დავაშავე; რა სიავე, რა სი-რეგვნე, რა შმაგობა არ მაკადრა ასე, რომ კაცად აღარ ვარგვარ, თავ-ტანის აღარა გამეგება, ეს მიკირს, რად არ მომკლა. რაცა ვჰქმენ, მეც ვიცოდი, ვიაზრე, გამიწყრებოდა, მაგრამ შენთვის სიკვდილი ლხი-ნად მიჩანსო. ჭაბუქმა უთხრა, წაუსვლელობა ჩემგან არ იქმნება. თუ ვარდი დასჭინა, იაღონიც მოჰქვდება, ამად ჰმართებს, უძებნოს წყალი; თუ ვერ უპოვა, ვერც გულს დაიწყნარებს. უმისოდ ვერ გაესძლებ ჯდომას, ვერც წოლასა, მირჩევნია ნადირივით გავიჭრე, მასთან ერთად ვჰრბოდვ. ასე გასულს, რადა მთხოვს, ვებრძოდე მის მებრძოლთ?

სჯობს უეფლება კაცისა მომდევავისა უოფასა.

კიდევ მოვახსენებ, თუმცა მეფე სწყრება, ეგებ, მიმიხვდეს. თუ, გული როგორ მეწვის. და მენთება. არ გამიშვებს, გავიპარვი, ხოლო მე-თუ მოვჰქვდე, ჩემი კერძი სოფელიც გადიფხვრება.

მოილაპარაკეს. ვეზირმა შესაფერი პურისჭამა გაუმართა. უმასპინ-ძლა, მშვენიერს მშვენიერი ძლვენი უძლვნა. ვინც თან ახლდა ახალ-გაზდა, თუ მოხუცი, ყველა აავსო აგრეთვე. დაპშორდნენ ერთმანეთსა—

ავთანდილ წავიდა, რა მხე ჩასვლაზედ იყო. იტყოდა, სჯობს უშველო, ის მოყმე სამაგიეროდ დღეს დაგვითბუნებს. ჩემი სიმწარე და სიტკბოება ჩემებრ სხვამ არ ვინ იცის.

ცუდთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჭმუნებს,  
სჯობს, წავიდე არ გავტეხო,

კაცსა ფიცნი გამოსცდიან.

მერმე შეუთვალა ვეზირსა თუ, რაც გეკადრება, როგორ მოგცე, შენი ვალის გადასახდელი სხვა რა ნაცვალი მოვიგონო. მე თუ დავჰრ-ჩე, შენივის მოვჰქვდე, ჩემი თავი დაგამონო, სიყვარული შეგიწონ სიყვარულსაო.

ვეზირი ქრთამს. სთხოვდა და ამხანაგობდა, თუმცა მისთვის ცრე-მლს არ ჰლვრიდა. სალაყბოდ სცალოდა, გულს კი არ უტებდა.

ვინ არ მისცეს ქადებული, მოურავსა მოიმდურებეს,

თქმელა, ქრთაში საურავსა ჯოჯოხეთსაც დააურვებს.

უებრობა, სიკეთე და ქება ვეზირისა მაინც არ ითქმოდა ენითა, საქმის შესაფერი კაცი იყო.

ასრე უნდა სამსახური, გავიდოდეს ვისცა ვისი.

ოდეს კაცსა დაჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

32. შერმაღინს უთხრა პირ—მჩემ და ნათელთ მფენელმა ავთანდილმა, ეს დღე საიმედოდ და გულის სალხინოდ დამისახავს, შენ გმართებს შენი თავი სიჩემოდ გამოიჩინო. როსტენმა არ გამიშვა, არც სიტყვა მომისმინა. არ იცის, ვინ რად ვისგან სულ დგმულია. უიმისოდ ნუ ვცოცხალვარ.

რამცა საქმე უსამართლო დმერთმა ვისმცა შეარჩინა!

თუმც მისი არ გაწირვა მტკიცედ გალმიწყვეტია,

უფლი ცრუ და მოდაჯატე დმერთსა ჰემის და აგრე ცრუოს — მისი უნახავი გული ტირილს, სულთქმას და ვაი-უის შეუპყრია, ლხინს არას იახლებს და ჰკრთების.

საში არის მოუვრისაგან მოუვრიბისა გამოჩენა:

შირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,

მიცემა და არას შერი, ჩუქებისა არ მოწევენა,

გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა.

რადლა ვაგრძელო სიტყვა, ეხლა გაპარვა არის წამალი ჩემი და-ავადებული გულისა. რასაც გვედრებ, ისმედნი. რაც დაგასწავლო, მტკიცედ დაიცევ. მეფეთა სამსახურისთვის უპირველეს ყოვლისა მზად იყავ, შენი საკეთე და უკლებლობა გამოიჩინე, ჩემი სახლობა შეინახე, ჩემს სპას ეთავადე, სამსახური და გავლენა კვლავაც ისევ განაგრძე, როგორც აქამდის. ჩემს მტრებს ენაპირე, ჯარი არ მოიკლო, ერთგულთა თვის კარგი ნუ გშურს, შენს ორგულს ბოლომც მოჰლებია! როცა დავა ჰბრუნდები, ვალს კარგად გადაგიხდი.

ჰატრონისა საშიახური არასოდეს არ წაჭედების.

მაშინ შერმაღინს თვილთ ცხელი ცრემლი მოადგა და მოახსენა, მარტოობით ჭირს არ შეუშინდები, მაგრამ უშენოდ რა ვჰქმნა, გულს ბინდი დამეცემა. წამიყვანე სამსახურისთვის, მოგეხმარო, რაც დაგჭირდეს!

ვის ასმია შარტოსაგან დარიბოა ეგზოშ დიდი,

ვის ასმია ჰატრონისა ჭირსა შიგან ემისა რიდი!

რა ვიქმნები აქ ფლიდი, გიგონებდე დაკარგულსა.

ავთანდილმა უთხრა, ვერ წაგიყვან, რაც უნდა ცრემლი ჰლვარო. შენგან ჩემი სიყვარული მრწამს, მაგრამ საქმე სხვა გვარად ვერ მოჰლები, უამი ასე დამემტერა! ჩემი სახლობა ვის მივანდო, შენს გარდა სხვა ვინა მყავს შესაფერი? გული დასლევ. დაიჯერე,, ვერ წაგიყვან, ვერა,

ვერა! თუ მიჯნური ვარ, ერთი უნდა ხელ ქმნილი ვჰრბოდე მინდ-ვრად,

გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად!

ეს სოფელი ასეთია, დაიჯერე. შარის მყოფს მახსენებდე, ჩემი სი-  
ყეარული გქონდეს. ჩემს მტრებს არ შეუშინდები, მონალაც ვიქცე.

ჭხამს, მამაცი გაგულოვნდეს, ჭარსა შიგან არ დაჭირდეს.

შძულს, რა პაცის საუბრ საქმე არა არ შესწოდეს.

შე იგი ვარ, ვინ სოფელისა არა მთგვერებულ კატრისა ბერად,

ვის სიკვდილი მთვერისათვის იამაშად და შინანს მდერად.

ჩემს მზეს დავეთხოვე, იმას გაუშვივარ. ვალად მაძევს დათმობა  
ყველაფრისა. ებლა ჩემს ანდერძს მოგცემ, როსტენს წინაშე დაწერილსა. შენს თავს შევავედრებ, დაგიკიროს, ვითა ჩემს გაზრდილს გეკადრება.  
თუ მოვჰკვდე,

თავსა ნუ მთიკლავ, სატანასგან ნუ იქმ ქმნილსა.

ამაზე იტირე და ცრემლი ჰლვარე.

33. როსტენს სწერდა, ჰე მეფეო, გავიპარე საძებნად მისა, ვინც  
უნდა მოვსებნო. ვერ დავსდები ისე, რომ არ შევპრედე ჩემი ცეც-  
ლის მომდებსა. შემინდევ და ლვოაებრივი მოწყალება გამაყოლე. ვი-  
კი, ბოლოს არ დამიგმობ ჩემს განზრახულ საქმესა.

კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მთვერარსა მოუვარულსა.

პლატონის თქმულს მოგასხენებთ ერთ სიტყვასა,

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხლოცია, მერმე სულსა.

რათგანაც

თავას სიცრუე უოვლისა უბედობისა,

რად უნდა გავსწირო მოყვარე, ძმა ძმის უმტკიცესი?

არა ვიქმ. მაშინ ფილოსოფოსთ ბრძნობის ცოდნა რას მარგებს?

მით ვისწავლებით, მოგვიეცს შერთვა ზესთ. მწერბრთა წერბისა.

წაგიკითხავს, სიყვარულს როგორ იტყვიან, როგორ აქებენ. სკან,

სიყვარელი აგვამადლებს, ვით ეშვანი ამას ჭედერენ,

შენ არ გჯერა, უსწავლელ კაცს როგორ რა ვაწამო! ვინც დამბადა,  
მანვე მომცა ძალი მტერთა საძლევად.

ვინ არს ძალი უხილავი, შემწე უოვლთა მიწიურთად,

ვინ საზღვარისა დაუსაზღვრებს, ჭზის უგვდავი ღმერთი ღმერთად,

იგი გაჭვდის წამის უოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

რაცა ღმერთის არა სწავლეს, არა საქმე არ იქნების.

მზის შუქთა ვერ მხედველი ია ჰემება, ვარდი სუკნება, ტურფა რამ სა-  
ნახავი ყველა ესიამოვნება თვალსა. მე როგორ უნდა ავიტანო უმისო-  
ბა, ან სიცოცხლე რისთვისლა მეპრიანება. თუმც სწყრები, შემინდევ  
გმობა თქვენი მცნებისა. ტყვე ქმნილს ძალა არ მქონდა, დაგთანხმებო-

და, არ წასვლით ვიყავ სახმილ მოდებული, სად გინდ ვიყვე, არ ვიდარდებ, ოღონდ ყოფა მქონდეს ნებისა. მწერარება და ცრემლთა დენა არას გარებს,

არ გადავა გარდუალად მომავალი საქმე ზენა,

წესი არას შამაცთაგან მოჰირვება, ჭირდა თმენა,

არ ვის ძალ-უძს ხთოცელსა განგებისა გარდავლენა.

რაც ლმერთს გარდუწყვეტია ჩემს თავს გადასავლად, გადამხდეს და დავჭრუნდე. გულს აღარ დამაკლდეს. მენახოს თქვენი თავი მხიარული, ღილებით და ალაფ-მრავლობით. მეფეო, მომქალ, თუ ეს თათბირი ვინმემ დამიწუნოს. ნუ თუ ჩემმა წაზვლამ თქვენ დაგამწუხაროს. ვერ ვეცრუები, საძაბუნო საქმეს ვერ უზამ. პირის-პირ შევრცხვები, ორნი-ვე მივალთ საიჭიოს.

არ დავიწევა მოყვრისა არ დდეს კვირაშის ზიანსა.

ვჰგმობ ურცვ: ცრუ და მოღალატე კაცხა.

რა უარეა შამაცსა ამშიგან ჰირის მღმეწელსა,

შემდრეკალსა, შეშინებულსა და სიგვდილისა მეტელსა.

კაცი ჯაბანი რითა სჯობს დაცსა, ქსლისა მბეჭდელსა?

სჯობს სახელისა მოხვევა უოველსა მოსახელელსა!

ვერ დაიჭირავს სიგვდილსა გზა გიწრო, ვერცა კლდოვანი.

მისგან უოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი.

ბოლოდ შეჭყარნეს მიწამან ერთგან მოუმე და მხცოვანი,

სჯობს -სიცოცხლესა ნაძრახია სიგვდილი სახელოვანი!

მერმე უნდა გკადროთ, თუმცა შიშს აუტიანივარ.

სცდების და სცდების, სიგვდილის გინ არ მოელის წამისად.

მოვა შემურელი უოველთათვის ერთგან დღისა და დამისად.

ცოცხალმა თუ ვერ გნახე, უამის სიცოცხლე მქონდეს. თუ ყოველთა დამამხობელმა საწუთრომ დამამხოს, ყარიბი ყარიბად მოვჰკვდე, მშობელმა ვერ დამიტიროს, დაზრდილებმა ველარ შემსუღიონ, ვერც მისანდობელმა, თქვენმავე შემბრალე და ლმობიერმა გულმა შემიწყალოს. ურიცხვი, ვერვისაგან ანაწონი საქონელი მაქვს. გლახაკებს მიეც საჭურჭლე, მონები ათავისუფლე და ყოველი არას შემონები ობოლი დაამდიდრე, მობიგონებენ და დაშლოცვენ. რაც საჭურჭლე თქვენთვის არ ვარგიყოს შესანახად, ზოგი ხანაგებს მიეც, ზოგიც ხიდების გასაღებად. ჩემი საქონელი ნუ რა ნუ გშურს ჩემთვის გასაცემად, შენს გარდა არავინა მყავს, რომ ცხელი ცეცხლი დამიღსოს. მას იქით ჩემგან ჩემი ამბავი არ გეცოდინება, მისთვის გაბარებ ჩემს სულსა, ეშმაკის საქმეთაგან სავნებელ, დასაძლევსა. შემინდევ და შემივედრე, მკვდარს რაღა გადამხდება. გაბარებ, მეფეო, ჩემს რჩეულ მონას შერმადინსა. წყალობით ანუგეშე ჩემგან წყალობა ჩვეული და ნუ აფრქვევინებ თვალთაგან ცრემლსა.

აპა მოგშორდი, გამზრდელო, მივდივარ ხელქმნილის გულითა, ნუ  
ცწუხართ ჩემთვის, ნუ ხართ ბნელით მოსილნი. ბრძანდებოდეთ ბა-  
ტონობით ასე, რომ მტერთაგან სიკრძალველნი ყოფილიყვნეთ.

რა დაასრულა წერა, ანდერძი მისცა შერმდებინს და უთხრა, მეფეს  
ჰეკალე საქმის ცოდნითა, რომ მსახურებით ვერავინ დაგამეტებს შენაო.  
ბოლოს მოეხვია და ატირდა სისხლის ფერის ცრემლითა.

### 34. ილოცა სიტყვითა:

შაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,  
ზოგჯერ მომტებით პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა შზათაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის თქმათაო!  
ღმერთო, ღმერთო, გიაჯები, რომელი ჭიდლიბ ქვენათ ზესა,  
შენ დაჭხადე მიჯნურთბა, შენ აწესებ მისსა წესსა.  
შე სოფელმან მომაშორა უგეთესსა ჩემსსა მზესა,  
ნუ აღმოფხვრი სიევარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!  
ღმერთო, ღმერთო მოწევალეო, არვინ მივის შენგან კადე,  
შენგან გითხოვ შეწევნასა, ააზომესაცა გზასა ვჭვლიდე!  
მტერთა ძეგვა, ზღვათა ჭელვა, დაშით მავნე განმარიდე!  
თუ და დავჭრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე.  
ლოცვის შემდეგ ცხენზე შესჯლა და მალვით კარები გაიარა. შერ-  
მალინიც დააბრუნა, თუმცა ბევრი ივაგლახა. მონა სტიროდა და მკერდ-  
ში იცემდა, პატრონის ვერ ხედვით სწუხდა.

35. იმ დღეს დარბაზობა აღარ ჰქონია როსტენსა. რა გათენდა,  
პირ ქუში ადგა. ისე ჰგავდა, პირით ალს ადენსო. პბრძანა ხმობა ვეზი-  
რისა. შეშინებულ შემკრთალი მიიყვანეს. რა ვეზირი მოწიწებით დარ-  
პაზში შემოსული ჰნახა, რისტენმა უთხრა, რაც გუშინ მითხარ, არ მა-  
ხსოვს, მაწყენინე და გამარისხე, დღდხანს სული ვერ მოვიბრუნე, გაგა-  
თრიე შენ ეგრეთი გულის-გული ვეზირი. მეცნიერ ხალხს მართლად  
უთქვამსთ,

წერნათ ჭირთა ბუდე.

ამ გვარ საქმეს ნუღარ იქმ და ეხლა მითხარ თუ, რას იტყოდი, ხელ-  
მეორედ მოჰყევიო. ვეზირმა კიდევ მოახსენა ნაგუშენდელევი. სიტყა,  
მეფემ მოკლედ უბრძანა, მაგისთანა რამ მეტი აღარ გამაგონო, თორემ  
მე ჩემი დამემაროებაო. რა ვეზირი გამოვიდა, მონა ვერ ჰპოა,  
თუმცა სძებნა. თვალ-ცრემლიანმა მონებმა გაპარვის ამბავი მოახსე-  
ნეს. ვეზირმა სთქვა, დარბაზში ვედარ შევალ, მახსოვს. რაც წინა დღეს  
გადამხდა. ვინც ჰკალრებს, მან ჰკალროს, რაცა ვსთქვი, იმასაც ვინა-  
ნიო. რაკი ვეზირი აღარ შევიდა, მეფემ კაცი გაუგზავნა. კაცმა შეიტყო

და გარეთ დადგა, წასვლა ვერავინ გაამჟღავნა. როსტენს ეჭვი შეუვიდა, ჭმუნვა მოერია და სთქვა, უცილოდ გაიპარა, ვინც მარტო ერთი სუემს ას კაცსაო. მეფე თავდადრეკით იგონებდა ავთანდილსა. ამოიხსრა, აიხედა და უბრიანა მონასა, მიღვა, მოვიდეს და მიამბოს, შემოვიდესო ის ფლიდი. ვეზირი შევიდა დარბაზში არ მხიარულად. მეფემ ჰყითხა, ნუ თუ წასულაო. მან მოახსენა, როგორ წასულიყო ფარულად. მეფემ რა მოისმინა, მეტისმეტი ზახილი მოპროტო. მოსთქვამდა, ვაი, გაზრდილო, ველარ გნახავს ჩემი რეტი თვალებიო. პირს იხოკდა, წვერს იგლეჯდა, მნახველს ჟველას უკვირდა. იტყოდა,

თუ თავი შენი შენ გახდავს, დარბად არ ისსეჩები,

მაგრამ მე რა ვჰქმნა, გაზრდილო, შენგან მარტოდ დაგდებულმა? ვიდრე შეგხდებოდე, სასჯელს როგორ გაუძლო? ველარ გნახავ წხიარულს ნადირობით შემოსულსა, ველარ გიცქერ ნაბურთალსა, ველარ ვისმენ შენს საამურ ხმასა! ეხლა უშენოდ რა უყო საჯდომისა და სხვა დარბაზსა? ვიცი, შიმშილი არ მოგკლავს, შენ შენი მშვილდ-ისარი დაგარჩენს. ნუ თუ ღმერთმა წყალობით გაგვიადვილოს ჭირი, მაგრამ, თუ მოყვჰკვდე, ვისგან და დავიტირებიო. ზარი გაისმა, ხალხი მრავლად შემოკვრბა, წვერში ხელს იტაცებდა, რგლეჯდა და იცემდა ჟელა. თავში ცემის ხმა ისმოდა. მეფემ პნახა თუ არა დიდებულები, სულ თქმით შემოსტირა, უთხრა, რა ვაწყენინეთ, რა შევსცოდეთ, რად გაგვიწყრა. სპას ეხლა ვინდა დიიჭერსო? რა ხალხი დასწყნარდა, მეფემ პბრძანა, იყითხეთ, მარტოა, თუ ჭმიანადო? მოვიდა მონა შერმადინ მოშიუარ—დარცხვენილი. ანდერძისა ჰყალრა ტირილით, ეს ვპოვე საწოლში მისგან დანაწერი. მონები ნატირები იდგნენ, თმა და წვერი დაეგლიჯოთ. ის მარტო გაპარულა, არავინ ახლავს, მე თუ მომკლათ, მემართლებითო. რა ანდერძი წაიკითხეს, დიდი ხანი იტირეს კიდევ. მერჩე პბრძანა მეფემ, ჩემი სპა მხიარულს ნუ ჩაიცვამს. ფამლოცველოთ დავრდომილი, ობოლ ქვრივი, შევიწივნეთ, ნუ თუ ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მისცეს.

3.6. მთვარე მზეს მოეშთროს, მოშთრება განანათლებს,

რა იახლოს, შექი დასწევავს, გაეურების, ვერ იახლების;

მაგრა გარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს,

ჩვენ ვერ ჰქონეტა საუფარლისა ჰირსა ძევლსა გაგვიახლებს.

ავთანდილ გულმდულარად მტირალი მიღიოდა. წამ-წამ პირს იბრუნებდა, უკან იცქირებოდა, თვალს ვერ აშორებდა, თუ შოარიდებდა, ცნობას ჰყარგავდა. რა დაბნედაზე მიღდებოდა, ენას ველარ სძრავდა. არ იცოდა, ცხენი სად მიაჭენებდა.. სთქვა, შენი შორს მყოფი ვერ

დავსდუმდები, გული შენკენვე ჰბრუნდება, მტირალ თვალებს შენი შეხვედრა სწალია,

სჯობს სიეგარულსა მუჟვარე რაზომცა დაუძაბუნდეს!

მე რა ვჭერნა შენად შეურამდის, ანუ რას მეჭვდე ლხენასა!

თავსა მოვიკლავ მე, თუცა შეხვან არ გეჭვდე წევნასა,

მაგრა შენ გაწეუნ ჩემისა არ სიცოცხლისა სმენასა.

მოდი და მივსცნეო ცოცხალთა თვალი ცრემლისა დენასა!

მზეო, ვინცა ხატი ხარ მზიანის ღამისა, ერთის ერთარსების, უფამო უამისა, ვისაც ციერნი გმორჩილებენ, ბედს ნუ მიქცევ, მე და ის შეგვახვედრე ერთმანერთსა! ვისაც ღვთის ხატად გატყვიან წინა ფილოსოფოსნი, მიშველე რამ ტყვე ქმნილს, რკინის ჯაჭვ გაყრილსა. მაშინ სიახლეს ვერ უძლებდი, ეხლა სიშორეს ვინანიო.

იწოდა, სდნებოდა, სანთელივით. დაყოვნების მოშიში ისწრაფდა, იარებოდა. შელამებაზე ვარსკვლავთ ამოსვლა უხაროდა. მას ამზგავსებდა, იღხენდა, უმზერდა, ემუსაიფებოდა.

მთვარეს ეტყოდა, შენი ღვთის სახელს გაფიცებ, შენ ხარ ამშლელი მიჯნურთ მიჯნურობის სენისა; შენვე გაქვს მისი წამალი. მიაჯვ, შევპხვდე შენგამო შენებრ შშვენიერ პირსაო.

ღამე იღხენდა, ღღე სჯილა, ელოდა მზის ჩასვლასა. რა წყალს ჰნახავდა, გადაპხტებოდა, წყლის ჭავლს უმზერლა, იმ ღროსვე სისხლის ცრემლის ტბის ნაკადს შეურთავდა. ჭვლავ ისწრაფდა იმავ: გზით სიარულსა. მინდვრად თხას მოჰკლავდა, საღაც კლდიანი აღგილი დაპხვდებოდა, შესწვამდა, სჭამდა და წავიღოდა გულ გაკეთებული. გზაში ქვაბი ჰნახა და მიადგა ქვაბის კარსა.

რა ასმათმა დაინახა, მოეგება თვალცრემლიანი. ავთანდილ ჩამოს ჰქილა, მოეხვია, აკოცა და ლაპარაკი დაუწყო.

გაცი გაცისა მოელოდეს, მოსვლა უცხოდ იაშების.

ჭაბუქმა უთხრა ქალსა, პატრონი ნეტა სად და როგორ არისო? ქალმა უთხრა ცრემლთა ფრქვევით, რა წახველ, გაიჭრა, ქვაბს ყოფა გაუჭირდა, მისი არა ვიცი რა არც ნახვით, არც ამბითაო. ვაჟი შესწუხდა, ვითამც ლახვარი რამ გულ შუა ჰკრესო. უთხრა ქალსა: დაო, ის ფიცა როგორ გასტეხა, არ ვეცრუე, როგორ მეცრუა. თუ ვერ აასრულებდა, რად დამპირდა, თუ დამპირდა, რად მიმტყუნა? თუ უმისოდ სითხელს ყოფა არ მიღირდა ჭირად, რად დავავიწყდი, რა მოვსცილდი, რად ვერ გასძლო, რა გაუჭირდა, როგორ გაპბედა ფიცის გატეხა, მაგრამ ჩემი ბედისაგან ავი არ მიკვირსო. ქალმა უთხრა, მართლა სწუხართ, ის უგულო მოელის დღეთა შემოკლებასა.

გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედან ჰყიდიან.

რა გული წაგა, იგიცა წაგლენ და მისგან მიდიან;

უგულო გაცი ვერ გაცობს, გაცოაგან გახაჭიდიან.

შენ უმართლე ხარ, მაგრამ ენა დაპშვრება, გასცვდება მისი თქმით, რაც მე მინახავს იმ ჭაბუკის სასჯელი, ამბადაც არ გაგონილა, მდინარედ ჰქმარა, რაც თვალთაგან ცრემლი უფრქვევია. თვით რაც ჰბრძანოთ, მართალ ხართ,

სხვა სხვისა მშვია ბრძენია.

მე ვჰკითხე, თუ მოვიდეს, რა ჰქმნას ავთანდილმა მეთქი? მიბრძანა, ფიცს არ გაუტეხო, პაემნამდის მოუცდი, თუ მყვდარი მნახოს, დამმარხოს. ცოცხალი დავპხვდე, უკვირდეს თქო. მას აქეთ ზედი-ზედი სულთქმისგან დასჯილ ვარ ასე, რომ სიკვდილსაც დავვიწყებივარ.

ვინც მოუგარეს არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

თუ მოპნახავ, მოპნახე, ჰქმენ, რაც შენ შეგეფერებაო.

ვაჟმა უთხრა, უმართლე ხერ, არ მამართლი მისი მომდურავი, მაგრამ იფიქრე, ჩემი სახლითგან გამოპარვით გამოვიჭრე, როგორც ირემ-წყლის საძნალ, მის ძებნასა და ფიქრში გართული მინდორველად დავიარებოდი. ჩემს გამზრდელ პატრონს, მშობლიურს, ტკბილს, მოწყალეს, წყალობის მთოველ ცას უორგულე, წამოველ, ყველა და-ვივიწყე. მისი შეცუოდე ქარგს არას მოველი ღვთისაგან. აქ მოვსულ-ვარ ღამით და ღლისით ნამგზავრი, ის კი საღლაც წასულია, მეტი სა-უბრისთვის დრო და უამი აღარა მაქვს, წავალ, ვსძებნი, ანუ ვჰპოებ, ან სიკვდილს მოვიადრებო, სოქვა და მტირალი წამოვიდა.

ქვაბი ჩავლო, წყალში გავიდა, შემბი გავლო, მინდვრად გავიდა. მონაქროლი ქარი უსუსხვდა წითელ ღაწვებსა. ბედს უჩიოდა, ამ ჭირ-ში რად ჩამაგდეო, ღმერთს კიდევ ეტყოდა, რად გამყარე მოყვარეთა-მოვჰკვდე, თავი არ მებრალება.

მოუგარეშან გარდის კონა გულსა მკრა და დამიწელულა, იგი ფიცი, წემგან სრული, მან ადარა გამისრულა.

მას თუ გამური, საწუთოთ, ჩემი ღსინი გარდასრულა.

სხვა მოუგარე თვალსა წემსა გაეიცხულა, გაბასრულა.

მიკეირს, ნაღველი კაცისა ჭერისა.

რა მყმუნგარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?

სჯამს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგენისა.

ამისთვის მეც მიჯობს ეხლა იმ ლერწამტანის მონახვაო. გაემართა, ეძებდა, უძახდა, უყიოდა, ღამეებს დღეებრ ათევდა. სამ დღემდის მოვ-ლო მრავალი ხვივი, შამბნარი, ტყე და მინდორ-ველი. ვერ იპოვა, მი-ღიოდა მჭმუნვარე ვერა ამბის მცნველი. იტყოდა, ღმერთო, რა შეგცუ-დე, ესე ღიდი რა გაწყენინე, რომ ასეთ სასჯელს განვიცდი, გამიკითხე, ღღენი შემიმოკლე და მით ჭირი ლხინად მიქციეო.

მერმე ქედს გადაადგა, მზიან ჩრდილი ველი აჩდა. ჰნახა, შამბთა პირს იღვა საღავე უკუყრილი შავი მერანი. სოქვა, უცილოდ იგიაო. რა შეპხედა, გულმა გაუფეთქა, გაუნათდა. ერთი ათად კა არა ითასალ:

გაეხარდა. ვით გრიგოლმა ჩაირჩინა: თვალს არ აშორებდა მათ. რა ტარიელმა დაინახა, შესწუხდა სიკვდილის ახლოს მყოფი. იჯდა და პირი დაებლნიჯა, საყელო გადებია, თავი გადეგლიჯა. აღარაფერი ესმოდა, სოფლათ გალმა გასულიყო. ერთკენ ედო მოკლული ლომი და სისხლ მოცხებული ხმალი, სხვაგან კიდევ ქვედანარცხებული მკვდარი ვეფხვი. თვით ტარიელს თვალთავან ცრემლი ფიცხად სდიოდა, ეგრევე გულზედაც მოსდებოდა მცხუნვარე ცეცხლი. თვალის ახილვაც ეზარებოდა, ცნობაზე სრულებით აღარ იყო. ავთანდილ სახელდებით უყიოდა, სიტყვით კრობას ჰლამობდა. ვერა შეასმინა რა;

ძმა გამოაჩენს ძმობას.

ხელით ცრემლი მოსწმინდა, ახლოს დაუჯდა და სახელს უყიოდა, ეტყოდა, შენთვის გაჭრილ და ხელჭმნილ ავთანდილს ვერ მიცნობო? ტარიელს ვერაფერი შეასმინა, გარეტებულიყო და თვალს არ ახელდა. ცოტად მოაცნობილა. მაშინ და იცნო, აკოცა, მოეხვია, როგორც ძმობილი. უთხრა, ძმაო, არ გეცრუე, რაც შემოგფიცე, იგისრულე, ეხლადამეხსენ, სიკვდილამდის ვიტირო და თავში ვიცე, მავრამ გვედრებ დამარხვას, მხეცი საჭმელად არ გავჭხდეო.

ავთანდილმა უთხრა, რა დაგმართვის, ავ საქმეს რად უშვრები შენს თავსა. ვინ არ ყოფილი მიჯნური, ვის არა სწვავს სახმილი, მაგრამ სხვა კაცთ ნათესავს შენი მსგავსი ვის უქმნია? სატანას რად შეუცყრიხარ, რად იკლავ ნებით თავსა. თუ ბრძენი ხარ, ბრძენნი ამ პირს დასკვნიან.

ჭესში შაშაცი შაშაცური, სჯობს, რაზომცა ნელად სტირს.

ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვიტეირსა.

თავისისა ცნობისაგან ჩაფარდების გაცი ჭირს.

ბრძენი ხარ, ბრძენთა თქმულებრ გამორჩევა კი არ იცი. შინდვრად სტირი და მხეცებს ახლავ, რა კულის წალილი უნდა აისრულო? ვისთვისაც ჰკვდები, ვერ შესხვდები, თუ წუთისოფელს მოიძულებ. უტკივარ თავს ძალად იტკივებ, რად იწყლულებ ხლად წყლულსა, მიჯნურობით ვისთვის ვინ არა ჰბნდება. მითხარ, სული რად უნდა ამოგხდეს? არ იცი,

გარდი უკალდ არავის მოუკრებიან?

გარდსა ჰკითხეს, ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, შირად?

შიგვირს, რად ხარ კელიანი, ზოგნა შენი რად რას ჭირად?

მან სთქვა, ტკბილსა მწარით ვჭმოებ, სჯობს იქმნების, რაც ა ძვირად,

რდეს ტურფა გაივთდეს, აღარ ჭდირდეს არცა ჩირად.

თუ უსულო და უასაკო ვარდი ამას იტყვის, მაშ

დახინსა ვინ მოიმკის, ჰირევა ჭირთა უმუშავო?

საეშმაკო საქმე კარგი და კეთილი არ გაგონილა, რად ემდურვი სა-

წუთოს, უარავი რა უქმნია? რაც გითხრა, გამიგონე, შესჯექ, წავიდეთ, თავის თათბირის გაგონებას ნუ მიჰყოლიხარ.

რაც არა გწადდეს, იგი ჭქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა.

არ გეტყვი, რომ ასე არ სჯობდეს და ნუ გაიფიქრებ ჩემს პირმო-თნეობასათ.

ტარიელმა უთხრა, ძმაო, რა გითხრა, ენის დაძვრაც კი არ შემი-ქლია, არც ყურის დაგდება შენი საუბრისა. რად გიჩანს აღვილად მოთმენა ტინჯვისა, რაც მე მაღვია? სიკვდილს არ მივწურუილვარ, ლხენის დრო მომიახლოვდა. ჩემი სალოცავია, აქ გაყრილნი მიჯ-ნურნი. იქ შევიყარნეთ, იქ ერთმანერთი კვლავ ვჰნახოთ, კვლავ გავი-ხარნეთ. მო, მოყვარენო, დამშარხეთ და მიწა მომაყარეთ.

საყვარელმა საყვარელი ვით არ ჭიახოს, ვით გასწიროს?

შხიარული მივდივარ იმისკენ, მერმე იგი ჩემკენ ივლის, შივეგები, მო-მეგებოს, ამიტირდეს, აშატიროს.

ჭეითხე ასთა, ჭქმენ გულისა, რა გინდა ვინ გიფაზიროს.

მართალი გითხრა, დამეხსენ, მცირე ხნის სიცოცხლე ლა მაქვს, მკვდარს რას მაქნევ, თუ დავჭრჩე, რა ხელსაყრელ გექმნე? კავშირნი დამშლია, სულთა სირას შეპროციან. შენი ლაპარკი არ მესმის, არც მცალია ყურის დასაგდებად. წუთისოფელი გამიარმდა. მეც მივიქცევი მიწად, საღაც ცრემლი ლამადა მდის.

ბრძნი, ვინ ბრძნი, რა ბრძნი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!

ცნობაზე რომ ვიყვე, მაშინ შეგეფერება მაგისთანა ლაპარაკი.

ფარდი ვერ არის უმზედ; იყოს, დაიწყებს ჭირისა.

მაწყენინ ებ, დამეხსენ, არა მცალიათ.

ავთანდილმა კიდევ უთხრა, ნუ ხარ თავის მტერიო. რაკი ვერ დაიყოლია, უთხრა, აპა, რათგანაც არ მომისმენ, არათერს გაწყენინებ. თუ სიკვდილი გიჯობს, მოჰკვდი. ერთს რასმე გეხვეწები, ამისრულე. ჩემს საყვარელს მოვჰშორდი, საჩქაროდ წამოველ. მეფემ ვერ დამიჭირა მშობლიურის საუბრითა. თუ შენ არ შემიწყნარებ, სალხინო რაღა უნდა მქონდეს. ნუ გამგზავნი გულმოკლულს, ერთხელ შესჯექ, ცხენო-სანი გნახო, ნუ თუ მაშინ გულს სევდა გადმეყაროს. მე წავალ და შენ დაგაგდებ, რასაც იქალი, აგისრულდესო...

37. ავთანდილმა იცოდა, ცხენს შეჯდომა კაეშანს გაუქარვებდა. დიმორჩილა და იამა. ტარიელმა უთხრა, შევსჯდები, ცხენი მომ-გვარეო. ცხენი მოჰკვდარა, წყნარად შეპსვა, მინდორ-ველისაკენ წაი-ყვანა. პატრა ხანს შემდეგ სიარული მოუხდა, ეტყობოდა. ავთანდილ შეაქცევდა და ძოჭას ფერ ბაგეს მისთვის სძერიდა სასაუბროდ; მის ყურის დაგდება ბერი-კაცსაც გააახალგაზღებდა. კაეშანი მოაშორა თავის მეგობარსა ასე, რომ პირი ვარდი სიხარულმა გაუნათლა.

შეჰყვნენ საუბარსა. დაუფარავად ჰკალრა, ერთს რასმე მოგახსენებ და  
მითხარ გულ ახდილად. ეგ სემხრე რო გაქვს შენი სატრფოსი, როგორ  
გიყვარს, როგორ გიღირსო. ტარიელმა მიუგო, ესაა ჩემი სიცოცხლე,  
ყოველი სოფლის, წყლის, მიწის და ხის მჯობი.

არ სასმენდის მთსმენა არს უმჯედები წმახისა.

ავთანდილმა უთხრა, რათგან გითქვამს, პასუხს გკალრებ გულახდილად,  
უმჯობესია, ასმათს არ შეელიო; ეხლა ოქრო მჭედლის ნახელავი  
სამხრე გაგიკეთებია უასაკო და უსულო, უტყვი და უცნობო, ასმათ კი  
აღარად გინდა! პირველ ნესტანის ნაჭვრეტი, თვიზო მერმე შენგან  
დობილად მოკიდებული, თქვენ შეუა საქმის გამრიგე, თქვენი შემყრელი  
მსახური, მისი გამზრდელი გლას დაგიგდია, არ ჰნახავ?

შეძაშ მართლია ბჭებას.

ტარიელმა უბრძანა, რაც გათქვამს, მეტის მეტად მართალია. ასმათ  
საბრალოა მის მგონებლიად და ჩემ შემომცეკვერლად მყოფი. არ მეგონა,  
თუ ცოცხალი ვიქმნებოდი, ჩემი ცეცხლის დასაშრეტად შენ მომესწარ.  
რათგან დავჭრი, წავიდეთ, ვჰნახოთ, თუმცა ჯერეთაც რეტად ვარო,  
სთქვა და დაჭმორჩილდა.

ავთანდილ და ამირბარი გაემართნენ. ენა ვერ იტყოდა მათ ქებასა,  
კბილი მარგალიტივით; ბაგე ნაპობი ვარდივით ჰქონდათ.

გვედსა სვრელით ამოიჭვანს ენა ტებილად მოუბარი.

ამას ეტყოდა ავთანდილ, შენთვის გონებას, სულსა და გულს დავსდებ,  
მაგრამ ნურც შენა ხარ ეგრე, ახლად ნუ იწყლულებ წყლულსა.

არას გარგებს სწავლულება, თუ არა იშვი ბრძენთა თქმულსა;

არ იხმარებ, რას ხედსა ჰქიდი საუნჯესა დაფარულსა?

თავი რო შეიწუხო, რა სარფა გექმნება. თუ არ იკი,

უგანგებოდ არა კაცი არ მოჰქვდების?

მზისა შექთა მომზადებინე ჭარდი სამს დღეს არ დასჭინების.

ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების.

ტარიელმა უთხრა, ეგ სწავლა მრთლად ქვეყნად მიღირს.

გონიერსა მწერთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰემირდეს,  
მაგრამ რა ვჰქმნა, როგორ გავსძლო, რა მეტის მეტი გამიჭირდეს.  
შენც ისეთი ჭირი გჭირს, როგორც მე, არ მამართლო, არ მი-  
კვირდეს.

ცეილსა ცეცხლის სიმხურვალე უგავს, ამად აენთების,

შაგრა წეალსა არსით ახლავს, თუ ჩაჭვარდეს, დაცაშრტებას,

რაცა გისცა საქმე თვით სჭირს, სხეუთათვისცა ეპადრების.

თავითგანვე რად არ იცი თუ, გული როგორ მიღნება. რაც დამე-  
მართა, ყველაფერი წვრილად გიამბო. მერმე და გალასჭერ მართალი  
მაგ ბრძენის გულით. შენ მოგელოდი, მოლოდინმა საქმე გამიჭირა,  
ქვაპში ველარ გავსძელ, მომინდა მინდვრის მოვლა ცხენითა. ამ ქედს

გადავადექ, ის შამბი რა მომევლო. ერთი ლომი და ერთი ვეფხი ერთად შეყრილიყვნენ. მოყვარულებს ჰგვანდნენ, მათი ნახვა გამინარდა. რა უყვეს ერთმანერთსა, გამოკვირდა, შემეზარა. გამწარებულნი იბრძოდნენ, ლომი სდევდა, ვეფხი მიურბოდა, პირველ საამურად ილალობდნენ, მერმე მედგრად წაიკიდნენ, თვითო ტოტი ერთმანერთს ჰკრეს, სიკვდილს არ დაერიდნენ. ვეფხმა გული მოარიდა ისე, როგორც დედანი მოარიდებენ. ლომი მედგრად გაეკიდა. მათი დამშვიდებელი არ ვინ იყო. ლომს უთხარ მე,

არა ხარ ცნობასა.

შენ საყვარელსა რად აწერ, ფუ მაგა მამაცობასა.

ხმალ გამოწვდილი გაუხდი, დავჭლახვრე, თავში დავჭკარ, მოვჭკლი, ასე გამოვასალმე წუთისოფელსა. ხმალი გავსტყორცე, გავიჭერ, ვეფხი ხელით შევიპყარ. ვინცა მწვავს ცხელის ცეცხლით, მისგამო კოცნა მომინდა. მიღრენდა და სისხლს მადენდა ბრჭყლითა. ველარ გაუძელ, იგიც მოვჭკალ ხელქმნილის გულითა. თუმცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერ დავამშვიდე, გავგულისღი, მოვიქნიე, მიწასა ვჭკარ, დავაწყვიტე. მომაგონდა, როცა ჩემს საყვარელს ავეშალე. სული რომ სულ არ ამომხდა, რას გიკვირს, თუ ვძლვრიდე ცრემლსა. აპა, ძმაო, მიამბინა, რაც ჭირი მჟირდა, სიკოცხლეს გავყრივარ, სიკვდილი გამძვირებიაო. სთქვა და ატირდა.

ავთანდილიც მასთანვე სტიროდა ცრემლთა ფრქვევითა. უთხრა, დასთმე, ნუ მოჰკვდები, გულს ნუ იხეოქ. ღმერთი თავოთგან არ შეგურიდათ, თქვენი გაყრა რო ჰნდომოდა.

სდევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანადვლებს,

მაგრა ბოლოდ დხინსა მისცემს, ვინცა ჰირველ ჭირს გასძლებს.

მიჯნურთა საჭიროა, მით სიკედილსა მიგაახლებს,

გასწავლულსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს.

38. ავთანდილ და ტარიელ ქვაბისკენ გაემართნენ. რა ასმათმა დაინახა, გაუხარდა. მოეგება, მოსტიროდა ასე, რომ მისი ცრემლი კლდეს დაჭლარავდა. მოქვივნენ ერთმანერთს და ატირდნენ. ასმათმა სთქვა,

ღმერთო, რომელი არ ითქმი გაცთა ენითა,

შენ ხარ საგსება უფლეთა, აგვასებ მზებრ ფენითა.

გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელო ენითა.

დიდება შენდა, რომ არ მოჩკალ ამითოვის ცრემლის მღვრელიო. ტარიელმა უთხრა, ჰე, დაო,

საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც დდენ გაგვიცინია,

შველადგანვე წესად უძევს, არ თუ ახალი ამბავი იყვეს. ვაი შენი ბრალი, თორემ სიკვდილი მე ლხინად მიმიჩევია..

სწავლოდეს, წყალსა ვინ დაჭლვრის კაცი უშმაგო, ცნობილი?

მე მიკვირს ჩემი თვალებისა, რად ვილტობ თავსა ცრემლითა, უწყალობა  
ჰკლავს; თუ წყალი სდის, არაოდეს არ ჰქმება.

მაშინ ავთანდილსაც მოაგონდა თავისი საყვარელი და სთქვა,  
უშენოდ როგორ მიღვია სული. რა შენ არ გახლავ; სიცოცხლე სანა-  
ნელი გამხდომია. ვრნ გითხრა თუ, რა მტკირს, ან რა ძნელი ცეცხლი  
როგორ მწვავს, ვარდი როგორ იაზრებს, მჩე მოჰშორდეს და არ  
დასჭირეს, ან რა სარფა გვექნება, თუ მზე ჩაესვენა. გულო, გიჯობს  
გაუმაგრდე, თავი სრულიად გააკლდევე, ეგებ მოგიხდეს მისი ნახვა,  
სულს ნუ დაჭლეო.

სული დაიღეს, დადუმდნენ. ორთავ ცეცხლი მოსდებოდა. ასმათ  
შეჰყვა, სახმილი მათებრ მოჰკიდებოდა. დაუგო ვეფხის ტყავი, რო-  
მელიც კვლავ ყოველთვის ეგო. ორნივე დასხდნენ, ჰმუსართობდნენ,  
რაც ესიამოვნებოდათ. მწვადი შესწვეს და დროის შესაფერი პურის ჭამი  
გაიმართა. ტარიელს შეეხვეწნენ, სჭამეო, მაგრამ ჭამის ძალლონე  
არ ჰქონდა. ლუკმას დასკოხნიდა, გამოჰყრიდა; დრამის წონას ძლიერ  
ჰყლაბავდა.

ამთა, რომე კაცი კაცს ამასა ეუბნებოდეს.

მან გაუგონის, რაცა სთქას, არ ცუდად წაუხდებოდეს,

ცოტად ეგრეუა დაუგებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს;

დადი ლეინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს.

იმ ლამეს ერთად იყვნენ ის ლომ გმირნი. ილაძარაკეს და ერთმანერთს  
თავთავისი ჭირი განუცხადეს. რა გათენდა, კიდევ ილაპარაკეს და პირ-  
ველ დანაპირი ფიცი ერთმანერთს გაუგონეს.

ტარიელმა უთხრა, რა საჭიროა ბევრი სიტყვის თქმა? რაც შენ  
ჩემთვის გიმემნია, ღმერთი გიზღავს ვალისა.

კმა ზენარი ზენარი, არ ნაჭმარია მთვარილისა;

არ ლავიწევბა, მოუვრობა წამავალისა.

ეხლა შემიწყალე, ნუ დამწვავ ცეცხლის წვითა; მე რო მედება, ის-  
ცეცხლი კვესით დანთებული როდია. ვერ დამიქრობ, შენც დაიწვი,  
როგორც წუთისოფელს წესადა აქვს. წადი, დაპბრუნდი, მიიქეც იქით,  
სითაც შენი მზეა. ვინც დამბადა, მასაც ეძნელება ჩემი განკურნება —  
ერთხელ მეც ვიყავ მქმნელი მის, რაც გონიერთ შესაფერია. ეხლა კი  
ხელქმნილის ნობათი შემხვედრიათ.

ავთანდილმა მიუგო, რა გითხრა მაგ სიტყვის პასუხად? როგორ  
არ შეეძლო ღმერთს წყლულის კვლავ განკურნება, იმას, ვინც მზრდე-  
ლია ყოველი დანერგულ დათესილისა! ღმერთი რად იქმდა, ეგეთნა  
დაებადენით, რომ გაყრილნი აღარ შეეყარენთ და შენთვის ხელ-ქმნი-  
ლისთვის ცრემლი ელვრეინებინა.

სდევს ფათერაკი მიჯნურსა.

გასჭრიტეთ, გაიცადეთ. თუ ერთმანერთი არ მოჰვდით, სული ამო-  
მახლინეთ..

ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გასძლოს, რაცა ჭირია!

ჭირსა გადრება რად უნდა, რა სასუბრო შირია.

ნუ გეშინია,

ღმერთი უხვია, თუმცა სოფელი ძვირია.

რაც მიწვრთიხარ, იწვართე; გყადრო, უწვრთელი ვირი არის. თუ არ  
ვესმის, გაიგონე, ეს სწავლა კმარა სწავლად. ჩემს საყვარელს დავთხოვ-  
ვე თქვენთან წამოსასვლელად. მოვახსენე, რათვან მისგან გული და-  
მწვია, დამფერფლებია, არას გარგებ, არ დავდგები მეთქი. პან მიბრძა-  
ნა, გმადლობ, კარგად და მამაცურად ხარ, სამსახურად დავიჩენ შენგან  
მის გავლენასაო. მისი კითხვით წამოვსულვარ, მთვრალი და ნასვამი  
როდი ვარ, ეხლა რო დავპბრუნდე, რა უამბო? ხომ მეტყვის, რად მო-  
ხველ ჯაბან-მხრდალადო? მაგ საუბარს ესე სჯობს; გამიგონე, რაც გი-  
თხრა. ცნობილი კაცი უნდა იყო მქმნელი ძნელი საქმისა. უმზეოდ  
დამჭკნარი ვარდი საყოფს ვერას შეიქმს, შენ ვერას ირგებ, მე მარგებ.  
მას ძმისა უნდა ძმობილი.

სადაც გწადდეს, იქ იყავ მაგვე რიგად, გწადდეს პრძენის გულით,  
გწადდეს შემგის ცნობით, მაგ ტურფა ანაგების ქცევითა, მხალოდ ვა-  
მაგრდი, არ მოჰვდე, ცეცხლით არ დაიდაგო. ამის შეტს არას გენუკვი-  
წელიწადს ერთ მზგეფსა, აქავ ქვაბში მომნახვიდე, ამ დროს ნიშნად  
მოგცემ, ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, ვითომც ძალლი ჰყეფს. თუ ამ  
დროს გადავსცილდე, აქავ ქვაბში არ მოვიდე, სცან, ცოცხალი აღარ  
ვარ თურმე, ეს კმარა ნიშნად. მაშინ გწადდეს, იხარებდი, გწადდეს,  
იჯავრე. რაც გყადრე, ნუ თუ ამან უნდა შეგაწუხოს. მოგშორდები და  
არ ვიცი, ცხენი დამცემს, თუ ნავი. არა, უთქმელობა არ ვარგა, მჩმუ-  
ნავი. პირუტყვი როდი ვარ. არ ვიცი, ღმერთი რას მიჳმას, ანუ მუღმივ  
მბრუნავი ცაო.

ტარიელმა უბრძანა, აღარ გაწყენინებ, არც სიტყვას გავაგ-  
რძელებ.

თუ არ მოგუვეს საეგარელი, შენ მას მიჭრევ, რაცა სწადდეს.

ბოლოდ უდვილი დამადული საქმე ცხადად გამოცხადდეს.

რა დაიჯერო, მაშინ შეიტყო ჩემი გაჭირვება; ჩემთვის გაჭრა და გაუ-  
კრელობა სულ ერთია, რაც გითქვამს, ვიქმ, მაგრამ რაღა ვჰქმნა, თუ  
უშენოდ მომიხდეს არ დიდი ხნის ცხოვრებაო,

საუბარი გასწყვიტეს. ცხენზედ შესხდნენ, მოიარეს, თვითო ნაჟირი  
მოჰკლეს მინდვრად და შემოჰბრუნდნენ. ხვალ გაყრის ფიქრმა ჭირზე  
ჭირი უმატა.

გულმან რა გლას ჭემნას უგულოდ, თუ გული გულსა ჟლია.

მოშორება და მოუვრისა გაურა კაცისა მკვდელია.

დილა რა გათენდა, შესხდნენ და იმ ქალს გამოესალმნენ. ტარიელ, ასმათ და ავთანდილ სამნივე თვალთაგან აფრქვევდნენ ცრემლსა. ქვაბი ჩაჰვლეს და ზახილით წავიდნენ. ასმათ სტიროდა მოთქმითა, ეჭლომნო, ვისმა ენამ როგორ მოგთქვათ. ზეციერნი მნათობნი დამწვარადადაგულხართ მზისაგან. ვარა ჩემთვის ესეთი ჭირი და სიცოცხლის თმენაო.

იქითგან წასულებმა ის დღე ერთად იარეს, ზღვის პირად მივიღნენ. იქ დადგნენ. იმ ღამით არ დაპშორებიან ერთმანერთს, ერთმანეთის ცეცხლი გაიზიარეს, ერთმანეთის შორს ყოფა იტირეს და იგლოვეს.

ტარიელს ეტყოდა ავთანდილ, რად მოიშორე ფრიდონ ამ ცხენის მომცემი. იქითგან შეიძლება შევიტყო ამბავი, ღონე იმ მშვენი მზისა. ეხლა მე იქ მავალ და მასწავლე გზა შენი ძმად ფიცისაო.

ტარიელმა სიტყვით ასწავლა ფრიდონს გზის მხარი, აღმოსავლეთით წადი, ზღვის პირს იარე, თუ პნახო, ჩემი უამბე, ძმის ამბავს გკითხავსუ.

თხა მოჰკლეს და მიითრიეს, ცეცხლი ღაანთეს ზღვის პირად. ჭივეს და სჭამეს, რაც ჭამა შეკვერობდა მათ ჭირსა. იმ ღამეს ერთად დაბინავდნენ ხეების ძრუშა.

ვჭირობ შეკთადსა საწუთოსა, ზოგჯერ უხესა, ზოგჯერ ძვირსა.

რა იცისკრა, ადგნენ, რომ ერთმანერთს დაპშორებოდენ. რასაც გამოსალმებისას ერთმანერთს ელაპარაკებოდნენ, მისი მოსმენა კაცს დააღნობდა. თვალთა ცრემლი, თითქოს წყალი ყოფილიყვეს, მიღამოს შოპლვარეს. ტირილით, პირსა ხოკით და თმათა გლეჯით დაპშორდნენ ერთმანერთსა. ერთი ალმა, ერთი დალმა უგზოდ მიღიოდნენ შამბნარითა. ვიდრე უჩნდათ ერთმანერთი, იძახდნენ.

39. შა, სოფელი, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზენე გჭირსა! უოველიმც შენი მონდადილი. ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა.

სად წაიყვან სადაურსა, სად აღეყვერი სადით ძირსა,

მაგრამ დმერთა არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

ავთანდილი დაპშორდა ტარიელსა, სტიროდა ასე, რომ მისი ხმა ზეცას მისწვდებოდა. იტყოდა თუ, სისხლის ღვარი მდენია, კიდეცა მდის. ეხლა აგრევ ძნელია დაშორება, როგორც მაშინ შეხვედრა,

კაცი არ უველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის.

მაშინ მხეცას სძლებოდნენ მინდვრად ავთანდილის ცრემლითა. თინათინის ფიქრი უფრო უჭირებდა საქმესა. მაგრამ სიკვდილს გაკმაგრებოდა, იტყოდა თუ, მზეო, რათგანაც დამაგლე, ბნელი რას მიკვირს. თინათინის ღაწვეთა დარად მიმაჩინხარ, ერთმანერთს ჰეგვხართ. ორნივ მთა ბარს ანათებთ. ხელქმნილს შენი ნახვა მომალხენს, მაგრამ ჩემი

გული ცივად გაუმთბარად რად დაგდე? ერთი შზის მოშორებისაგანაც ზამთრის თვეში შეგვცივდება, მე კი ორი დამიყრია, გული რად არ შიკვდება?

მაგრა კლდესა არა შესწონს, არათდეს არ ატევინებს,

წელუჯსა დანა ვერა ჰეჭნებს, გაჭმეთს, ანუ გააშივნებს.

ცას შესტიროდა, მზეს ეტყოდა, აპა, მზეო, შენ, უმძლესთა მძლე-თა მძლეს გიაჯები, ვინც მდაბალს გაამალლებ, მეფობას მისცემ სვესა, ნუ გამყრი ჩემს საყვარელსა, ღამედ დღეს ნუ შემიცვლი. მო, ზუალ, ცრემლი ცრემლზე, ჭირი ჭირზე მომიმატე, გული შემიღებე შავად, ხშირ სიბნელეს მიეც ჩემი თავი, კაეშანი შემოჰყარე, როგორც ვიჩს, მძიმე ტვირთი მას უთხარ თუ, ნუ გასწირავ, შენია და შენთვის სტი-რის თქო.

ჰე, მუშთარო, შენ, მართალს, სრულ ბჭეს გიაჯები მო და სა-მართალი უყავ.

გაებრჭობის ბული გულსა

უმართლესს ნუ ამრუდებ, ამით სულს ნუ წაიწყმედ. მართალი ვარ, გამიკითხე; მისთვის წყლულს რად მაწყლულებ!

მოდი, მარიხო, შენის ლახვრით უწყალოდ დამჭერ, წითლად სი-სხლის დენით შემღებე და შემსვარე. მას უთხარ ჩემი სატანჯველი, ენით გააგონე. როგორ გავსრულვარ, შენ იცი, გული აღარ მაქვს სალხინოდ.

მოდი, ასპიროზ, მარგე რამ, დამწვა ცეცხლითა მან, ვისი მარგალი-ტივით კბილები მოუცავს ძოწის ბაგესა, შენ დაამშვენებ კეპლუცო მაგ დამშვენებით, ჩემებრს ვისმე ლაგდებ, ცნობით გააშმაგებ:

ოტარიდო, შენს გარდა საქმე სხვას არვის მიგავს. მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს, შემიყრის და წვას მიმცემს. დაჯექ ჩერი ჭირის საწერად, მელნიდ ცრემლის ტბას მოგცემ, კალმად გამოგიკვეთ ლერწამსავით წვრილ ტანსა.

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და ვსცხრები. მზე გამავსებს; იგივე გამლევს, მას უამბე ჩემი სასჯელი, მიდი, უთხარ, ნუ გასწირავ-თქო. მისი ვარ, მისთვისევ ვჰკვდები.

ეხლა გულს ეტყოდა, ცრემლი რო გლის, არ შეგშრობია, თავის მოკვლა რას გარგებს, თუ ეშმაკი არ დაგძმობილებია. ვიცი, ჩემს ხელ-მქმნელსაცა აქვს თმობა, მაგრამ

თუ ჭირსა არ დასთმობს, დახინი რა დასათმობია,

ცოცხალის ნუ თუ მომიხდეს შზის ნახვა, სულ უის ნუ ვიძახიო.

ხმა ტკბილად მიიმღეროდა, მაგრამ ცრემლსაც აფრქვევდა. მის ხმასთან ბულბულის ხმა ბუსას ჰგვანდა.

რა ესმოდათ მოყმის სიმღერა, მხეცნი მოვიღნენ. ხმის სიტბო-საგან წყლით ქვანიც გამოსხდნენ. ყურს უგდებდნენ და უკვირდათ.

ტირილს იწყებდნენ, როცა მოყმე ატირდებოდა, საბრალო ლექსე-  
ბის მომღერალი.

39. ავთანდილმა სამოცუდაათი დღე იარა ზღვის პირა გზითა. შო-  
რით ჰნახა, ზღვაში მენავენი მოდიოდნენ. მოიცადა, ჰკითხა, ვინა ხართ,  
ეს სამეფო ვისი არის, ან ვის ხმას ჰმოჩილებსო. მათ მოახსენეს, თვალი  
ტანად შშვენიერო, გვეუცხოვე და გვეკეთე, ამად გეუბნებით ქებითა.  
აქამდის სამძლვარი თურქების არის, მოსამძლვრე ფრილონის სამძლვრე-  
ბითა. ჩვენც, ვისი ვართ. გიაშბობთ, თუ ცქერამ არ დაგვბნილა. ჩვენი  
ქვეყნის მეფეა ნურადინ ფრიდონ, ჭაბუკი მხნე, უხვი, ძლიერი და  
ცხენის ფრცხლავ მომხტომი. ვნება მისი არავის არ ძალუძს. იგია ჩვენი  
პატრიონიო.

ავთანდილმა უთხრა, ძმებო, კარგს ხალხს გადაგეკიდეთ. მე ვეძებ  
თქვენს მეფეს, მასწავლეთ თუ; სით წავიდე, რა ვიარო, როდის მი-  
ვალ, ან გზას რა სიღილე აქვსო. მენავეებმა უწინამძლვრეს, ზღვის კიდე  
არ დაუგდიათ. მოახსენეს, ეს გზაა, მიმავალი მულლაზანზარს, იქ დაგ-  
წვდება ჩვენი მეფე მშვილდ ფიცხელი და მახვილ-ხმალი. აქეთგან ათ  
დღეში მიხვალ. ვაი, რად დაგვწევი უცხომ უცხო, რად მოგვიდევ ცეც-  
ხლებრ ალიო.

ჭაბუკმა უთხრა, ძმებო, მიკვირს, ჩემთვის გულ მოკლული რათა  
ხართ, ანუ ეგრე როგორ გვეკეთათ ფერნაკლულიზამთრის ვარდი. მაშინ  
უნდა გენახათ, როცა ლალნი ვისხედით და ჩვენს მხედველებს ვამშვე-  
ნებლით, ვამხიარულებლითო. სტქვა და გაუჯვა გზასა. ტინი სარის და  
გული რკინას მიუგავდა. ცხენს მიაკორვებდა და მიღაბარაკობდა მოთ-  
ქმითა. გზაში მნახველნი უცხონი მის სამსახურსა და ყმობას ეეწოდნენ.  
ეძნელებოდა შათი გაშვება, ისინი კიდევ ძლიერ სთმაბდნენ დაშორება-  
სა. გზის უულაუზს აძლევდნენ, რა ჰკითხავდა, უამბობდნენ. მულლა-  
ზანზარს მიუახლოვდა. გრძელი გზა ადრე დაპლია. მინდვრად ჰნახა  
ლაშქარი, ისე ჰგვანდა, ნადირს ჰხოცდა, ყოველგნით ალყა შემოეკრა,  
ველს გარშემოდგომოდნენ, ისვროდნენ და იზახოდნენ, მჭელსავით  
სკრიდნენ მხეცასა.

კაცი შემოჰევდა. ლაშქრის ამბავი ჰკითხა, უბრძანა, ის ვისია  
ზათქის და ზარის ხმაო? მან უთხრა, ფრიდონ ხელმწიფე, მულდაზან-  
ზარის მეფე ჰნადირობს, ველ-შამბნარის ნაპირი შეუკრავსო. იმ ლაშ-  
ქრისკენ წავიდა. გამხიარულდა. ასე ჰშვენოდა იმ დროს, რო დააზ-  
რობდა, ვინც დაპლორდებოდა და როგორც მზე დასწვიდა, ვინც შეპხ-  
ვდებოდა. ლაშქრის შეუა წრეში სითგანლაც ორბი გადამოჰერინდა.  
ავთანდილმა ცხენი შეუტია, გაამაყდა, გაუგულმაგარდა. ისარი შეს-  
ტყორცა და ჩამოაგდო. ორბი დაეცა და სისხლი სდიოდა. გადაპხდა,  
ფრთები დააჭრა, მერმე ისევე შესჯდა წყნარად, არ აქშინა. რა

ჰნახეს, მესროლთ სროლა მოეშალა, ალყა მოპხსნეს, მოვიღნენ, მოეზვივნენ, იქათ და აქათ უვლიდნენ, ზოგნი უკან მიჰყვებოდნენ, ვერც ჰკადრებლნენ, ვინ ხარო, ვერცა რას ეუბნებოდნენ.

მინდორში გორი იდგა, ფრიდონ ზედ დამდგარიყო. ორმოცი კაცი, მასთან სროლის ლირსი, ახლდა. იქითკენ გაემართა ავთანდილ შუა გულ რაზმისა, რომელიც მიჰყვებოლა. ფრიდონს უკირდა, რა ჰქმნესო, თავისი ჯარისთვის სწყრებოდა. მონა გამოპგზავნა, წა, ის ლაშქარი ჰნახეო, რა ჰქმნეს, ალყა რად დაპშალეს, სად მიდიან ბრძებივითაო. მონა ფიცხლავ მოეგება, ჰნახა ავთანდილ, დადგა, თვალები გაურეტდა, სიტყვეს თქმა დაავიწყდა. ავთანდილმა შეატყო, ის მონა მასთან მოამბედ იყო გამოგზავნელი. უთხრა, შენს პატრონს მოახსენე უცხო ვინმე ყარიბი ვარ, სამყოფ საცხოვრებელს მოვჭმორდა და ძმად ფიცი ტარიელისა თქვენს წინაშე შოგზავნილ ვარ თქო. მონა წავიდა ამბის მოსახსენებლად ფრიდონისთვის. უთხრა, ის მოსული დღის მნათობი სხანს, ბრძენსაც კი გააშმაგებს იმის ნახვა; ტარიელის ძმა ვარ მოწყენილი ფრიდონის სანახავადო.

რა ესმა ტარიელო, ჭირ ვარამი შეუმსუბუქდა ფრიდონსა. თვალი ცრემლი გადმოსცვივდა, რა გული აუჩუქდა. ფიცხლავ ის ქედი ჩავლო, ჩაეგება. ავთანდილი მას ჰმეტობდა, რაც ქება მონისაგან მოესმინა. ერთმანერთს მოეცვივნენ, უცხოობას არ მოპრიდებიან. მაშინვე ცხენებზე შესხდნენ, გაემართნენ და ფრიდონის სრა დარბაზს მივიღნენ. ნადირობა დაიშალა, ჩხეცათ ხოცვას ხელი უშვეს. ავთანდილის სანახავად ლაშქარი იქით აქათ შემოიჯარა. სთქვეს, ასეთი ხორციელი რას როგორ შეუქმნიაო.

ავთანდილ ეტყოდა ფრიდონსა, ვიცი, ისწრაფი ამბის თხრობასა; ვინათგან გწადია ცნობა, გიამბო, ვინ ვარ, სით მოვალ, ან სით ვიცნობ ტარიელს, ანუ მის ძმობას რად ვიტყვი, იგი ქმად მიხმობს, ძმა ხარო, თუმცა ძმობას ძლივს ლირს ვარო. როცა უამბო, სთხოვა, გამოშირჩიე, სით მიჯობს. ძებნა იმ ზენა მზისაო. მათ ვულ ამოსკვნილ ტირილზე ლაშქარმაც მოპროო ტირილი. შვიდი წლის დაშორებული ფრიდონ მოსთქვამდა, რაც მოეშორდი, სიცოცხლე მომძულებია, სას სურველიად მიჩანხარ და უშენობა ჭირად გადამქცევიაო.

სული დაიღეს, დაღუმდნენ და ჭალაქში ისე შევიღნენ. სრა დარბაზი დაპხვდათ მოკაზმული ყოველი სახელმწიფო გასაგებლითა. მონები მოსულიყვნენ სრულის წესითა. სულ წასულნი შეჭხაროდნენ ავთანდილსა. შევიღნენ და დიდი ჯალაბობა შექმნეს. იქითა აქეთ დიდებულები წარიგებით იდგნენ ათჯერ ათი. თვითონ ორნივე დასხდნენ ერთგან. გაიმართა პურის ჭამა და ავთანდილს უმასპინძლებდა, როგორც მძახალი. მძახალსა. ჭურჭელი საუცხოო და ახალ ახალი მოპქონდათ. იმ დღეს მოპრინენ ნადიმსა.

რა გათენდა, ავთანდილ აბანეს. ატლასი ურიცხვი იდო. შესა-  
მოსელი შეპმოსეს ბევრ ათას დრაკნად ლირებული. წელს სარტყელი  
შეარტყეს ფას-დაუდებელი. ჭაბუქმა რამდენიმე დღე დაჲყო, თუმც  
ყოფნას ფერ სომობდა. ფრიდონთან ერთად სანაღიროდ დადიოდა და  
თამაშობდა. სწორად პეოცდა შორს და ახლოს, რასაც ხელს მიაპ-  
ყრობდა. მისი სროლა ყველა მშვილდოსანს აწბილებდა. ფრიდონს  
ეტყოდა, თქვენი მოშორება სუკლილია მიჩნას; მაგრამ არა მცალია  
დღეცრულსა, ცეცხლი სხვაც მედება, გრძელი გზა, სასწრაფო საქმე  
მიძევს, დამიგვიანდება. მართალია, ვინც შენ მოგშორდება, აუტირე-  
ბელი ვერ დადგება, მაგრამ დღეს მაინც წამსვლელი ვარ.

დგომა მგზავრისა ცდომაა, კარგა იქმს თავსა წევრთადესა.

**წამომყევ ზღვის კიდეს, სადაც ის მზე გინახავს.**

ფრიდონმა უთხრა, ჩემგან არაფერი დაგეშლება: ვიცი, აღარ გცა-  
ლია, შენ სხვა ლახვარი გსობია. წადი, ღმერთი გიწინემძღვრებს, შენი  
მტერი დაემხობა, ამას გკადრებ, შეუძლებელია, მარტო წაპხვიდე, თან  
მონებს გაახლებ, იმსახურე, აგრეთვე აბჯარი და საქონელი, ერთი ჭილ-  
რი, ერთი ცხენი. თუ არ გაიყოლებ, ვაირჯებო. მოასხა გულით მი-  
სანდობელი ოთხი მონა, გამოატანა სრული საკაცო აბჯარი ქაფუ-საბარ-  
კულითა, სამოცი ლიტრა წითელი აწონით, ერთი უებრო ტაიჭი სრულ  
უნაგრიანი. ერთ წვივ მაგარ ჯორს საგები აუკიდა. წავიდა და ფრი-  
ლონ შესჯდა. მასთანვე გამოვიდა.

ზარი გაპხდა იმ ჭაბუქის წასვლისა და წუხილს მისცეს თავი. მო-  
ქალაქენი მოასკერდნენ, ვინ რას ჰყიდდა ლარს, თუ ხილსა. მათი ძახილის  
ხმა ჰაერთა ქუხილს ჰყვენდა. ისინიც სწუხდნენ. ქალაქი გაიარეს, წავი-  
დნენ. ზღვის პირს მიადგნენ, მაშინ ფრიდონის ნახულს და მზის ნასა-  
ჯდომევსა. ფრიდონმა უაშბო იმ შნათობი ტყვის ამბავი. ამბავმა ორთავ  
გაუახლა წვა და დაგვა. გაუყრელნი ძმად ფიცნი დაშორდნენ ერთ-  
მანერთსა. ფრიდონ დადგა, ავჭანდილ წავიდა.

40. ავთანდილ მიმავალი მილაპარაკობდა. თინათინის ფიქრი გულს  
უკეთებდა. იტყოდა, მოგშორდი, ვაი, კრული საწუთროს სიცრუე! შენა  
გაქვს ჩემი წყლულის წამალი; სიცხე ნიადაგ გულს მიწვავს. რაღ  
გამკლდევებია გული ეგრე, რომ ლახვარს არ შეუძლია სამსაც მი-  
სი დალახვრა? შენა ხარ მიზეზი წუთი სოფლის ასრე გამწარებისაო.  
ზღვის პირს მივიდა მარტო ოთხი მონითა. ტარიელის წამალს ეძებდა,  
მისთვის ყოველ ღონეს ჰემარობდა. ქვეყანა მრთლად ჩალა რამ, იმავ  
ჩალის წონა ეგონა. ზღვის პირის მგზავრებს სადაც პნახავდა, პკით-  
ხავდა. იმ მზის ამბავსა. ასიოდე დღე იარა: ქედს რასმე გადაადგნენ.  
ლარ-კიდებულ აქლემებს თვალი მოჰკრეს. მოქარავნენი ზღვის პირად

იდგნენ დაყრით. დაქანცულიყვნენ. ქარავანი ურიცხვი იდგა. სწუხდნენ, ვერც იდგნენ, ვერც წასულიყვნენ. ჭაბუკში სალაში უბრძანა, მათ ქება შეასხეს. ჰკითხა თუ, ვაჭარნო, ვინ ხართო. გააბეს საუბარი.

უსამ იყო ქარავნის უფროსი, ბრძენი კაცი. სრული ხოტბა მრავალსენა, ღამლოცა და მოექცა ზნე-ჩევულებითა. ჰკადრეს, შენ მოსულხარ ჩვენდა სალხინოდ, ჩამოხედ, ჩვენი ამბავი და საქმე მოგახსენოთ. ავთანდილ ჩამოპხდა. ჰკადრეს, ჩვენა ვართ მაპმადის რჯულის მჭირავი ბალდადელი ვაჭრები, აროდეს გვისვამს მაჭარი. ზღვათა მეფის ქალიქში სავაჭროდ მოვსულვართ საქონელ სრული სრული, მდიდარი და ლარი არა გვაქვს დაჭრილი. აქ ზღვის პირად უსულო მდებარე კაცი ვაჭრეთ, უშველეთ, ენა ამოილო სიტყვის გამოსათქმელად. ვჰკითხეთ თუ, ვინ ხარ, ყარიბო, რა საჭმის მძებარი? გვითხრა; თუ შეხვალთ, დაგხოცენ; ძლივს გადაეჭრჩი. ქარავანი ერით წამოვედრით ეგვიპტით. ზღვაში შევედრო მრავალფერი ლარით დატვირთული. მეკობრებმა ძელის სახნისის წევერით დაგვხოცეს, ყველა წაპხდა, არ ვიცი თუ, აქ რითო მოვსულვარო. ეს არის აქ დგომის მიზეზი, დაბრუნებით ერთი ასაღ ზიანი მოგვეცემა. შევიდეთ, ვაი თუ დაგვხოცონ, ომის ძალა არა გვაქვს. ვერ ვდგვევართ, ვერც წავსულვართ, რჩომის ღონე წაგვსვლიაო.

ავთანდილმა უთხრა,

ვინცა ჭმუნაგს, ცუდია და ცუდად სცდების,

როცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცდების.

მე მივინდობ თქვენს სისხლსა, შემოვისხამ და დაგწვდება. ვინც გებრძვისთ, ჩემი ხმალი დააცვდება თქვენს მბრძოლსაო.

მოქარავნენი დიდის სიხარულით აივსნენ. სთქვეს, ჭაბუკი ვინმეა, არ ჩვენებრვე რიდიძნი, თავის იმედი აქვს, გულ-მშვიდად ვიყვნეთო. შევიდნენ, ხომალდში ჩასხდნენ, ზღვის კიდით გაემართნენ. სიამოვნის დარით იარეს ასე, რომ არა ვაჭირვებიათ. ბადრაგა ავთანდილ ქველის გულით მიუძღვოდა. მეტად კრძელ დროშიანი მეკობრე ნავი გამოსჩნდა. იმ ნავს ნავთა სალეწად ძელის სახნისი ეგო. ჰკიოლნენ და მიდიოდნენ. ქარავანი შეუშინდა მათ ლაშქართა სიდიდესა. ავთანდილმა უთხრა, მათი გულადობის ნუ გეშინიანთ, ან ყველის დავჭხოც, ან შევაკვდები დღესა. უგანგებოდ ვერას მიზმენ, კიდეც რო ხმელეთის ჯარნი შემებნენ. განგებაა, არ დავჭრჩები, დავილახვრები. ვერ მიხსნიან ვერც ციხეები, ვერც მოყვასები, ვერც ძმები. ყველა ჩემებრვე გულვანია, ვინც ეს იცის ასრე. თქვენ ვაჭრები ჯაბანი ხართ, ომის უცოდინარნიც. კარები ჩაიხურეთ, რომ ისრით არ დაიხოცნეთ. მარტო მნახეთ, როგორ შევება, როგორ ვიხმარო ლომმა მკლავები. მაშინ ჰნახეთ მონალვარი სისხლი მეკობრე ნავისა.

ტანთ აბჯარი ჩაიცვა ვეფხვებრ მკრჩხალის ქცევითა. ცალ ხელში რკინის კეტი ჰქონდა. შიშ შეუვალის გულით წადგა ნავის თავსა. ხმლით დაპირის მტრები ისევე, როგორც მხედველნი ცქერითა. ის ლაშქარი ჰქიოდა ხმა შეუწყვეტლივ. აძგერეს ძელი, რაზედაც სახნისი ეგო. ჭაბუკი ნავის თავს უშიშრად დადგა, არა თუ კრთომითა. კეტი ჰქრა, ძელი მოსტება ლომს მკლავი არ გისდორეკია. იმ ლაშქარს გული უშიშრად ჰქოდა, როგორც თხასა. ზოგნი ნავს შეანარცხა, ზოგს ზღვაში ჰყიოდა. ერთმანერთს შემოსტყორცა, რვა ცხრასა. და ცხრა რვასა ჰქრა ვინც დაპირის, მკვდრებ შუა იმალებოდა, ხმას ჰმალავდა.

ომი გაუშმარჯვდა ავთანდილს, როგორც მის გულს სწადდა. ზოგმა ჰყალბა ზენაბრი, შენს სჯულს, ნუ დაგვხორცო. აღარ დაპირისა, დაიმონა, რაც წყლულს დაპირის დაპირის. მართლად უთქვაშებთ;

შიში შეიქმნეს სიევარულსა.

კაცო, ძალისა ნუ იქადი, ნუცა მოჭიკვეს, ვითა მთვრჩლი არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღვთისა ძალი.

დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწავლის ნაბერწყალი.

ღმერთი გრარავს, სწორედ გაჭიკვეთს, შემა ვის ჭერა, თუნდა ხმალი.

ავთანდილშა მათი საჭურჭლე მრავალი ჰნახა. ნავი ნავს შეატყუბა, ქარავანს დაუხახა. უსამმა ჰნახა, გაუხარდა და საქებრად ხოტბა ჰკალ-რეს, მაგრამ მის მაქებელთ ათასი ენა დასჭირდებოდათ. ვვრც მათ სთქვეს თუ, ნაომრობა როგორ მოუხდა. ქარავანმა იზრიალა, სთქვეს, უფალო, მაღლი შენდა! მზემ შუქი მოგვფინა და ბნელი ღამე გაგვითენაო. მოეგებნენ, უკოცნიდნენ თავსა, პირსა, ფეხსა, ხელსა. შენგან გადავპირით ყველანი ესოდნენ ძნელ ფაოერაკსაო.

ჰაბუკმა უთხრა,

მადლი ღმერთსა შემოქმედსა, არსთა მხედსა,

ვისგან ძალი ზეციერნი განაგებენ აქ ქმნადსა.

ივი იქმნ უველავასა, იდუმადსა, ზოგსა ცხადსა.

ჭეამს უოდლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწევნადსა

ღმერთმა ეგოდენი სული გიხსნათ. მე, გლახ, რა ვარ? მიწა ცული! ჩემი თავით რა უნდა ვჰქმნა? ეხლა თქვენი მტერი დავპირე, რაც ვსთქვი, გავასრულე. ნავი სრულად საქონლით მომიმრომევია, როგორც ძლვენიო.

ამთა, კარგსა მოუმესა რა ფით გამარჯვებოდეს,

ამხანაგთაგან უფაბნის, უინცა მას თანა ჭიდებოდეს.

მთულოცვიდუნ, აქებგენ, მათ აგრე მულფთა სწიბებოდეს.

ჭშენდეს დაკოდილობა, ცოტათ რამე ჭვნებოდეს.

მეკობრეთა ნავი იმ ღლესვე ჰნახეს, შიგ საჭურჭლე იღო უთვალავი.

თავიანთ ნავში გადმოიღეს, მათი ნავი სრულიად გადმოსცალეს. დაპლეწეს, ზოგიც დასწევეს, შეშა დრამად არ გაუცვლიათ.

ავთანდილს უსამმა მოახსენა ვაჭრების. შემოთვლილობა, შენგან გამაგრებულვართ, ჩვენ ვიცით ჩვენი ფლიდობა. რაცა გვაქვს, შენია, სიტყვა არ უნდა. რასაც მოგვცემ, გვიბოძე, აქ მოგვიხდენია ყრილობათ. ჭაბუკმა შეუთვალა, ძმებო, წელანაც გესმათ, ღმერთმა გისმინათ, რაც ცრემლი თვალთა გდენიათ. მან გიხსნათ, მე რა ვარ? რა გინდა, მომცეთ; რას ვაქნევ? მე ვარ. დი ჩემი ცხენი. ურიცხვი საჭურჭლე რაც: შესანახად მინდოდა, შინაცა მქონდა. თქვენი რად მინდა? მე ვარ მხოლოდ თქვენი მხლებელი. სხვა საქმე მიძევს სხვაგან, მას უნდა გადავეგო. რაც ეხლა საჭურჭლე მიშოვნია, რაც ვის გინდათ, წაიღეთ; მხოლოდ ერთს რასმე გთხოვთ. საქმე რამ მიძევს თქვენ შორის ასე, რომ თავი უნდა დავიმალო და დრომი ჩემი არა სთქვათ, თუ თქვენი პატრონი არა ვარ, პირ-იქით სთქვით, თვით ჩვენი თავადია თქო, და არ მიხსენოთ ჭაბუკობა. მე სავაჭროს ჩავიცვამ, დავიწყებ, ვაჭრობას, თქვენ ნამუსი შემინახეთ, თქვენსა და ჩემს ძმობასათ.

ეს საქმე ქარავანს დიდად გაუხარდა. მოვიღნენ, თაყვანი სცეს და ჰკადრეს, გემსახურებითო. იქითგან წავიღნენ, იარეს ხან დაუზმელად. საამო ტაროსი დაუდგათ, ნიადაგ სიამოვნებით მგზავრობდნენ. ავთანდილს შეჰქონინვიღნენ, ქებას შეასხმიღნენ.

42. ავთანდილმა ზღვა გაიარა: გარს ბალის ტევრით მოცული ქალაქი ჰნახეს, შიგ უცხო და ფერად ფერადი ყვავილები. ქვეყნის სილამაზე, არ გაგონილა, ისეთი იყო. ბალების პირს ნავი დააბეს-სამი საბლითა. ავთანდილმა ტანთ ჯუბა ჩაიცვა, სკამით დასჯდა. მოასხეს მზიდავნი კაცნი, დრამით რო დაემზადებინათ. ჭაბუკი ვაჭრობდა, თავადობდა და თავს იმალავდა ამითა.

მოვიდა მისი მებაღე, ბალში რო იყვნენ. ჭაბუკს უცქეროდა შეფრთინვითა. ავთანდილმა მოიხმო ის კაცი, ელაპარაკა, ვისი ხართ, ვინ ხართ, აქ მჯდომელ შეფეს რა ჰქვიან. წვრილად მითხარ ყველა-ფერი, რა ლარია უფრო ძვირად, ან იაფად რა იხსნებით. ჰკადრა კაცმა, რაც ვიცი, მართალს მოგახსენებ, მრუდი არ გეკადრება. ესაა ზღვათა სამეფო ათი თვის საელითა. თვით გულანშაროს ქალაქში შრავალია საუცხოო რამ. ზღვა-ზღვა მავალის ნავით აქ მოდის რაცკი რამ საუცხოო არის: ჰელმწიფობს სცე. დავლა სრული. მელიქ სურხავი. აქ მოსვლით, ბერიკაციც რომ იყვეს, გაჭაბუკდება. ნიადაგ ჭურის ჭამა, გახარება, თამაში და სიმღერებია. ზამთარ-ზაფ-ხულ ერთნაირადა გვაქვს ფერად-ფერადი ყვავილი. ვინც გვიცნობენ, შეგვნატრიან, იგინიც კი, ვინც გვმტრობენ. დიდ ვაჭრები ამის მეტს სარგებელს ვერ ჰპოებენ, იყიდიან, გაპყიდიან, მოიგებენ, წააგებენ.

ჭლახა ერთ თვეში გამდიდრდება, საეპროს ყოველგნით ჰკრებენ, ვინც უქონელია, წლამდის საქონელს დაიდებს. მე ვარ ვაჭართ უხუცესის უსენის მებალვ. მისი ამბავიც გკადრო. თვით ეს ბალი, დღეს რომ თქვენი სადგომია, იმისია. პირველად იმას უნდა ეჩვენოს ყოველი საუცხოო რამ. რა შემოვლენ დიდ-ვაჭრები, იმას ჰნახვენ დაძლვენს მიართმევენ. უჩვენებენ, რაც უნდა ჰქონდესთ, სხვაგან ვერ გაპისიან ლარსა. უტურფეს ქალებს სეფედ დასხმენ, იქვე დაუთვლიან ფასსა. მაშინვე ათავისუფლებს და დაპყიდიან, როგორც უნდათ. თქვენებრ საპატიოს მოუსვენებს, დამყენებელთ უბრძანებს, როგორ უნდა დააყენონ. ეხლა იყი აქ არ არის, თორემ მას შეპფერის თქვენი წაყვანა. ფატმან ხათუნ შინ არის, ცოლი მისი. პურალობით კარგი მასპინძელი, საყვარელია. იმას ვაცნობო თქვენი მოსვლა, წაგიყვანოს, როგორც თავისიანი. წინ კაცს მოგაგებებს, ქალაქში ნათლივ, დღისით შეხვალო.

ავთანდილმა უთხრა, წადი, ჰქმენ, რაც გწადიაო. მებალე გახარებული გაიქცა. ოფლი მკერდამდის ჩამოსდიოდა. ხათუნს ამბავი უთხრა, ჭაბუკი ვინმე მოვა, დიდი ქარავნის პატრონი, ტანად სარო და თვალად შვიდი დღის შთვარე. ჯუბა და ძოწეული რიდის მოხვევნა პშვენის, მიხმო, მკითხა ამბავი და ლართა სყიდვის ნირიო.

ფიტმან ხათუნს გაეხარდა. ათი მონა გააგება. ქარვასრანი მოუკაზმა და ბარგი დაულაგა. შემოვიდა ავთანდილ. ვინც ჰნახა, ტოტი ვეფხსა, თათი ლომს დაუსახა. ზარი გამხდა და ქალაქის ხალხი შემოჰკრა. იქით-აქეთ იჯრებოდნენ საცქერლად. შეპტრფინვიდნენ, სულ წასული-ყვნენ. ცოლებმა მოიძულეს და ქმრები გაბასრულად დარჩნენ.

42. უსენის ცოლი ფატმან გაეგება კარწინ ავთანდილსა. მხიარული მიესალმა, სიხარული დაიჩინა. ერთმანერთი მოიკითხეს, შევიდნენ და დასხდნენ. ფატმან ხათუნ იყო თვალად მარჯვე, არ ახალგაზდა, მაგრამ გულ-მხიარული, ნაკვთად კარგი, შავგვრემანი, ჭიპირმსუქანი, მუტრიბ მომღერალთ; მოყვარული, ლვინის მსმელი. თავის მოსაწონებლად დასახურავ ჩასაცმელი მრავლად ჰქონდა. იმ ლამეს მეტად კარგად უმასპინძლა. ჭაბუკმა საუცხოო ძლვენი მიართვა, მხლებელთა სთქვეს თუ, ვარებაო. პური სჭამეს. ჭაბუკი დასაწოლად ლამით გარეთ გაფიდა.

დილას ლარი ყველა უჩვენა, რა გაახსნევინა. რაც საუცხოო რამ იყო, სეფედ გადასხა და დაათვლევინა ფასი. ვაჭრებს ჟუთხრა, წაიღეთო. აპეკიდა, გაწევენა. სთქვა, როგორც გინდათ, ივაჭრეთ, ოლონდ არ ვა-ამჟღავნოთ ჩემი ვინაობაო.

ჭაბუკი ეაჭრულად შეიმოსა, არა ჩაუცვამს რა თავისი. ზოგჯერ მოიხმობდა ფატმანს თავისას, ზოგჯერ თვით იყო ფატმანისას. ერთგან

სხდებოდნენ და გულით ქსაუბრებოდნენ ერთმანერთსა. ფატმანს უმის  
სობა ჰკლავდა ისე, როგორც ვისს რაშინისა.

43. სჯობს სიშრე დაცისა, ვისგან ვითა დაითმობის.

გილისლებს და შეგიგვეთებს, მიგინდობს და მთგენდობის,  
მართ ანზდად გილაჭატებს, გაჭვეთს, რაცა დაესთბის,

მართ დაცსა სამალეავი არასთანა არ ეთხობის.

ფატმან ხათუნს ავთანდილ თვალში მოუვიდა. მეტის-მეტი სიყვარული-  
ცეცხლივით სწვავდა. დამალვას სცდილობდა, მაგრამ ვირს ვერ ჰმალვი-  
ლა. ცრემლის ღვრით იტყოდა, რა ვჰქმნა, რა მერგებაო. კერძოდა-  
სოქვა, ვაი თუ გასწყრეს ასე, რომ შეხედვაც დამიძირდეს. თუ არა-  
ვსოქვა, ველარ გავსძლო, ცეცხლით უფრო დავიწვა: ვსოქვა და მოვჰ-  
ცვდე, ანუ დავჰრჩე, ერთი რამ გამიპირდეს.

მან მეტად როგორ ჰყურნოს, თუ არ უთხოას, რაცა სჭირდეს.

44. ადგა და დასწერა საბრალო წიგნი იმ ჭაბუკისთვის მისართმე-  
ველი, თავისი მიჯნურობის და ტანჯვის საუწყებელი, თავის მსმენელთა  
გულის შესაძრავ-შესარხევი, უსტარი შესანახი და არ ცუდად და-  
სახევი.

ვინათგან მზედ გაუჩენისარ ღმერთია, შენგან მოშორებულთა-  
ლხინად და ახლოს მყოფთა დამწველად, შენი შეხედვა მნათობთ მიუმ-  
ჩნევიათ ტკბილად, სასიქადულოდ.

შენ გრიფიალობენ მჟერეტელი, შენითვის საბრალოდ ჰყნდებიან.  
გარდი ხარ, მიკვირს, ბუღბუღნი რად არა შენზე ჰყოთებიან!

შენი მშენება უვაყილთა აჭერის და ჩემი სჭენებიან.

სრულად დამწვარეობ, თუ შზისა შექნი არ მომესწრებიან.

ღმერთი მყავს მოწმად, ვჰშიშობ თქმასა, მაგრამ შედეკულმა რა  
ვირო? თმობა აღარ შემიძლია სრულიად! გული ვერ აიტანს ნიადაგ:  
შავი წამწმების სობასა. თუ რასმე მიშველი, ბარემ მიშველე, თორემ  
ცნობა დამეკარგება. ვიდრე ამ წიგნის პასუხი მომივიღოდეს, უნდა-  
ვიცოდე, მოსაკლავად გაგიმეტებივარ, თუ დამყოლიხარ. მანამდის  
გავსძლებ, თუმცა გული მტკიცა. ნეტა გადმიწყდეს სიცოცხლე, ანუ  
სიკედილი.

ავთანდილს მოუვიდა წიგნი. ისე წაიკითხა, თითქოს დაივინმე, ანუ  
თვისი ყოფილიყვეს მისი დამწერი. სოქვა, ჩემი გული არ იცის, ვინ  
ვის მაშიკობს. ვინც სამიჯნურო მიჩანს, რად ვამგზავსო იმასა.

უვავი გარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია?

მაგრამ მას ზედა ბუღბუღსა ჯერ ტკბილად არ უმდერთა.  
ყოველი უმზგავსო საქმე მოკლე, ოხერია; ეს რა უთქვამს, რა მოუჩინ-  
ხავს და რა წიგნი მოუწერია. ასეთი საქმე განტჩრახავს გულში და მერ-  
ჩე იტყვის, ჩემი შემწე კაცი არავინ არისო. მაგრამ რაკი უნდა მოვ-

სქებნო ის, რისთვისაც გამოვჭრილვარ, როგორათაც ვჰქმებ, მას ვიქმ, გულმა სხვა რაღა ისმინოს. ის დიაცი აქა პზის, მრავალი კაცის მნახველი, ყოველგნით მავალ მგზავრთა მოსაღგურე. და მოყვარე. მივჰყვები, მიამბობს ყველაფერსა. ნუ თუ რამ მარგოს, მეც გადაუხადო ვალი.

დაცს გინცა უჯვარს, გაეჭვის და მისცემს ტუჭსა,

აუგი და მოყიბნება არად შესწონს ეთდად კრულსა.

რაცა იცის, გაუცხადებს, ხეაშიადს უთხობის სრულსა.

მიჯობს, მივჰყვე, ეგებ ვსცნო დამალული საქმე.

გერგინ გერას იქმის, აუ ეტლი არ მოსთმინდების.

მით რაც მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდება.

ბინდის გვარა სოფელი, ესე თურ ამად ჭბინდდების.

კოქასა შიგას რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებას.

45. ავთანდილ სწერდა ფატმან ხათუნსა, მოგეწერა, წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება. შენ მომასწარ, თორებ ცეცხლი მე უფრო მეღება. შენც გინდა, მეც მინდა შენი ხლება გაუწყვეტლივ. შეხვედრა პირიანია, რათვანაც იართავ ნებაო. ენით არ ითქმის, ფატმანს ისე იამა. მიუწერა, მეყოფა, რაც უშენოდ ცრემლი. მილვრია. ეხლა ხავის წინ ვიქმნები, აქ მიპოვე მარტო, შენი შეხვედრა მომისწრაფე და რა შედამდეს, მოდიო.

იმ დამითვე, რა მიართვეს საწვეველი წიგნი, ავთანდილ ადგა და წავიდა. გზაში სხვა მონა შემოჰვდა, ამაღამ ნუ მოხვალ, შენთვის მზაქვერ მპოებო. ჭაბუქს ეწყინა, მაგრამ არ დაპპრუნდა და სოჭვა, რასა ჰგავსო. ფატმან მოწყენით იჯდა. ავთანდილ მარტო შევიდა. დიაცს მაშინვე შეატყო მოწყენა. მაგრამ მისივე შიშით და პატივისცემით ვერ დაიჩინა. ერთგან დასხდნენ და წყლიანი ლალობა დაიწყეს. კარში შემოდგა ვინმე კეკლუც-ტან-ნაკვთიანი ჭაბუკი. შემოვლო, ახლოს შემოჰვე ფარ-ხმლიანი მონა. შეჰქრთა, რა ავთანდილ ჰნახა, ჰგავს თუ. კლდიანი გზა ყოფილაო. ფატმან შეშინდა, სძრწოდა, ხოლო ჭაბუკი გაკვირვებით უმზერდა იმათ ლალობასა. უხხრა, დიაცო, ფერთა მიღამო კრთოლას. არ გიშლი, მაგრამ გამითენდება, მაგ ჭაბუკის ყოლის განანებ. ბოზო დიაცო, გამკიცე და გამათრიე, მაგრამ მაგ საქმის სამაგიეროდ ხვალ სცნობ ჰასუხსა. შენს შეილებს შენი კბილითვე დაგაწმენებ. თუ დავჰშალო, წვერთა ფუ შიყავ, ხელი და ვპრბოდეო სთქვა და კაცმა წვერზე ხელი რა მოიკიდა, კარი გაიარა:

ფატმანმა თავში ცემა: მოჰრთო, ლაწვებს იხოვდა მტირალი, მოდით, ქვით დამქოლეთ, მომადგეჭით, მომაყარეთო. მოსთქვამდა, ქმარი მოვჰკალ, წვრილშვილი, ამოცსწყვიტე, ავიკელ საქონელი, უანგარიშო თლილი თვალი, საყვარელო გავეყარე, ვაი გამზრდელი, ვარ გაზრდილი. ხოლო მომელო, კირუვა გამიწბილდაო.

ამას ყველას ავთანდილ ყურს უგდებდა. უბრძანა, რა გიჭირს რას იტყვი, რისთვის ხარ ეგრე შეწუხებული. ის ჭაბუკი რას დაგეა ქადა, რა ჰენახა, მისთვის რომ დაგეკლოს. დატუმდი, მითხარ, ვინ იყო. ან რა საქმეზე იყო აქ მოსულიო.

დიაცმა უთხრა, ცრემლთა დენით ხულ ქმნილ ვარ; ნუ მკითხავ ნუ რა ამბავსა, ვერც მოგიყვები. შვილები დავჭხოცე ხელითა, ამად იღარა მალხენს რა, შენი უთმინო სიყვარულით თავი მოვიკალ. ასე დაემართება სიტყვა მცდარს, ენა გრძელს, უჭიულს, შმაგს და რეტსა, ვინც საიდუმლოს ვერ დაპირავს. გეტყვით ყოველ ჩემს მნახველსა,

მეურნალმანცა ვერა ჰყურნოს თავისისა სისხლის მხვრეტსა.

ორში ერთი ჰქმენით. ამის მეტს ნუღარ ჰლამით, როგორ მოჰკულავ. იმ კაცსა: წადი ლამით მოჰკალ ფარულად, მე და მრავლად ჩემი სახლობა დაგვიხსენი დახოცისგან. მოხვალ, ყველაფერს გიამბობ თუ, როგორ ვარ ცრემლთა მღვრელი, თუ არა, ლამითვე შენი ტვირთი წაიღე ვირითა, ჩემი მიღამო დააგდე, მოსცილდი სრულიად. ვპოქტ რობ, ჩემი ცოდვა არც შენ დაგაყრის ხეირსა, თუ დარბაზს მივა: ის ჭაბუკი, პირით დამაჭმერნებს შვილებსათ.

რა ეს მოისმინა ლალმა, ბუნება ზიარმა ავთანდილმა, ადგა და ლახტი იღო. ამ საქმის ვერ ცნობა ჩემი სიძუნტეაო, სთქვა: ფატ-მანს უთხრა, მასწავლელ წინამძღვრად კაცი მოშეც, ნამდვილის გზით წამიყვანოს, თორებ მეშველად არ მინდა. იმ კაცს მეომრად და ჩემ დარად ვერ ვჰედავ. რა უყო, მოგახსენებ, მომიცადე, წყნარად იყავო. დიაცმა მონა მისცა და კვლავ შეჰყივლა თუ, როგორც ის ჭაბუკი მოჰკულა ჩემი გულის მოსაფხანად, ჩემი ბეჭედი აცვია და გთხოვ მოტანასათ.

46. ავთანდილმა ქალაქი განვლო. ზღვის პირად ნათელ მწვანე ქვით ნაგები სახლი იდგა. ქვეშეთკენ ჰქონდა მშვენიერი სრა დარბაზი, კვლავ ზედათ ბანის ბანი, კარგი რამ დიდრონი და თანისთანი მრავალი. ავთანდილ იქ მიიყვანა წინამძღვარმა, ხმა დაპლა ჰკადრა, ის არის მისი დარბაზი, ვისაც ეძებო. უჩვენა, უთხრა, ჰედაო ბანსა ზედა-ქვე მდგომელსა? იქ დაგხვდება მწოლარე, ან მჯდომელი. კარწინ ორი დარაჯი უწევსო.

ავთანდილ გავიდა, გაეპარა, ვიდრე მონა ხმას დააგდებდა, თვითონ ხელი ყელში სტაცა იმ დარაჯებსა და იქვე სული ამოახდინა, რა თავი თავს შეუტაკა და ტვინი თმაში გაურია. მერმე ხელ სისხლიანი თავს წაადგა იმ ჭაბუკსა. გულ ჯავრიანა იწვა თავის საწოლში. ვეღარ აასწრო. ავთანდილმა ფარულად ხელი მოჰკიდა, მიწას დაასკვნა და დანით დაჰკულა. ბეჭედიანად თითი მოჰკვეთა, ხოლო ტანი ზღვისკენ

სარკმელში გასტყორცა და ქვიშაში გარია ასე, რომ მისთვის არც  
სად ხამარე, არც სათხარად ბარი იყო.

მათი დახოცის ხმა არსით არ გავარდნილა. აფთანდილშა გულ  
ტებილად იგივე გზა წაიარა, წელან რო წამოევლო. რა ფატმანისას  
მივიღა, უბრძანა, მოვჰკალ, იმ ჭაბუკმა მზიანი დღე ველარ პნახოს,  
თვით შენი მონა მოწმადა მყავს, აფიცე ლვითანი ფიცი. აპა  
თითი და ბეჭედი; დანაც სისხლიანი მაქვს. ეხლა მითხარ თუ, რას  
იტყოდი, რას გაჭმაგდი ისე, რას დაგექადა ის ჭაცი? მეტის მეტად  
მეჩქარებაო.

ფატმან ფეხთ მოეხვია, არ ლირს ვარ, პირში გიცქირო. წყლული  
გული გამიმრთელდა, ეხლა დაგსჯდები ცეცხლის დასაშრეტად. მე და  
უსენ შვილიანიდ ეხლა დავიბადენით. ლომო, შენი ქება როგორ  
ვადიალოთ. ვინათვან იმის სისხლის დაღვრავე დავიქადეთ, თავითვან  
გიამბობ ყველაფერს, თქვენ დაემზადენით ყურის დასაგდებალო.

რა უამბობდა ნესტან დარეჯნის ამბავსა, უთხრა, რა გიამბო მისი  
ქება, რა სიტურფე, რა ნაზობა! ვჰთიცავ, რომ ის მზეა, მზეს არ პშართებს  
მზეობა. ვინ განიცადოს მისი შუქი. ვინ როგორ ჰქმნას მისი ნახაზობა.  
მე თუ დამწვავს, აპა მზად ვარო, სთქვა და პირში ხელი იცა, აფთან-  
დილმაც ცხელი ცრემლი გადმოჰყარა. ერთმანერთი დაავიწყდათ, მის-  
თვის თითქოს ხელ-ქმნილნი გამხდარიყვნენ. მათი მონადენი ღვარი  
ცრემლისა თხელ ფიფქს ჯაწყალებდა. მისი რიცის და ყაბაჩის  
საკვირველებასა უთხრა, ყოველი უცხო და ძვირფასი. მინახავს,  
მაგრავ მისი არა ვიცი, რა გვარ რისი ქმნილი იყო. ნაქსოვის  
სილბო და ნაჭედის სიმტკიცე ჰქონდა. იმ პირმზე ქალის სა-  
დაობა. კვლავ გიამბო, ეხლა კი ეს გითხრა თუ, ჩანაგირი  
რას მექადა. ის კაცი მეტად დაახლოვებული იყო დარბაზში.  
ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, თუმცა ფლასი არ მაცვია. ეს ამბავი  
იმასთან ვსთქვი დიაცურად, სულელურად, პირმზე ქალის ჩემსავ მო-  
ვლა და მელურად გაპარება. ის კაცი კი მტრულად დამექადა გამ-  
ელავნებასა. მექადოდა ყოველთვის, როცა კი წავიკიდებოდით. როცა  
მოგიხმე, არ მეგონა მისი შინ ყოფა. მოსულიყო, მოსვლა ეოქვა.  
შენც მოხვედი, მე შემეშინდა, ამად გვალრე, ნუ მოხვალ მეთქი და  
შონა წინ მოგაგებე. თქვენ აღარ დაპბრუნდით, მოხვედით. შეიყარე-  
ნით ორნივე, ჩემზე დაიჯარენით. ამად შევშინდი, ღონე ველარ მოვი-  
გვარეთ. იმას, გლახ, ჩემი სიკვდლი გულით, არ ენით სწადდა. თუ  
არ მოგეკლა და დარბაზს მისულიყო, შემასმენდა გაჯავრებული, გული  
ცეცხლებრ ეწოდა. მწყრალი მეფე გადაგვით გადასწმენდა ჩემს  
სახლსა, ღმერთო, შეილებს დამაჭმევლა, მერმე ქვით დამჭოლვიდა.  
სამაგიერო ღმერთმა გიზლოს, რა მაღლობა უნდა გვადრო, რომ  
მშვიდობით გადამარჩიმე იმ გველის მზერასა. ამას იქით ჩემს ეტლს და-  
წერას შეეჭნატრი, სიკვდილის აღარ მეშინია.

აფთანდილმა უთხრა, ნუ გეშინია, წიგნშიაც აგრე სწერია,

მოუგარე მტერი უფლებისა მტრისაგან უფრო მტერია.

არ მიენდობის გულოთა, თუ კაცი მეცნერია.

გულმაგრად იყავ, ის უკვე მკვდარია, ეხლა იგივ მიამბე მას აქეთ როცა ქალი გაპგნავნე, რაც ამბავი იცოდე, ან მისი გსმენოდეს.

ფატმან კვლავ ეტყოდა ტირილით, წაპედა შუქი, რომელიც მზის სებრ ეფინა ველსა. მას აქეთ, რაც მომშორდა ხმელეთის მნათობი, სიცოცლე და სულდგმულობა, გაუწყვეტლავ მწვავდა ცხელი ცეცხლი, ასე, რომ თვალთ ცრემლი ველარ შევიშჩე. სახლი და შვილი მომძულადა, უგულოს გულით ვიჯექი, ის შაგონდებოდა ძილში, თუ ღფაძილში, ფიცის გამტეხი უსენ ურჯულოდ მრმაჩნდა, ვერ მიმიახლოს კრულის ბირით კრულშაო, სთქვა და მოუყვა ნესტან დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობის ამბავსა.

ავთანდილშა რა მოისმინა, იამა, სხვა არა გააცხადა რა და ღმერთს მაღდიობა შესწირა. ფატმანს უთსრა, საყვარელო, სასურველად კმარ ხარ ჩემთვის. სანატრელი ამბავი გამაგონე. მიგრამ ქაჯეთის საცემ უფლ 16 ულად ამისხენ. ქაჯი ცველა უხორცო, ხორციელად რამ შეჯემნა? იმ ქალის სისრალული ცეცხლის ალს მიღებს, მაგრამ უხორცო ქაჯები, მიკვირს, რას აქნევენ ქალსაო?

ფატმანმა უთხრა, მოისმინე, მართლა გხედავ მანდ მკრთალსა, ქაჯნი კი არა, კაცინ არიან და სულ კლდეს მიჰნობიან. ქაჯნი სახელად იმად ჰქვიან, რომ კრებულიად არიან, გრძნების მცოდნე და გახელონებული კაცინ, რომელიც ყოველ კაცს ავნებენ, იგინა კი ვერ ვისგან ივნებიან. ვანც მათ შეებიან, დაწმალებენ. იქმენ რამ საკვირველსა, თვალს დაუბრმაცებენ მტერსა, საშინელ ქარს აღსავრენ, დამხობენ ზღვა-ზღვა ნავსა, როგორც ხმელეთს გრირბენენ, რა დააწრაბენ წმინდად წყალსა. სწადდეს, დღეს ბნელად იმქენ, სწადდეს, ბნელს ანათობენ. ამისთვის ქაჯებს ეძახიან გარშემო ყველანი, თორემ რგინიც ჩენისთანა ხორციელი ცეცხიათ.

ავთანდილშა წალლობა გადაუბადა, ცხელი ცეცხლი დამივსე, დიდად მიამა ევ სიტყვებით. გულით ღმერთს აღიდებდა, სთქვა,

დწერთა, გზდალობ, რამელი სარ ჭირთა მომადხენელი,

უფლუდი, შეფლი, უთქმელი, უურთაგან მოუსმენელი;

წესდობა. შენა იჩქითად, არ ჩენა გარდმომფენელი!

ფატმან თვეისთვის ჰუიქრობდა. ამად კვლავ იდებდა ცეცხლსა, ჭაბუკი ნამუსს ინახავდა, სიყვარულს იფერებდა. ფატმან ეცვეოდა. ეხვეოდა ჭაბუკიც. მაგრამ უნდო გვარიდ. თინათინის ფიქრი ჰქლავდა, იღუმალის ძრულით სტრულდა, ხელ-ქმნილი გული გასჭროდა მხეცებიანვე; თვალ-ცრემლიანი ფარულად იტყოდა, მიჯნურნო, მნახეთ, იგი ვინ, ვარდია ვისად. უმისოდ ბულბული ყვავის მზგავსად ნეხვზე ვპზივარო. ფატმან კი იმაზე იხარებდა იადონივით.

თუ უვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰეგნია,

რა გათენდა, ავთანდილ აბანოში წავიდა მზისაგან შუქ ნაკიდები დაცმა მრავალი კაბა, ყაბაჩა და რიდე უძღვნა, მრავალფერი სუნნელი, ტურჭა წმინდა პერანგი, რაც გწადდესო, ჩაიცვი, ნურას მერიდებით ავთანდილშა სთქვა, დღეს უნდა გაფაცხადო ჩემი საქმეო. აქამდის წესად ჰქონდა ვაჭრული ტანისამოსის ჩატმა. იმ დღეს ყოველი საჭა ბუკო შეიმოსა. ფატმანმა პურის საჭმელად მოიწვია: ჭაბუკი მაკაზ-

მული შევიდა მხიარულად. ქალმა შემოსცინა, ეგრე სჯობს. შენთვის  
ხელ ქმნილთა სასურველადო. მეტის მეტად უკურდა მისი გვერდის გვერდის,  
ჭრული პასუხი არა გასცა რა, თავისთვის იღიმებოდა; ეტყობა, არ  
მიცნობსო. რა რევნად, რაგვარ ჰქმობდა. თუმც რასმე იფერებდა,  
მაგრამ მეტი არა გამოდიოდა რა. პური სჭამეს და ლაიზალნენ. ავთან-  
დილ შინ წავიდა. მხიარული დაწვა და საამურად დაიძინა. სალაშო  
უამს გაიღვიძა. ფატმან დაიბარა, მოდი; მნახე, მარტო ვარო; ფატმან  
მივიდა. ავთანდილს მოესმა ოხრა ქალისა, უცილოდ მომკლავს  
ალვისებრ ტანადიო. გვერდს დიისვა. ნოხის ბალიში მიართვა.

ავთანდილმა უთხრა, ფატმან, ვიცი, ეს საქმე შენია, ამ აჩხა-  
ვისაგან გველნაკბენივით დაჰკროთები, მაგრამ აქამდის მართალი ჩემგან-  
არა გსმენია რა. შენ გვონიგარ ვინმე ვაკარი, ქარაფნის პატრონი.  
მე კი ვარ მაღალი მეფის ოსტევანის სპასპეტი, მათი შესავვანი დიდი-  
სპის თავადი დი მრავალი საჭურჭლე ზარდახანის პატრონონა მაქეს.  
შენ ერთგული, სანდო კარგი მოყვარე მგონიზარ. მათა ჰყავს ერთი  
ქლი ხმელთა მანათობელი. მზე, იგია ჩემი დამწველ დამალნობელი.  
მან გამომგზავნ, ასე; ომშ მისი მშობელი პატრონი. დანიგდია. შენ  
რო ქლი გყოლია, იმის საძებნად შემომიფლია. მთლად ქვეყანა, მისი  
გულისთვის გაჭრილი მოყვე მინახავს, ლომივით ფერ ნამუროთალი  
მწოლარე, თავ-გულ-ძალა გაცუდებულიო. უამბო ყოველი თავგადას-  
ვალი, ამბავი ტარიელ ვეფხის ტყაოსანისა და უთხრა, შენა სარ ჯერ.  
შენგან უნახავის წამალი, ყორნის ფრთებრ ნაფუში ხშირი წამწმის ლო-  
ნე. მოდი და შემეწიე, ვეცადნეთ მის რეგბას, უშველუოთ, ნუ თუ ის  
მნათობნი შვებას მიეცნენ. ვინც კაცნი სცნობენ, ყველანა ჩენენს ქებას.  
დაიწყებენ, ნუ თუ კვლავ მიხვდებან მიჯნურნი ერთმანერთის ხლება-  
სა. მომგცარე, ქაჯეთს გავჰგზაკნო იგივე გრძნეული მონა. ქალს ფაცნო-  
ბოთ ყოველი ამბავი, რაც შეგვიტყია, იმანაც მართალი გვაცნობის,  
მისი გამორჩეული ვჰქმნათ- დმერთმა ინებოს, მოგვესმას, ქაჯთა სამე-  
ფო ჩვენგან ძლევულ იყვესო.

ფატმანშა სთქვა, დიდება დმერთსა, რა საქმე შემხვდა! დლეს რომ  
ამბავი მესმა, უკვდავების სწორიათ

მოჰგვარა გრძნეული, ყორანივით შავი გონა. უბრძანა, ქაჯეთს  
გაგდგზავნი, წა, შორი გზა გიძევს. ეხლა გამოჩნდება თუ, რამდენად სა-  
ხმარია შენი გრძნება. ფრცხლავ დამიგსე ჩემი ცეცხლის გზების სა-  
ხმილი და პირ-მზე ქალს ჰყადრე მიზეზი მისი განკურნებისა. მან, მოუ-  
გო, ხვალვე მოგართვა. ყოველი ამბავი ნებისაო.

47. ფატმან სწერდა ნესტან-დარეჯანსა, ქვეყნის მანათობელი მაღა-  
ლო მზეთ, ყოველი შენი შორის-მყოფის დამწველო, სატყვა შევერო და  
წყლიანო. თუმც შენი აძხავი არ მაცრდინე, მე მაინც შევიტყე ნაძღვი-

ლი, შით ჩემს გულს ლხენა მოეცა. შენთვის ხელ-ქმნილი ტარიელ ამბით გაახარე, ორნივე მოსწეოდეთ გულის წადილსა, ის ვარდი, ხოლო შენ ია ყოფილიყვე. შენ საძებნად მოსულა მისი ძმად-შეფიცებული ავთანდილ, არაბეთში ქებული ჭაბუკი და ყველასგან მოწონებული სპასპეტი როსტენ მეფისა. ჩვენ ამისთვის გამოვჭიავნეთ ეს მონა თქვენს წინაშე, რომ შევიტყოთ ქაჯეთის ამბავი, თუ მოსულან შინ ქაჯები. მანდაური მეომრების ანგარიში დაწვრილებით გვინდა, ვინ არიან შენი მცველები, ან მათი თავადი ვინ არის. რაც მანდაური იკი, მოგვწერე, გაამუდავნე; მერმე შენს საყვარელს გაუგზავნე ნიშანი რამ. რაც აქამდის ჭირი გინახავს, ანაცყალე ლხინსა. ღმერთმა ინებოს, ჟესაფერი მოყვარენი შეგყაროთ. დაწერილი მისცა ხელოვან გრძნეულსა, ეს წიგნი მიართვი იმ პირ-მზე ქალსაო. გრძნეულმა ტანზე მოლი რამ წამოისხა, იმ წამსვე გადიკარგა. ბანის-ბანს გადაპფრინდა. წავიდა, როგორც მშვილდ-ფიცხელი კაცის ისარი. რა ქაჯეთს შეჭვდა, ბნელის ოდნავ ბინდ-ბუნდი ქმნილიყო. უჩინრად გაიარა კარების მცველ მოყმეთა შორის. მოახსენა სალაში სასურველისა. ჯახშული კარი ციხისა, როგორც ლია, შეიარა, შევიდა პირ-შავი, თმა-გრძელი ტან-ნაბდიანი ზანგი. ქალი დაპკრთა, სათავისო რამე ზიანი ეგონა, პირისახეზე ლაუვარდ ჭაფრანის ფერმა დაპკრა. ქაჯმა უთხრა, ვინ გგონივარ, ან ეგრე რად დაიბნიდე? ფატმანის მონა ვარ მისიგანვე თქვენთან გამოგზავნილი. ამ წიგნმა გამამართლოს, ტყუილს არ გეუბნები. ვარდო, მზის შუქი მოისწრაფე, ადრე ნუ დასჭირებით.

პირმზეს გაუკვირდა ფატმანის საკვირველი ამბავი. მონამ ის წიგნი თავისი ხელით მიართვა. ქალი ოხვრით ჰკითხულობდა და ცხელის ცრემლით აღტობდა უსტარსა. მონას ჰკითხა, მიამბე, ჩემი მძებნელი ვინ არის, ან ვინ იცის, თუ ცოტნალი ვარ და მიწას ვსტკე პნიო. მან მოახსენა, გკადრებ, რაც ვიცი. რაც წამოსულხარ, მას აქეთ შენგან მზე დაგვბნელებია. ფატმანს გულში ლახვარი სცემია. იმას რო ცრემლი სდიოდა, ზღვას შეერთოდა. მე ერთხელ შენი ამბავი მომიხსენებია იმისთვის. ღმერთს ვიმოწმებ, მას აქეთ ცრემლი არ შეკშრობია. ეხლა ვინმე პირმშეენიერი მოყმე მოვიდა, მკლავ გმირი და შენი მძებნელი. მე გამომგზავნეს, შემეველრნენ ხშირის სწრაფა სწრაფითაო. ქალმა უთხრა, შენი ნაუბარი მემართლება. ფატმან რა იცოდა თუ, ვისი წანაგვარი ვიყავ? ჩემი ცეცხლის მომდებარი ულო ნიოდ საღმეა. მე მიუწერ, შენც ჰკადრე თუ რა გულმდულრადა ვარო.

48. პირმზე სწერდა ფატმანსა, ხათუნო, ღედის მჯობო დედაო. ჰქედავ, რა მიყო წუთისოფელმა მისგან ტყვე ქმნილსა. ჩემს სატან-ჯველზე სხვაც ზედ დამძრთო. შენი უსტარი რა ვჭნახე, ღიღად მერ-

թյօդա. ռորու ցհմեցոլուսցան დամուեց, վորո գամուշացուլոց, այ վաչյ-  
ծիսցան ասց զար լաճակյրո: յրտս մըպաց յրտո սամեցո, ծյջրո ատաստ  
ցմուրո. տատծուրո დա հյեմ լաճակուրեցօ ազաւ մոմուեցա. սեցա ամծացո այս-  
շրո մերու և մոշինըրո. վաչտա մեցու ար մոսուլո, չյր արւ վաչյ-  
ծի մուլլեց, մացրամ պատալացո სբա մըպաց. ռաս վշվուն հյեմո ցց-  
ծնա, գառչյրոյ, Շյումլուցցուլո. զոնց մոսուլո հյեմո մեցնյըլո, պու-  
լագ լամանցրալո, զակուրուցօ დա წաւագցա վյոնու հյեմո պութելլոցի  
ալուսացան: մացրամ Շյունաբրո, սնասացո մնց օցո. սուրութելլոց սմո-  
ւուց զայծաց ցալամյուցու. Շյն ամծացո ար ցուամից մանոն, ամուսուցու  
լագոմալց, հյեմո ցնա ցըր ուրուցա, տացո ցազայրմալց վորոս. ցյեցո-  
յիցօ, Շյմանցընց, Շյմանցրալց սապարյըլոս. հյեմ սամցնաց նոյ վամուց,  
մուսիցըրո, Շյուտալց. հյեմո ցակուրուցօ մեցուցա, նոյ մոմյլուց տա-  
ցուսու. ու մկանարս վէնասաց, մուշկուցուցօ ռորու սույցուլուտա. ցըրոցն  
ցըրաս մարցըծ, գասթուրաց զուցո, ար ու ռամ վորուց. ու առ  
գացմուրիուլուցօ, Շացո վյուս ցորուու գամյուլց. նունու ցացնացնա  
ցըտիւա, ցելու ց ցամյուլացն. մուսելու հուցու նակուցու ցամոցնացն.  
ց հյեմուս մուսամու մուրուց սանասացու, ուրմու ցյրաց Շացուա: հոցուրու  
հյեմո ծյօդո.

49. Եցերան ցելու սապարյըլու սիցըրուց ցուլ ամուսունու մուրիչըցը-  
լու պրյմլուս մուցընուլու ալուս լասացեցաց დա մեմյելուտա. ցուլու  
ցասացմուրաց. հյեմու, ց սբարու հյեմո մոնալցանցօ, կալմաց Ծանո,  
եռուն ցալամո նալցունու ամոնանցօ մաշու. մյ Շյնու ցուլու հյեմու ցուլ-  
սաց զանցօ վալալուց. ցուլու, Շաց ցուլու, լամյուլուն, նոյ այեսենցօ  
չեցուա, հյեմո, ռա սայմու մյենցըլու վուտուսուցուլու! ռաւ սնա սոնատուց  
չնատունցօ, հյեմուս մանց ծնյըլու. ծնյընու ուրունիս, ամաց սիցնունիս,  
սամունցըլու արու. ս՛նյնու սուրութելլոց ցամենյըլուցօ. չեցուա, հյեմո,  
Ռոյուլմա վուտուսուցուլմա დա լուրու հոցուր ցացանուրա. ցըլան ցնաեց  
մեօսարուլմա մեօսարուլու սապարյըլու. նյու ռա վյեմու ս՛նյնու Շյնցան  
գոլանցըրուլմա ցուլմա? գոլանցըրուլմա ցոնցօ սաումուլու ցացութեացա.  
Շյնմա մնցօ, այնօնձամուս ար մեցոնց պութեալո. հյեմո մետիւա, սուրո-  
ւթելլու դա պացըլու լոնց լամլուցու. ցելու ռա մյեմու, զալուց Շյեմ-  
յեցու դա լացըմոնց լոյրուտսա. հյեմո պացըլո այսմուս վորու Շյեցանց լունունսա. Շյնու սուրութելլու մեցուցա յուրուն վուտուն ցուլունուս դա ասց գոլանցուլո  
ցուլուս ոմյըլաց! մոմոցոնցօ ցանց, ցանցուց Շյնտուս գույրուցուն. զնչու  
մնչուցու հյեմցան լանցըրուլու սուպարուլուս. հյեմո, սեցա հյեմա ամծացո  
հյեմցան ար մոցընցըրուցօ: ցնա լամշըրեցօ, մումյենու արցուսցան գոռչյրուցօ,  
ցարմանմա հյեմո տացու վարուց ցրմենցըլու. լոյրուտունց վուտունցօ!  
ցելու վուտուսուցուլմա ոցուց վյեմու, ռաւ Շյեցուրուցուլու, վորու սարցու-  
սունից գոմուսարուտա, հյեմո ծյօդու ար գուշյրուց. հյեմս մրացալ ցար սու-

ჯელსა, ზედმეტად ჩყმი თვეი მისცა შესაპყრობად ძნელად საომარ ქაჯებსა. ბედმა გვიყო ჟიელაფური, ჩემო, რაც დაგვემართა. ისეთ პალალ ციხეში ვჭივარ, თვალი ძლივს გადასწვდება, გრა გვირაბით შემოდის, მცველები ხელ დგანან, დღისით და ღმით მოუმენი არ დასცდებიან ნობათსა. ვინც შეებმიან, დახხოცენ, ცეცხლად მოე-დებიან. ნუ თუ გვინია, ესენი იყვნენ სხვე მებრძოლთა წესითა?! ნურც მე მომკლავ ამის უარესის ჭირითა. შენ გნახავ მკვდარსა, რო-გორც აბედი, კვესით დავიწვი. მოგშორდი, დამთმე კლდისაც უმაგრესის გულითა. შენმა მზემ, ვერ ვის შესხვდეს შენი მთვარე, სამი მზეც მოვი-დეს. თავს გადავიჩნ აქა, დიდი კლდები ახლოს მახლავს. შეივეღრე ჩემი სული, ნუ თუ ფრთხი ზეცით გამომესხნენ. ღმერთს შეავეღრე ჩემი თავი, ნუ თუ კვლავ წუთისოფლის შრომისგან დაშისნას, ცე-ცხლის, ყწლის და მიწის, ჰაერთან ძრომისაგან. მომცეს ფრთხი და ალგვეფრინდე, მოგეწიო ჩემს წადილსა. დღისით და ღმით მზის ელვის კრთომას ვჭიელუდე. მზე უშენოდ ვერ იქმნება, რათვანაც შენა ხარ მისი წილი. დიახამც უნდა ეახლო მისი ეტლი არ თუ გაწმილებული! იქ გნახო, იმადვე დაგსახო, ჩრდილი გული განში-ნეთლო; თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიცვდილიც ტკბილი მქონ-დეს. მე აღარ მიმძიმს სიცვდილი, რათვანაც სულს შემრგვედრებ, მაგრამ შენი სიცვარული გულში ჩავიტანე, შიგ ჩამრჩა. რა მომეგო-ნება გოშორება, წყლული წყლულზე მემატება. ნურც მტირი, ნურც მიგლოვ, ჩემო, ჩემს სიცვარულსა. წადი, ინდოეთს მიჯმართე, ჩემს ძშობელს რამ არგე, მტერთაგან შევიწროებულა, ყოველგნით ხელ აღუპყრობელი გამხდარა. ჩემი მოშორების მთმობელს მიეცი ლხენა გულისა. შენთვის ცრემლ შეუშროებელს მომიგონებდე. რაც ჩემი ბედისა ვიჩივლე, საჩივრად კმარა. სცან, შართალი გულის სამარ-თალი რად მივა გულსა. შენთვის მოვპკვდები, ყორნების დასაცივრად გავჭიდები. ვიდრე ცოცხალ ვარ, სატირლად და სატკიცარად გეყო-ფი. აპა ინიშნე შენეული რიდის ნიშანი. ჩემო, ერთი კიდის ალამი გადმიკვეთია. ესღა დამრჩეს იმ დიდი იმედის სანაცვლოდ. შვიდი ცის ბორბალი ჩემზედ რისხეით მობრუნდათ.

ეს წიგნი რა დასწერა, იმ რიცეს ერთი წვერი გადაჭივე-თა. თავმოხდილს დაჲშვენდა სისხო, სიგრძე, თმების წვერი. ის მონა წამოვიდა, მიმავალი გულინშაროს. ერთ წამს მიჰეტა ფატმანისას. ბევ-რი დღე არ უვლია. რა გაუსრულდა ავთანდილს სასურველი საქმე, ღმერთს ჰმადლობდა ხელაპრყრობით ცნობა-სრული.

ფატმანს უთხრა, საწალელი საქმე ამისრულდა. ვერ ჭადაგიხდი ამ დიდ გასაპირს, რაც ჩემთვის გინა ხავს. წავალ. დასადგომად აღა-ლია. შარშანდელი ღრო მოსულა, ფიცხლავ ჭაჯეთს უნდა მივიყვანო მათი მომსპობა ამომწყვეტელიო.

ხათუნმა უთხრა, ჰე ლომი, გული მიბნელდება, რა ნათელი მოქ-  
შორება. ისწრაფე, ჩემი ნუ რა გეფიქრება, თუ ქაჯები მოგასწრებენ,  
იქ მისვლა გაგიძნელდებათ.

50. ათანდილმა ღაუძა ხაფრიტლონის მონებს, მასთან ვინც იყო ხლე-  
ბული, და უბრძანა, აქამდის შკვლარნი ეხლა დავცოცხლებულვართ.  
რაც გვინდოდა, მისი შეტყობით გავკეთებულვართ. გვიჩვენეთ ჩვენი  
მტრების წყლული, სავაგლახოდ რომ გაპხდომოდესთო. მიღით და  
ფრიდონს უამბეთ აუჩქარებლივ. მე ვერ ვპნახავ, ვისწრაფი, ვეშურები  
წასვლასა. მან გაახაფოს თავისი ხაუი ხმა. რაც ნაალაფევი მაქვს, ყვე-  
ლი ლარი თქვენ მოგცე. რაც ვალი დამდევით, დიდია. მაღლობას სხვას  
ნაირად გადავიხდი, თუ და შევჭხდები ფრიდონსა. / ეხლა შეკობრეთა  
წანალები ყველაფერი წაიღეთ, ამის მეტს ვერაფერს მოგცემ, ვიცი,  
ამად გეძუნწები. სახლი არ მახლავს, არ შემიძლია საბოძვრის გაცემათ.  
მისცა სავსე ხომალდი, მრავლად კარგი ჯარი და უბრძანა, წალით, წაი-  
ღეთ, იმავ არის გზა გაიარეთ და ფრიდონს მიართვით ჩემგან ძმად ნა-  
ფიცარის უსტარიო.

სწერდა, ფრიდონ მაღალო და სვე-სრულო შეფეთ-მეფეო, ძალ-  
გულად ლომის მზგვსო; მოვლენილ მორკმულო, მტერთ სისხლის  
მჩქეფეო, უმცროსმა ძამ დავიყეფე შორი შორ სალამი. ჩემი  
ჭირნახულის ნაცვალი მერგო, კარგად მომიხდა ჩემი ვანზრახულისაქმე.  
ნამდვილად შემიტყვია მზედ დასახული პირის ამბავი, დამარჩენელი ქვე-  
სკნელს დამარხულის ლომისა. ის პირმზე ქაჯების მეფესა ჰყავს, ქაჯეთ-  
შივე პატიშრად. თუმცა გზა საომარია, იქ მისვლა თამაშად მიჩანს.  
ქალს ჯერ არ ახლავან ქაჯები, მაგრამ სპა უთვალავია. გული მიხარის,  
ამად არა ვსტირ, სადაც შენ და შენი ძმა ხართ, იქ ძნელიც გაადვილ-  
დება. ეხლა მაპატიე, ვერ ვნახე, შორს ამის გამო წაგიარე, აღარ მცა-  
ლია გზა-გზა საყოვნელად, ის ქალი იქ პატიმრად არის. მხიარულნი  
ადრე მოვალთ, გაიხარე ჩვენი ნახვა. ამის მეტი რაღა უნდა გკადრო,  
ძმას ძმურად მოეხმარე. რაც გული ამ მონებს ჩემზედა აქვსთ, გადა-  
უხდელია. საამურად მემსახურნენ, ამისთვის თქვენი გულიმც სრულია.  
ქება რად უნდა მას, ვინც თქვენთან ხანდაზმით იქმნება. ბრძენთაგან  
თქმულა,

შზგავსი უველაი შზგავსის ჭშიბს.

ეს უსტარი დასწერა, შეპარა და წაახვია. მისცა ფრიდონის მონებს.  
ზეპირ შეუთვალა, რაც საჭირო იყო, სრულად თუ, თვით როვორ იყო.  
მოპნახა, იპოვა ავთანდილმა თავისი მხრის ნავი და გამოემართა. მაგრამ  
გულ-მწუხარე ფატმანის დაგდება უმშიმდა. ფატმან, უსენ და მონები  
ტტიროდნენ ცხელის ცრემლითა. იტყოდნენ, რა გვიყავ, მწველის ცე-

ცხლით დაგვდაგე, რად დაგვყარე ბნელში შენი მოშორებითა. შენის  
ხელით დაგემარხებითო.

51. ავთანდილმა ზღვა-ზღვა იარა. მგზავრის ნაჯს პირ-მხიარული  
აკორვებდა ოდნავ მარტო თავითა. უხაროდა შეხვედრა ტარიელისა.  
ხელ-გაპყრობილი გულით ესავდა ლმერთსა. მოწურვილიყო ზაფხული,  
მწვანის ამოსვლა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, პაემანის დრო, მზისგან  
ეტლის ცვალება, შეჯდომა საროს ტანისა. ამოიხრა, რა პნახა ყვავილი  
ერთი რამ ხნის უნახველმა. კა და ღრუბელი აგრგვინდა, ბოლოს  
ცვრით სცროდა. ვარდის დასადარის ბაგით ყოცა ვარდსა. უბრძანა,  
გულ-ტკბილად შემხედველის თვალით გიმზერ, თქვენთან საჭბრით მის  
სანაცვლოდ მოვილხენო, რა მოყვარე მოაგონდებოდა, მწარედ ატირდე-  
გოდა. საწყინარი გზა იარა ტარიელისკენ, უდაბური და უგზო, უცხო  
რამ არე. სადაც პნახავდა, დაპხოცდა მოშამბნარე ლომ-ვეუხესა. ქვაბი  
გამოსჩნდა, იაშა, იცნო. სთქვა, ის კლდეებია, სადაც ჩემი მოყვარეა და  
ვისთვისაც ცრემლი მიღვრია. ლირსვარმცა პირის-პირ ვპნახო, უამბო,  
რაც გამიგონია. არ მოსულიყვეს, რალა ვჰქმნა? მაშინ მგზავრობა გამ-  
ცუდებია. თუ მოსულა, ულონიოდ არ დაჰყოფდა შინ ხანსა, საღ-  
მე მინდოორში. წავიდოდა, შხეცივით მინდოო-ველში სასიარულოდ.  
სჯობს. თუ, შამბ-შამბ წავიაროო. იგონებდა, იხედებოდა. ესა სთქვა  
და მიუქცია, მინდვრებისკენ. წამოვიდა. მოაცორვებდა ტაიჭა და  
გულ-მხიარულად იმღერდა, სახელ დებით უყიოდა სიხარულის ხმითა.  
ცოტა წაიარა. ტარიელ გამოსჩნდა, შამბის პირად იდგა ბასრის ხმლი-  
თა ქვეითად, ცხენი არ ჰქლებოდა. ლომი მოეკლა, იმისთვის სისხლი  
მოსცხებოდა ხმალსა. ავთანდილის ყივილი ესმოდა, ეოცებოდა.  
შეპხედა, იცნო, გაიქცა, ხტომით მიპრიბოდა იმისკენ. ხმალი გააგდო,  
თავის ძმობილს მიპმართა. ავთანდილ ჩამოპხდა, ეტლის სწორს ჰგვანდა:  
ერთმანერთს მოეხვივნენ. ხმა შაქრის ფერად გაუხდა ხშირ ხშირად  
პობილ ვარდსა. ტარიელმა სიტყვა მჭევრად მოსთქვა, რათგანაც შენ  
გნახე, აღარ მენაღვლება, რევა სასჯელიც დამაღვესო. ავთანდილ კი  
მის ტირილზე სიცილით ეუბნებოდა, შენ რო გიამება, ის ამბავი შე-  
ვიტყვო. ტარიელმა უთხრა, ძმაო, კმარა, დღეს რაც მლხენია, ყოვე-  
ლი ჩემი სალხინო მინახავს, შენი ნახვა. სხვა წამალი ღმერთმა ნუ  
ჰყოს, ნურც რამ მოგისმენია,

გატმანცა სოფელს ვით ჭმოვა, რაც არა საქმე ზენია!

რა კი ტარიელმა არ დაიჯერა, ავთანდილიც აღარ დასწყინარდა. ამბის  
დაყოვნება ველარ გასძლო, აუჩქარდა. გამოილო მისი. რიდე, ვისაც  
ბაგე უვარდობდა. როგორც კი პნახა ტარიელმა, იცნო, გამოართვა  
და შემოვარდა. ის წიგნი და რიდის კიდე გაპშალა, პირზე დაიღვა,  
დაეცა, პირვარდმა რა ფერი იმკრთალა. სული გაეჭცა, გიშრის წიმ-

წამმჩ თავი მოსდრიკა. მის სატანჯველს ვერც კაენ გაუძლებდა, ვერც სალა. ავთანდილ უცქეროდა უსულოდ მდებარე ტარიელსა. შეჰრინდა, მიშმართა საშველად ტკბილად მოუბარსა: ვერა, ვერ არგო ლამწვარსა, სიცოცხლეს გამოსალმებოდა. ავთანდილ დასჯდა სატირლად. მშვენიერის ხმით სტიროდა. პირს იხოკდა, ლაწვთა სისხლი: ჩასდიოდა. მის შემაცქერალსა, რაც ვჰქმენ, არც შმაგს უქმნია, არც რეტსა. წყალი სასწრაფოდ რად დავასხი ძნელად დასჭრეტ ცეცხლსა. ჩქარად ეცეს, გული ვერ გაუძლებს მეტისმეტ ლხინსა, მე მოვჰქალ ჩემი მოყვარე, გაწბილებულს რა მმართებს? თავს ვაბრალებ ყურ დაუგდებლივ გაგონილ საქმესა!

ცრუ კაცი კარგა ვერა იქმის საქმესა გაძნელებულსა.

თქმულა, სიწენარე გმიბილი სჯობს სიჩქარეს ქებულსა:

უცნობო ქმნილი ტარიელ იდგა ნატუსალის მსგავსად. ავთანდილ აღგა, შამბი გამოვლო წყლის საძებნელად. ლომის სისხლი იპოვა, ალის დასავსებლად მოპქონდა. მკერდზე დაასხა, ტარიელ შეჰკრთა, წამწმები შესძრა, თვალები აახილა, მიეცა ზეწამოჯდომის ძალი. ლაუვარლი ლალის ფერადვე გაპედა,

ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან;

ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალგასა სჩივიან.

მაგრამ მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ჭყივიან.

სიცხე სწევას, უინგა დაზრდობს, წელულნი თრჯერგე სტკივიან.

აგრეგე გული კაცისა მთასგვარებლად ძნელია;

ჭირსა და ლზიზზე თრზელვე ზედან, მართ ვითა სელია,

მიწუივ წელულდების, საწუთო მისი ართეს მრთელია,

იგი მიენდოს სთველსა, ვინცა თავისა მტერია.

ტარიელმა ნაწერი პნახა თავის მკვლელისა, ჰკითხულობდა, თუმცა წიგნის კითხვა აშეთებდა, ცრემლი თვალის სინათლეს უხშავდა, დღის შუქი ბნელად უჩნდა.

ავთანდილ ადგა და დაუწყო მკვახედ ლაპარაკი. ეტყოდა თუ, გასწავლული კაცის ნაქმარობა არ ვარგა, ეხლა რაღდა უნდა ვსტიროდეთ. სიცილი გვმართებს. ადექ, წავიდეთ იმ წახდომილი მზის მოსაძებნად. ადრე მიგიყვან, მიყვანა შენი სასურველია. როგორც გახარება გვმართებს, ჯერ ისე გავიხარნეთ. მერმე შევსხდეთ, გავემართნეთ, ქაჯეთისკენ ვიაროთ. ჩვენი ხმლები ვიწინამძღვროთ, მათი ზურგები დავიყაროთ. გაუჭირებლივ შემოვჰბრუნდეთ, იგი მძორს დავადაროთოს.

მერმე ტარიელმა ჰკითხა ამბავი, აღარ ჰბნდებოდა. შეჰქედავდა, თვალებს ამართავდა, შავ-თეთრი ელვა ჰკითებოდა. როგორც ლილს მზისგან, ფერი მოსდიოდა. ავთანდილს მადლობა უბრძანა, დაელიპარაკა, შენი ქება როგორ ვსოქვა ბრძენთაგან საქებრისა. როგორც შზე მთის წყარომ, მოპრწყე ბარის ყვავილი. დამწყვიდე ცრეკლის თვნა.

სანაცვლოს ვერაფერს ვიქმ შენთვის, ციერი ღმერთი გადაგიხდის, ზე-  
გარდმოთ მოგიზღოს ჩემმაგიერი მუქათ.

შესხდნენ და შინ წავიდნენ, ლხინი ძლიერი ჰქონდათ. აღრითგან  
შშიერი ასმათ ეხლა გააძლო წუთისოფელმა.

ქვაბრის კართან ასმათ მარტი იჯდა, ბარგი არა ჰქონდა რა. შეჰ-  
ხედა, ტარიელ იცნო, მასთანვე ჭარმაგოსანი ჭაბუკი. ორნივე მშვენივ-  
რად იმღეროდნენ, როგორც მგოსანი იადონი. მაშინვე ავარდა შიშვე-  
ლი, პერანგა. აქამდის მუდამ ენახა მოტირალის მისვლა ქვაბსა. ეხლა  
გაუკვირდა სიცილით მომღერლის დანახვა. ზარ-აღებული ავარდა, მყო-  
ფი ცნობასა, როგორც მთვრალი, არ იცოდა ამბის მოსმენა, ჯერ მის-  
გან სასურველისა.

რა პნახეს, სიცილით და კბილთა ჩენით შემოჰყივლეს, ასმათ,  
ლვთის მოწყალება მოგვივიდა. ვიპოვეთ დაკარგული, რაც გვწადდა ის  
ვჰქმენით. ბედისგან ეხლა ცეცხლი დაგვშრეტია, ჭირი ლხინად გადაგ-  
ვეცვიაო.

ავთანდილ ჩამოჰყნდა, ასმათმა ხელი შიჰყო მოსახვევად, ჭაბუკიც  
მოჰყვა, უთხრა. ცრემლის ფრქვევით, რა შეიტყე, რა გააკეთე, მიამბე? შენი მოაჯე ველად ვსტირიო. ავთანდილმა უსტარი მისუა მისი გაზრ-  
დილისა. უთხრა თუ, ნაწერი პნახე მის, ჟისაც სატანჯველი გადაუხდია.  
პირ-მზე მოგვიახლოვდა, ჩრდილის მოშორება მოგვეცაო. ასმათმა რა  
პნახა უსტარი, იცნო მის დანაწერად. გაუკვირდა, თავზარი დაეცა,  
ასთრთოლდა, როგორც ხელქმნილი. ტერფით თხემამდის გაუხდა მეტი  
საკვირველობა. სთვა, რა ვპნახე, რა მესმის, ნუ თუ კიდევ ცოცხა-  
ლიაო. ავთანდილმა უთხრა, ნუ გეშინის, ეგ ამბავი ნამდვილია. ლხინი  
მოგვეცა, მაჭირვებელი უკველი ჭირი მოგვშორდა, პირ-მზე მოგვიახ-  
ლოვდა, უკუნი ჩვენთვის აღარ ჰბნელობს.

ბოროტს სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.

ტარიელ, ინდოთ მეფე, მხიარული უბრძანებდა რასმე ასმათსა. ერთ-  
მანერთს ეხვეოდნენ, სიხარული ატირებდა, წამწამი ღაწვებე აპკურებდა  
თხელ ნამსა.

გაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუმცა კაცი შეიგებდა.

ღმერთს ღიდი მაღლობა შესწირეს, რა სტკვეს, ის გვიყო, რაც  
სჯობდა, ეხლა ვსცანით, უარესს არ გაბრჭობდა თქვენი პირიო. ინ-  
დოთ მეფე ხელ განცყრობით ამას ამბობდა სიხარულითა. ქვაბში შე-  
ვიდნენ მხიარულნი. ასმათ შეუდგა მათ მასპინძლობასა.

ტარიელმა უთხრა ავთანდილსა, გაიგონე, რაც გითხრა, გიამბობ  
რასმე ამბავს, მოამბედ არ დამიწუნო. როცა ქვაბი წავართვი, მდევთ  
დასები დავჭხოცე, მას აქეთ მათი ძვირნაფასი საჭურჭლე აქა ძევს, რაკი  
არ მნდომნია, არც მინახავს. მოდი და გავპსნათ, შევიტყოთ თუ, სა-  
ჭურჭლე რამდენიაო. იამა. ადგნენ ორნივე, არც ასმათ დაპრჩა მჯდო-

შელი. ორმოცი კარი დაჰლეჭეს. პპოვეს უანგარიშო, კვლავ თვალთ უნახავი საჭურჭლე. იქ იდო ხელწმიდად განათალი თვალის რიყე, სჩანდა საბურთალი ბურთის თდენი მარგალიტი. ვინ იტყოდა ვერვის-გან დანათვალი ოქროს რიცხვსა! ორმოცივე სახლი შიგნით გარენილი იყო. პპოვეს აბჯარისთვის ახლად გაკეთებული ერთი ზარადხანა, ყოველ გვარი აბჯარი იქ მწნილივით იდო. შიგ ერთი დაბეჭდილი კიღობანი. ხედ ეწერა, აქა ძევს საკვირველი საჭურველი ჯაჭვ-მუზარადი, აბჯარი და ფოლადის მჭრელი ხმალი. თუ ქაჯები მდევებს შეებმნენ, ძნელი იყვეს ის დღე. უმის უამისოდ ვინც გაჰქისნის, მკვლელი იქმნეს შეფისო.

კიტობანი გაჰქისნეს, შიგ სამი ტანი აბჯარი პპოვეს, რაც ეყოფოდა სამ მეომარ ჭაბუქსა. ჯაჭვი, ხმალი, მუზარადი, მათი მგვანი საბარკული, როგორც ლუსკუმები, ისე იყო სულ ზურმუხტის ბუდეებითა. თვითომ თვითო ჩაიცვა, თავის თავის გამოსაცდელად. ჯაჭვ-მუზარადი, აბჯარი ვერა ვერ მოირჩეს. ხმაური რკინის შემოპკრეს, როგორც ბამბის მკედი, გასჭრეს, მრთელ ქვეყნიერებად ულირდათ. სთქვეს, ეს ნიშნად გვეყოფა, კარგი ბედის ვართ. ლმერთმა ზეგარლმო თვალით მოგვხედაო. ის აბჯარი აიღეს თავთავის ქედითა, თვითო მათ, ხოლო ერთი ღველით შეპკრეს ძლვნად ფრიდონისთვის. ოქროც რამ წაიღეს თან, თბოლი მარგალიტები. გამოვიდნენ, ორმოცივე საჭურჭლე გამოპბეჭდეს. ავთანდილმა სთქვა, უნდა დავამაგრო ხმლის ნები, ამაღამ არსად წავალ, რა გათენდება, გაუდგებიო.

აქ, მხატვარო, დაპხატე, უმტკიცესი ძმობილები, ვიდრე თვით ძმები არიან, სხვის ვერვის, ხოლო მნათობთა ბადალი მიჯნურები, ორივ მამაცობის მცოდნე გმირი ჭაბუქები!

რა, ქაჯეთს მივლენ, მაშინ გასინჯოთ მათი ომი და ლახვართ სობა.

53. რა გათენდა, ტარიელ და ავთანდილ გაემართნენ. თანვე ას-მათ წაიყვანეს. ნურაღინ ფრიდონის ქვეყნამდის ხან ერთს, ხან მეორეს ჰყვანდა ცხენზე უკან შემოსმული. იქვე ვაჭარს ოქროს ფასად ცხენი მიეკა. მათვის. ავთანდილ ყოლაოზობდა. იარეს და შეპვდნენ ნურაღინის მეჯოგეებსა. ჯოგი ჰნახეს და მოეწონათ. იქვე ავთანდილს ინდო ეტყოდა, ერთ კარგს ეშმაკობას გაქმნევინებ, მოდი, ფრიდონს გაველა-ლობნეთ, მოვადგეთ მის ჯოგსა და წავასხათ. მოსული შეიტყობს ჯოგის წასხმასა, საომრიად ველთა სისხლის საღვრელად გამოემართება, ანაზღალ გვიცნობს, გაჰკრთება და დასწყინარდება.

ამთა კარგი დაღობა, დაღსა შევეიქმს დადებად.

დაიწყეს ჭერა ფრიდონის საუკეთესო ტაიპებისა. მეჯოგეებს ფანარი აენთოთ, კვესი გაეკრათ. უყივლეს, ვინ ხართ, ჭაბუქნო, ვინ იქმთ მაგ საქმესა. ჯოგი იმისია, ვინც მტერს ხმალსა ჰქრავს, არ აკვნესებსო. მათ მშვილდები დაიწვადეს და მეჯოგეებს გაეკიდნენ. მეჯოგეები მიიზახდნენ

ხმა მაღლა, გვიშველეთ, გვიშველეთ, მეკობრეებმა ამოგვწყვიტესო. ხმა შეიქმნა. შეიყარნენ, ფრიდონს ჰკადრეს, არ მოერიდნენ. ფრიდონ შეიარაღდა, შესჯდა, და გამოვიდა. შეყრილი რაზმი ველს დაპფარავდა. ტარიელ და ავთანდილ მოეგებნენ, ვისაც ვერ დაპტრავდა ზამთარი: დაეხურათ, პირზე ზარადები ჩამოეფარებინათ. ტარიელმა რა იცნო ფრიდონ, სთქვა, ვჭნახე, ვინც მინდოდაო. მუზარადი მოიხადა, გაილიმა. ფრიდონს უთხრა, რას ჰლამი, რას გეწყინა ჩვენი მოსვლა? პურა-ძეირი მასპინძელი საომრად მოგვეგბი წინაო. ფრიდონ ფიცხლავ ჩა-მოჰვედა, დაპვარდა და თაყვანი სცა. იგინიც ჩამიჰვედნენ. მოეხვივნენ ერთმანერთსა. ფრიდონმა ხელალპყრობით ღმერთს შესწირა დიდი მაღლობა. ნაცნობი დიდებულნიც მიეხვივნენ. ფრიდონმა უთხრა, რას შესდექით, უწინარეს მოგელოდი. მზა ვარ თქვენი სამსახურისთვის დაუზარებლივ. ისე ჰგვანდა, ორი მზე და ერთი მთვარე შეყრილ იყვნენ, ერთმანერთი დაამშვენეს. გაემართნენ.

ორნივე ჩამოჰვედნენ საუცხოოდ აგებულ ფრიდონის სახლში. ახლო დაისვა ფრიდონმა თავის ძმად შეფიცებული ავთანდილ, ხოლო ტა-რიელ დასჯდა. ოქსინო გადაფენილ საჯდომზე. ის აბჯარი უძლვნეს ჭაბუკად ქებულ ფრიდონსა, რა უთხრეს, ჯერ ხანად შენთვის სხვა არ-მალანი არა გვაქვს, მაგრამ სხვა მრავალი საუცხოო რამ სადმე გვეგუ-ლებაო. ფრიდონმა პირმიწა თაყვანი სცა ხანდაუზმელად, ჩემთვის ამის ბოძება თქვენი შესაგვანი არისო.

ფრიდონის მასპინძლობით გამოისვენეს იმ ღამეს. პბანოში აბანა, ტანისამოსის ძლინობით აავსო. ერთიანერთის მჯობის უცხო და უცხო-თი დაჰმოსა. ობოლი თვალმარგალიტი ოქროს გობით უძლვნა. უთხრა თუ, ეს არის ავი მასპინძლის სიტყვა — ჰგავს, თქვენი ბრძნის, როგორც ხელქმნილის, სტუმრობა მოსწყენოდეს — მაგრამ ეხლა ხანის დაყოვნება არ ვარგა, სჯობს გრძელი გზის წასვლა, თუ ქაჯები მოგვესწრებიან, მაშინ სიძნელე იქნება საფრქნებელი. დიდ ლაშქარს რას ვაქნევთ, კარ-გი და ცოტა გვინდა. სამასი კაცი გვეყოფა, მეოტნი წავიდეთ. ქაჯებ-თან საომრად ხმალს კოტა დავაგოთ. ადრე ვპიობთ მას, ვისიც ალვის საამო ტანი მოგვეკლავს. ქაჯეთში ერთხელ ვპყოფილვარ, პნახავთ, თქვენც მაგარი გვეგონებათ. ყოველგნით კლდეა, გარშემო მტერი ვერ მოადგება. თუ ფარულად არ შეუვალთ, ცხადად შებმა შეუძლებელი გაპხდება. ამად ლაშქარი არ გვინდა, რაზმი ვერ მოგვყვება მალვითაო.

იგინიც დაემოწმნენ ფრიდონის ნაუბარსა. იქვე დასტოვეს ასმათ ქალი. ფრიდონმა საჩუქარი მისცა. თვით იახლეს სამასი ცხენოსანი, სულ გმირის დარი.

ბოლოდ დმურთი გაუმარჯვებს უდევსა შირველ შენაზარსა.

ცებულნი გასცილდნენ ზღვასა. ფრიდონმა გზა იცოდა. იარეს დღისით და ღამითა. ფრიდონმა სთქვა, ქაჯეთის მახლობელ არეზე ვართ, აქათ-გან ღამით სიარული გვინდა ასე, რომ არათერმა არ გაგვამულავნოსო. ფრიდონის თათბირს სამნივე ასრულებდნენ. რა გაუთენდებოდათ, და-ლეგებოდენ, ღამით კი ფიცხლავ გამგზავრდებოდენ.

მივიდნენ. აუჩნდათ ქალაქი. მის მცველთა სიმრავლე არ დაითვლებოდა. გარშემო კლდე იყო. გუშაგნი ჯარვით იმალლებდნენ ხმასა. გვირაბის კარს ათიათასი მცველი ჭაბუკი იყო. იმ ლომოთ პნახეს ქალაქი, ნათელი მთვარე ადგა. სთქვეს, ვითათბიროთ, ეხლა გამორჩევა. ძნელია, როგორ სჯობს, ათასს ასი აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელიათ.

მაშინ ფრიდონმა სთქვა, სიტყვას ვიტყვი, მართალიც მგონია. ჩვენ ცოტა ვართ, ქალაქი კი საომარია დიდთაგან. პირისპირ ომი არ ჟეგვიძლია, არც კვეხნის დროა. ათას წელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ კარი დაგვიხშეს. პატარა როცა ვიყავ, გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდნენ. მათი საქმე მასწავლეს, მახტუნებდნენ, მწვრთნილნენ. ისე გავიდოდი თოკზე, რომ თვალს ვერ გამოაყოლებდენ, ჩემი მხედველი ყმაწვილები შემნატრიდნენ. ეხლა ვინც უკეთ იცით საგდებლის შეტყორუა, ერთს ბურჯზე გადავაგდოთ გრძელი თოკის წვერი. იმაზე გავლა ისე მეადვილება, როგორც მინდორში. მრთელი კაცის პოვნა შიგნით ჭირად გაგიხადოთ. აბჯრით გავლა და ფარის გატანა არ მიკირს. შიგ ჩავჭხები კისკასად, ქარის მზგავსად ვეცემი, ლაშქარს და ვჭხოც, რა გავაღებ კარსა. თქვენც იქ მოდით, სადაც ზარის ზრიალი გესმათო.

ავთანდილმა უთხრა, ფრიდონ, ვერ გიჩივიან მოყვასნი. ლომის კელავების იმედი გაქვს, წყლული არა გტკივა რა. სთათბირობ ძნელ თათბირსა, მტერთათვის სავაგლახოდ, მაგრამ თუ გესმის, გუშაგები რა ახლო ახლო ჰყივიან. რა გახვიდოდე, გუშაგებს აბჯრის ჩხერება მოე-მას, გიგრძნობენ, თოკს მოჰკვეთენ, ეს უნდა გჯეროდეს. მაშინ ხომ უნდა წაგიხდეს ყველაფერი, დაგრჩეს ცუდი და ფერება, ეგ თათბირი არ ვარგა, სხვაფრივ უშველოთ თავსა. სჯობს, საღმე საიდუმლოდ დაიმალნეთ — ის კაცნი ქალაქში სავაკროდ შემავალ მგზავრს არ იჭერენ, ვაკრად მოვირთვები, სამუხთლო საქმეს ვიქმ, ერთ ჯორს გადავჭკიდებ მუზარადს, ჯაჭვს და ხმალსა, კამთავ შესვლა არ ვარგა, შეტყობა სათუებია.. მე მარტო შევალ ვაკრულად, კარგადაც შევეტყები. ფარულად ჩავიცვამ აბჯარსა და გაესჩნდები. ღმერთმა ჰქმნას, ვაღინო შიგნით სისხლი რუებად. შიგნით მცველებს გაუჭირვებლად მოვიცლი თავითგან, თქვენ უველანი გმირულად გარეთ კარებს ეცენით, კლიტებს დავჭლეშ, გავაღებ და უნდა ჰნახოთ კარის გაღება. თუ სხვა რამ სჯობდეს, თქვენ ჰბრძანეთ, მე ეს მირჩევია.

ტარიელმა უთხრა, მე თქვენი გმირობა, გმირთ უმეტესი, ვსუანთ,

თქვენს ძალგულს თქვენივე თათბირობა და პირობა ჰგავს. ვიცი, ფიცხელი ომი გწადიათ, არ ცუდად ხმლების ქნევა. კაციმც მაშინ თქვენ გახლავს, რა ომის გასაჭირი დადგეს. მაგრამ ჩემთვისაც საქმე რამ უნდა არჩიოთ. ხმა მოესმას ჩემს ხელმქმნელსა, როგორც მზე, ზედ გადმოდგეს, თქვენ ფიცხელი ომი გქონდეთ, მე როგორ მნახოს მაშინ უომრად! ეს მე დამსკრის, ნუ ჰლაპარაკობთ პირფერობითა. მაგ თათბირს ეს სჯობს, ვჰქმნათ ის, რაც მოგახსენოთ. ას ასი კაცი გავიყოთ, რა ღამე ნათენებად სჩანდეს, სამთავ სამგნით მივჰმართოთ, ცხენები ფიცხლავ დავჰსხლიტოთ. მოგვეგებიან, ვემცრობით, ხოლო ჩენ ფიცხლავ შევებნეთ ხმლებითა, სამთაგან ერთი შეუვალთ, სხვანი გარეთ იყვნენ. იმ ერთმა შიგნით იქ მყოფთ სისხლის ლვარი ადინოს, ხელი კვლავ მივჰყოთ აბჯარსა და მძლედ ვიხმაროთ.

ფრიდონმა უთხრა, ვიცი, მაგ ჩემეულ ცხენს კართ ვერ მოასწრობენ, როცა გიძლვენ, არ ვიცოდი, თუ ქაჯეთს ქაჯთა მზერა დაგვჰირდებოდა, თორემ არ გიძლვნიდი, ჩემი რამ სიძუნწე გიოხრაო.

ფრიდონ ლალი ამხანაგობდა ესე მოლაპარაკე. ენაწყლიანთ და სიტყვაბრძენთ გაეცინათ ამაზე. ერთმანერთს ელალობნენ. ჩამოჰქმდნენ, შეიარაღდნენ და უკეთეს ცხენებზე შესხდნენ. კვლავ ელაპარაკნენ ერთმანერთს არა პირ მკვახედ და დაასკვნეს ტარიელის განაზრახით თათბირი. გაიყვეს ას-ასი კაცი სუყველა გმირთა საღარი, აღლეს თავიანთი ჩაბალახები და შესხდნენ ისინიც ცხენებზე.

ის სამნი ჭაბუკნი თავიანთი სხიოსნობით შვიდ მნათობს ჰფარავ-დნენ. ტარიელ ტანწერწეტი იჯდა შავ ცხენზე. ომით ისე დაპლიეს მტრები, როგორც შემაცქერლები ცქერითა, სწორედ ასე მოიქცნენ:

რა ზედა სწინძენ ღრუბელი და მთათა ადსტუდეს დავარია,  
მოვა და ხეჭთა მოჰკრაგნის, ისმის ზათქი და ზარია;

მაგრამ რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წენარია.

თუმცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე მიუწდომელნი იყვნენ, მაგრამ ტარიელის მოსანდომობა არავის ჰქონდა, როცა შეებმოდა. იყო როგორც მზე, რომელიც მნათობთაც დაჰფარავს და ხომლთაც აბნელებს.

დაიწყო ფიცხელი ომი.

სამთავ სამად გაიყვეს, თვითომ თვითო კარი. თან ჰყვანდათ სამასი კაცი სუყველა გმირი. ლაშით საღარნო უყვეს სასწრაფოდ, უტყუვრად, ხოლო რა გათენდა, გასჩნდნენ, მიჰმართეს. თავთავიანთი ფარითა.

პირველად გულარხეინად მიღიოდნენ მგზავრულებ. შიგნით ვინც იყვნენ, ვერა შეუტყეს, ვერც გულხმიერად დაჰვდენენ. გულ უშიშრად იყვნენ, მხიარულნებივრად იდგნენ. მისღვნენ, დროზე მუზარადები დაიხურეს. ანაზღად ცხენი გაძქუსლეს, მათრახმა დაიწრიალა, რა ჰნახეს, კარები გააღეს, ქალაქით ზრიალი გაჰქდა. სამთავ სამგნით მიჰმართეს, მარცხად მათთვის; ნობს და დაბდაბს იკრეს და შეიქმნა ტკრცია-

ლი ბუკებისა. მაშინ ქაჯეთზე მოიწია ლვთის რისხვა ძლიერი. მშეცრალ-  
მა დედამიწამ მოიშორა მზის სიტყბო. იმავ რისხვით გადუბრუნდა. ცას  
ბორბალი და სიმგრგვლე. ველი ვერ იტევდა მკვდრებს მათი სიმრავლის  
გამო.

ტარიელის ძლიერი ხმა კაცს უკრავად დაპინედდა. აბჯარს ჰურეწ-  
და, ჯავშან-ქაფის სიმაგრე გაცუდებულიყო. სამგნითვე კარებს შემოე-  
ჯარნენ, კაფა არ გასჭირებიათ. რა ქალაქში შესცვივდნენ, შეიქმნა  
ციხის სწრაფი სიკრეხე. ავთანდილ და ლომი ფრიდონ ერთგან შეი-  
ყარნენ შიგნით. მტრები სრულიად ამოსწყვიტეს, რა მოპლვარეს მათი  
სისხლი. იყივლეს და პნახეს ერთმანერთი, დიდად გაუხარდათ. სთქვეს,  
ტარიელ რა იქმნაო და მის ძებნას მოჰყვნენ.

არავინ არა იცოდა რა ტარიელისა. ციხის კარს მიჰმართეს, მტრის  
რიდა არ ჰქონდათ. იქ პნახეს აბჯარის რიყე, ხმლის წვერით ნალეწი,  
ათიათასი ნობათი, უსულო და მტვრის მზგავსი. ციხის მცველი უცელა  
სნეულივით იდო, თავით ფეხამდი დაჭრილი, აბჯარ შემოხეული, ციხე  
კარ-ლია, კარები მილეწ-მოლეწილი. ტარიელის ნაქნრად სცნეს, სთქვეს,  
მისეული საქმეაო. გზა დაპხვდათ თავის უფალი, შევიდნენ და ხერელში  
გასძვრნენ. პნახეს, თითქოს მზის შესაყრელად მთვარე გამოეშო გველ-  
სა. მუზარადი მოეხადა, ლელ თმას აკრა ჰშვენოდა. ცრემლის ღვრით  
ეხვეოდნენ ერთმანერთსა მზგავსად ერთად შეყრილ მუშთარ-ზუალისა.  
მხე შემოდგმული ვარდი დამშვენებულ იყო და მშუქარებდა. რაც ჭი-  
რი ენახათ, სიხარულად გადაჭიცეოდათ. შეჭკრბნენ სამნივე ძმობილნი  
და პირმზეს სალამი მისცეს, რა წარსდგნენ მის წინაშე. პირ ტურთა  
და მოცინარი მოეგება, ცნობა ლალი და წყნარი მოეხვევია თავის  
მშველელთა და ხმა ნარნარმა მდაბლუად მადლი უბრძანა. ორნივე ერთ-  
გან ჰმუსაიფობდნენ საუცხოოდ. მიესალმნენ ტანად ალვის ხეს ტა-  
რიელსაც. გამარჯვება მიულოცეს, ერთმანერთი მოიკითხეს. არა სჭირ-  
დათ, არ ინანეს, რომ არ განიგდეს აბჯარი: თავი ლომად, ხოლო  
მბრძოლნი მშველად და თხად ექციათ. სამასი კაცისაგან ას სამოცი შე-  
კულოდა. ფრიდონს უმძიმდა, მაგრამ ერთ წილად უხაროდა. რაც  
მბრძოლი დაპრიჩომოდათ, მოპნახეს და არ იცოცხლეს. უთვალავი სა-  
ჭურვლე ჰპოეს. რაც როგორ ჰპოეს საჩქაროდ, ჯორ-აქლემები მოჭკრი-  
უეს. თვალ-მარგალიტი სამი ათასს აჰკიდეს. იაგუნდი, თუ ლალი სუ-  
ყველა დათლილი თვალი. ის პირ-მზე შეჭსვეს კუბისა, რომელსაც  
უფრთხილდებოდნენ. ქაჯეთის ციხის მცველად სამასი კაცი დაგდეს.  
პირ-მზე წამოიყვანეს ასე, რომ მისი წაგვრა ძნელილა იყო. ზღვათა ქა-  
ლაქს გასწიეს, ღუმც გზა იქითგან გრძელი იყო. სთქვეს, ფატმან უპნა-  
ხოთ, მისი მუქაფა გადაუხდელი გვაძევსო.

თვალა, მოველ, მტერთა შძლე, მათი მსრველი. ჩემი მზე, ჩემი მლახვ-  
რავი მომყავს ქაჯეთით, მწადია, პატივით გნახო, როგორც მამა და  
მშობელი. ეხლა ქაჯთა ქვეყანა და მათი ქონება მე მაქვს. მეფეო, უ-  
კლი სიკეთე მე თქვენგანა მჭირს. ფატმანს უხსნია ჩემი მზე, როგორ-  
საც დედობილ ღობილად ასხენია. მის სამაგიეროდ რა გიძლვნა? მძულს  
ცუდი მოქადულობა! მოდი, გვნახე, ვიდრე შენს ქვეყანას გავიარდეთ.  
ქაჯთა სამეფოს სრულიად გიძლვნი, შეიწირე ჩემგან. შენი კაცები ჩაა-  
ყენე, ციხე შეინახე მაგრაუ. მე ვისწრაფი, ვერ გნახავ, შენ წამო. ჩემ-  
კენ. ჩემ მაგიერ უბრძანეთ ფატმანის ქმარს უსენს, გამოჰვავნოს, ია-  
მება მისი ნახვა მის დახსნილსა. მას გარდა ვისი ნახვა უნდა ინატროს,  
თუ არა მისი, ვინც მზეს სჭარბობს სინათლით ისე, როგორც ბროლი  
ფისსაო.

ტარიელის კაცი რა ესტუმრა ზღვათა შფლობელსა, —

წესია, გული გაჭერთების ამბავს გასაკრთხობელსა, —

მადლობა და დილება ჰყადრა. მართლის მბრჭობელს ღმერთსა. მაშინვე  
შესჯდა, აღარ დასჭირდა მისვლა სხვის მხმობელსა. ბარგი აჰკიდა, მისცა  
რიგი მათი ქორწილის გადახდისა, თან ჰქონდა ბევრი უცხო რამ  
ცოტა გიშერი, ფატმანიც თან ჰყვანდა.

იარეს ათი დღის სავალი. უხაროდა ნახვა ლომის და ხმელეთის  
მანათობელი. მზისა. სამნივე. შორს გაეგებნენ დიდ ზღვათა მეფესა. ჩა-  
მოჰდნენ, მდაბლად აკოცეს, რა მოჰშორდნენ ჯარსა. ტარიელს ქება  
შეასხეს, მან გაუათასა მადლობა. რა ჰნახეს ქალი, სტრფიალობდა მშუ-  
ქარა თეთრ ჰირსა. მის შემაცეერალ ფატმან ხათუნს ნელი ცეცხლი  
ედებოდა.. მოეხვია, გადუკოცნა პირი, ყელი და ხელ-ფეხი. იტყოდა  
ღმერთო, გემსახურო, რათგანაც ბნელი გამინათლდა, ბოროტის სი-  
მოკლე ვსცან, შენი კითილი გრძელიაო. ქალი ფატმანს ეხვეოდა,  
ტკბილად ეტყოდა, ღმერთმა გამინათლა გახეთქილი, გამჭკრალი გუ-  
ლი, როგორც უწინ მცხრალი ვიყავ, ეგრე ვარ ეხლა გავსებული. მზემ  
შუქი მომფინა და აღარ ვსჩანვარ დამზრალი ვარდივითაო.

ზღვათა მეფემ გადაიხადა მეტად დიდი ქორწილი. ქაჯეთის ძლვნი-  
სთვის მადლობა უთხრა, შვიდ დღეს არ გაუშვა. უხვად გასკა საბოძ-  
ვარი, ანაკიდი საჭურჭლე. დაფანტულ ჰერხერაზე ისე დადიოდნენ,  
როგორც ხიდზე. სტავრა-ატლას ლარის. გორა იდო იქა. ტარიელს  
უძღვხა ფას დაუდებელი გვირვინი მრთელი და წმინდა ყვითელი ია-  
გუნდისა და ერთი ტახტი წითელი ხალასი ოქროსი. ნესტან დარეჯანს  
უაბაჩა უძლვნა წითელი იაგუნდით და ბადახშ ლალით შემკული. ორ-  
ნივ ქალ-ვაჟნი პირ-ელვა მკრთალნი დასხდნენ. მათი შემაცეერლები ახა-  
ლი ცეცხლით დაიწვნენ. ავთანდილს და ფრიდონს უძლვნა თვითო.  
ცხენი ძვირფას უნაგრიანი, თვითო კაბა თვლებით. შემკული ასე, რომ  
უცხოსა და ფერად შუქს გამოსცემდა. მათ მოახსენეს, მადლობა რა-

კსტერგათ, საბეღნიეროდ გექმნესთ თქვენი დოვლათის. ტარიელმა შადლობა გადაუხადა, დიდად მიამა, მეფეო, ჯერ თქვენი ნახვა, მერმე აგვავსეთ მრავალის უცხო ძლვითა. ვიცი, შორი-შორ არ ჩავლა თქვენი კარგა ვქმნითო. ზღვათა მეფემ მოახსენა, ხელმწიფეო, ქველო, მახლობელთ სიცოცხლე, შორს მყოფთა მყვლელო, თქვენი მზგავის რა მეძღვნა, რა მოგშორდე, რა მერგებაო? ტარიელმა ფატმანს უბრძანა, შენ დად მიმიჩნდვიხარ. დაო, რაც ჩემთვის გული დაგიდვია, გადაუხდელია მეტად. ეხლა რაც ქაჯთა საჭურჭლე ქაჯეთით ჯორკიდებული მომიტანია, მომიცემია, წაიღე, გაუყიდველი მიძევსო, ფატმან ხათუნმა თაყვანი სცა, მეტისმეტი მადლობა ჰყადრა, მე მეფეო, რა მოგშორდე, რა ვიქმნები, როგორც რეტს დამაგდებ, ნეტარება ხარ მათვის, ვინც მახლობლად გყვანან, ვარვაგლახი ვერ მხედველთათვის.

ორნივ პირმშუქარნი ეტყოდნენ ზღვათა მეფესა ბაგეთაგან, როგორც სადაფითგან, ბროლის კბილთა ჩენითა, უთქვენოდ მყოფთ არ გვინდა მოლხენა ჩანგით დაფითა, მაგრამ გაგვიშვი, დროა, წავიდეთ, ვისწრაფით. შენ იყავ მშობელი მამა და ჩვენი იმედი, მაგრამ ამასაც გთხოვთ, ერთი ნავი გვიბოძოთოთ.

მეფემ ჰბრძანა, არ მშურს თავი თქვენთვის სამიწოდ, რაოგანაც ისწრაფვი, რა გეადრო, წა, მკლავი გიწინამძღვრებსო.

მეფემ ნავ-ხომალდი მოჰკაზმა ზღვის კიდეზე. ტარიელ გამოემართა. დაშორებულნი ცრემლს ჰლვრიდნენ, თავში იცემდნენ, თმა-წვერს იგლეჯდნენ. ფატმანის ცრემლის შედენით თვით ზღვაც გადიდებულიყო.

სამი ქმად შენაფიცარნი გამოსცილდნენ ზღვასა. კიდევ ამტკიცებდნენ პირეელ დანამტკიცარ სიტყვასა. ჰშვენოდათ მღერა და სიცილი. იქითგან ასმათთან გაჰვეზვნეს კაცი მახარობლად, კვლავ ფრიდონის ნაომართ საამბობლად, მანდ მოვა, მზე მოიმაღლებს მნათობთა სიმტკიცედ. ჩვენც აქნამდის დამზრალნი ეხლა დაუზრობლად ვიქმნებითო.

ის პირ-მზე შეჰსვეს კუბოსა. გზა ზღვის პირის იარეს. ზიყმაწვილობდნენ, უხაროდათ ჭირის გადახდომა. მივიღნენ, სადაც ნურადინ გმირის ქვეყანა იყო. მოეგებნენ. ხშირი სიმღერის ხმა ისმოდა. გამოიკრიფნენ აგრეთვე ფრიდონის დიდებულები. ასმათ დალხენილი და წყლულთაგან განკურნებული მოეცდო ნესტან დარეჯანს ასე, რომ ცულიც ვერ გაჰსნიდა. ეხლა გაუსრულა ყოველი მისი ნაერთგულები. ნესტან დარეჯან ეხვეოდა, პირში ჰკოცნიდა, უბრძანა, ჩემო, ვაგლაბ მე, შენც აგავსე ჭირითა. ეხლა ლმერთმა წყალობძ მოგვცა სიუხვით, მე შენს გულითადობას, არ ვიცი, რით გადვიხდიო. ასმათმა ჰკადრა, მადლობა ლმერთს, ვარდი დაუმზრალი ვიხილე—გონებამ ბოლოს ასე გააცხადა დაფარული—სიკვდილიც სიცოცხლედ მიჩანს, რაც მხიარულნი გნახეთ.

სჯობას უფლეთა მოუგარულთა ჰარიონ ჟმანი მოუგარულნი.

დიდებულებმა თაყვანი სცეს, დიდი ქეშა მოახსენეს, კურთხეულ არს ღმერთი, რათგანაც გვიჩვენა სასიხარულოდ თქვენი პირი, ეხლა ცეცხლი აღარ გვეძება, მასვე ძალუძს წყლულის განკურნებაო. მოვიდნენ და პირი ხელზე დასდვეს, აგრე გადაპყოცნეს. მეფე ეტყოდა, თქვენმა ძმებმა ჩვენთვის დაიხოცეს თავები, შვება საუკუნოსი ცხადად პოვს, არ თუ ოცნებით. ერთს მიჰვდნენ საზიაროდ; დიდება ერთი ასოციად ირგუნეს. თუმც მათი დახოცა გულს მატკენს, სატკივარიც არის, მაგრამ მათ ერგოთ იქ უკვდავი დიდი საჩუქარიო. ეს სოჭვა, ნელა ასტირდა და წვიმა თოვლში არია, ნარგისთაგან ბორიო დაიძრა, იანვარმა ვარდი დაუზრა. მის ტირილზე სხვებიც ყველანი ასტირდნენ. ვის რაც დაპყლებოდა, სულომით თხრავდა. დასდუმდნენ და მოახსენეს; რათგანაც ბრძენთ დაუსახავთ თქვენი თავი, როგორც მზე, თქვენ მხედველთა მღერა ვმართებსთ; არა თუ ვაი-ვაგლახი. თქვენი გულისთვის სიკვდილი დიახ სჯობს მიწის ტკენასათ. ფრიდონმა კვლავ ჰკადრა მეფესა, ნუ გაიმწარებ თავსა, ღმერთი სამაგიეროდ ათასს გახარებას მოგიზავსო. ავთანდილმაც მიუმტკივნა, დიდი სიმძიმილი აუწყა. მათ ქება შეასხეს, უთხრეს, ეხლა ლიმილი შეგვფერის, რათგანაც ლომმა იპოვა მზეო.

მივიდნენ იქ, სადაც იყო დიდი ქალაქი მულლაზანზარ, ჰკრეს ბუკ-ტაბლაკსა, ზათქი და ზარი გაპხდა, ქოს დაბდაბის ხმა მშვენივრად შეთხეულიყო, მოქალაქენი მოასკდნენ, რა დაეგდოთ ბაზარი. შუკა-შუკა ვაჭრები მოსდგნენ, მჭვრეტელნი ყოველგნით შემოიჯარნენ. შორს უვლიდნენ ხელიარალოსანი სარანგები: ჯალაბნიც თავს იყრიდნენ მაფ ჭირად და ეხვეწებოდნენ საცქერლად მიშვებასა.

ფრიდონისას ჩამოჰედნენ. სარა-დარბაზი მოსაწონი პნახეს. ოქროს სარტყელ შემოკრული მონა მრავალი გამოეგება. ფეხთა საფენლად ოქსინო მოჰქონდათ. თავს ოქროს აყრიდნენ, ხოლო ჯარი ჰნვეტდა.

56. ფრიდონს ნესტან დარეჯანისა და ტარიელისთვის თეთრ ძო-წეული საჯდომი დაედგა, რასაც წითელ-ყვითელი. თვალი კეკლუცად ეფრქვია. ავთანდილისთვის კი ყვითელი, რასაც შავი ერთგან ერია: მოვიდნენ, დასხდნენ. მხედველთ სული დაპლეოდათ. მგოსნები მოსდგნენ. ტკბილი სიმღერის ხმა ისმოდა. ქორწილი გადაუხადა და ჩბილი ლარის ძღვნობა გაუმრავლო ფრიდონმა, ვინც ჰკრად კარგი და მხიარული მასპინძელი იყო. ნესტან დარეჯანს ლიმილის დროს კბილების ჩენა ჰშვენოდა, მოიღეს უთვარიავი ძღვენი ფრიდონ ავლა-დიდებულისა, ცხრა მარგალიტი სიღიდოთ თვითო ბატის კვერცხი; კიდევ ერთი თვალი ისე, როგორც მზე, შუქ-მონამატი. მისწინ ღამით მხატვარს ხატვა შეეძლო ხატისა. კიდევ უძლვნა ყელ საბამად თვითო ფარლული მრგვლად და თლილი თვლის, მოელი იაგუნდისა. კიდევ შემოიტანა ერთი ტაბაკი

სავსე მსხვილ-მსხვილი მარგალიტითა ასე მძიმე, რომ ხელით ძლივს დაიჭირებოდა. ფრიდონ ქველმა არ წბილის სიტყვით სუყველა უძღვნა ლომისებრ გმირს ავთანდილსა. სახლი აივსო რბილის სტაგრა-ოქსინო-თი. ლალმა ტარიელმა ტკბილის სიტყვით მაღლობა უბრძანა. დიადი ქორწილი რვა დღეს იყო. ყოველ დღეს მოერთმეოდ-თ ფასდაუდებელი ძლვენი. დღე და ლამ გაუწყვეტლივ ისმოდა ჩალანა-ჩანგის ხმა. ფერი უერს შეჰვედროლნენ ვაჟი ქალსა და ქალი ვაჟსა.

ტარიელმა ერთ დღეს ფრიდონს უბრძანა გულის სიტყვა; თქვენი გული საჩემოდ უმეტესია, ვიდრე ჰეშმარიტის ძმისა, არ გემუქფება სი-ცოცხლე; არც სულის მოცემა, მე მოკვდავმა თქვენგან ვპჰო წყლუ-ლის წამალი. შენ იცი თავის დადება ჩემთვის ავთანდილისგან, ეხლა-ნაცვლად მე მწადია ძისი დახმარება. შენ მიდი ჰკითხე, რა უნდა, გა-ნაცხადოს. როგორც სახმილი დამივსო, ეგრევ კმარა მისი დაგვა. უთ-ხარ, ძმაო, შენს ჭირნახულს ჩემთვის რა გადაიხდის! ღმერთი მოგცემს ზეცითვე შესახულ თავის წყალობასა! თუ ვერ ავასრულებ, რაც შენ-თვის განმიზრახავს, არ ვპნახავ ჩემს სახლს, არც დარბაზს, არც ხულა-სა. ეხლა მითხარ, ჩემგან რა გინდა, ან რით დაგეხმარები? ვარჩევ, წავიდეთ არაბეთს, მეც თან წამიყვანე. ტკბილის სიტყვით გავქმართოთ და ხმლით საომარი. თუ შენ შენს ცოლს არ შეგრთავ, მე ჩემსას არ ვექმარები-თქო.

რა ფრიდონმა უთხრა ტარიას მოციქულობა, ავთანდილს გაეცინა, მხიარულობა დავშევენდა. სთქვა თუ, მეშველი რად მინდა, არ ვისგან დაწყლულებულვარ, ჩემი პირმზე არც ქაჯებსა ჰყავსთ, არც მოლხენა აკლია. ღვთის ნებით მორქმული ჰზის ტახტზე, საკრძალავი და უკა-დრი, ლალი და ვერვისგას ვნებული. არც არაფერი უმძიმს ქაჯებისა-გან, არც გრძნეულთ გრძნებითა. შველა რად მინდა, რად მიგულებ პირმოთნეობით.

რა მოვა ჩემთვის ტანგება, ზეცით მთსრული ზენანი,  
დმერთი იწადებს, მომივლენ გულსა სახმილთა დასენანი;  
მაშინ და მომხვდენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი,  
უმის ქამისოდ ცუდია ჩემგან მიდამო რბენანი.

მიდი და ჰკადრე ტარიელს პასუხად, რაც გითხრა. მაღლობა რად უნ-და, მეფეო, უხვად ლმობიერი პპრძანდები? დედის მუკლითგანვე თქვენ-და სამონოდ ვპშობილვარ, ღმერთმა მანამდის მიწა მყოს, ვიღრე ცნო-ბილი მეფე იყვე. გებრძანებინა, შეხვედრა მწადია შენი საყვარელისაო. ეგ თქვენი ლმობიერი გულის მზგავსი მოგსვლია. იქ მე ხმალი არ მიჭ-რის, არც ენის სივრცელე. სჯობს, ველოდე ზენა განგების საქმესა. ეს არის ჩემი საწადელ სასურველი, ინდოეთში გნახო მორქმული, ტახტზე მჯდომარე, გვერდსავ პირმზე გიჯდეს, თქვენი მბრძოლი ამოგეწყვიტოს, მეომარი აღარავინ სჩანდეს. რა გამისრულდეს ჩემი გულის ნება, მა-

შინ და მივალ არაბეთს, ვეახლო ჩემ პირმზეს, როცა სწადდეს, ცეცუ ხლი დამივსოს. სხვა თქვენი არა მინდა რჩ, მძღლს პირმოთნეობა-თქო.

რა ფრიდონმა ჰკადრა ტარიელს ავთანდილის სიტყვა, მან ჰპრაბანა; მაგას არა ვიქმ, ამას მისანი არ უნდა. როგორც მან ჰპოა ჩემი სულთა დამომის მიზეზი, ეგრევ იმანაც ჰნახოს სათავისოდ ძმის ძალგული. მის დი, უთხარ ჩემ მაგიერ ჩემი უთნები სიტყვა. მე შენი გამზრდელის უნახავად არ დაგდები. მგონია, მრავალი უნდა დამეხოცოს მისი საყვარელი მონა. ვითხოვ შენდობასა, აგეთი და მოვპბრუნდები-თქო. ესე უთხრა, ამის მეტს ნურის მოციქულობ, ხვალ წასვლა არ დავჭრალო, არც სიტყვა გავათუო. არაბთ მეფე მე არ მიზამს, რომ გავაცრუო სიტყვა, მისი ქალი ამოდ ვსთხოვო, შევეხვეწო და შევაგუო.

ფრიდონმა უამბო ავთანდილს ტარიას მოციქულობა, არ დადგე ზისო და ცულია შენგან ცლის სიტყვის თქმათ. კაბუკს დაუმძიმდა, კვლავ მოედო გულზე კვამლ-აღმული.

ასრე ჭიათის რიდი მეფეთა, ქმათაგან შოკრძალულობა.

ავთანდილ მივიდა, მუხლ მოყრით ტარიას შევხვეწოდა, ფეხთ ეხვეოდა, ჰკოცნიდა, აღარ ჰხედავდა ზე წელად. ეტყოდა, კმარა, რაც წლეულს. შევსცოდე როსტენსა, კვლავ ნუ გამხდი. ერთგულობის გამტეხ-დამლე-წად. რასაც ჰლამი, ლვთის სამართალი არ მოგცემს, ჩემს გამზრდელს სამუხხოლო საქმე როგორ ვჰკადრო. მე იმისთვის ხელი როგორ გავს-ძრა, ვისაც ჩემთვის ფერი ჰკრთომია,

ვით მთისმართს მთნამან ჰატრონსა ზედა სმაფია!

ეგ საქმე შეგვამდურებს მე და ჩემ საყვარელისა. ვა თუ გასწყოეს, გაუგულისდეს, ამბავსაც დამიძვირებს, თავის ცქერას დამანაცრულებს, ხორციელი კაცი ვერ დამიურვებს შენდობასათ.

სიცილით უთხრა მზისებრ შუქნაფენმა ტირილით, ავთანდილს ხელი მოჰკიდა, ამართა, ააყენა, უთხრა, შენმა დახმარებამ ყოველი სიკე-თე მიყო, მაგრამ სჯობს, ჩემმა შენით ლხენამ შენც გალხინოს.

დია მძევს შეტი მოუკიდსა შიში, კრძალვა და რიდობა,

მძევს გაუშევატლად კუშტობა და სუჯ მძიმობა, დიდობა.

თუ მოუვარეა გულისა, ჭიმნას ჩემეენ მთნაზიდობა,

თვარე მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჯობს კიდისკიდობა,

მე ვიცი თუ, როგორია შენი საყვარლის გული საშენოდ, შენი შემ-ხვედრელის სტუმრობა არ ეწყინება. კრელის რისამე თხრობას ვერ ვჰკადრებ მეფესა, მხოლოდ მათი ნახვა მომნატრებია. მხოლოდ ამას მოვახსენებ მუდარჩით, რომ ქალი მოგცეს თავისი მოგონებით!

რათვან ბოლო შეურავეა, სიშროესა ჭით ეთნებით?

ერთმანერთი დაამშვენეთ ასე, რომ არ დამკანარიცვნეთო.

ავთანდილმა რა სცნო, ტარია წასვლას არ დაიშლიდა, აღარ შე-

სცილებია. ფრიდონმა დარჩეული კაცი სათანაოდ გადასთვალა. თანვე წაჲყვა, რათვანაც მათთანავე წამსვლელი იყო.

57. დივნოს ბრძენს ტაფარული საქმე განუტხადებია:

დმერთი გარგსა მთავლინებს, არ, ბოროტსა არ დაჭიბდებს,  
აგრეთვა წამ ერთ შეამოკლებს, გარგსა ხან გრძლად გააკვლადებს,  
თავსა მისსა უბეგთესსა უზადო ჭურვს, არ აზადებს.

ფრიდონისით გაემართნენ ტარიელ და ავთანდილ, ის ლომგულნი, ის მზექაბუკნი. თან მიჲყვანდათ პირმზე ქალი, რომელიც შემაცქერალთ ამაზრზენი იყო. კუბოს უჯდათ; თითქოს ორ მთვარეთა შორის სამყაროს მზე ყოფილიყვეს, ისე ჰშვენოდა. ნადირს მინაღირობდნენ, სისხლს დაადინებდნენ. საღაც ქვეყანა დაჲხვდებოდათ, შემაცქერალთ მოალხინებდნენ. გამოევებოდნენ, სძლვნობდნენ და აქებდნენ. იარეს მრავალი დღე ლალად და ბრძნულის საუბრითა, დიდ მინდვრებში, რომელიც ყოველგნით კაცთ მიუმწვდარი იყო. მივიღნენ იმ კლდის არეს, საღაც ტარიელ ყოფილიყო. ტარიელმა ჰბრძანა, თქვენი მასპინძლობა მმართებს დღეს, იქ მივალ, საღაც ვჰყოფილვარ, საღამდისაც ხელქმნილობა მჭირდა. იქ გვიმასპინძლოს ასმათმა, შემწვარი რამ ექმნება, უცხო და უცხო ლარს გიძლვნი ასე, რომ კრელობა უქოო.

მივიღნენ. დიდ კლდეთა ქვაბში ჩამოჰხდნენ. ასმათს ჰქონდა ირმის ხორცი და მასპინძლობა მზადებას შეუდგა. ამხანაგობდნენ, ჰლოლობდნენ მათ საქმეთა წასვლასა და ღმერთს ჰმაღლობდნენ ჭირის დღეთა ლხინად შეცვლისთვის. ქვაბოვანი მოიარეს, მხიარულნი სთამაშობდნენ. ჰპოეს საჭურჭლენი, ტარიას რო დაებეჭდა, ვერცა ვისგან გაგზბული. აღარ იტყოდნენ გულნაკლულნი, არა გვაქსო. უცხო და უცხო მრავალი უბობა მათ, რაც მათ შეეფერებოდა კვლავ ავსო ფრიდონის სპა, თუ სპასალარები. ყოველი კაცი აივსო, ვინც კი მაშინ იმათთან ნამგზავრი იყო. მაგრამ საჭურჭლე რომ იდო, კაც-დაუკარები სჩინდა.

ფრიდონს უთხრა, შენი ვალი ჩემგან ძნელად გადასახდელია, მაგრამ თქმულა,

გარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წაჲხდების.

ეხლა რაც საჭურჭლე აქ ძევს, ან იდება, სუსველი შენი იყენეს, შენ წაიღე, როგორც მოგიხდესო. ფრიდონმა მღაბლად თაყვანი სცა, დიდი მაღლობა ჰკადრა, მე, მეფეო, რად გგონივარ უპკუო და აგრე რეტი? ყოველი მტერი ჩალად გიჩანს, კეტივითაც რომ იყვეს. ჩემი ლხინი მანამდმს არის, უიდრე შენი შემცქერი ვარო.

ფრიდონმა კაცები დააბრუნა აქლემის მოსაყვანად, შინ წაელო ყოველი ის საჭურჭლე. ეხლა იქითვან გაემართნენ, არაბეთის გზას დასდგომოდენ. ავთანდილ, როგორც მთვარე, გალეულიყო. თავისი პირ-მზის შესახვედრად. მოჲხვდნენ არაბთ საზღვრებსა, რა იარეს დიდი

ხანი. დაპირებით სოფლები, ხშირ-ხშირად თანასთანი ციხეები. შიგნით ვინც იყვნენ, ტანთ ლურჯი და მწვანე ემოსათ. ავთანდილისთვის სუ-  
ყველაფერი კრემლით ნაბანი იყო.

ტარიელმა კაცი-გაჭიგზავნა როსტან მეფის წინაშე, თანვე შეუთვალა, გვადრებ, მეფეო, სურვილთ სიიეფესა. მე ინდოთ მეფე მოვდივარ თქვენს სეფე-დარბაზსა, გიჩვენებ ქალს, როგორც კოკობ, უფრცკვნელ, მოუწყვეტელ ვარდსა. მაშინ თქვენ გეწყინათ ჩემი ნახვა შენს ქვეყანა-ში, შეპყრობის ცდა და ცხენის შემოტევება კარგი არა ჰქმენ, მე შენს სპას წყენის რამ ნიშანი უჩვენე, დავჭხოცე მრავალი მონა, თქვენი სრა-დარბაზის მსახური, ეხლა ამად მოვდივარ თქვენ წინაშე. ჩემი გზა დამიგდია, შემინდოთ, რაც შეგცოდეთ, გაწყრომა საკმაოდ მიიჩნიე. ძლვენი არა გვაქვს, ფრიდონ და მისი ყმები ჰმოწმობენ, მხოლოდ ძლვნად თქვენთვის თქვენი ავთანდილ მომიტანია.

რა მოუვიდა მეფეს მახარობელი, როგორ გაუხარდა, ენა ვერ იტ-  
ყვის ერთი წამისა. თინათინს ღაწვთ ელვარება ერთი სამად ემატა. წარბ-  
წამწამთ ჩრდილი ამშვენებდა. ტაბლაკს ჰკრეს და გაისმა სიცილ თქარ-  
თქარი. ღაშქარი ჰრბოდა, სწადდა მათკენ წასვლა. ღაიწყეს ცხენების  
მოსხმა, უნაგირების მოლება. მკლავ ფიცხელ გულმაგარი მოყმენი მრავა-  
ლიდ შესხდნენ. მეფე შესჯდა. თავადები და სპა ყველანი გაეგებნენ.  
ვისაც მოესმა მათი ამბავი, სხვაგნით სხვები მოდიოდნენ მის წინაშე.  
ყველა ღმერთს ჰმადლობდა ხმა მაღლა, რა სთქვეს;

ბოროტსა უმუოფება, კეთილნა შენთვის მზანი!

რა ერთმანერთი მოიკითხეს, ავთანდილ ეტყოდა ტარიელს მორი-  
ცებითა, აგერ, ჰხედავ მტვრით შელებილ მინდვრებსა? ამად მედება  
სახმილი, გულს მიჭხვდა, დააღონა. თქვენ შესახვედრად რო წამოსულა,  
ის არის ჩემი გამზრდელი. იქ ვერ მივალ, მრცხვენიან, ჩემ არაკად არ  
გაწმილებულა სულდგმული კაცი, რასაც მიზამთ, თქვენ იცით, ფრი-  
დონ თქვენვე გხლებიათო.

ტარიელმა უთხრა,

კარგსა იქმ შენ ჰატრონისა კრძალვასა.

დადექ; იქ ნუ მიხვალ, მარტო დაპრის. მე მივალ, ვეტყვი მეფეს, შენ-  
გან თავს იმალავს მეთქი. ვჰფიქრობ, ლვთით შეგახვედრო ტანად ალვა  
ჰირმზე ქალსა.

ლომგული ავთანდილ იქ დადგა, მცირე კარავი დაიდგა. ნესტან  
დარეჯან იქვე იდგა ის, ვინც მხედველთ შემზარავი იყო, ვის წამწამ-  
თაც კეთილ ნიავი ჰქროდა.

წავიდა ინდოთ მეფე ტარიელ, მიუპარავად მივიდა. ფრიდონ წაჭ-  
ყვა, ველის გავლაში დიდი ხანი დასჭირდათ. მეფემ სცნა, ტარიელ  
მარტო დაწინაურებულიყო. ჩამოჭხდა და ეთაყვანა ლომის ჯანღონიერ-  
სა მამის შესაგვანის პატივის ცემითა. ტარიელმაც თაყვანი სცა ერთ-

მანერთს მოეხვივნენ. გაკვირვებით და თამამად უთხრა მეფემ, შენი დაშორება ისევე სატყივარია, როგორც დღისთვის მზისათ. ტარიელის თვალადობა-ტანადობას გაქოცებინა. პირში უცქერიდა, მკლავთა სი- მარჯვეს უქებდა.

კვლავ ფრიდონიც მიესალმა მეფეს თაყვანის ცემითა, მას, ვინც იყო ავთანდილის ნახვის მოსწრაფე. მეფემ ტარიას ქებაში დამკრთალ დალონებულიყო: ტარიელმა უთხრა, მეფეო; ეხლა გული შენ გემონება: მიკვირს თუ, ჩემი სიკეთე თქვენ ეგრე რად გვონიათ. როცა ავთან- დილ შენია, სხვა ვინ რად მოგეწონება. ნუ გიკვირს მისი ვერ ნახვა და ხანის დაყოვნება. მოდი და დავსხდეთ, მეფეო, მწვანის კორდი საამუ- რია. გკადრო მიზეზი მისა თუ, რად ვვრ მოგიყვანეთ. გეაჯებით ერთ რასმე. ფირმანი უნდა მოგთხოვთ.

დასხლნენ მეფენი. გარს მრავლად მოადგა რაზმი. ტარიელს პირის ციმციმი უფრო ნათელი ჰქონდა, ვიდრე ბაზმასა. ყოფა-ქცევა და ზმა ისეთი ჰქონდა, რომ მნახველს ხელქმნილს ჰყოფდა.. ჰკადრა, მეფეო, თავს ლირსად არა ეპრაცხ მოსახსენებლად, მაგრამ ერთი რამ შესახვე- წარი მაქვს, ამად გიახელ, თვით იგი თხოულობს, ვინცა სჩანს როგორც შუქთა მფენელი მზე, ვინც არის ჩემთვის ჭინატლედ და გამოენებელად. ეხლა ამას გკადრებთ ორნივე ხვეწნით, ავთანდილმა წამალი დამდო, როგორც ჰმართებდა, დაივიწყა, რომ ჩვენისთანავე სასჯელი ადგა, არ შეგაწყენ თავსა; გრძელი ამბავია ჩვენგან შიუმხვდარი. ერთმანერთი უყვართ, ქალი იმას და იგი ქალსა, ამად მაგონდება საბრალო, მტირა- ლი და ფერნამკრთალი. მუხლ მოყრილი გეხვეწები, ნულარ ამყოფებ იშათ ალმურში, რომ თქვენი ქალი მისცე მკლავ მაგარს და გულ ფი- ქალსა. ამის მეტს არას გკადრებ არც მოკლეს, არც გრძელსაო. სთქვა და ამოილო ხელმანდილი, ყელზე გამოინასკვა. ადგა და მუხლ მოყრით შეეხვეწა, როგორც მზრდელსა. გაუკვირდა ყოველ კაცს იმ ამბის მო- სმენა.

რა ტარიელ მუხლ მოყრილი ჰნახა, თარ-ზარ დაცემული მეფე ჩამოდგა, თაყვანი სცა, მიწამდის დაუვარდა, მოახსენა, ხელმწიფეო, ყოველი ლხინი განმიქარდა, თქვენმა აგრე სიმღაბლემ თქვენი ნახვა დარდად მიქცია. როგორ შეიძლება, რაც გწადდეს, რომ კაცი არ დაგთანხმდეს, ან ჩემი ქალი მშურდეს, კიდეც რომ მოსაკლავად და ტყვედ მოგინდეს. თქვენი სახლით რომა გებრძანებინათ, სატირლად არც მაშინ გავიხდიდი თავსა, სხვა მისებრივ ვერ ჰპოს, კიდეც რო ცათამ- ლის აფრინდეს. მე სიძეს, ავთანდილის, უკეთესს ვერ მოვპნახავ. თვით მეფობა ჩემს ქალს მივეც, აქვს და იმას ეკადრება: ის, როგორც ვარ- დი, ითურჩება, ჩემი სიცოცხლის ყვავილი კი დამიბერდა. რალ შე- ცილება ეპრაცხ, როცა იგი გულსავსედ არის. ერთი ვანშე მონაც. რომ შეგერთო, არც მაშინ მშურდა თქვენთვის, ვინ უნდა გაკადროს.

შეცილება, თუ არ შმაგი, ვინ დაგემდუროს. თუ ავთანდილ არ მიყვარდა, აგრე რად მოვისურვე იმსოთვის?! დიახ, ღმერთო, წინაშე ვარ, ეს დამიდასტურებია.

რა მოისმინა ტარიელმა მეფისგან ეს სიტყვა, დასტრკა, მდაბლად თაყვანი სუა, პირზე დაფინა. კვლავ მეფემ თაყვანი სუა, წამოვლო, წინ წადგა. ერთმანერთს მაღლობა უთხრეს, არც ერთს არ სწყენია.

ფრიდონ შესჯდა და გაექანა ავთანდილის მახარობლად, თვითონც დიდად მოხარული.

მივიდა და წამოუძლევა. მაგრამ ავთანდილის მეფის პრცხვენოდა და პირის ელვარება დაპერებოდა. მეფე ადგა, მოეგება. ჭაბუქი რა მივიდა, ჩამოჰედა. ხელთ ჰქონდა ხელმანდილი, მით ითარავდა პირსა. როგორც მზე, ღრუბელს მოჰტარებოდა მისი ვარდივით. პირი და დამზრალიყო. მაგრამ მისი მშვენება მაინც ვერაფერს გაექრო. მეფე მოხვევნას ჰლამოდა. ცრემლი აღარ სდენია, ავთანდილ ფეხთ ეხვეოდა და შუქს ძირს აფენდა. მეფემ უბრძანა, ადექ, ნუ გრცხვენია, ხასიათი გამოგიჩნია, რათგანაც მმორჩილობ, რაღას გრცხვენია ჩემიო. ლომისებრ გმირო, ხვალ შეგახვედრებ პირ-მზესაო, უთხრა და მოეხვია. ახლოს დაუჯდა და ემუსაითა. ის პირამზე და ხელმწიფობა ასრე შეპხვდა, როგორც ღირსი იყო.

შაშინ დახინ ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა. ჭაბუქმა მოახსენა მეფესა, მიკვირს, სხვას რად რას პბრძანებ, რად არ გნებავს ნახვა იმ პირმზისა, ან რად ლა ავვიანები? მხიარული მხეგვები, მოიყვან თქვენს სახლში, შემოიმოს მის. შუქს გარშემო ნათლადო. ტარიელსაც მოახსენა.

შესხდნენ, მიეგებნენ ქალსა. სამთა გოლიათთა საწადელი აუსტულდათ. ჰპოეს ის, რაც სძებნეს. ხელი. ხმალს ჰხადეს, ცუდად არ ჰრტყმიათ წელსა. მეფე ქალს მიესალმა. მის ლაწვთაგან ნაკრთომმა ელვამ თვალები დაუყენდა. გამოეგება, მოეხვია კუბოში მჯდარი. მეფემ ქება დაუწყო, თვით ვერას ვერ მიმხვდარიყო. ეტყოდა, პირმზეო, როგორ გაქო, შენ დარჩანო ნათელო, შენთვის გონება ხელქმნილი არ ტყუილად იქმნება, მზის და მთვარის დასაღარო, ვარდი და ია თქვენთან სანახავად გაცუდებულო.

ყოველი მხედველი გაეკვირვებინა მის ბრწყინვალებასა. როგორც მზემ თვალები დაუყენა ნათლის ჩენისაგან. ვინც დამწვარიყო მისგან, გულს ლხენას აძლევდა ცქერითა, სითაც გამოსჩნდებოდა, ჯარი იქით-კენ გაჭროდა.

შესხდნენ. წავიდნენ ყველანი შინ. შვილივე მნათობი ჰქონდათ, იმ პირმზის დასაღარებლად.

არ მიისდომის სიტურფე,

ისინიც ვერ მიმხვდარიყვნენ. აღრე მივიღნენ მეფის ხაყოფელ სახლში.

შევიღნენ, თინათინ ჰნახეს, ის, ვინც ჭირს მისცემდა ყოველ შნახველსა. სკიპტროსან-გვირგვინოსანს ჰშვენოდა პორფირის ჩაცმულობა. მისი პირის ელვა შეადგა. მოსულთა პირსა. შევიდა ინდოთ მეფე, პირად მზე, მზგავსი გმირისა. ტარიელ და მისი ცოლი ქალს მდაბლად მიესალმნენ. მოეგებნენ, მოეხვივნენ და მოჰყვნენ ტკბილ საუბარსა. ის სახლი გაანათლეს, არ თუ ნათელი დაელამებინათ.

თინათინმა მიიწვია მეფე ტახტზე. ტარიელმა უთხრა, შენ დასჯექ; ბჟეთა ბჟეს სწადია. დღეს შენი ტახტი შენ გვკუთვნის უმეტეს, მელომთა ლომი ავთანდილ გვერდს დაგისუა შენ მზეთა მზესაო. ორთავ ხელი მოპკიდეს და თავის ტახტზე დასვეს. გვერდს დაუსვეს ავთანდილ იმას, ვის სურვილსაც მოეკლა, ვინც ყოველ უნახვ-ნახულ სანახავს სჯობდა. მიჯნურად მათებრი არენ ითქმოდა, არც თუ რამინ და ვისი. ქალი გასწბილდა. ავთანდილის გვერდს ჯდომა გაუკვირდა. ფერი ეცვალა და გულმა კრთომა დაუწყო. მეფე ეტყოდა, შვილო, ჩემი გრცხვენია, თუ რაა?

ბრძენთა უთქვამთ სიუფარული, ბრჯოდ მისი არ წახდომა.

ეხლა, შვილებო, ღმერთმა ათასი წლის დღეგრძელობა მოგცესთ, სვესევიანობა, დილება, კვლავ ჭირთ უნახველობა. კამ არ შეგცვალოსთ, მისებრ უცვლელნი ყოფილიყვნეთ. თქვენი ხელით მელირსოს გულზე მიწის შემოყრაო. სოქვა და ტკას უბრძანა ავთანდილისთვის თაყვანი ეცათ; ეს არის თქვენი მეფე, ასე იქმნა ლვთის ნება, დღეს ამასა აქვს ჩემი ტახტი, ხოლო მე სიბერე, როგორც სნება როგორც მე, ეგრევ ამას, ემსახურნეთ და ჩემს მცნებას დაადექითო.

ლაშქარი და დიდებულები მოსდრკნენ, მდაბლად ეთაყვანნენ, რა მთასენეს, მიწად ვექმნეთ, ვინც მიწად მიგვიყვანოს, მორჩილნი დაგვადიდოს, ურჩნი მკვდრებს დაგვაგვანოს, მტრებს მკლავები დაუსუსტოს, ჩვენი გული აგულვანოსთ. ტარიელმაც ქებით უთხრა იმედის გადიდება. ქალს ეტყოდა, რა კი ერთმანერთს შეჰვდით, ცეცხლის დება აღარა გწვავსთ. შენი ქმარი ჩემი ძმაა, აგრევ მწადია დად გიგულოთ, შენი ორგული და შემცილე გაფაფლილო.

5.8. იმ დღეს ავთანდილ პატრონად იჯდა და ხელმწიფე იყო. იმასთან მჯდომ ტარიელს სინაზე ჰშვენოდა. ნესტან ჯარ ახლავდა თინათინს მხედველთ ამაზრზენად. ჰგავდა თუ, ცა დაიდრიკა ქვეყნად და თრი მზე შეყრილაო.

დაიწყეს პურის მორთმევა ლაშქართ ამავსებლისა. ძროხა და ცხვარი ხავსის უმრავლესი დაეკლათ. შეიქმნა მათი შესამზგავსი ძლვნის ძლვნობა. მათ ყველას მოპტენოდა შუქი მზის მზგავსი პირისა. იაგუნდის ჯამები იყო, ლალის ჭიქები, კვლავ უცხო ფერ ჭურჭელთ უსხდათ უცხო უცხო სიქა. ბრძენთაგან საქებარი იქმნებოდა კაცი, ვინც იმ

ქორწილს შეაქებდა ასე, რომ მნახველი გულს ეტყოდა, ნუ აეხსნები, იქ ებიო. მუტრიბნი მოსდგნენ ყოველგნით, წინწილის ხმა ისძოდა. შეყრით იდო ოქროსი და თლილი ბადახშნის გორი. ღვინის წყარო, შილის მზგავსად, ასგან სდიოდა. ბინდით ცისკრამდის პურის ჭამა იყო. გადასულიყო უამი დილისა. არ დარჩენილა უსაბოძვრო არც კოჭლი, არც საპყარი. მარგალიტი მოფანტულ-მონაყარი მოღიოდა, ატლასი და მყარი ოქრო წასაღებად გაბედითებულიყო. ინდოთ მეფე ავთანდილის მაყარივით იყო სამ დღესა.

ხვალის დღეს არაბთ მეფე კვლავ ჰპურობდა გულითა. ტარიელს უთხრა, შენი პირმზე სანახავად მშვენიერია, მეფე ხარ ყველა მეფეებისა და ეგ დედოფალი არის..

ჭხამს, უკრსა გვეგდოს საფურფად ჩვენ თქვენი სატერფალია. ეხლა მეფეო, არ ივარგებს ჩვენი სხდომა როგორც თქვენი სწორისაო, სთქვა და სახელმწიფო საჯდომი ტახტი სხვა დაუდგა შორსა. ქვემოდ დაპირი ავთანდილ და მისი ცოლი მათ სწორად. ჯერ ტარიასთვის მოიღეს ძლვენი, რომელიც გორად იდო. არაბთ მეფე მხოლოდ ჰმასპინძლობდა, ზოგჯერ მათ ახლდა, ზოგჯერ მათ, ხელმწიფობას არ იმჩნევდა. გასცემდა ასე, რომ ყველა უხვობა-იეფობას უქებდა. ფრიდონ ავთანდილის ახლო იჯდა, ჩვეულიყო თვით მეფობასა. მეფეს ქმრითურთ ჰქონდა პატივი ინდოთ ქალისა, სიყვარული და ჩუქება, როგორც სიძის და რძლისა. არც ნაათალის თქმა შეიძლება მისი, რაც უძლვნა. თვითონ სკიპტრია და პორფირი და თვლის გვირგვინები. ორთავ კიდევ უძლვნა მათი ბედის მზგავსი ძლვენი, ათასი თვალი, რომანული დედლის დადებული, კიდევ ათასი მარგალიტი მტრედის კვერცხივითა, ათასი ტაიჭი-ცხენი, სიდიდით ქედის მზგავსი. ფრიდონს უძლვნა მარგალიტ თავმოდგმული ცხრა ტაბაკი, ცხრა ტაიჭი, შეკაზმული ძვირფასის უნაგირითა. ინდოთ მეფე თაყვანს სცემდა ლალი და ბრძენი. მაღლობა შესწირა, როგორც მხიზელმა, თუმც ნაღვინევი იყო.

გავიდა ერთი თვე. სთამაშობლნენ ჭამა-სმა მოუშლელნი. ტარიელს სძლვნიდნენ ლალის ქვის უცხო თვლებსა ასე, რომ მათი ელვა პფარავ-და ყველას ისე, როგორც მზისა.

ტარიელ ჰგვანდა ვარდსა და იყო მთოველი ფიფქისა. როსტენის წინაშე ავთანდილ გაპგზავნა დასათხოვნელად, რა შეუთვალა, შენთან ახლოს ყოფნა ყოველ ლხინად კმარა ჩემთვის, მაგრამ მტრებსა აქვს ჩემი სამეფო, შიგ მძოველიად მიცვნია.

უცებნი მჭესწინის მცდლნეთა ცდლნამან, ხელფუნებამან. ვპფიქრობ, თქვენც გეწყინოსთ ჩემი ვნება, წავიდე, ავი რამ არ მიყოს აქ დაგვიანებამ, ადრე კვლავ მენახოს თქვენი თავი მორცმული, ღმერთმა ინებოსო.

როსტენმა ჰკადრა, რად ხარ მორიდებით? რაც გიჯობდესთ, იქ-

მოდეთ, გასჭრეტდეთ, განიცდიდეთ. ავთანდილ თან წამოგყვვს, წადით დიდის ლაშქრით, თქვენს მტერს და ორგულს დაპორეწდეთ, დასჭრი-დეთო.

ავთანდილიც ჩამოერია. ტარიელმა უთხრა, აგრე ნუ ჰლაპარაკობ, პირი მოკუმე. როგორ უნდა მოპშორდეთ ერთმანერთს ახალ შეყრილნი შენ მზე ჯა იგი მთვარეო? ავთანდილმა მიუგო, მაგით არ მოვპლორ-დები. ჩემი მზრახავი წახვალ, დამაგდებ და იტყვი, ცოლი უყვარს, გამ-წირაო. მე კი თუ მოგშორდი, უნდა დაგვრჩე ჩემი თავის საუბედუროდ.

კაცსა მოუვრისა გაწირგა, ახ, მოუხდების, ახ, ავად!

ტარიელმა რა გაიცინა მოხდენით, უბრძანა, უშენოდ მე უფრო ვაებას მივეცემი. რათვანაც გწადია, წამომყევ, პირმოთნეობას ნუ დამ-წიმებო.

ავთანდილმა პბრძანა ყოველგნით ლაშქართ მოწვევა. შეჭყარა სპა არაბეთისა ხანდაუზმელად ოთხმოცი ათასი კაცი. ყველა დაკაზმულიყო. კაცსა და ცხენს ემოსა ხვარაზმული აბჯარი. არაბთა მეფეს მათი მოშო-რება სანალვლელი გაპხდომოდა.

რა ერთმანერთს უნდა განშორებოდნენ თრნივე ქალნი დობილნი და დად-ფიცნი, მკერდით მკერდში ჩაკრულ და ყელით გადაჭიობილ-იყვნენ და ასე სტიროდნენ. ვინც მათ უცქეროდა, იმათაც გული უთრ-თოდათ. მთვარე ცისქრის ვარსკვლავს რა შეესწოროს, თრნივე სწორად წნათობენ; მოპშორდეს, მოეშოროს. არა თუ მოპშორდეს, ცამ მო-შოროს და მათ სანახავად მნახველმა თავი უნდა იქედგოროს; ეგრევე ვისაც ის პირმზენი დაუბადია, იგივე გაპყრიდა, არა თუ ნებით მოწა-დინგბულ ყოფილიყვნენ სიშორესა.

ნესტან დარეჯანმა სთქვა, ნეტა არ გაგცნობოდი სრულებით, თქვენი მოშორება ასე არ დამაღნობდა. ამბავს შეიტყობლი, შემატყო-ბინებდი, წიგნით დამელაპარაკებოდი, როგორც მე შენთვის დამწვარ-ვარ, აგრე შენ ჩემთვის დაღნებოდიო.

თინათინმა უთხრა, მხედველთ ლხენაო, არ გაგწირავ. ლვთისგან დღეგრძელობის თხოვის ნაცვლად ვინებო მაშინ სიკვდილით.

კიდევ მოეხვივნენ და დაპშორდნენ ერთმანერთს ის ქალები. თი-ნათინმა წამავალ ნესტანს თვალები ვერ მოსწყვიტა, ესეც იცქირებოდა უკან. და ალი ედებოდა.

როსტან მათ დაშორებას სრულიად ხელქმნილი დაეგდო. არა თუ ერთხელ, ათასჯერ ივაგლახა. ცრემლის ცხელი წყარო სდიოდა, თით-ქოს ცხელი ქვაბისგან ყოფილიყვეს. ტარიელს მეფე უხვეოდა თქმითა. თქვენი სიახლოვე აქამდისაც თცნებად მიჩანს. რათვანაც მოგშორდი, ერთი ასოცად დასჯილი უნდა დაგვრჩე. შენგან სიცოცხლე მოგვეცა, შენგანვე უნდა დავიხოცნეთო.

ტარიელ შესჯდა, რა მეფეს გამოესალმა და დაპშორდა. ლაშქარს

სლიონდა მინდორთ სალაშე ცრემლი. გაემართნენ და წავიდნენ დიდის სპით და ბარგით ტარიელ, ფრიდონ და ავთანდილ. თან ახლდათ ოთხმოცი ათასი კარგი ცხენოსანი კაცი. სამნივე მიღიოდნენ ასე, რო გული ერთმანერთისთვის მიენდოთ მათ, ვისებრი ღმერთს სხვა არავინ გაუჩენია. მოეგებოდნენ. მტრობას ვერებინ ჰქედავდა. მინდორში სადილად ჩამოჰდნენ და როგორც ეკადრებოდათ, პური სჭამეს.

ტარიელს და მის ცოლს საწადელი აუსრულდათ, დაიმკვიდრეს სახელმწიფო შეიდი ტახტი სანატრელ შვებად, რასაც უნდა დაევიწყებინა მათთვის მათი სატანჯველი.

უფლა ჭავინთა ვერ იამებს გაცი ჭირთა გარდუხდელად.  
მათ ორთავ ერთგან მსხდართ მზეც ვერ სჯობდა! ბუკა ჰკრეს და მეფედ დაჰსვეს. ქოსი ხმას დაატკბობდა. მისცეს საჭურჭლეთა კლიტე, შათვე მიანდვეს. იძახდნენ და ამბობდნენ, ეს არის ჩვენი მეფეო.

ავთანდილის ღა ფრიდონისთვის ორი ტახტი დაამზადეს. ზედ დასხდნენ ხელმწიფურად. დიდება უდიადეს, ღმერთმა სხვა ხორციელი მათებრი რალა დაპბადოსო. მათ ჭირს უამბობდნენ, ყველას უცხადებდნენ, პურის ჭამა, ლხინი გაჰმართეს, ჯალაბი გაადიდეს, როგორი ქორწილიც ეკადრებოდა, ეგეთი გადაიხადეს. მათ ოთხთავ ძლვენი თანასწორად მიართვეს. გლახათათვის საბოძვარს ჰყრილნენ ერთგან საჭურჭლეში. ყველა ინდოელებს ავთანდილ და ფრიდონ შემწედ მიაჩნდათ, თქვენგან გვაყრია ყოველი სიკეთეო, ამბობდნენ. უცქეროდნენ, როგორც პატრონებს, რაც სწადდათ, მას იქმოდნენ, სადარბაზოდ ნიადაგ მათ წინ მოღიოდნენ.

ინდოთ მეფემ უბრძანა ასმათს, მისთვის გულმკვდარსა, რაც შენა ჰქმენ, არ უქმნია არც გამზრდელს, არც გაზრდილსა. ეხლა ინდოეთს მეშვიდე სამეფოს ერთ წილზე დაგსვამ, შენი იყვეს, ტკბილი ტკბილს გვმსახურებდე. ვინც გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოს ეპატრონე, შენი თავი დაგვამონეო. ასმათ ფეხთ მოეხვია, შენგან, არის ჩემი ლონე, თქვენი მონების უკეთესი რა უნდა ვიშოვო, რა უნდა ვიქონიო.

სამთავ ძმობილთ ერთგან დაჰყვეს რამდენიმე დღე. თამაშობდნენ, ძლვენი უთვალავი მიუღიოდათ, რა მბოლი მარგალიტი, რა საუკეთესო ცხენი. მაგრამ ავთანდილს სურვილისგან მოწყენა დაეტყო. ტარიელ მიუხვდა, რომ ჭაბუქს მოჰსურვებოდა. ცოლის ნახვა. უბრძანა, გულით უთუოდ დამენდურე. ვაგლახ, შენი ჭირი გონებაში. შვიდი რვად გამივლია, მოგშორდები, ჩემი ლხინი საწუთრომ დამიშურაო.

ფრიდონიც დაეთხოვა, უთხრა, წავიდე ჩემ სახლში, ზედიზედ დავსტკებნიდე დარბაზს და ამ თემსა, უფროსი უმცროსს მიბრძნებდე სამსახურსა, თქვენთვის ასე მომსურდეს, როგორც ირემს წყალოსთვისო.

როსტევანისთვის მისცა ავთანდილს ძლვნად უცხო და უცხო ხა-

ქონელი, კიდევ თლილი თვლის ჭურჭელი, ჩემშაგიერ მიუტანე, წალი, ნურას მეურჩებიო. ჭაბუკმა სთქვა, არ ვიცი, უშენოდ როგორ დავჭრა ჩებიო. მის ცოლს ნესტანმა გაუგზავნა ყაბაჩა და ერთი რიდე ასეთი, რომ მას გარდა არავინ იყო ღირსი ჩაეცვა და დაეხურა. ერთი თვალი ასეთი, წამდებელი ვერ იტყოდა, თუ ცუდად ვჰქიდეო, დღე ჰნათობდა, როგორც მზე სჩნდა, სადაც კაცი შევხედავდა.

ავთანდილ შესჯდა, წავიდა, რა გამოესალმა ტარიასა. ორნივ დაშორების ცეცხლის ალს დაეწვა. ინდოელნი ყველანი მას სტიროლნენ ასე, რომ მათ ცრემლს მინდორი წაელამა. ავთანდილ იტყოდა, წუთისოფლის სამსალამ მომკლაო.

ფრიდონმა და ავთანდილმა რამდენიმე დღე იარეს ერთად. გზაზ დააშორა ერთმანერთს. თვალ ცრემლიანნი წავიდნენ. კარგად წაუვიდათ საქმე, რასაც დასდგომოდნენ.

ავთანდილ მივიდა არაბეთს. არაბნი გამოეგებნენ. სამეფო დაამშვენა. ჰნახა თავისი პირმზე და სურვილთაგან წყენა შოეშალა. მასთანვე ერთად დასჯდა ტახტე, მხედველთ ლხენა მისთვისაც ლხენა იყო.

განახელმწიფა გვირგვინი ზეცით მთსრულმან ზენამან.

მათ სამთავ ხელმწიფეთ ერთმანერთი უყვარლათ, ერთმანერთს ჰნახულობდნენ ეხლა გულსავსენი. ვინც მათ ბრძანებას შეეცილებოდა, მათ ხმალთაგანვე დაწყლულდებოდა. სამეფონი მოიმატეს, გახელმწიფი დნენ, მორჩმულნი შეიქმნენ. ყველას თანასწორად წყალობის, როგორც თოვლს, მოათოვდნენ, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი აღარ თხოულობდნენ. ავის მქმნელი დააშინეს, კრავნი ცხვართ ვეღარ სწოვდნენ. მათ საბრძანებელში ერთადა სძოვდნენ თხა და მკელი.

გასრულდა მათი ამბავი როგორც ღამის სიზმარი. დაიხოკნენ, რა ვანვლეს წუთისოფელი.

ჸნახეთ სიმუხლე ჟამისა!

ვის გრძელ ჭერნია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,

წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი.

რასა ვინ ეძებთ, რას აჭნევთ, — ბედა მაჟივნებელი!

ვის არ შეუცვლის, კარგია, ღრისავ ღურს შხლებელი.

### III

ოთხნი გმირნი არიან ვეფხის ტყაოსნისა ღრი ქალი თინათინ და ნესტან დარეჯან, არიც ეაზი ავთანდილ და ტარიელ, ოთხნივე ისეთი მშვენიერნი, რომ მათი მშვენიერება არა სააქაოა, ამისგამო გაუგებარიც მიუწლომელიც, ისეთი, რომელსაც კაცი ვერას მისუხვდება. შოთა რუსთველიც, ტყვე ქმნილი თავის საყვარელ გმირთა სიტურფითა, ზოგჯერ

თითქოს ვერ ახერხებდეს თვით იმ სიტურფის გამოთქმას და მხატვრებსა სთხოვს, დაპატიონ. ავთანდილ და ტარიელ, როგორც მიჯნურები, არ შეეძლო ავტორს, მახინჯი, ულამაზო ტიპები გამოეყვანა, რათგანაც მაშინ სკოლავდა შაირობის და მიჯნურობის მცნებასა. ამის გამო ავთანდილის და ტარიელის სიტურფის აღწერისათვის თუ მეტი არა, ნაკლები აღგილი არ დაუთმია: აი როგორია თვით ის სიტურფე.

**სიტურფე** მცვრეტელს უკარგავს გულს, გონებას და სულსა. მისი მზეობის თინათინი მზეს სწუნობს, მზე კი მისგან თინათინებს, მისი შუქი სამყაროს და ხმელთა კიდეს გაანათლებს, მთვარეს უკუნი ბნელო გადაეფინება. მზედ დაბადებულს ზეციერნი მნათობნი ჰმორჩილებენ. ვერც მზე ჰგავს, ვერც ეთერია. სახეა ერთის მზის ზეციონ ზენა მნათისა. მშვენებით მზესა სჯობს, როგორც დილის უამი ბინდსა. ბროლზე მოხსელეტილი მზის შუქია. მთვარის მსგავსი მშვენება აქვს, მზისგან ჩაუნთქვი. როგორც მთვარე ნათლითა, ისიც გარ შუქ შემოდგმულია. მისი სინათლე ისევია, როგორც ეთერით გამომცვირვალი მზე. მისი პირის სინათლე თითქო გაბადრულის, მთვარის იყვეს. მისი პირი ვარდია, ბროლის სხივებ შემოსრული, ელვის მაკრთობელია, მანათობელი ქვეყნისა ასე, რომ მზის შუქი იმასთან გაცუდდება. მის თეთრ კბილთა გან გამოჰკრთის ელვარება, რომელიც შუქს მოჰყვენს. ტანად სარო, ალვაა, ისეთია, თითქოს ედემში აღმოცენებული იყვეს. თმა გიშერია, თვალები მელნის ტბისა აქვს, ცნობა ზემხედველი აქვს.

**ასეთია სიტურფე თინათინისა.**

სიტურფე კიდევ ნათელია ულამო, აკრთობს ელვას, რომელიც მზისაზე უთამამესია. მისი პირის სინათლე უნათლესია, ვიდრე ზესთაზე სინათლე. მზეა მოკამათე, თვით მზეთა მზეა. ბროლბადახშ უმშვენებს თმა გიშერი და წარბი ტევრი. მისი მზგავსი რომ იყვეს, მზეს სიტურფედ ეყოფა. მის ღამწვთა ელვარება ანათებს სამყაროსა. მისი მშვენება და სინაზე ისეთია, რომ მზეს აღარ ჰმართებს მზეობა. მისი პირის ციმციმი არემარეს ეფინება. მისი მცვრეტელი თვალის მფახველად გადაიქცევა. მის კბილთა შუქი ზედ გიშრის სარებსაც შეჰვენია. მანათობელია ბნელისა, მნათობი ქვეყნისა, ზენა მზე, დამწველი, ამაზრზენი, სიტყვა მცრელი და წყლიანია. ვითა ასპიტი, მცვრეტელთა მღალავია-თვისთ თვალითა. ნის წამწამთა ნიავი ჰქრის, თითქოს კეთილი რამ ქარი იყვეს., საჭვრეტლად სატურფალია, სიტურფე მიუხდომელია, კაცი ვერას მიუხვდება, ძვირი, იშვიათი უნდა იყვეს, თუ გაიეფდა, ჩირადაც აღარ ეღირება.

**ასეთია სიტურფე ნესტან დარეჯნისა.**

გრძნობა ტრობისა, მშვენიერის, საყვარელის სახისა, სხეულის-სრულქმნილი მონაკვთულობისაგან გამოშვეული, ისეთი ვითარების არის, რომ ავტორს თინათინისა და ნესტან დარეჯნის სიტურფე ჩვენთვის აუ-

წერია ისე, თითქოს თვითონაც მოხიბლულ იყვეს. ესევე ემართება, როცა მათ მიჯნურთა ავთანდილის და ტარიელის, ჰსურს, რამ გვითხრას. შესტრფის მათ მშვენება-სილამაზეს ისევე, როგორც მათ ძმურ მეგობრობას. სწადია, სხვებიც, შინაური, თუ გარეშე მნახველნიც შესტრფოდენ მასთან ერთად. სწადია, თვით ავთანდილ და ტარიელ შესტრფოდენ ერთმანერთს და უქებდენ სიტურფესა, ბოლოს ყველასგან ქებულნი იგივე გმირნი ისწრაფვიან, როცა შემთხვევა აქვთ, გაამუღავნონ თუ, რამდენად სატრფიალოა სხვებისათვის მათი მშვენიერება.

ავთანდილ, მეფის ვეზირის, ხალხის და სხვების თვალში, ტურფა ვაჟია სახით და ანაგებითა. ნაკვთად სარო, ფერად ლალია. პირად მზეა ცისა, თუმცა ხანდახან არ მზეობს, არ დარობს. მის ვარდთაგან ქარი სუნნელ სუნს მოპერს მნახველსა. ტანად მჭევრია, ჯავარ სრული. ხმა მისი საამო სასმენელია; ახლო მყოფთათვის სილხინოა, სიკოცხლე სულთა მდგმელი, სინათლე დამწველი. მჭვრეტელნი ნდომით შეპფრფინვიან, მაზე ტრფიალობენ, სულწასულნი არიან, როცა ეხვევიან, ჰბნდებიან, თვალთა სირეტე და გულს გლახ ალი სცემიათ.

ტარიელისთვის მშვენიერი სატურფალია, გასაყრელად მეტად სამძიმო ისე; როგორც იადონისათვის ვარდი.

ავტორისათვის მზეა, ნათელთა მფენელი, დღის მანათობელი, ტურფა დანაბადი, ნაზარდობით საროს მჯობი. ვარდია ლალის ფერი. მის ძოწისფერ ბაგეთაგან გამოსჭვივის კბილები, ელვის მაკრთობელი, ხოლო კბილის ძოწის ძირს ვარდისთვის შუქი მიუფენია. მშვენებით სრულია, ვითა სამყაროს მზის შუქი, ისე ანათებს სახლსა. ბრძენთა თუ პნახონ, იგიცა გაშმაგდენ, როგორც ხელქმნილნი. მისი ტურფა ჰაერ-ფეროვნება მჭვრეტელს ამშვენებს. მის მელნის ტბებს მიჯარვით ჰბურავს გიშრის ჭერი. შეიარაღებული ლამაზი სანახავია, ლხინია ქვეყნისა. გაცინება უხდება. ტურფა რამე მხნეა.

ტარიელ, სხვების თვალში, სამყაროს და ხმელეთის მანათობელია თვისი სხივოსნობითა. ისიც, ავთანდილიც ცის ზენა მნათობნი არიან.

ავთანდილისთვის ლვთისგან მზედ დაბადებულია, რათგანაც ახლო მყოფთა მწველია. მისი გაყრა დღის დამაღამებელია; ულვაშ აშლილი უწვერული სახეა მის ერთისა; რომელიც ზეცით ზენა მნათია. მის მჭვრეტელს თვალები დაუღონდება ისევე, როგორც მზის ციაგის ჭვრეტითა. ედემს ნაზარდა, ლერწამ ტანია, მჭვრეტელთ სიხარული, ვერ მჭვრეტელთა სივაგლახე. კაცი ღირსი როდია მის ცხადად ნახვისა, სიზ-მრად უნდა ჰნატრობდეს მას ნახვასა. მჭვრეტელთ მისთვის ბნედა თავის სასახელოდ გაუხდიათ. მისებრივ არავინ შობილა. მეგობრობის სულთა დგმა:

ავტორისათვის ლვთისგან ანთებული ლამპარია, მშვენიერი სანახველი, საჭვრეტლად სასურველია. პირსა ციმციმი უნათლესი აქვს ბაზ-

შისა. მისი ყოფა-ქცევა და ზეა მცვრეტელთ ხელმჯმნელია. მისი მშვენება კაცთაგან უნახავია.

ავთანდილს ნაკლებად, თითქმის არა აქვს ჩვეულება, ვაგფომელავნოს თუ, რა გვარ მოქმედებს სხვებზე მისი მშვენიერება. ძმად ფიცი ტარიელ კი ისწრაფვის, გვიამბოს თუ, სხვებს როგორ მოეწონა და ეტურფა, როგორ გაუხარდათ მისვლა მისი ტურფისა და ლამაზისა, როგორ ჰშვენოდა ფერმიხდილი ვარდი, ცრემლით ნაბანი, და ვინც უჭვრეტდა, როგორ ჰბნდებოდა, რიდე მოხვეული პირ-მშვენიერი როგორ ხელჭმნიდა ხელქმნილთა გულს. ტოლნი როგორ ეძახდნენ ალვასა, როგორ შეიქმნა. შლილი ვარდის მსგავსი, როგორ სჯობდა მზეს თვისი მშვენიერებით და მნახავნი როგორ ამბობდნენ, მსგავსია ედემს ნაზარდისათ.

ავთანდილ და ტარიელ ჯერ უწვერული ჰაბუკნი არიან, მაგრამ ლომგულნი და საგანგებოდ სამეფოდ აღზრდილნი როგორც სიბრძნის, ისე სამამაცო ზნეია სწავლაში, ხოლო ავთანდილ მუსიკობა-სიმღერის ხელოვნებაშიაც, ასე, რომ მათი სიტყვა და საქმე გაზვიადებულად არ უნდა ჩავთვალოთ.

#### IV

რა კი ვეფხის ტყაოსნის ხალხი მაჰვადიანია, შეუძლებელი იყო შოთა რუსთველს ღვთის ბუნება ისე განემარტებინა, როგორც განუმარტებიათ აბდულმესიის ავტორს. ითანე შავთელს და თამარიანის ავტორს ჯრ. ჩახრუხაძეს, თუნდაც უკანასკნელი იგივ რუსთველი ყოფილიყო. მეხოლებეთა ღმერთი სამებითია, არსებით კი ერთი, მაგრამ შოთა რუსთვლის ღმერთი ერთი, ერთ არსებაა. უკველია ასეთი განუმარტება ღვთის ბუნებისა არც ქრისტიანს ეუცხოება, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ქრისტიანობრივი ელფერი მაინც მოაშორა რუსთველმა ისევე, როგორც მოსე ხონელმა ამირან დარეჯანიანსა.

მაჰვადიანობა გმირთა პრაკტიკაშიც მოსჩანს. განსაკუთრებით ითქმის ექსტან დარეჯნის, ტარიელის და ავთანდილისთვის. ნესტან დარეჯანია განათლებული ინდოელი ქალია, მუსაფი (ყურანი) სასუუნალზე უძევს. ტარიელიც დაქსწრო, როცა ფარსადან მეფეს და მის მეუღლეს თათბირი ჰი ჰქონდათ, მიეთხოვებინათ თუ არა ნესტან დარეჯან ხვარაზმასათვის. ტარიელს ამის გამო დალატი დასწამა ნესტან დარეჯანმა და დაიზარა. თავი რომ ემართლებინა, სიყვარული დაემტკიცებინა. ტარიელს თავისი სატრაფოსთვის, აილო მუსაფი, გაშალა და დაიფიცა. სხვა ადგილს გულწასულ ტარიელს მუკრები და მულიმები უკითხვენ ლოცვასა. ავთანდილ ვიდრე გაიპარებოდა ტარიელის საძებრად, მიზგითში შევიდა და ილოცა, ღვთის მინდობა კარგადა სჩნას ბედის მორჩილებაში, მოსაფალს მოცდა ჯნდაო, ქართველები რო იტყვიან, სწორედ ისეთია

ის მორჩილება. უღვთოდ, უგანგებოდ არაფერი იქმნება და კაცი მო-  
ვალეა, ყველაფერს დაპირდეს, მხოლოდ მაგრად, უშიშრად, ჭირს გაუძ-  
ლოს, რათგანაც ჭირის უმუშავო ლხინი არ ნახულბ, თვით ლხინიც  
მაშინ არის საამური, რა გადიპირდის კაცი ჭირსა. თავის მოკვლა დიდი  
უგუნურებაა. მაშასადამე: ბედის მორჩილება ადამიანისაგან მოითხოვს  
ჭირთან ბრძოლას, სიცოცხლის გაძლებას და სრულიად არ ჰქადაგებს  
სასოწარკვეთილებას, რომელიც ხანდახან აღამიანს გადაეჭცევა თავის  
მოკვლის მიზეზად. სიმართლე, პირიანობა, ფიცის შენახვა მცნებად  
მისცემია კაცსა, ვიდრე სცხოვრებს ამ წუთსოფლად, რომელიც ყველა-  
ფრის დამამხობელია და ოხრადა სჩანს. საიქიოს მოელის ასეთ კაცს  
სამოთხე, მოელის ჯდომა ცხრათავე ცითა, ხოლო თუ დაპგმო ის მცნე-  
ბა, მისი მხვედრია მაშინ ქვესკნელი, სულის წაწყმედა. აი თვით ავ-  
ტორს როგორ განუმარტება ღმერთი, საწუთრო, საიქიო, ბოროტი  
სულები.

**ღმერთმა სამყარო შეჰქმნა ძლიერის ძალითა.** ზეგარდმო არსნი  
დაპბადა სულით, რომელიც ზეცით მონაბერია. ქვეყანა რომელიც კაცთ  
მისცა, ფრერად უთვალავი აქვთ.

**ღმერთი ერთია.** მან შეჰქმნა სახე ყოველი ტანისა. ნათელთა სა-  
ხეა, უხილავი ძალია, შემწე ყოველი მიწიერისა, რომელსაც საზღვარს  
დაუდებს. ჰზის უკვდავი ღმერთი ღმერთად. წამის ყოფით ერთსა ასად,  
ასა ერთად გაპხდის. მაღალია, ხმელთა და ცათა მფლობელი, ზოგჯერ  
პატივთა, ზოგჯერ კეთილთა მზად მომცემი. უცნოური და უთქმელი,  
უფლებათა უფალი, მოწყალეა, ერთარსება და უფამო უამი. მას ჰმორ-  
ჩილებენ ციერნი ერთი წამისად. უფალია არსთა მხედი, ცხოველთა  
გამკითხველია. არ ითქმის კაცთა ენითა, ყოველთა სავსებაა. ჰშვენის  
დიდება. მზრდელია ყოველის დათესილ დანერგულისა, უხვია, თუმცა  
სოფელი ძვირია. მზღველია ვალისა. შემოქმედი, არსთა მხადია, ვისგა-  
ნაც ზეციერნი ძალი განაგებენ ქვეყნად ქმნადსა, იქმან ყველაფერსა,  
იდუმალსა, ზოგსა ცხადსა. ჭირთაგან მომალხენელი, ყოფილი, მყოფი,  
უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელია. მართლის ბრჭობელი, ცხოველია.  
წყალობას აქლევს ზეცით შესახულსა. კარგს მოავლინებს, ბოროტს არ  
ზაპბადებს. ავსა წამ ერთ შეამოკლებს, კარგსა ახანაგრძლივებს.

**ღმერთია კაცის მფარველი.** ღვთის ძალი შესწევს მის ძლიერებასა,  
ძლევას მისცემს, სატანა დასთრგუნოს და, რაც საიქიოს წასაღებია; იმ  
ცოდვათა შემსუბუქებასა. რა მოეწყინება შვება კაცისა, სიამეს სიმწრით  
დაუნალვლებს; მაგრამ კაცი მაინც უნდა ჰმადლობდეს, რათგანაც მისი  
წადილი და ნებაა. ყოველთათვის ტკბილად მხედია, კეთილის შემოქმე-  
დია, არა ბოროტისა. კაცს ეტლზე დაპბადებს, არაფერი ეკადრება.  
რაცა მას სწადდეს, კაცი აგრე ჰყოფდეს. არ გასწირავს კაცსა, ასრე  
საწუთროსაგან განაწირსაა ის იქმნეს, რაც ენებოს ღვთის წადილსა.

წყალობას მისცემს კაცა, ზეცით მოუქმნებს, ჭირსა ლხინად გადაუქცევს, არაოდეს შეაწუხებს. რაც ღმერთს არ სწადდეს, არა საქმე არ იქმნების. არ გადავა გადაუალად მომავალი ზენა საქმე. არ ვის ძალუბს ხორცეულს. განგების გადავლენა: რაც ღმერთს გაუგია გადასავლად კაცის თავსა, უნდა გადაპხდეს. ღმერთს თუ უნდა, ბედი, ცდა და გამარჯვება არ ასცილდება. კაცს აავსებს წყალობით მზებრ ფენითა. ბოლოს გაუმარჯვებს ყოველ პირველ შენაზარსა. განგებით ქმნილს რისხებს ვერავინ დაპრიდებია. უსამართლო საქმე ღმერთს არავისთვის შეურჩენია. ცისა ძალთა დასი კაცის დამცველია, მარტოობა ვერას უზამს. უღმერთოდ კაცი ვერაფერს მოეწევა. განგებას ვერ ვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების. კაცი ვერას ეცადოს, ღმერთს თუ მისი უბედურება სწადია. განგება, წუთსვე მოპკლავს კაცა, საც დაემალოს? შეუნდობს. შეცოდებულსა. ცის სიმგვრლეს რისხეით წამოპგრაგნის.

ნალირის დახოცვა და ამოწყვეტა შეარისხებს ცათა ღმერთსა. ღმერთი მომცემდა სურვილთ დათმობისა, მფლობელია გულის თქმათა. მიჯნურობის დაშპადებელი, მისი წესის დამწესებელია. მიჯნურობის სურვილს მისცემს კაცა, სიკვდილამდის გასტანოს. რა მოიწადინებს, განგება ზეცით მოუვლენს მოყვერის გულს სახმილთ ლხენასა. მაშინ მოკვდავს მზის ელვა მიეფინება.

ბედი ამის მქმნელია, რომ კაცს სიკვდილიც გასწირავს, აღარ ახსოვს. ფათერაკი სწორად მოპკლავს, ერთი იყვეს, თუნდა ასი. ბედი შავი და უბედო მიწყივ ავის მქმნელია. ღმერთს, ანუ ბედს სიმწარე კაცისა ვერ დაბრალდება, სამდურავი არ ეთქმის. ბედმა ვისაც რა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს. ბედი კეთილ კაცს გააუკეთურებს, მაყივნებელია.

საწუთრო ყველაფრის დამამხობელია. თავის მოკვლა საწუთროს მოძულებაა. ვისაც გძლიდ ჰგონია წუთი სოფელი და სიცოცხლე, იმისთვისაც არის წამისა. რაც ოდენ გაუცინია კაცა, საწუთრო ნაცვლად ატირებს. დღეს არა, ხვალე მოპკლავს კაცა. დასაგმობია, როგორც მუხთალი. ზოგჯერ უხვი და ზოგჯერ ძირია. ვინც მიენდობა, ნიადაგ სტირის, კაცის გამწირველია, უხანო და ფლიდია. სადაური კაცი სად მიჰყავს, სად აღუფხვრის სადით ძირია. ვინც ჭმუნავს, ცუდია და ცუდად სკდების; რაც მოვა ზენა საქმე, მომავალი არ ისცდების. ვერვინ ვერას იქმს უეტლოდ. ბრძენი საწუთროს უხდა ეურჩებოდეს, დაუწყნარდეს. ბინდის გვარია წუთი სოფელი, ცრუა ის, როგორც სატანა. მისი ვერავინ ვერა სცნას. ოხრად სჩანს მისი ყველაფერი. ვინც მიენდობა, თავის მტერია. არვისგან მისაწდობელია, წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი. ვინც მიენდობა, იშვებს, მაგრამ ბოლოს მისგანვე დაღალატიანდება. კაცის სისხლის სახვრეტად დამჯდარა. საწუთრო კაცისთვის ტაროსივით არის, ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა

რისხვით მოუქმდება. რათგან შვება აქვს, არავინ თვით არ უნდა შეუწუხდეს. მისი საქმე ზღაპარია და ჩმახია. უარავს არას იქმს, არც უნდა ემდუროდეს კაცი.

სამოთხეა, ქვესკნელიც არის. პირველი ზეცაშია. ცა მიწყივ მზრუნავია, ბორბალიცა აქვს, მაგალითად ბორბალი შვიდი ცისა. ფიცის გამტეხი ველარ დაჯდება ცხრითავე ცითა, სამოთხეს მოსწყდება. ქვესკნელს დაინთქება. ზენა ცისა პასუხს გასცემს, ლმერთი რისხვის ზეცით დაამეხებს. ფიცის გამტეხი მოღალატე, ორგული და ლვთის უარის მყოფელია. გამარჯვება არსად ექმნება. წაიწყმედს სულსა. სჩანს უსჯულო სჯულითა.

ფიცია სიმტკიცე სჯულისა და მცნება. იგია კაცის გამომცდელი. სიცრუე და ორგულობა ავნებს ხორცას, შერმე სულსა. სიცრუე საძაბუნო საქმეა. კაცთა პირდაპირ მარცხვენელია. ორნივე მივლენ მას საუკუნოსა, ლახვრით დასაჭრელია, დასაუმობია კაცი ცრუ და ლალატიანი. მამაცის სიცრუეს სხვა რამ ვერ დაემგვანება. ოქრო კაცის სულს დააბაზს სააქაოსა, დაუშლის აღმაფრენასა, ცრუ და მოღალატე ვერა იქმს გაძნელებულ საქმეს. ოქრო კვერთხია ეშვაკთა ძირისა.

## V

ვეფხის ტყაოსნის ფანტასტიურ ელემენტს წარმოადგენენ ბოროტი სულები. აი როგორ დაუხატავს პოეტსა.

**მდევი** კვალ წმინდად წაჭხტება ასე, რომ მისი ნაკვალევი უპოვნელია. უკაცურთ ქვაბნი მდევთ შეუკაფნიათ: სახლად თავისოფვის. დას დასად იმყოფებიან. ძვირნაფასები საჭურჭლე მოეპოებათ. ტარიელ შეებათ და მრავალი საუნჯე წართვა ალაფად.

**ქაჯი** გაჰქრება. გრძნებით ზეცაც იცის. ქაჯები კრებულად სცხოვრებენ. უჩინრად მიღი-მოდიან. კაცს ავნებენ, თვით კი ვერვისგან ივნებიან. ვინც შეებმიან დაბრმავებულ დაწყლულებულნი წამოყლენ. საკვირველ საქმეს სჩადიან, საშინელ ქარს ამოაგდებენ, ნავს ზღვა-ზღვა დაამხობენ, როგორც ხმელეთს გაირჩენენ, წყალს წმინდად. დააშორებენ. სწადდეს, დღეს აბნელებენ, სწადდეს, ბნელს ანათებენ. ჰმინდობიან სალ კლდესა. მოლს რასმე წამოისხმენ ტანსა, იმწამსვე გადიკარგებიან, გადაჰფრინდებიან ბანის-ბანსა, უჩინრად შევლენ კართა მცველ მოყმეთა სიმრავლესა: ძნელად საომარნი არიან.

თუ ქაჯნი მდევთ შეემბნენ, იყვეს დღე იგი ძნელიო.

ტარიელ ქაჯთაც შეება, აიღო მათი ციხე და ნესტან დარეჯანი დაიხსნა მათგან.

ეშვაკი უშობელ უჩინარია, უკვალოდ დაიკარგება, გაჰქრება. კაცის ლხინის შემშლელია, მის მტრად წამოსულ გადმოჭრილა ზეცით-

გან. სიცუდე და სიბილწე სჭიროს. მისი გონება ბოროტებაა, ვისაც ძმად სძმობია, თავსა მოიკლავს. ბადე აქვს კაცის გასაბმელად. კაცს მოეჩვენება.

**სატანა** მოქმედია კაცის თავის მოკვლისა. ნებით თავის მკვლელს, ჭაილებს.

მავნე ღამით მოარულია, კაცს ეტანება: სენის შემყრელია.

ვეშაპი და გველი მიხეზია მზის და მთვარის. დაბნელებისა. პირ-ველი ჰყლაპავს მზესა, მეორე კი მთვარესა.

ფანტასტიური ელემენტი ყოველ ზღაპარს თან ახლავს. ვეფხის ტყაოსანიც ზღაპარია, როგორც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა მწერლები იტყოდნენ, სპარსული ჭორი, რომელიც ავტორს ქართულად ნათარგმანები უპოვია, თუ მართლა ამბობს. და არა თვალების იახვევად, და მერმე ლექსად გადუტქვაშს.

ლექსად გადათქმა რომ ვეფხის ტყაოსანში თავისუფალ შემოქმედებად გადაქცეულა; იქა სჩანს, სხვათა შორის, რომ ქართული ზღაპარის მოტივებია შიგ შეტანილი. ზღაპრის მზეთუნახავები მდევებს და ქაჯებს ჰყვანან ტყვედ. მაგალითად როსტომის სატრფო ხურომანი ჰყვანდა პირმოწითანო მდევსა, რომელიც პირმოშაო მდევთან ბრძოლაში მოკლა, ამირანის სატრფო ყამარ ქალი კი იყო თვით ქაჯთ ბატონის, ასული, რომლის მოსატაცებლად ამირანი იმდენი გმირობა დასჭირდა. მზეთ უნახავები ეწოდებათ იმისთვის, რომ ცხრა კლიტულ ციხეში არიან. ნესტან დარეჯანიც ქაჯეთის ციხეშია. მის გამოსახსნელიად ტარიელს დასჭირდება მეგობრობა ისეთი ძმად შეფიცული ამხანაგებისა, როგორნიც არიან ავთანდილ და ფრიდონ. როცა ყამარ ქალი გაჰყვა ამირანს, ქაჯთ ბატონი გამოუდგა ეშმაკ ქაჯების ჯარითა, ბოლოს შეზღდნენ ერთმანერთს სიძე სიმამრი და საშინელი ბრძოლა მოუხდათ. რა მალლითგან ყამარ ქალმა გადმოხედა;

ამირანი სცემდა ხმაფსა ქაჯთ ბატონის მუზარადსა,

წისქვილის გელაზისასა, რო ისრდა ნაცერწევალსა,

გული აუშფოთდა და დაპგმო ამირან ჭაბუკი:

ამირან ცოლ დედა ბოზთ, თმი გერ იცი კილოსა,

ზეგით რასა სცემ სპილოსა, ქმედით შეჭმოკარ რბილოსა.

ქაჯთ ბატონი იძლია, მისი ჯარი აირია. მაშინ სულთ მობრძავმა მამამ უოხრა ყამარ ქალსა:

ა შე კახეთა ყამარავ, კურთ ირჩიე მამასა;

ქმარი სეს ასხავ ფოთლადა, მამას ვინ მისცემს საწეალსა?

როცა ამირან ძძლია სიასამურ მდევისაგან, თავი / მოიკლა. ყამარ ქალმა თმა გაიშალა და მწარედ სტირხდა. იმ დროს პნახა, წრუწუნა გამომდერალიყო და სვამდა ამირანის სისხლსა, რომელიც სტიოდა იმ აღგილას, საგაც ნეკა თითო მოეჭრა თავის მოსაკლავად, როგორც ერ-

ჩით მისთვის ოში დახოცილ ქაჯებსა. ყამარმა ფეხთ ფლოსტი გაიხადა, ესროლა და იქვე მოჰკულა. მაშინვე დედა თაგვი გამოვარდა და ყამარ ქალი დაჰკოლა.

შეტი რა მოგეთხვება, კურთ ირჩე მამასა  
უნამუსოდ გვარი დაჭვმე და გაუდექა შერასა.

ასეთივე კილოა ვეცხის ტყაოსანშიაც. რა ტარიელმა ნესტან და-  
რეჯანის შეგონებით მოჰკულა საქორწილოდ მოსული მისი საქმრო ხვა-  
რაზმ შაპ, ფარსადან მეფე გაურისხდა თავის დას დავარ ქაჯსა, ვის-  
თვისაც ალსაზრდელად მიებარებინა ნესტან დარეჯან.

მათ ბოზურთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?

თუ დავარჩინო, დმერთი ვჭერმა, მისად ჟატიუად მზად ესა..

დავარს, მეფის დას, ვინმე ლვთის მტერმა გაუმუღავნა, შენმა ძმამ თავი  
დაითვიცა, არ დაგარჩენს ცოცხალსაო. მაშინ დავარ მოსთქმიდა და ეტ-  
ყოდა ნესტან დარეჯანს:

ბოზო, შენ ბოზო, რად მოჰკალ, ვეჭე, შენცა არა გლეხნოდეს,  
როსკიმო, ბოზო, დიაცო, ქმარი რად მოაკვლევინე,  
ანუ სისხლითა შისითა ჩემი რად მოაზღვევინე?

ხელი მოჰკიდა, წამოჰკიდა და გრძელი თმა დაუფუშა, იმდენი სცემა,  
ვიდრე არ გასძლა.

ამირან ჭაბუკი ებრძოდა ერთ ვეშაპს, რომელსაც სვეტში დამალუ-  
ლი ჰქონდა თავისი მამობილის იამან კაცის თვალი: მაგრამ ვეშაპმა  
ცოცხლივ გადაჰყლაპა: ვეშაპმა უთხრა, თუ არ მომკლავს ხსნა მოგე-  
ცემა უკანალით, გინდა პირითაო. ამირანმა ითაკილა ორივე გზა და

გამოსასვლელად ირჩია სრულად გვერდი გვეშაპისა  
და ურწმუნოს გვერდის წილად ჩაუეენა ლასტი ხის.  
დაბეჭებულმა მზემ ვეშაპს გვერდი დაუწის ადგილად  
და კვლავ ქვეენად დაიბალოს ქვეუნისვე მანათობლად.

ეს თქმულება, სადაც ამირან მზის ღმერთს ედარება, გვიჩვენებს იმ-  
ღრუსვე თუ, დაბნელება მზისა როგორ წარმოუდგენია ჩვენს ხალხსა. ვეცხის ტყაოსანშიაც მოხსენებულია ვეშაპი, აგრეთვე გველი, იმ გან-  
სხვავებით, რომ ვეშაპი მზეს, ხოლო გველი მთვარეს ჰყლაპავს, ე. ი.  
აბნელებს, მერმე კი გამოუშვებენ კვლავ მანათობლად. მაგალითად,  
როცა ფატმან უამბობს ავთანდილს ნესტან დარეჯანის ამბავსა, იმისას-  
თუ, ისა და მისი ქარი უსენ როგორ სცდილობდნენ, გამოეკითხნათ  
ნესტანისათვის მიზეზი მისი ფერნამკრთალობისა, ასე აუწერს:

მზე ვეშაპსა დაეხნელა, ზედან რამცა გაგვითენდა!

ფატმანის ქმარმა უსენ დიდ ვაჲარმა მეფეს მიჰვარა ნესტან დარეჯან,  
მაგრამ ფიცის გამტეხი გამოდგა ცოლის წინ, და მეფესთან კილვ გაწ-

ბილებული. ნესტანმა დაპროტომა თავისი თვალ მარგალიტით და გვირგვინით მეფის დარბაზის ხადუმები, რომელთაც ხადუმად მოპროცესით ისე გააპარეს. ფატმან ამ ამბის დასასრულ ეტყვის ავთანდილსა:

დაჭრჩა მთვარე გავსებული გველისაგან ჩაუნთქმელი.

ქაჯთა მეფის ბევრათასი მონის თავადი როშაქ ასი მონით ალაფის საშოვრად გამეკობრდა, გზაში შემოპევდათ გამოპარებული ნესტან დარეჯან, რომელიც შეაპყრეს. როცა არმალინად მიჰყავდათ ტყვე ქალი ქაჯთა დედოფლის დულარდუხტისთვის, ბევრს ეკითხებოდნენ ვინაობის ამბავსა, მაგრამ არას ეტყოდა, მხოლოდ ჰქუმქუშებდა, მათი მღალავი თვალითა. აი ამის გამო იყო, ფატმანმა რო უთხრა ავთანდილს:

რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა! მთვარედ და მზედ სამთავ შემთხვევაში ნესტან დარეჯანია მოხსენებული.

## VI

ზღაპრული მოტივების გარდა ვეფხის ტყაოსანშია აგრეთვე საისტორიო ანალოგიის ნასახები, რომელიც პირველად აღმოაჩინა განსვენებულმა პროფესორმა დავით იესეს ძემ ჩუბინაშვილმა.

გიორგი მეფემ თავის სიცოცხლეშივე მეფედ აკურთხა თავისი ერთად ერთი ასული თამარ. მერმე მოპგვარა ქმრად ყივჩაყთა ქვეყნითგან რუსეთის ბატონიშვილი გიორგი რუსი.

ქორწინება უნაყოფო გამოდგა. გიორგი რუსი უზნეობის გულის-თვის განდევნილ იქმნა საქართველოთგან და თამარშა მეორედ ქორწინა დავით სოსლანზე, რომ სრულებით უძეოდ არ გადასულიყო. თამარსა და დავით სოსლანს სიყვარული გამოჰყოლოდათ რუსულან დედოფლის დარბაზითგანვე, საღაც ერთად აღზრდილიყვნენ.

დიდებულნი გაიყვნენ ორ დასად, მეფის დავით სოსლანის მომხრე დიდებულთ დავით მეფე პმეთაურობდა და კიდეც დაპრჩა გამარჯვებული გიორგი რუსთან ბრძოლაში, რომელსაც ჰქონდა პოლიტიკური კიონალობის ხასიათი.

ამ საისტორიო ამბის შეგაფეხბა აი როგორ გამოპროცესის ვეფხის ტყაოსანში.

როსტევან არაბეთის მეფემ თავის სიცოცხლეშივე მეფედ აკურთხა ერთად ერთი ქალი თინათინ. მეფის კარს იყო სპასპეტი ავთანდილ, რომელსაც ჰქონდა გულში სიყვარული თინათინისა.

ინდოეთის მეფეს ფარსადანს ძე არ ჰყავანდა. შვილობილად მოწყვანა ინდოეთისავე მეფის სარიდანის ვაუი ტარიელ.

მეფემან სთქვა, შეიღად გავჭიდი თვით ჩემივე გვარი არსა.

და ბრძენთა შისც სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა ქმნათად, რათგანაც

საპატიონოდ ჭრდიდეს სულთა ფაშქართა და ქვეყანათად.

ფარსაღან მეფეს შეეძინა ქალი. უწოდეს ნესტან დარეჯან და პზრდი-  
დენ ერთად ტარიელთან, რომელიც მაშინ ხუთი წლისა იყო. მეფეს  
ჰყვანდა დაი სახელად დავარ, რომელიც იმ ხანად შინ იყო, ქვრივო-  
ბის გამო დაბრუნებული ქაჯეთითგან, საღაც თელოფლად იჯდა.

მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შეიღი.

როცა შვილი წლის შეიქმნა, იმ დღითგანვე ტარიელ დაშორდა. თხუ-  
თმეტი წლის ტარიელს მამა მოუკვდა. წლის შემდეგ ეხმარებოდა ფარ-  
საღან მეფეს ქვეყნის გამგეობაში, როგორც ამირბარი. ნესტან დარე-  
ჯანსაც, ტარიელსაც გულში ჰქონდათ ერთმანერთის სიყვარული. ნეს-  
ტან დარეჯან უნდა გაეთხოვებინათ ხვარაზმაზე და ტარიელ მისმა  
დედ-მამამ დაისწრეს იმ თაბირზე, საღაც გადასწყდა კიდეც ეს საქმე. ნესტან  
დარეჯანს არ უყვარდა ხვარაზმაჲ, იცოდა, მისი ზედ სიძობა  
ძირიად დაუჯდებოდა სახელმწიფოს და ამბობდა:

ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსი გაგვიხასდენ.

ამისთვის უბრძანა თავის მიჯნურს ტარიელსა:

რა მოვიდეს, სიძე მოჟყალ, მათთა სპარსა აუწევეტლად.

ჸყაღრე თუ, სპარსთა გერა ჟაჭმ ინდოეთისა ჭამასა,

ჩემია მევიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა.

ტარიელმა საქორწილოდ მოსული ხვარაზმ შაჲ მოჟკლა და გადიხვეწა  
თავის გამზრდელ ასმათთან ერთად. დავარმა კი როცა შეიტყო, თავისი  
ძმის მუქარე, ნაცემი ნესტან დარეჯან გადასცა ორ ქაჯსა, რომელთაც  
კიდობანში ჩაისვეს და ზღვათაკენ გაიარეს სარკმლები. მერმე ცოცხა-  
ლი რომ არ ჩავარდნოდა ხელში თავის ძმას, დავარმა დაიცა დანა და  
მოსისხლიანებული დაცვარდა. გაჭრილ გადახვეწილი ტარიელ არაბეთში  
ჰნახა ნაღირობის დროს როსტევან მეფემ, მაგრამ მისმა მონებმა ვერ  
დაიჭირეს. ავთანდილმა თინათინის დავალებით იპოვა ტარიელ, დაუ-  
მევობრდა, დაიმეგობრეს ორთავ ფრიდონ ზღვათა მეფე და ბოლოს  
სამთავ ერთად იერიში მიიტანეს ქაჯეთის ციხეზე და დაიხსნეს ნესტან  
დარეჯან ქაჯთაგან.

რათგანაც თამარის ცხოვრებაში მისი მეფედ კურთხევა დიდ შნიშ-  
ვნელოვანი ამბავი იყო სახელმწიფოსთვის, პოეტმა ერთგვარი დრამა-  
ტიკა ლიცენცია იხმარა და თამარის პიროვნება გააორა და მეფედ კურ-  
თხევისათვის გამოიყვანა თინათინად. კიდევ იხმარა ისეთივე ლონე, რო-  
ცა მის მიჯნურად დავვიხატა ავთანდილ, რომელიც ისე საჭირო შეიქ-  
მნა დრამის კვანძის გამოსახსნელად.

ეხლა ვინ იტყვის ფარსაღან მეფე არ იყვეს გიორგი, ნესტან და-  
რეჯან—თამარ, ტარიელ დავით სოსლანი, მამიდა რუსულან—მამადა  
დავარ, რომელიც ეგებ კიდეც გვითხრობდეს, დაი ვარო. თუ ნესტან  
დარეჯანმა უბრძანა ტარიელს ხვარაზმას მოკვლა, მისივე გულის ტრა-

გიზმის და პოლიტიკური მისწრაფების ბრალი. იყო. ხვარაზმ შავ არა-  
თუ არ უყვარდა, საშიშრადაც სთვლიდა მის ზედსიძობას თვით ინდო-  
ეთისთვისაც. იცოდა, ხვარაზმშაზე ქორწინებით სპარსელები გაბატონ-  
დებოდენ და ჭამის დაუწყებდენ ინდოეთსა, რომელიც ტარიელის სამ-  
კვიდროდ ითვლებოდა. ხვარაზმშავს მოკვლა ინდოეთისთვის იქმნებოდა  
მართალი სამართლის ქმნა, რომელიც ხმელ ხეს ნედლად შეიქმნა. ტა-  
რიელის შერთვით კი ინდოეთსაც დაიხსნიდა ხიფათისხაგან და გულის-  
წადილსაც მოეწეოდა, როგორც მისი მოყვარული და ბავშობითგანვე მას-  
თან შეზრდილი. მაშასადამე ნესტან შართალ სამართლს და მამულიშვილო-  
ბის იდიას სიყვარულის უმაღლეს აყენებდა, როცა სწადდა თავისი ბედი  
გადაეწყვიტა.. გულის თქმის ზღვამ ვერ ჩაუნთქა სიბრძნე, სულუხორცის  
ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა და რა დასთრგუნა ხორცის ნდომა,  
საგმირო საქმედ გამოიწვია მიჯნური ტარიელ, ვისთანაც შეხვედრას თუ-  
ქვეყნად არა, საიქიოს მაინც ელირსებოდა, როგორც მისი სატრფო-  
პოეტს შეეძლო ასეთი სულის. კვეთება ეპოვა იმ უამისათვის. როცა  
სიკულილ სიცოცხლის ბრძოლა იყო გამართული გიორგი რუსის და-  
დავით სოსლანის და მათ მომხრე ქართველ დიდებულთა შორის.

მაგიერ თინათინ განხორციელებული სათნოებაა, მის გულს ზადი-  
რამ არ სცხია. როგორც თინათინ და ნესტან დარეჯან მეფედ და ავ-  
თანდილ და ტარიელ ზედ სიძედ, ისე თამარ იყო მეფედ და მისი ქმრე-  
ბი ორნივ ზედ სიძედ ითვლებოდნენ.

ასეთი ანალოგია ისტორიასა და ვეფხის ტყაოსნის ამბებ შორის,  
შკვლევარს შემთხვევითი ჰგონია. მაგრამ რაღა თამარის ცხოვრება მოპხ-  
ვდა ხელში ავტორსა. ეგებ სპარსეთის ისტორიაში; ან სპარსულ ორი-  
გინალში (?) იყვეს ასეთი ამბავი, რაც მოაგონებს აღამიანს ვეფხის  
ტყაოსნის თავგადასავალსა. არ ვიცით.

საისტორიო ანალოგიის ნასახებს გარდა ვეფხის ტყაოსანშია ერთი  
გარემოება, რაც ქართველთ ცხოვრების ნაკრთომი უნდა იყვეს. თინა-  
თინის კურთხევისა ნათქვამია. მამამ ტახტზე

დაჭრა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის სეჭითა.

მისცა სკიმტრა და შექმთსა მეფეთა სამისელითა.

ნესტან დარეჯანმა და ტარიელმა როცა პნახეს თინათინ, ამის გამო-  
ნათქვამია,

სკიმტრისან გვირგვინთხანსა ჭმებოდა ცმა პორტირისა.

ასეთი წესი მეფეთა კურთხევისა არის უფრო ქრისტიანობრივი, პიზან-  
ტიურ ქართული, ვიდრე სპარსული. პორტირ გვირგვინ სკიმტროსანი-  
ყეინი სად ნახულა?

ფრიდონისას მისულ ტარიელს

გამოეგება მრავალი ფრთს სარტყლითა მოწები,

ფეხთა საფეხლად თქმით მართ მათგან არს ნაქონები,  
თავსა აურიდეს თქრისა, ჭრეტს ჯარი მუნ ნარონები.

ძველი ქართული წესი მეფედ კურთხევისა ასეთი იყო. ახლა გამეფე  
ბულ ბატონიშვილს თავს გადააყრიდნენ ოქროსა და ვერცხლოსა. მარი  
ბროსე, ქართლის ცხოვრებაზე დამყარებული, ამბობს, ქართველებმა  
ვახტანგ VI მეფედ კურთხევაზედ მიჰმართეს იმ ძველ ჩვეულებასთ.

ვეფხის ტყაოსნის თავისებურებას გვაგულვებინებს აგრევე; ერთი  
გარემოებაცა. როცა არაბეთს დაბრუნებული აუთან დილ უამბობს თინა-  
თინს ტარიელის პოვნის ამბავსა, ნათქვამია:

ემა ტკბილი და ტკბილ ქართული, სიკეთის ხელის მხდელი,  
ამაზედან ეყბნების, ვით გამზრდელსა ამ მზრდელი.

ავტორს წამოსცდა, ჩემი გმირები ქართულს პლაპარაკობენ, ტკბილ  
ქართულსათ. ამას შემდეგ, როცა როსტევან გამოვიდა ავთან დილთან  
ერთად სანადიროდ, ნათქვამია,

მეფე შესჯდა, მაშინდელი ზარი აწმიცა ვით ითქმიდა.  
თითქოს ავტორი მომსწრე, მნახველი ყოფილიყვეს სამეფო ნალირობის  
სამზადისისა, როცა მათ სანახავად მჭვრეტელნი ერთმანერთს ეჯარებო-  
ნენ. როცა ავთან დილ წავიდა მულლაზანზარს, ფრიდონს რომ შეპხვ-  
და, ნათქვამია,

მომეკალ, ბაზარს სხვა მათებრი იგაჭრონ რა, ანუ ჭყიდონ.

თითქო ავტორის დროს ყოფილიყვეს ვაჭრობა-ყიდვა მონებისა, რო-  
მელთა შორისაც ლამაზი მონებიც უნდა ყოფილიყვნენ ასე, რომ მათ-  
თან შედარება საყვარელი გმირებისა შესაძლებლად მიუჩნევია ავტორსა.

თუმც შოთა რუსთველი მიგვიწვევს,

მთ, დავჭისხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი;

მისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილი შობილი!

თუმც ვეფხის ტყაოსანი ისეთი გმირია, რომ მრთელ ამბავს მისი სახე-  
ლი ეწოდება, როგორც უმთავრესი გმირისა, მაგრამ როსტევან მეფისა  
და ავთან დილის ტიპები არა ნაკლებია საკულტურო საზოგადოებრივი  
მნიშვნელობითა.

როსტევანია მეფის, ხოლო ავთან დილ დიდებულის და მოღვაწის  
იდეალი. მოძღვრება როსტევან მეფისა სახელმწიფოს მართვის და ავ-  
თან დილ საპასპეტისა პატრონ ყმათა ურთიერთობისათვის პოეტს შეეძ-  
ლო შეექმნა მხოლოდ მას შემდეგ, როცა შეისწავლიდა საქართველოს  
ლვაწლ მოსილ მეფეთა და დიდებულთა ცხოვრებას, მათ, ვინც შეპქმნეს  
დიდება და ძლიერება თამარ მეფისა. საქართველოს განთავისუფლება.  
უცხო ტოშთა ბატონობისაგან, გაერთიანება, ურჩ და ორგულ მთავარ  
დიდებულთ დამორჩილება და მეფის ხელმწიფების გამტკიცება შეიქმნა

\*) იხ. შარი ბროსეს საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე, გვ. 59.

ის ნიადაგი, რაზედაც აღმოცენდა სულიერი და ნივთიერი ძალა ქართველებისა. ასეთი გარემოება ოსტატურად გამოიყენეს ჩვენშა შეხოტბებმა ითანე შავთელმა აბდულ მესიასა და ჩახრუხამ თამარიანში. პირველად მათ შემოიტანეს ქართულ მწერლობაში. იდია მეფობის ლვთაებრივი სიმართლისა. მეფენი დავით აღმაშენებელი და თამარ მტკიცედ ისხდნენ სამეფო ტახტზე და ქრისტიანობას და ქართველობას ასახელებდნენ აგარიანთა შემუსვრით იმისთვის კი არა მარტო, რომ მათ ქადილს ლონეც შესწევდა, არამედ უფრო იმისთვის, რომ მეფობის ნება ჰქონდათ, როგორც დავით წინასწარმეტყვლის, მარიამ ქალწულის და იქსოს მონათესავე ბაგრატუნიანთ შთამამავლებსა. თვით განგებამაც ქვეყნის გაჩენა და ძველ ახალი აღთქმის დადება თამარ მეფის დიდებისთვის ინება, რომ ამ ქვეყნად მტკიცე და შეურყეველი ყოფილიყო მათი მეფობის ტახტიო, ჰაფიქრობდნენ მეხოტებნი. თუ დავით აღმაშენებელი იყო აბდულ მესია, ე. ი. მონა ქრისტესი, თამარ მეფეცი იყო შედეგი მესიასა, დროდება სარწმუნოებისა. ამათთვის ზეცას განემზადებინა სიკვდილის შემდეგაც უხრწნელი სამყოფი სასუფეველში. როგორც საუ აქოს, საიქიოსაც დიდება მათთვის უეჭველი იყო. აბდულ მესიას და თამარიანს ბ. ნ. მარი XII, საუკუნის დასასრულის საქართველოს საკულტურო და საპოლიტიკო კითხვების შესასწავლად უმშეტეს მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე თვით ვეფხის ტყაოსანსა (\*).

როგორ დავიჯეროთ? თუ მარისვე მოწმობით ქართული რომანტიკა აღმოაცენა ქართველ ფეოდალთა ცხოვრებამ. იმ ქართველ ადარც ნასეებმა და აშოტებმა, რომელნიც სიყვარულის თავისუფლებისათვის არად აგდებდნენ უჯახობის წმინდა კავშირის დარღვევას, თუ არაერთის მკვლევარის განცხადებით ვეფხის ტყაოსანი თავისუფალი დამოუკიდებელი. შემოქმედობის ნაყოფია, რასაც უკილოდ ჰმოწმობს როგორც ლვთაებრივი განვითარება შინაარსისა ისე ლვთაებრივი განვითარება შინაარსისა თუ, როგორც ვსოდებით აქა, ვეფხის ტყაოსანს ამჩნევია კვალი ქართული საისტორიო და საზღაპრო მოტივებისა,—მაშინ აბდულ მესიაზე და თამარიანზე თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს შოთა რუსთვლის ჰქმნილებას იმავ დროის საქართველოს საკულტურო და საპოლიტიკო ცხოვრების შესასწავლად.

ი როგორია იდეალი ხელმწიფის და პატრონ ყმათა ურთიერთობისა, თვით კაცისა, რომ შეეძლოს ამ ქვეყნად ჭირთან ბრძოლა, კარგი საქმის გამორჩევა თავის წარმატებისთვის. ი ის მცნებაც, რომელიც პოეტმა დაუდო კაცს აღსასრულებლად, რომ კაცობასთან ერთად აღამიანობაც ჰქონოდა.

\*) იხ. Древніе грузинскіе одописцы I. Пѣвецъ Давида, строителя II. Пѣвецъ Тамары, груз. текстъ изслѣдовалъ, издалъ и словаремъ снабдилъ Н. Марръ СПБ. 1902.

ხელმწიფე ღმერთს დაუდგენია თვისივე სახითა. ქალიც შეიძლება ხელმწიფედ იყვეს, როგორც ღვთის დანაბადი და მეფის შვილი. უნდა იყვეს ბრძნად მემნელი საქმისა, წყნარი და ცნობილი. როგორც ვარდ-სა და ნეხვსა მზე სწორედ მოეფინება, ისევე ხელმწიფეს არ უნდა მო-სწყინდეს დიდისა და ტურისათვის წყალობა. გულუხვი დაიმორჩილებს თავისუფალსა, ხოლო ვინც დაემორჩილება, ის დაემორჩილება თავის თავად. მეფე უხვად უნდა გასცემდეს წყალობას, რათგანაც ზღვასაც შესდის და გაედინება. მეფეთა შორის სიუხვე თითქოს ალვა იყვეს, ედემში რგული. გულუხვ მეფეს ყოველი კაცი ჰმორჩილებს, ისიც კი, ვინც ორგულია. გულუხვი მეფე რასაც გასცემს, მისია, რაც არა და-კარგულია. სიძუნწე მისი უმეცრულია. ხელმწიფე უნდა იყვეს სამართ-ლის მოქმედი. ყოველი შემცოდე მის წინ სღნებოდეს, როგორც ცვი-ლი. მეფე შემწყნარებელი და მოწყალე უნდა იყვეს ღმერთივით-მალალია, მზის სწორია, თვით მზეა, ზეცით შუქთა მომფენელი, არსთა-მარჩენელი. ტახტზე ჰზის ღვთის ნებითა, მისი გვირგვინი განუხელმწი-ფებისა ზეცით მოსრულ ზენასა. მეფის სამსახურად თჯვის გამზადება, სი-კეთე და უკლებულობა კაცმა უნდა გამოაცხადოს. შისი რიცი, მოკურა-ლულობა და ერთგულება ჰმართებს. მის ორგულობას ღმერთი შეანა-ნებინებს კაცსა. ვინც მეფისათვის მოპკვდება, მისი სული ზეცასა ჰრბის. ხელმწიფეს ხელი არ შეეხება.

პატრონის ვერ შვერეტი უმა ვერას გაიხარებს. პატრონს გამზრ-დელს, ღვთისაგან სვებელნიერს, მშობელს, ტკბილს, მოწყალეს, წყა-ლობის მოველ ცას ყმა ვერ ეორგულება, მისი შემცოდე კარგს აღა-რას უნდა მოელოდეს. პატრონის სამსახური არაოდეს არ წახდების. ყმა მის ჭირს არ უნდა მოერიდოს. მაზე ხმალი არ უნდა მოიხმაროს. ყოფა ყმას ყმურად ჰმართებს. პატრონის კრძალვა კარგია, მის საწყი-ნარს ყმა უნდა ერიდოს. ერთგულთათვის კარგი არ უნდა ჰშურდეს. პატრონსა. მისცეს გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლოს მონები, დაძ-ლიდროს ყოველი ობოლი არას გეონები, მისცეს ზოგი ხანაგების, ზო-გი ხიდების გასაღებად. პატრონ ყმანი მოყვარულნი სჯობს ყოველ მო-ყვარულთა.

კაცი გონიერი არასოდეს არ უნდა აჩქარდეს, რაც სჯობდეს, ის უნდა მოაგვაროს. ძელი საქმე უნდა გამოაგოს, გონების არ სიწყნარე მოიძულოს, მოიძაგოს, რათგანაც გმობილი სიწყნარე სჯობს. ქებულ სიჩქარესა. ასი ჰმართებს გაგონება, ერთხელ არა, არ ეყოფა.. კუუიან კაცს არ ჰმართებს ნაღვლობა, მჭმუნვარეს არ არგებს. ცრემლთა ბანის-ნაკადი, ისევე უჯობს გამორჩევა, აზრობა დასაგვანი საქმისა. წადილთ ნებას არ აჲყვეს, რაც არა სწადდეს, ისა ჰქმნას. მამაცობა ჭირთა გაძ-ლება. მამაცური მამაცი ნელად სტირის. კუუიანი კაცი სიკვდილამ-დის თავს არ მოიკლავს. რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონება გონიერსა.

კარგის მქნელი კაცი ბოლოს არ წაჰედების. აგრევე მისი ქმნილი კარგი საქმე მაზე არ წაჰედების. სიკვდილი ლხინად უნდა უჩნდეს. როცა კაცს გაუჭირდება, მაშინ უნდა ძმა და თვისი. ძმა ძმისა უნდა ძმობილი. კარგი კაბუკი არ შეუდრკება მახვილთ კვეთასა. ვაჭარი ჯაბანი და ომის უმეცარია. ბრძენი მაღალი და მაღლა მხედია, არც ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედიზედი. როგორც ზღაპარი, ისე ესმის უბედობა, თუნდა ბედი. სხვაგან არის, სხვაგან ჰყორინავს, გონება აქვს უზადო. მოსაწონია ის კაცი, ვინც, რას იტყვის, საქმედაც აქცევს. თუ თავში ახლავს, ღარიბად აღარ იხსენება. მტერი მტერს ვერას ავნებს ისე, რომ კაცი თავის თავს ავნებს. არ უნდა იყვეს თავის მტერი. სააშურია, როცა კაცი კაცს საამურს რასმე ეუბნება, ყურის მგდებელს გულს მოდებული ცეცხლი ცოტად უნელდება. ისევე როცა ომში გამარჯვებულ მოყმეს ულოცვენ, აქებენ გას, რომელსაც ჰშვენის დაკოდილობა და ცოტა რამე ჰვნებია. კაცი კაცსა მოელოდეს, მოსვლა უცხოდ იაშება. არას არგებს, თუ არ იხმარებს დაფარულ საუნჯესა. მწვრთნელი უყვარს გონიერსა, უგუნურსა ჰგმირდეს გულსა. დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცს მოუხდა, კაცზე დიადი სისხლი უბრალო არ უნდა იტვირთოს.

კაცმა სევდისაგან უნდა მოიცალოს, არ გახდეს მოულხენელი. ჭირს არ შეუდრკეს, არ დაჰლონდეს, მამაცურად შეპევდეს, ქვითკირივით უნდა გაუმაგრდეს; თუ გულის წადილი აუსრულდა, ჭირი აღარ უნდა ახსოვდეს ისევე, როგორც გადასული დღე. თუ ლხინი უნდა ლვთისაგან, ჭირი უნდა შეიწყნაროს. თავისი ცნობისაგან ჩაპერდება ჭირში, ლხინი არავის მოუმკია ჭირთ უშუშაკოს. ჭირდაუნდა დასთმოს, ლხინი რა დასთმობია. მაშინ ლხინი საამოა, როცა კაცი ჭირს გადაიხდის. ლხინმა ჭირი უნდა დასძლოოს.

აფ კაცს ავი სიტყვა სულსა და გულს ურჩევნია, სწადია სულ ავის შეტყობა. გულფიცხელი კარგად ვერაფერს მოავლენს. კაცი არ ვარგა ომში პირის მღმერელი, შემდრკალ შეშინებული და სიკვდილის მექვეშლი. ჯაბანი კაცი ვერაფრად სჯობია. ქსლის მბეჭველ დიაცა. ხელქმნილი ვერ იქმს ბრძნობას ისევე, როგორც უგულო კაცი კაცობას. ოქროს მოყვარულ კაცს ლხენა არასოდეს ჰქონია, სიკვდილამდის სიხარბე კბალუთა საღრევნად გადაჰქცევია. თუმცა მდიდარია, მაინც აკლია და ემდურის ბედია. კაცს დასვრის უგულობა. კაცის გული კრულია, ხარბი და გაუძლომელი ისეთი, რომელიც უამეამად ჭირთა მომობელი, ლხინთა მდომელია, რომელიც ბრძა და ურჩია ხედვისა, თვალით ვერაფრის გამზომელია, ვერც სიკვდილი დაჰპატრონებია, ვერც არავინ ჰყოლობია. კაცის გული მოსაგვარებლად ძნელია, ჭირზე და ლხინზე ორზედვე ისეთია, თითქოს ხელქმნილი იყვეს, მუდამ საწუთრო მისი შეყლულდება, აროდეს მრთელია. გული, ცნობა, და გონება ერთმანერთზე ჰკიდია. რა გული წავა, იგიცა წავლენ, მისკენ მიდიან.

დიაცის სიშორე კარგია, ვინც როგორ უნდა აიტანოს. კაცი ული-ზღებს და შეუკვეთებს, მიინდობს და მოენდობის, მაგრამ უეცრივ უღა-ლატებს. საიდუმლო არ ეთქმის. ვინც უყვარს, გულს მისცემს, აუგი-და მოყივნება არად მიაჩნია, რაც იცის გაუცხადებს, ხვაშიადს სრუ-ლად ეტყვის. დიაცის დასვრის ბოზობა. დედაკაცს ჰმართებს დიდი კრძალ-ვა მამაკაცისა.

სიბერისთან ამ ელი ჭირი სხვა არც ერთია. კაცს რო კავშირნი და შელებიან, სულთა სირას შეერთვიან. სიკვდილი გაყრაა ხორცის და სულისა. სიკვდილს ვერ დაიჭერს ვერც ვიწრო, ვერც კლდოვანი გზა. მისგან გასწორდება ყოველ სუსტი და ძალ-გულოვანი, ბოლოს მიწა ერთად შეჰქრის ახალგაზღას და მოხუცსა. ნაძრას სიცოცხლეს სჯობია სახელოვანი სიკვდილი, სახელის მოხვევა კიდევ ყოველ მოს. ხვეჭელსა. ცუდება და სცდება, ვრც სიკვდილს არ მოელის წამისად.

ვეფხის ტყაოსნის პოეზიაში საზრდოს ეძებდნენ მრავალნი ქართ-ველნი პოეტი. თუ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა პოეზიაში შეიმუშავა ფორმა და მანერა წერისა, მეცხრამეტე საუკუნის მწერლები ვეფხის ტყაოსანს დაესესხნენ ქვეყნის ამაოების, კაცის ბუნების სისუსტის, წმინდა უკვდავი სიყვარულის და ენის სტილზაციის მოტივებსა, რომ სული ჩაედგათ თავიანთი აღმაფრენისათვის. ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვახტანგ ორბელიანი სხვებზე უფრო ახლო დგანან საკლასიკო პოეზიასთან.

ერთი რამ არა აქვს ვეფხის ტყაოსანს მკაფიოდ თქმული მაინც, ის, რაც ისე განახასიათებს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიას. იგია მამულის სიყვარული. მიზეზი ის გახლავს, რომ შოთა რუსთველი სცხოვრებდა ისეთ დროს, როცა ქართლის ბედს ძალლი არ დაჰყეფდა. პოეტი უჩიოდა ქართლის კი არა, ქვეყნის ბედს, წუთი სოფელსა, მის ამაოებას და კაცის ბუნების სისუსტეს. მაგრამ წმინდა სიყვარულის, სი-ტურფის და მეგობრობის გალობაში გართული არ ივიწყებდა, კაცის-თვის ეთქვა, მის მცნებად დაედო ნაძრას სიცოცხლეს სახელოვანი სიკ-ვდილი და ყოველ მოსახუეჭელს სახელის მოხვევა სჯობიაო.

სახელოვანი სიკვდილი, სახელის მოხვევა კეთილი საქმის ქმნის, ქვეყნის სამსახურის გულისთვის მხოლოდ ნამდვილ მამულიშვილს და მამულის მოყვარულს შეეძლო. ასეთნი იყვნენ ნესტან დარეჯან და ტარიელ, რომელნიც ინდოეთის ბედს უფრო მაღლა იყენებდნენ, ვიდ-რე საკუთარსა, რომელთაც ინდოეთი გადაარჩინეს სპარსთა ბატონობას, რაც მოჰედებოდა, თუ მათი ბატონიშვილი ხვარაზმ შაჳ ზედსი-ძედ ჩავიდოდა ინდოეთს და იქორწინებდა ნესტანზე. კაცი, რომელსაც გაჰმჭვალვია პირადი სარგებლობა, მისთვის ზრუნვა, თავს ვერ დასდებს ქვეყნისთვის, გაჭირებულ მამულს ვერ გამოადგება.

ვეფხის ტყაოსანი არა თუ მაღალ ჩნევობრივი სიყვარულის, სიტუ-

ფის და შეგობრობის ღილინია, საკვირველ და უცხო ხმათა შეწყობით ნაგალობევი, იგია აგრეთვე სიბრძნის ტბაცა, რომელიც კაცს ამაღლებს გონებითა.

ქართველი ხალხი ვეფხის ტყაოსანში ჰპოებდა, თავისი სულის და გულის საუნჯესა, ვეფხის ტყაოსანით ეხლაც ისაზრდოებს გრძნობა გონებას, და მომავალშიაც, ვიდრე პირში სული ედგმის, სულიერი სიმტკიცის და წარმატების საფუძვლად, ერად ცხოვრების კირწყლად ვეფხის ტყაოსანი ექმნება.

## VII

ვეფხის ტყაოსანშია აგრეთვე აღწერა სხვა და სხვა შენობისა და ბაღისა, ავეჯის და თვალ-მარგალიტისა, რომელსაც ჰქმარობდნენ, ტანთ საცმლისაც, რომელსაც იკვამდნენ, და ჯარის გაწყობილებისა. თუ წარმოვიდგენთ დაჭით აღმაშენებლის შემკულობის, ტანთ საცმლის, ჭურჭლის, თუ ავეჯეულობის სიმდიდრეს, რომელიც იოანე შავთელმა აბდულ მესიაშვილ შეიტანა და რაც თვით მეფეს თავის „სინანულის გალობაში“ გაუხდია. საგნად სინანულისა, თუ მოვიგონებთ ჩვენი ძველი ტაძრების დიდებას და ხატების ოქრო-თვალ-მარგალიტით საარაკო შემკულობას, აგრეთვე იმ სიმდიდრეს, რომელიც თამარ მეფის დროს ქართველებს სხვა და სხვა ომში ალაფად დარჩენიათ, უნდა დავადგეთ იმ შეხედულობას, რომ შოთა რუსთველს რაც აღწერია ჩვენთვის, თუ სულ არა, ბევრი რამ მაინც თვალით ნახული ექმნებოდა. არაბეთ ინდოეთში არ წავიდოდა სახლების, მათი მორთულობის, მათ მდგმურთა ტანთჩაცმულობის, ჯართა გაწყობილობის და სხვათა შესასწავლად, როგორც არ წავიდოდა იმისთვის, რომ თავის გმირთა ხასიათები ადგილობრივ არაბეთ ინდოეთში შეესწავლა.

აი როგორია თვით აღწერილობა.

სრადარბაზები დიდებულთ აშენებული ჰქონდათ უფრო ბალებში, ზოგჯერ ზღვის პირასაც. ასაგებად ჰქმარობდნენ წითელ მწვანე ქვასა. სახლებს ჰქონდათ ზემოთ დიდრონი და ტურფა ბანები, ქვემოთ კი მშენიერი დარბაზები. ბანიც და დარბაზიც რამდენიმე იცოდნენ. სახლები მაღალი იყო ასე, რომ კაცს ყოველგით შეეძლო გადმოხდევა. სახლები იყო შიგნით იაგუნდით და ლალით. შემკუბილი და მოფარდა-გული აქვინოთი და შალითა. პირსა ე. ი. ფასადსა ჰქონდა ბაღჩა და საბანლად სარაჯები ვარდის წყლისა. ბაღჩა ტურფა და სალხინო იცოდნენ, შიგ მფრინვლები სირინოს უამესად ჰგალობდნენ.

ავეჯი სრადარბაზისა მოხსენებულია სკამი, სელი, ტახტი ოქროსი „წითლისა მართ ხალასისა“. საჯდომი აქსინო გადაუენილი, თეთრ ძოწეული, აგრეთვე ყვითელი ერთგან შავ ნარევი.

საჯდომად ჰქონდათ აგრეთვე ბალიში, იგივ ნატი. ნატი ვეფხის

ტყავისაც იყო. საფენად იცოდნენ ლარ-საგებელი, ნოხი. დარბაზობის დროს, როცა მიუცილებლად გაიმართებოდა სმა და მღერა, წვეულო ყურს უტკბობდა მუსიკობა მგოსან მუტრიბებისა.

ტანთსაცმელი ქუდი და ენიანი კაბა იცოდნენ, ხანდახან ვეფხის ტყავისა, მსგავსად ილიადის და რომანთა ხალხისა, სადაც გმირებს ჰმოსიათ ვეფხის ტყავი. კაცებისთვის აგრეთვე იყო ჯუბა და ძოშეული რიცე, ძვირფას თვლიანი კაბა; სოფლად უთუოდ გლეხკაცობას ტანსა ემოსათ ლურჯი და მწვანეები.

ქალთათვის ტანთსაცმელი იცოდნენ შავი რიცე, სამოსლად მშვანე ყაბაჩა (ქათიბი), შემკული წითლის იაგუნტოთ და ლალითა.. აჯილა (ჩადრი) პირისა და ტანის, ხოლო ზეწარი მარტო პირისა. საბურველად ნარინჯის ფერი ჯუბა, შავი ჯუბა, უსაპირო ყალყუმი წამოსახსამად, ძოშეული რიცე, პერანგები და მრავალი ფერი სუნნელი (ვარდის წყლები). რიცე ხანდახან ისეთი საკირველი იყო, რომ ნაქსოვის სილბო ჰქონდა და ნაჭედის სიმტკიცე- მაგალითად როცა მდევებს ებრძოლე ტარიელ, სხვათა შორის, ალაფად წამოილო ყაბაჩა და ერთი რიცე, ლვთის რამ სასწაული ქსელი, არც ლარული ჰქონდა, არც ორხოულა, სიმტკიცე მისი ისეთი იყო, თითქოს ცეცხლში შენართაული ყოფილიყვეს.

ძვირფასი ფარჩეულობა ხმარებაში ჰქონდათ კიდევ ზარქაში, ნახლი, შალი, იცოდნენ აგრეთვე ბამბის ქსოვილი ხამი.

ზინათი მოხსენებულია მარგალიტი სიდიდით ბატის კვერცხი, ერთი თვალი ისეთი, მის წინ დამით მხატვარს შეეძლო ხატვა ხატისა, ათასი თვალი ნაშობი რომანული დედლისა, (ანუ ხვითო), ათასი მარგალიტი სიდიდით მტრედის კვერცხი. ერთი თვალი ისეთი, დამით მზეებრ ანათებდა და ჩნდა ყველგან. იმ სიმდიდრეში, რაც ტარიელმა მდევებს ალაფად წაართვა, ერთი ერთი რიცე ხელწმინდად განათალი თვლისა, მარგალიტი საბურთალი ბურთის ოდენი და აუარებელი ოქრო.

ჭურჭლეულობაც შემკული იცოდნენ. უცხო და უცხო სიქები უსხდათ და თლილი თვლების იყო, ჯამი და ჭიქა ყოველი ფირუზის და ლალისა. სასმისი ჭურჭელი იცოდნენ ჭიქა, დოსტაქანი, მინა, რუბი და სხვა. ლარის მცველად ჰყვანდათ მოლარე.

ჯარი გაწყობილი იყო ისე, რომ სამხიარულო ჩასაცმელიც ჰქონდა. უცხო მეფეთა დასახვედრად ჰმარობდნენ წითელი ატლასის კარს ვებსა. კარვები ნაბლისაც იყო—ხარგები. ჯარის სახმარებელი იარაღი იყო დარაკი, მშვილდ კაპარჭ ისარი, მუზარადი, ჩაბალახი, საბარკული, საკურტაკე, ფარშიმშერი (ხმალი), ქაფი, ჩოგანი და სხვა.. ტარიელმა მდევებს წაართვა ალაფად კიდევ ჯაჭვა, მუზარადი, აბჯარი, ხმალი ფოლადი მჭრელი, სამი ტანი აძჯარი ზურმუხტის ბუდეებით, თითქოს ლუსკუმები ყოფილიყვეს. ჰქონდათ იარაღეულობის საწყობი. ზარ-

დახანები და ჰყვანდნენ მეაბჯრები. იცოდნენ ჯარის დათვალიერება, ჯარს მეფის დროშა ჰქონდა ოლმისნი. ოლამი ორფერი იყო წითელ-შავი და ამართავდა წინამძლოლი. ჯარია მოხსენებული სპა, ლაშქართ რაზმი, მწყობრი, დასი. ნაოსნობისათვის ჰქონდათ ნავები, კატარდები და სხ. ჯარის სემუსიკო საკრავები იყო ბარბითი, ბუკი, ქოს-დაბდაბი, ებანი, წინწილი, ეჟვანი, ნა, ნობა, ჩანგი, ჩალანა და სხვა.

ხმელეთის ჯარის უფროსებად მოხსენებული არიან ამირ სპასალარი, სპარსალარი, სპასპეტი, შენავეთა და მეზღვაურთა უფროსად ამირბარი. ქვეყნის გამგეობის მოხელეებად ვეზირი, იგივ უსტასრა, ბჭეთა ბჭე, მარზაპანი და სარანგი, ხოლო მეფის ჯოგის უფროსად ამილახორი, მეფის მხლებელად კი ეჯიბი.

ხსენებულ ხელის უფალთა სახელწოდებანი უცხოა, უცხო სახელ-მწიფოთაგან არის შემოლებული, მაგრამ საქართველოშიაც ხმარებაში იყო იმ დროსვეგა.

